



# სიხე

გილოცავთ ახალ წელს!



1984

## მრავალჯამიერ

შენს ლურჯ მწვერვალებს, თოვლი რომ ფარავს,  
თერგს და დარიალს,

ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,  
მრავალჯამიერ!

შენს შმაგ ჩანჩქერებს, მთებიდან ბარად  
რომ იჩქარიან,

ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,  
მრავალჯამიერ!

შენს მამაც გმირებს, — გზა საომარი  
მხნედ რომ გალიეს,

ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,  
მრავალჯამიერ!

თავისუფლების, შრომის და ბრძოლის  
ძლიერ არმიებს,

ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად,  
მრავალჯამიერ!..

შენს დნებრს და ვოლგას, დონსა და არავს,  
ამუდარიას,

ახალ მშენებლებს — დიდება მარად,  
მრავალჯამიერ!

მოეფონება შრიალი ხეთა

მიწას გვალვიანს...

მშვიდობა, მარად მშვიდობა შენდა,

მრავალჯამიერ!

ზურგში თუ ფრონტზე გ'ა საონარი

ძლევიტ გალიე,

ჩემო სამშობლოვ, დიდება შენდა,

მრავალჯამიერ!

ანა კალანდაძე



ქართული  
ბიბლიოთეკა

# სსსკ

319

გამომცემის ოცდაშვიდნი წელი

1

იანვარი

1984

თბილისი

საბ. კვ ცკ-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყნალო

საპარტევლოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწარალთა კავშირის ორგანო

# უი ნ ა რ ს ი

## კოეზი და კროზა

3. კოვაზ ინანიშვილი — საგაბილო რვეულებიდან
8. გიორგი კეჭელაძე — კარავი ღრუბლებზე. მოთხრობა
38. ლია სტურუა — ლექსები
42. თამარ ჩხეტიანი — ლექსები
44. ნაირა გელაშვილი — „ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“ მოთხრობა. დასაწყისი
81. ლადო სულაბერიძე — ლექსები
84. ნუგზარ წარეთელი — ლექსები
87. რამაზ გიორგოზიანი — ოქსახური იდილია. მოთხრობა
92. დილარ ივარჯავა — ლექსები
94. გივი ალხაიშვილი — ლექსები
97. ლია თოღვა — ლექსები
98. მიხეილ ძვლიშვილი — ფიქრები... ფიქრები...

## ახალი თარგმანები

106. ჰრანტ მათეოსიანი — ჩემი მგალი. სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა.

## „ცისკრის“ კალენდარი

119. სერგო კლდიაშვილი — 90

## წერილები

120. ბრისტან ლაბარტაშვილი — გურუაშვილის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის კროზალები თანამედროვე მტაკზე
126. კოვაზ თვაჩაძე — „გვაგს უთვალავი ფიქრითა“
132. ინტარვიუ გურამ გეგეშიძესთან — საუბარი ჩაიწერა ნინო დეკანოიძემ
137. მამუკა შილაშვილი — რომანტიკული ილუზიებიდან რომანტიკულ რეალუზამდე
144. გურამ ურანაშვილი — ქართული ეროვნული ხასიათის საკითხისათვის
153. კოვაზ მიშველაძე — გზიან გულთა სიკეთე
155. ნაკოლეონ ლიშინაშვილი — კონსტანტინე გამსახურდია და ქართული სალიტერატურო ენა
157. გიბ ჯანაშვილი — თბილისის ისტორიული ბრძოლის რეკონსტრუქციის ამოცანები.

1990

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ლვინჯილი

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიშვილი  
თედო გეგეშიძე  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)  
გურამ გეგეშიძე  
გივი გეგეშიძე  
გიორგი გუგულია  
თეიმურაზ დონიაშვილი  
მერაბ ელიოზიანი  
მედეა კახიძე  
ჯემალ მარგველიძე  
შოთა ნიშნიანიძე  
გურამ ფანჯიკიძე  
მირის ფოცხიშვილი  
ნუგზარ უატანიძე  
ავთანდილ ჩხიკვიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
სოსო ცინცაძე  
გოგი წარეთელი  
ტარიელ ჭანტურიანი  
ბადრი შოგონელიძე  
ბაბა ჟოსხაძე



რევაზ ინანიშვილი

# სამაგიდლო რეკლამებიდან

## უფსკრული ქალაქი

ფიქვნარი გათავდა. წავადექი უფსკრულს. ოუუ! ჩახეჩილია მიწა, წასულია ქვემოთ, ქვემოთ, ვეება ჩამშრალი ხეობისაკენ. გაწვდილან ფლაციდან ფიჭვის შავი ფესვები, თითქოს პაერს ეპოტინებიან, ვერაფერს ეჭიდებიან და მოკაუჭებულან განწირულთა კრუნჩხვით. ამოზიდულან ქვემოდან ხეები — თითქოს ქუხილით, ზავით. პირთამდეა გავსებული მათი სიჯანსაღით ხეობის ყურე. მათ ფესვებთან უთუოდ ბნელა, უთუოდ მიიპარება თვალბდაცეცებული ზღარბი, კრთებიან სინაზით მოკეკლუკე ლოკოკინები. ამოზიდულია იმ ხეების ფონზე წვერგადატეხილი შუბისმაგვარი კლდე, გადანატეხზე შერჩენილია მოლი. გაჭქეცეია იმ მოლს ფესვმანდუკი, გასულა ცალკე და კლდის წამახვულ ქიმზე ანთია, ბრიალებს ყვითლად.

ირგვლივ კი ქალაქია — გაბედულად მოახლოებული თეთრი მალაღი სახლები; ახლა გაშტერებულნი, გამტკნარებულნი. თითქოს არავინ ცხოვრობდეს შიგ. ხეობას, ქვემოთ, ჩააფენია ნისლი. იმ ნისლში მიმოფრენენ ყვავები. ვიჩოქებ. მერე ფლატის პირიდან ჩა-

კიდებული ფეხების სავსავით ვპოულობ ფიჭვის გრილ ფესვს, მერე მიკრული ვარ ფლატზე ამ ფესვსა და სხვა ფესვს შორის. ბარძაყებიდან, მკერდიდან სხეულში შემომდის მკერძოლავი სიგრილე. მივცოცავ ქვემოთ-ქვემოთ. რალაცას ჩურჩულებს ჩაშვავებული მიწა, გაჩუმდება. ჩავდივარ სულ ძირს. ერთხანს იქ ვდგავარ, ჩაკარგულივით, პატარა, სუსტი, ბუმბერაზებს შორის — კლდეებში, კლდის ზემოთ ცას მიბჯენილ ხეებში, დამძიმებულ ნესტში. მერე, თავგანწირული, აცოცებას ვიწყებ შუბის წვერად ამართულ კლდეზე. ეს კლდე თბილია, სასიამოვნოდ თბილი. ახლახან ასცილებია მზე. ვეკვრი, ვუყურდები სითბოს. ისევ მივცოცავ, გაფართხული. ისევ ვეკვრი. მკერდში, ორივე მხარეს, მტკივა ხუთკაპიკიანების ოდენებად. მტკივა ყრუდ, ფეთქვით. ისევ მივცოცავ. ავდივარ, ავალწევ ბალახებამდე. ჭვრ მხოლოდ მკლავები და თავი მაქვს ატანილი მათთან. ლოყით ვეფერები, ბალახებს ვლიტინებათ, თრთიან. მე ვიციანი. ამაქვს მდლა ტანიც, ფეხებიც, აქანკალებული, წითლად დაფორაჯებული წვრილი შიშვე-

კ. მარტისი ს.ხ. ს.გ. 3  
სახელწიგნო ობიექტი

ლი ფეხები. ვსუნთქავ, ვსუნთქავ. ფეხზე ადგომა არ მინდა. მივიწვევ, მივიჩოჩები ფესვმანდუქისკენ. დავყურებ. მიკვირს, რომ არ ინძრევა. მძაფრ სუნს კი მაფრქვევს. შემოვიკეცავ ფეხებს, ფრთხილად, ფრთხილად, შეიძლება — გადავვარდე. მუხლებზე დავიფარებ კაბის კალთას, შემოვავლობ ხელებს, თავსაც მუხლებზე ვდებ. ვართ ასე,

ერთმანეთის პირის-პირ, მე და ფესვმანდუქი, ყვითლად ბრიალა ძალიან უბრალო ყვავილი, ისიც გამწვანებული ბული თავისიანებისგან, მეც მეც წითელი მეთი წლის, ის ალბათ, სამიოდე თვის. არავის ვუშავებთ არაფერს.

რომ ავდგე, შეიძლება ჩვენი საავად-მყოფოს წითელი სახურავი გამოჩნდეს.

## ზოოპარკში

ზოოპარკში მივდივართ. ორი პატარა ბიჭი, — ერთი ხუთი წლის, მეორე ოთხის, — და — მე. ბიჭებს ვახტრავთ თბილ ქულებს. თებერვლის ბოლოა, მზიანი დღე, მაგრამ მაინც ცივა. მოვახვევთ კაშნეებსაც, ყელი რომ არ გაუცივდეთ. ყველა დილით შევუკრავთ პალტოებს. ჩაბღუჯული მაქვს მათი პატარა ხელები მუჭებში, კიბეზე რომ არ გამექცნენ, არ დაგორდნენ. — მოიცათ! მოიცათ! ხელს არ ვუშვებ ეზოშიც; იქ, სახლის ჩრდილში, ძველი ყინულია და შეიძლება დაეცნენ. ხელს არ ვუშვებ არც ტროტუარზე, შეიძლება ქუჩაზე გადირბინონ, ან ერთმანეთს ხელი ჰკრან, ტროტუარიდან ძირს გადავადონ, იქ კი მანქანა მანქანას მოსდევს. კიდეე უფრო მაგრად მიჭირავს გადასასვლელზე. გადასასვლელზე ისინიც ფრთხილობენ, შემყრთალი ციკნებივით აცეცებენ თვალებს, მიბაკუნობენ ხან წინ, ხან უკან-უკან. ჩოჩქოლით ავდივართ ავტობუსში. იქაც არ ვუშვებ ხელებს, ავტობუსი აქეთ-იქით გვახეთქებს და არც პატარებს ინდობს. პატარებს თითქოს სულიც უგუბთ, იყურებიან მაღლა, დიდების თავებს მაღლა. შუა ხნის ძაძითმოსილი ნაღვლიანი ქალი დაუთმობს ადგილს. — ბრძანდებოდეთ! ბრძანდებოდეთ! ბიჭები კი უკვე სხდებიან, მაშინვე შებრუნდებიან ფანჯრისკენ. მუხლებზე დგანან, გაფარჩხუ-

ლი ხელებით მიპყრდნობიან მინას, დეფაციცებულნი იყურებიან გარეთ. მე ვდგები ისე, მათი ფეხსაცმელების მტვრიანმა ძირებმა მგზავრები არ დასვარონ. ხან და ხან ამომხედავენ, ნახავენ, რომ იქვე ვარ, გამიცინებენ და ისევ გარეთ იყურებიან. — ბაზარი! დიდი სახლი! სპორტის სასახლე! მიხარია — მათი მაყურებელი მგზავრების თვალები სიკეთეს გამოაშუქებენ. მაღლიერების ღიმილით მიმყავს კარისკენ. — აქ ჩავდივართ. — ვეუბნები მძღოლს. მძღოლი, მზადყოფნის ნიშნად, მაღლა ასწევს ხელს. ჩავედი. ისევ ხელებში ღონივრად ჩაფრენილს მიმყავს ზოოპარკის კარისკენ. ბილეთებს ავიღებ. ბიჭები შეშინებული თვალებით უყურებენ კონტროლიორ ქალს, ვიი თუ არ შეგვიშვას. შეგვიშვა. ბიჭები თავისუფლად ამოისუნთქებენ. აქ უკვე ხელებსაც ვუშვებ. გარბიან. — ტკაპ-ტკაპ-ტკაპ! — ასფალტზე.

ჩვენ გვეყავს ჩვენი საყვარელი ცხოველები და ფრინველები. ესენი არიან: სელაპები, დათვები, თავდალუნული, დარცხენილი ტურა, მელიები — შინაურულად რომ გრძნობენ თავს გალიაში და ძველი ნაცნობებივით შემოგვეყურებენ თვალებში. კიდეე — ჰოტი, გაშტერებული, დიდთვალებგაჩერებული, ყურებდაცქვეტილი ჰოტი. ბიჭებიც აპყეტენ თვალებს, საფეთქლებს, ზე-

მთ ვწვევიან თითებს და იქ ატოკებენ ყურებივით. ჭოტს თითქოს უკვირს, თანაც არ უკვირს, ზის და ისევ თვალბდაუხამხამებლად აკვირდება პატარებს. კიდევ გვყავს მთის არწივი, სვაგზე გაცილებით პატარა, მაგრამ ერთი დატევივით ორად რომ გაპგლეჯს სვაგს. კიდევ — ცალ ფეხზე მდგარი, მუდამ მთვლემარე ყანჩა. მაგრამ გვყავს ყველაზე, ყველაზე საყვარელი ცხოველებიც. ისინი ცხოვრობენ ზემოთ, ხრიოკზე, განცალკევებით, ბეტონის კედლებით შემოზღუდულ სადგომში. იმ სადგომს რკინის მანებიანი მძიმე კარი აქვს. ჩვენი ყველაზე საყვარელი ცხოველები სულ იმ კართან დგანან, შავები, მიწასთან ყბებშიახლოებულები: მამა კამეჩი (ასე ვეძახით ჩვენ), დედა კამეჩი და ზაქი. სხვა დამთვალეიერებლები იშვიათად თუ მოდიან მათთან. ან მოდიან და მაშინვე უკან ბრუნდებიან, — „კამეჩები იციან“.

ჩვენ სწრაფად ჩამოვუვლით სხვა ცხოველებს. მერე ბიჭები გაიქცევიან: ფათაფუთით, ერთმანეთის გასწრებით აივლიან აღმართს, მიცვივდებიან კამეჩებთან, მივალ მეც, გავჩერდებით, ღრმად ვსუნთქავთ და ვუღიმიით. — როგორა ხართ? — კამეჩები ხმას არ იღებენ, შავად დგანან და გვიყურებენ. — კარგად ხართ? — კამეჩები ისევ არ იღებენ ხმას, არც ინძრევიან, გვიყურებენ. ჩვენ იქვე, ნარჩენების საყარზე, ვაგროვებთ

სუფთა თივას, რკინის მანებს შორის ვუწვდით ჩვენ-ჩვენს ბლუჯებს. კამეჩები გვართმევენ, დიდი, პრიალ, ვერცხლური ჩებით გველამუნებიან ხელეზვებში, რავებენ ყბებს, ამოძრავებენ ყურებსაც. გაგვითავდება თივა. შევყურებთ პატიების მთხოვნელი ღიმილით, ისინიც გვიყურებენ, გამწკრივებულნი — მამა კამეჩი, დედა კამეჩი და ზაქი. მწუხარება არ არის, რა გამოიმეტყველებითაც ისინი გვიყურებენ, — ბრჭყვილა ცრემლებით აქვთ სავსე თვალები. სიხარულია? არც ეგ. მაშ რაა?

უცებ ჩვენში ყველაზე პატარა იძახის:

— კამეჩებსაც ვუყვარვართ! კამეჩებსაც ვუყვარვართ!

მე ჩავიხრები, ბიჭებს მხრებზე შემოვხვევ ხელებს, ვართ ასე, აქვთ ჩვენ, იქით კამეჩები, შავად დამდგარნი, მიწასთან ყბებშიახლოებულები. მე ვამბობ: რომ შეიძლებოდეს და ვინმე გადაგვიღებდეს სურათს, აი, ასე, ერთმანეთს მიჩერებულთ, ერთდროულად რომ ჩანდეს ჩვენი თვალბიც, კამეჩების თვალბიც... ეს იქნებოდა ტრაგიკულად განშორებულ და მერე კვლავ შეხვედრილ ოჯახის წევრთა ყველაზე დიდი სურათი ქვეყნიერებაზე!

ჩვენი პაპის-პაპანი მესაქონლე და პურის მომყვანი გლეხები ყოფილან კახეთში.

## მ მ ქ ი ა

გაჩნდა შუქია და მაშინვე დაიძახა ბებია ქალმა, — შეხედეთ, გოგოებო, რა თვალბები აქვსო. ათიოდე დღისა ისე იყურებოდა, თითქოს ყველას და ყველაფერს იმახსოვრებდა. სამი წლისა მსახიობობდა. ბოშა ქალივით გაეხვეოდა დიდედას ყვავილებიან შალში, მიმოდიოდა წელის რხევით და ხან აჩქა-

რებით აფახულებდა ხშირსა და გრძელ წამწამებს, ხან ქვეშ-ქვეშ იყურებოდა ეშმაკურად. ხან აელმებდა თვალბებს, ხან კი ისე აქყეტდა და აგიზგიზებდა, მაყურებლები ველარ უძლებდნენ ამის

რამაზ ინანიშვილი  
სამაგიდო რეჟისორი

მზერას და პირს აბრუნებდნენ, — კარგი, გოგო, ნუ შვრები ეგეთ რამეებსო! დიდი ხნის ჩანასუნთქს უცებ ამოისუნთქებდა, აკისკისდებოდა და, „კულისებისკენ“ წასული, ნამდვილი მსახიობით იქნევდა გამოსამშვიდობებლად ხელს.

სკოლაში რომ მიიყვანეს, მორცხვობა დაიწყო. იშვიათად, რომ თვალი ვინმესთვისღა გაესწორებინა. იდგა თუ მიდიოდა, ძირს იყურებოდა, ან არადა გვერდზე გაიხედავდა ფრთხილად. თუნდაც შემოეხედა, თვალის სიღრმეებით სადღაც თავისთვის იყო. თუ მაინც გაბედავდა და თვალს თვალში გაგვიყრიდა, ერთი დახამხამებით იმდენ კითხვას მოგაყრიდა, ბრძენიც რომ ყოფილიყავი დაიბნეოდი. ამიტომ იყო, რომ თავისებური რილით ექცეოდნენ დიდები.

ქაღალწვილობაში თითქოს მკერდმა ააწვევინა თავი. ნაღმისმქებნელის დაყურადებით ათვალაიერებდა ყველაფერს, მზის ათინათივით თბილად გაატარებდა მზერას ერთი მხრიდან მეორესკენ. გვეჩვენებოდა, რომ ის თუ რამეს დააქერდებოდა, გამადიდებელ შუშასავით ამოსწვავდა.

იმავე ხანებში თითქოს ღელვა დაუწყა ჰაეროვანმა ზღვამ, მალ-მალე ენაცვლებოდა თვალებში შუქი და ჩრდილი ერთმანეთს. გამოიკვესებოდა ხოლმე მრავალტოტი ელვაც. ბევრ ბიჭს წაუღია უმწეოდ ხელი მკერდისაკენ, წაბარბაცებულა ვითომდა დამეხილი. შუქიას მჭრქალად ელიმებოდა. გათხოვდა. თვალებში ჩამოეშვა ერთიანი, სადა, ნათელი და ალერსიანი ფარდა. მშვიდი კმაყოფილებით უჩერდებოდა მზერა. მისი სხეულიც კმაყოფილებას მიეცა. მშვიდი და მომზომველი, რბილი სიმტკიცით იდგა სივრცეში.

მერე ზღვამ ისევ დაიწყო ღელვა, თანაც გამძაფრებით. თითქოს აღარ იცოდა ვისთვის ან რისთვის უნდა შე-

ეხედა. ქმარმა, არამზადამ, ვილაც სცენის ბაირალში გაცვალა. დადიოდნენ ისა და ის სცენის ბაირალი ქალაქიდან ქალაქში და იცინოდნენ. შუქიას თვალები გაეყინა, ისევე — იმ ღელვისას. ეყოლა ვაჟი. ნელ-ნელა დადაბლდნენ და გადნენ ყინულადქცეული ტალღები. ახლა უკვე თითქოს სულ ალერსის ცრემლში უტივტივებდა ფიქრები. ასე გაგრძელდა მთელი ორი ათეული წელი. სამსახურში აღმერთებდნენ. შუქიასნაირი ტაქტით არავინ ლებულობდა და ისტუმრებდა მთხოვნელებს.

მერე ვაჟმა ცოლი მოიყვანა, ცოტახანს გამდნარი ოქროს შუქითაც კი უბრწყინავდა ალერსის ცრემლი შუქიას. მერე თანდათან დაკარგა ბრწყინვალეობა ამ ოქრომ. თითქოს მოჰპარეს თუ წაართვეს ყოველივე ძვირფასი, რასაც კი კეთილი გამოხსივება შეეძლო. თითქოს ერთი დახამხამებაღა და ჩამოსკდებოდა მღვრიე ღვარები.

მერე გამოეხატა ყველას და ყველაფრის მიმართ გულგრილობა. აღარ მალავდა აღარც შემეშენარ ყელს, აღარ აძლევდა ხელებს მიმზიდველ ფორმებს. დაძარღვეული ხელები ხშირად გაფარჩხული ეწყა მაგიდაზე. კი არ დაჰყურებდა, ისე. აღარავის არაფრის ამოკითხვა აღარ შეეძლო მისი თვალებიდან.

შვილი სად ყავდა? მშვიდად იჩეჩავდა მხრებს. ასწევდა თავს მაღლა, თვალელები თითქოს რაღაცას დააპირებდნენ, მაგრამ არაფერი! ერთხელ ერთმა მთვრალმა ქუჩაში იყვირა, — აშასაც მთლად გაუცივდა თვალელები, ახლა ნამდვილად დაინგრევა ქვეყანა! საღამოს შუქია სარკესთან მივიდა, იყურებოდა შიგ და ელიმებოდა. ელიმებოდა, ისევ შუქია რომ ერქვა და კიდევ იმაზე — ვითომ რაღაც ურთიერთობა რომ ჰქონდათ მის თვალებსა და ქვეყანას.



სიმინდს ვთოხნიდი. წყალი შემომაკლდა. თოხი დავაყუდე, მათარა ავიღე და წყაროზე წავედი.

წყარო ზემოთ იყო, სათიბების იქით. ბილიკს რომ მივუყვებოდი, კუს გადავეყარე, — ამ კუს შვილიშვილებს მივგვარი-მეთქი. ავიყვანე. ჭერ შეიმალა, მერე ფარჩხავდა და ასავსავებდა ფეხებს, მაგრამ ამოდ — ხელიდან ვერ მეშვებოდა. საკმაოდ მძიმეც იყო. — რად მინდა, რომ ასე ვატარო-მეთქი. სუფთა ადგილას ზურგზე დავაწვინე, — კუ ხომ თვითონ ვერ გადაბრუნდებოდა, — ჩამოვივლი და წავიყვანდი.

მივედი წყაროსთან. წყალი დავლიე, ხელ-პირი დავიბანე, გავგრილდი, მათარაც გავავსე და უკან წამოვედი. სადაც კუ დავტოვე, იმ ადგილას მერე კუს დავინახე, ზურგზე ამობრუნებულ კუსთან მისულიყო, ფეხებგაფარჩხული და კისერწაწვდილი უყურებდა. ერთი ვნა-


ხო რას იზამენ-მეთქი. გავჩერდი, ვუყურებ.

ზურგზე ამობრუნებული კუ ფეხებს და თავს ასავსავებს. მერე კუ მივიდა, თავი შეაწვდინა წინა ფეხის სახსარზე, დაიძაბა, შეატოტდა იმ ფეხზე. ზურგზე ამობრუნებულმა კუმ გადმოიწია, გადმოიწია ღონივრად, გადმობრუნდა, ერთი მიმოიხედა და გაჩქარებული გადავიდა ბალახიანში. მიჰყვა მერე კუც. მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, აღმა-აღმა, თან თითქოს აღელვებული მილაპარაკობდნენ, მიატოვებდნენ ბალახებს.

ისე მომეწონნენ, ღიმილითა და ხელის ცისკენ აწევით დავემშვიდობე.

— კეთილად გველოთ!

დღე იყო ნათელი, ნათელი, ივნისისა. კუნელის კენწეროზე მწყერჩიტა იჭდა და მალლიდან დაგვგალობდა ყველას.



გიორგი კეჭალაძე

## კარავი ღრუბლებზე

მოთხრობა

რას შფოთავ, ნენა, რა გაწუხებს? ღამე ძილისთვის გააჩინა ღმერთმა. რომ არ მეძინება, ნინუცა ქალო? სსუ... ხმა არ ამოიღო, შენ გძინავს. ან რატომაც არ უნდა გეძინოს? მე? ნოეს? მაწუხებს რამე? ნურას უკაც-რავად. ერთს გავაბოლებ ახლა და მერე, ვინ იცის, იქნება სულ დავანებო თავი. სკამის საზურგეზე გადაკიდებული პიჯაკის ჯიბეში სიგარეტის კოლოფი და ასანთი მოძებნა. ერთი ცალი ამოიღო, საწოლზე წამოჯდა, ასანთი გაჰკრა. პეტრე აწრიალდა, ალუ-ლულულდა. არ ეწევა ჯერ, უშლის ნინუცა, დედის დამჯერე ბიჭია, ვერც სუნს იტანს. რაო, რაო? რა თქვი, პეტრე, ძამა? „დიქლორდინეთოლტი...“ კაი, კაი, თუ ღმერთი გწამს, გარეთ მოვწევე. ფეხსაცმელები მოძებნა, ფეხაკრეფით გავიდა აივანზე. რა ამინდია! ნეტარებით გააბოლა. იანვარი კი არა, მაისი გეგონება კაცს. სავსე მთვარე შუა ეზოში ჰკიდია. მერე ვარსკვლავები? საღ იყო მაინც ამდენი. ნოემ საათზე დაიხედა — ორი სრულდებოდა. კი, კი, ნინუცა, ძილის დროა ნამდვილად, მარა ერთი ლევანა მომღერალსაც ჰკითხე? მე ლოგინში ვი-

წვე, მშვიდად ვიძინო და ლევანამ იმღეროს? მარტო ლევანამ? „ნახშირით დამწვარი...“ კაია, კაი. მიდი, გული არ გაიტეხო. დაცალე უკვე შენი ოცდართხი ჰიქა? ლევანა, შე ბედ-დამწვარო, იმღერე, იმღერე, გათენებამდე კაი ხანია ჯერ. რა მაგის პასუხია და, დათუა ხომ ჯანმრთელად გყავს? ჩემი კარის მეზობელი, შენი ტკბილი მამობილი?

ტკბილიო? კი ბატონო, როგორ არა. სულ თავლი გადმოდიოდა პირიდან. ამიტომაც იყო, მეზობლები სათოფეზე რომ არ ეკარებოდნენ. ეს კიდევ არაფერი, საკუთარ სიძესა და ქალიშვილსაც კი მოაძულა თავი. რა გასაკვირია, ნინუცასთანაც თუ მეტად გართულებული ურთიერთობა ექნებოდა. ისე, მუყაითი და მშრომელი კაცი იყო, რაც მართალია, მართალია. სოფელში ბევრს არ ექნებოდა ისე კარგად მოშენებული კარ-მიდამო, დათუას რომ ჰქონდა. რას არ ნახავდით მის ეზოში: ნაირნაირ ატამს, ვაშლს, მსხალს, ალუბალს, ქლიავს, ციტრუსებს ხომ ჰქონდა და ჰქონდა. სოფლის ონავარ ბიჭებს კბილები უკაწკაწებდათ მის ეზოსთან ჩავლისას, აუნდნ-

ელ ნატურად ჰქონდათ გადაქცეული დათუას ეზოში ატმის ან სამაისო ბლის ხეზე აძრომა, რადგან იმ საოცნებო ეზოს ფეხიზლად იცავდა ორ-ორი ავი ძაღლი და თვით მათზე უფრო ავი და დაუნდობელი, ჰინკრის „თაიგულებით“ შეიარაღებული დათუა ქუტიძე-ვინც ერთხელ მაინც იგემა იმ თაიგულების სუსხი, მეორედ დათუას ეზოსთან ფეხის მოდგმას ვედარ გაბედავდა. ნინუცას ბავშვებს არასდროს არ გაუბოდათ სხვისი ეზოებისკენ თვალი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სასახლეგრო ღობეს მათ ეზოებს შორის დათუა თავისი ძაღლებითურთ განსაკუთრებული სიფეხიზლით დარაჯობდა. დათუა კარგად ხედავდა, ნინუცას ბავშვებს მისი ძაღლები შეჩვეული რომ ჰყავდათ, რაც ამ მხრიდან საზღვრის დარღვევის საფრთხეს სავესებით რეალურს ხდიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველივე დამრღვევი სასტიკად, სანიმუშოდ დაესაჯა; რამდენჯერ ჩამალულა, ჩასაფრებულა დაფნის სქელ ბუჩქებში, საათობით მჯდარა ნესტიან მიწაზე მსხვერპლის მოლოდინში გარინდებული. რამდენჯერ განგებ ხმამალა დაუძახნია ცოლისთვის ან ქალიშვილისთვის, აქა და აქ მივიღივარ და საღამომდე არ მელოდოთო, მერე კი ჩუმად შემძვრალა თავის საფარში. ბოლოს გაჭრა ამ ხერხმა. საზღვრის პირველი დამრღვევი ნინუცას მხრიდან გივი აღმოჩნდა (პირველიც და უკანასკნელიც). ათიოდე წლის ბიჭს დათუამ ჰინკრით უწყალოდ დაუხუსხა ფეხები, მთელი ტანი, სახეც კი, მთელი სოფლის გასაგონად ავივლა და აჩხავლა. საღამოს ჩაის პლანტაციიდან დაბრუნებულ ნინუცას გივი ტანაქრელებული, სახედასიგებელი რომ დახვდა, კეტით მიუვარდა დათუას და მოუწაცვლა კიდევ ერთი ორჯერ ბეჭებზე. სწორედ მაშინ იყო, დათუამ რომ უთხრა გამწარებულ-გაცეცხლებულ ქვრივს, გოჭებოვით რომ დაყარე ამდენი ბაღნები, უპატრონოდ რომ მიუშვი, არ იცი, ქურდობას და მამაძაღ-

ლობას რომ ისწავლიანო? მამა გიტყონდა, შენსავით ერთ კაკალ გოგონს მიგაჩერდებოდლო, უყვირა ენაზე. ჩემი ერთი კაკალი გოგო თქვენს ციფტაში თივე ტურტლიან ბაღანას არ სჯობია. ცოცხალი ნუმც ვყოფილვარო, ყვიროდა დათუაც, ბეჭებზე ხელებს ისვამდა და ცდილობდა საიმედოდ მოფარებოდა ზედ სახლის წინ მდგარი ქართული ლიშონის გაბარჯლულ, ეკლიან ტოტებს, რადგან ქვრივი ისევ ისე კეტშემართული, მუქარით უახლოვდებოდა მეზობელს.

დათუა ამავობდა თავისი ქალიშვილით და საამაყოც იყო: ჰკვიანი, თავაზიანი, სათნო, ლამაზი, სოფლის თვალი იყო პირდაპირ. სკოლა ხუთებზე დაამთავრა, მერე უმაღლესში შევიდა და წითელი დიპლომით დაბრუნდა, მეზობელი სოფლის სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო. დათუა ფრთაშესხმული დადიოდა, არ სწყინდებოდა თავისი ქალიშვილის სიქველევებზე საუბარი. შემდეგ, გოგო რომ გაათხოვა და სიძე სახლში მოიყვანა, ერთბაშად დაანება თავი ქალიშვილის ქებას, სიტყვაძუნწი და ნაღვლიანი გახდა, სახლში ჩაიკეტა, არავისი დანახვა აღარ უნდოდა. ვერ შეეწყო დათუა სიძეს, ვერაფრით ვერ წაიყვანა თავისი კეუაზე და ბოლოს გააგდო კიდევ, ქალიშვილს კი კატეგორიული წინადადება წაუყენა, ან გაეყარე ქმარს, ან შენც მომცილდი და ახლოს არ გამეყარო, დაივიწყე მამა რომ გყავსო. დათუას საამაყო ქალიშვილმა მეუღლესთან გაყრას ისევ ხანში შესული მშობლების მიტოვება ამჯობინა. ამის შემდეგ დათუა იძულებული გახდა, მომღერალი ლევენა შემოეხიზნა. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა ლევანა ამ სოფელში. უჭირდა დათუას ლევანას ღამეული კონცერტების მოსმენა, მისთვის აუცილებელი ყოველდღიური ოთხ-ოთხი ლიტრა ღვინოც მოზრდილ ხარჯად დააწვა, მა-

გიორგი ავალაძე  
პარავნი ღრუბლებზე


გრამ რა ექნა, ოჯახში უამრავი საქმე იყო, რასაც თვითონ უკვე ვეღარ აღდიოდა. სახლიდან გაძევებულ სიძე-ქალიშვილთან შერიგებას ჭერჭერობით ესერჩია. ნინუცამ ნინის მოგებით რომ უთხრა, შე საცოდავო, ჩემსავით დაგეყარა ბაღნები, მომღერალ ლევანას ანაბარად არ დარჩებოდით, დათუამ მეზობელს ხაფანგში მომწყვდეული მტაცებელივით ავად შეუბღვირა, ჩემი საქმე მე ვიციო, ჩაიბურღლუნა და გაეცალა. ქვრივს წამით შეეცოდა კიდევ მეზობელი, თუმცა, მტკიცედ სჯაროდა, რომ დათუა არავის შებრალებას არ იმსახურებდა და რაც კირი სჭირდა, ყველაფრის ღირსი იყო.

მთვარე შუა ეზოში იდგა და დილა მდე არც არსად აპირებდა წასვლას. დილა მდე არც ლევანას შეეპარებოდა ხმაში ბზარი. მთელი ღამე კაცი სიმღერის გუნებაზე რომ იქნები, რა გაგიჭირდება ცხოვრებაში? წაგაქცევს რამე? მუშაობს კაცი, ჭამს, სვამს და მღერის. უნდა მეტი რამე? შენ მოდექი და იმტკრიე თავი: ცოლი, შვილები, სახლი, კარი, მტერი, მოყვარე, საკმეელი, სასმელი, ავეჯი, მანქანა... იტყვი უარს რომელიმეზე? ჯავვის რგოლებია — არც ერთი არ ამოვარდება. ცოლით კი იწყება ყველაფერი. ცოლი პირველი რგოლია. შეირთავ და მერე ათრიო უნდა მთელი ჯაჭვი. ლევანა კი არის თავისთვის მარტო, ჭამს, სვამს და მღერის. სად ბრძანდება ახლა ჩემი პირველი ცოლი? სიმამრთან. შვილებიანად. სანამ ახალი სახლის მშენებლობას არ დაიწყებ, არ გამეყარო. იპოვა, როგორც იქნა, ყველაზე ნაღდი, ყველაზე მძლავრმოქმედი საშუალება. დაწყებით კი დაიწყებს, მაგრამ მერე? დაწყება კმარა? თუმცა, კაცმა რომ თქვას, ქალი არც არაფერს ითხოვს მეტს. შენ ოღონდ დაიწყე. საძირკველი ჩაყარე და მერე რა იქნება, ნუ კითხულობო. ამ თქვენს სახლში მეტს ვეღარ გავძლებო, აქამდე რომ გავძელი, მადლობა მეკუთვნისო. რაც შენ გამოგყევი ცოლად, ზამთრობით

სურდო ვერ მოვირჩინეო. ჩემს თავს არ ვჩივი, ბავშვები დამისწვლდნენო, ერთი არაა მორჩენილი და მეორე ჩაწვებო... სახლი კი არა, კარავია, ძველი, კალთებშემოძენძილი, უბერავს ქარი და აფრიალებს ყოველი მხრიდან. შიგ კი უდარდელი ადამიანები ცხოვრობენ. უდარდელი? უდარდელი ცოტაა. თავ-ქარია-ნო... სსუ, ქალო, არ გაიგონოს ნინუცამ. შენ გგონია, პირში ვერ ვეტყვი? უთხრა კიდევ ცოტა კი მიკიბ-მოკიბა, მაგრამ სათქმელი მაინც თქვა. ნინუცას თვალბში ჭერ ელვამ გაკვესა, მერე ცრემლები აციმციმდა. „მე, ქვრივ-ოხერმა ამ სახლში ხუთი შვილი გავზარდე, ხუთივე ერთმანეთზე უკეთესი“. კი, მამა უტყონდათ, გაიფიქრა რძალმა. „სხვასთან მე რა მესაქმება. შეიძლება მართლა ასეთი კარგები არიან. იყვნენ რა, რა მენაღვლება, მარა ჩემი ქმარი დიდი ვერაფერი შვილია“. „რაო? ვერაფერი შვილიაო? ნოე? ამას ნოეზე ამბობენ?“ ასეთი რამ პირველად გაიგონა ნინუცამ თავის სიცოცხლეში. გულზე ცეცხლი შემოენთო. თუმცა მაშინვე მოთოკა მრისხანება. ნინუცა ვის რას შეარჩენს. მაგრამ მარინე რძალია მაინც. წყნარად დაუმატა: „ეჰ, სადაა ქვეყანაზე სამართალი. ზოგა ვინმე არც კია მავანის ღირსი, მარა მიხვდება ამას თავის სიცოცხლეში? ვერ მიხვდება, ვერა! სწორედ ესაა უბედურება“.

ლევანა კი მღერის. მაინც რა ხმა აქვს ამ დალოცვილს. „გულამოსკენილი ვტიროდიი...“ მიდი, მიდი, ლევანა ბედნიერო, იტირე. ჩემს მაგივრად თორემ შენ სატირალი რა გაქვს.

ამ ორიოდვე წლის წინ ნოესაც ეხმარებოდა ლევანა. საღორე აუშენა. ქვის. კაპიტალური. გივი ახალწასული იყო ჯარში. სწორედ გივის ფოტოა ბორატორიაში დაბინავდა ლევანა. თვითონ ისურვა იქ დაბინავება, ცალკე ვიქნები, ჩემთვის, არ შეგაწუხებთო და ვერ უთხრეს უარი (ლევანას წესად ჰქონდა, სადაც მუშაობდა, ბინ-



აც აუცილებლად იქ უნდა დაედო. ამ წესს არასდროს არ არღვევდა). მშენებლობას მალე მორჩა, მაგრამ ბინა არ ეთმობოდა, არ უნდოდა დათუა ქუტიქისთან დაბრუნება, ნაწყენი იყო მასზე, წყალნარევი ღვინო შემომპაზარათ. ჰოდა, ცხოვრობდა ლევანა ერთხანს თოიძეებთან, გვიის ფოტოლაბორატორიაში, სანამ ნინუცას მისი ღამეული, ოცდაოთხჰქიანი, უსაშველო ქეიფი და მერე ომახიანი, მთელი სოფლის გასაგონი სიმღერა ყელში არ ამოუვიდა და კინწისკერით არ გააგდო.

გავიდა ორი წელი, ჩამოვიდა გივი ჯარიდან, შეაღო თავისი ლაბორატორიის კარი, წამით ყნოსვა დაძაბა და იყვირა: ლევანას სუნი მცემსო. ნოე, დიმიტრი, პეტრე და ციციო, კვალდაკვალ რომ დასდევდნენ ეს-ესაა ჯარიდან ჩამოსულ ძმას, იქვე დაცვივდნენ ნარზე, სიცილით დაოსებულები. იმ ნარზე, ჯარში წასვლამდე გივი იჯდა ხოლმე ხსნარში ჩადებულ ფოტოქაღალდს მიშტერებული (წითელ სინათლეზე), ხან წამოწებებოდა კიდეც, როცა ხსნარი ცოტათი მოძველდებოდა და ძალიან ნელა ამქდავებდა. იმ ნარზე იწვა ბელდამწვარი ლევანაც, მაგრამ მას შემდეგ ხომ მთელი ორი წელი გავიდა, მას შემდეგ ნინუცამ იქაურობა ოცჯერ მაინც გამოგავა, გამოფხიკა, გამოწმინდა და გამორეცხა. თითქმის ყოველდღე აღებდა კარებსა და სარკმელს, ანიავებდა. „რა, ნენა, რისი სუნი გცემსო?“ გული შეუქანდა ნინუცას. „მომღერალ ლევანას სუნი მცემს, ნინუცა“. „კაი, ნენა, რა უნდა აქანა ლევანას სუნს“. ლევანას მართლაც ასდიოდა რაღაც თავისებური სუნი, ალბათ იმიტომ, წყალს რომ არ წყალობდა, სითხეთაგან მხოლოდ ღვინოსა და არაყს სცნობდა და საბანაოდ ღვინოს ვინ მისცემდა, სასმელად ძლივს უთავებდნენ. „საღორე ვინ ავიშენა, ნინუცა? ლევანას ნახელავს ჰგავს“. ნოე აფართხალდა და ნარიდან გადმოვიარდა. სასწრაფოდ წა-

მოაყენეს და გარეთ, სუფთა ჰაერზე გაიყვანეს. იმ დღესვე გივიმ, ჯარიდან ჯარისკაცური ჩემოდანი რომ მივახსენებდი, დნეპროპეტროვსკში ნაყიდი ახალთახალი „ზენიტი“ პეტრეს აჩუქა, უფეშქეშა ლაბორატორიაც თავისი გამადიდებლებით, ჯამებითა და ყველაფრით, რაც შიგ ჰქონდა დატოვებული. თუმცა პეტრეს ფოტოხელოვნება ჯერ მაინცდამაინც არ იზიდავდა. საჩუქრები, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით, კმაყოფილებითა და მადლიერებით ჩაიბარა. ვანსაკუთრებით „ზენიტმა“ აღაფრთოვანა. პეტრემ ძალიან კარგად იცოდა ყოველივე იმის ფასი, რაც ძმამ აჩუქა, მალე მოიცილიდა ფოტოხელოვნებისათვის, ჯერჯერობით კი ქიმიკ-ბიოლოგიასთან ჰქონდა ანგარიში გასასწორებელი. საშუალო სკოლა წელს დაამთავრა და სამედიცინოს უმისზნებდა. გივიმ იცოდა, პეტრე ბავშვობიდან ექიმობაზე რომ ოცნებობდა, მაგრამ რატომღაც არ ეგონა, თუ სკოლის დამთავრების შემდეგაც, ამ ჰკუაზე დახვდებოდა უმცროსი ძმა. მაინც მოუწონა განზრახვა, მხარზე ხელი დაჰკრა: „ვაჟკაცსა გული რკინისა...“

ნიავემ დაუბერა, ღობის გასწვრივ, მთელი ეზოს სიგრძეზე ჩამწკრივებული მარადმწვანე ყვითელყვავილა აკაციები ააშრილა. ნოეს გააფრქოლა. იანვარია მაინც... ოთახში ფეხაკრფვით შევიდა, ლოჯინში ჩაწვა. გვიის ისევ ისე ღრმად, ჯარისკაცურად ეძინა, გაუნძრევლად გაშოტილიყო საწოლზე, პეტრე კი წრიალებდა, შფოთავდა, ლულულულებდა: „დიქლორდიფენოლტრი...“



ახლა კი, როგორც ვატყობ, დაადგა საშველი, ობლის კვერიც ცხვებო, გაივლო გულში ნიაემ. სეფერთელაძე რომ ადგა და ბუფეტისკენ გასწია, გი-

გიორგი კახაიძემ  
პარავი ღრუბლებში




ვის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და თვალი ჩაუკრა. გივი, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა. რას მიხვდებოდა, ჯარიდან ახალჩამოსული იყო, ქეიფობდა, მზიარულად ატარებდა ღროს, რა აწუხებდა, ფეხებზე ეკიდა ათი და ორი შაური. ნოეს დააკვირდა, ეს რა თვალების პაჭუნი აუტყდაო. მერე დაასკვნა, ალბათ ღვინო მოეკიდაო. მეორედაც რომ ჩაუკრა თვალი ნოემ, წამით ჩაფიქრდა, სივარეტს მოუკიდა, ტვინს ძალა დაატანა, მაინც ვერაფერი გაიგო. სანამ შეფი ჩათქვირებულ ორმოციოდე წლის მებუფეტესთან საექვოდ ფართიფურთობდა, დრო იშოვა, ძმას მიუჩოჩდა: „რა გინდა, რას ერჩი... კაი ბიძა ყოფილა შენი ბენიამინი, ფულს ხარჯავს და არ იბღინძევა. მაგისთანა უფროსი სანთლითაა საძებარი ახლა“. „შენ გგონია, სულ ასეთია? იბღინძევა კი არა, თვე ისე გავა, გამარჯობას არ გაღირსებს, წესიერად არც კი შემოგხედავს“. „წუწკი რომ არაა, ცოტას ნიშნავს?“ „წუწკი არააო?! კაპიკს გაავდებინებ ხელიდან?“ „აბა ახლა რა ბუზი შეუჯდა მაგ უპატრონოს“. „საქმე ეგ არის, რომ შეუჯდა...“ „თქვი ბარემ, ნუ ამომხადე სული“. „იფიქრე, აბა რისთვის გაქვს თავი“.

გივიმ ბუფეტისკენ გაიხვდა. პირმშვენიერი მებუფეტე ვაცხარებით ეკამათებოდა დამლაგებელს, ბატონ ბენიამინს კი სამი ბოთლი შამპანური ჩაეხუტებინა და სახეაქარხლებული ბარბაციით მოდიოდა. „ჩვენ მოგიტანდით, სარდიონოვიჩ“ — გამოენთო არტისტული აღნაგობის, შავქოჩორულვაშიანი ჭაბუკი. „არც მე მიჭირს ჯერ, ყმაწვილო, ამდენი“. „თქვენ ღმერთმა ნუ გაგიჭირვოთ, მულამ ჯანზე და ქეიფის გუნებაზე გამყოფოთ მამაზუციერმა“. „ბატონო ბენიამინ“, — მიმართა გივიმ, როცა სეფერთელაძე ახლოს მოვიდა და შამპანურიანი ბოთლები მაგიდაზე დააწყო, — „თქვენ მართლაც...“ „რამსიგრძე სახელს მძებნი, ბიძია, შეამოკლე ცოტა, მოვეკდი კა-

ცი“. „ბატონო ბენო...“ *გაყრუებული* ტონი... სადაური ბატონი *გაყრუებული* მე შენი, გამაგებინე ერთი“. „ბენო ბიძია, — ამასობაში გივის დაავიწყდა რის თქმას აპირებდა. — ოჰ, რა კაცი ხართ თქვენ, ბენო ბიძია!“ მართლაც და, რითაა ახლა ცული ეს კაცი? უნაკლო არ იქნება, მაგრამ ცოტაოდენი ნაკლი ვის არა აქვს ბოლოს და ბოლოს? „ძალიან მომეწონე შენ მე დღეს, ბიძია, კაი ახალგაზრდა ჩანხარ... არ ჰგავხარ ზოგიერთ გზააცდენილს, რომ არაფრად არგია ოჯახს, ქვეყანას, ძმას და მოკეთეს“. „აჰ, რას ბრძანებთ, ასეთი ქება ნამდვილად არ დამიმსახურებია“. ახალგაზრდა კაცი ხარო, უთხრა ბენო ბიძიამ გივის, ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩე, სწავლაზე უნდა იფიქროო. ჩვენც შეძლებისდაგვარად ხელს შეგვიწყობთო. მე არა და, ჩვენი უმცროსი ძმა, პეტრე კი ძალიან მონდომებულიაო, გული გადაუშალა გივიმ, და იმას რომ წაუყარავდეთ ცოტა ხელს, მე როგორმე უსწავლეულადაც გავძლებო. ოთხი ძმიდან ორი, ანუ, მე და ნოე რომ მეცნიერების გზას ავცდეთ, ამით ქვეყანა არ დაიქცევაო. „არა. ეგ არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში. კაცი სულ წინ და წინ უნდა მიიწევედეს“. „წინ, ბუხრისაკენ!“ იყვირა უცებ ნოემ, ბოთლს დასწვდა და საცობი ჭერს სტყორცნა. „დღეს ბედნიერი კაცი ვარ. რა მეღირსა ეს, ვინ დამიჯერებს, რომ ხაზეინის ხარჯზე ვქეიფობ... ხომ არ გადაგიფიქრებია, სარდიონოვიჩ? არ ვარ მე დღეს გადამხდელი, იცოდე“, „ელაპარაკე ახლა ამ უზრდელს, — მიუბრუნდა გივის სეფერთელაძე. — ეცი ახლა ამისთანა კაცს პატივი“. „მიხარია, ბენო ბატონო, ამისთანა პატრონი რომ მყავხარ. რა გამიჭირდება შენს ხელში“. „კი უნდა გიხაროდეს, კი“.

გივი წამით ჩაფიქრდა. რაშია საქმე? მაინც რა ბუზი შეუჯდა ბენო ბიძიას? რით მოეწონა ნაჯარისკაცარი? ყოჩაღ, ბიძია, ჯარში დრო უქმად არ დაგიკარგავს, შოფრობა გისწავლიაო. იქნება სულაც მძლოლად გუნდივარ?



შესაძლებელია. ჭერ ხაზინი — სამსახურში, მერე ბავშვები — სკოლაში, ცოლიც მუშაობს ალბათ სადმე, ისიც ხომ იქნება მისაყვან-მოსაყვანი. ბავშვები სკოლიდან-მუსიკაზე, ამას მოჰყვება უცხო ენა, ცეკვა, ქაღარაკი, ბაზარი და სხვა და სხვა... ჰოპ.. გვეყოფა. მე ამაყი ვარ, ბენო ბიძია. მძლოლად ვერ დაგიდგები, ეს ჩემი საქმე, ანუ მოწოდება არ გახლავთ. „ნოე, ბიჭო, სულს რომ დათავს მაგ შენი „ეგიპტო“ მანქანაა თუ მაკულატურა, ხე-ხე, ვერ გაიგებს კაცი, არ უნდა გამოცვალო აწი? არ ამოგივიდა ყელში მანქანის ქვეშ ფორთხვა?“ „მანქანა კი არა, შარვალი ვერ გამომიცვლია, ხაზინი, — მიუგო ნოემ, თქვენს ხელში“, — დაუმატა ხმადაბლა, ვითომ მარტო გივის გასაგონად, მაგრამ გააგონა სეფერთელაძესაც. „სხვის საყვედურს რომ კადრულობ, ყმაწვილო, თვითონ უნდა გებას თავი კისერზე“. „თავი რომ მებას, რა მიჭირს მაშინ“. „ნუ ისაწყვლებ თავს... ამდენს რას ყოყმანობ, მიდი, გამოიყვან „ოცდაოთხი“. დედაშენს უარს ვინ ეტყვის... ურიგოდ მოგცემენ“. „ხუმრობ, ხაზინი? მთლად რომ გამყიდო ჩემი ცოლშვილით, მაგ ფულს თავს ვერ მოვუყრი“. „ფულზეა, ბიჭო, საქმე? სანამდე უნდა იყო ასე შეუგნებელი. რას სწავლობდი შენ სკოლაში“. „აბა რაზეა?“ „რაზეა და, სიტყვაზე და კაცობაზე. სახლი ასაშენებელი გაქვს, ოჯახი მოსაწყობი. ახლა ყოყმანის დროა?“ „შტერია ნეტა ეს უბედური, თუ თავს ისულელებსო, ფექრობდა სეფერთელაძე. თვალეშში გამომცდელად უმზერდა, ის კი მორცხვი ქალიშვილივით არიდებდა მზერას, ხელში ჭიქას აწვალებდა.

შინ გვიან, ნაშუალამევს ბრუნდებოდნენ. საქვსთან ნოე იჯდა. საშინელი ამინდი იყო. უკვე ჰგავდა ზამთარი ზამთარს. ქარბუქი ტრიალებდა, მოდიოდა კოკისპირული წვიმა, დროდადრო თოვლქყვასაც გამოურევდა, ხან სეტყვა ჩამოძვრილდებოდა. მანქანაში ლუშელი არ მუშაობდა და ოფლიანები, სა-

ხეპარბლებლები მალე აიტანა სიცივემ. მანქანას მაყუჩი ჩამოეცა და სადღაც, ღმუთილით მოდებოდა მიწა მოჰქონდა. „ახლა ინსპექცია!“ ინატრა გვიმ. „ასეთ ამინდში?“ „თევზის დაქერა თუ გინდა, ფეხიც უნდა დაისველო... მოდი, მე წავიყვან.“ „შენ რომ ჩამოგართვან მართვის უფლება, არ გეშინია?“ „თორემ თავადიშვილობას ჩამომართმევენ“. „არ სჯობია თავადიშვილობას?“ „მოდი, მოდი, გაცვალოთ ადგილები“. არაო, უთხრა ნოემ მართვის უფლება ახლა ჩემსაზე უფრო ძვირი ღირსო.

— ხომ არ გგონია, მაგ შენს ბეყერა ხაზინს შოფრად დავუდგები? ვერ მოგართვის. მე ამაყი ვარ, ჩემო ნოე.

— ვინ გეპატივება მერე შოფრად. ვის რაში სჭირდება შენისთან აფრაკი შოფერი...



ღმერთო, როდის უნდა ისწავლოს ქკუა. გასკდება თავი! სანამდე შეიძლება ასე უაზროდ იცხოვროს კაცმა? ოცდაათს ხომ გადააბიჯა, ცოლი ჰყავს, სამი შვილი... ორი-სამი ჭიქით ნაკლები რომ დაეღია, ყველაფერი კარგად იქნებოდა. მერე სიგარეტები? ნახა მუქი კუბო და ჩაწვა შიგ. მოიმინჯებდა, მანქანით ვარო და, მორჩა. ვინ რას დააძალებდა, ვინ იყო დამძალეხელი. ვინ ჩაასხამდა პირში. არა, ბატონო, ერთხელაც არ წამოსცდენია უარი. წინ, ბუხრისაკენ! დღეს ბედნიერი კაცი ვარ, შეფი მპატივებს! ეშველება ახლა რამე ამ უქკუო თავს? გასკდება და ის იქნება. ასანთი გაჰკრა, საათს დახედა. შვილია! მთელი საუკუნეა გათენებამდე. კიდეც კარგი, ერთ წაძინებას მაინც მოასწრებს (თუ დაეძინა) და თავიც მოურჩეს იქნება. ჭერ კი წყალი უნდა დალიოს... მარინე, წყალი! ეე, უკაცრავად. დაგიხატავენ ახლა მარინეს. ისევ

გიორგი ავალიანი  
აბრამი ღრუბლებზე

პეტრე თუ გვიშველის. პეტრე — გა-  
ჭირვების ტალკვესი, ნინუცას სიამა-  
ყე, მედიცინის ისა და ისა... „პეტრე!“  
„ჰოო“, „გძინავს, ძამა?“ „კი“. „კაი,  
იძინე, მარა გიკვდები, იცოდე. ერთ  
ტიქა წყალს რომ მომირბენინებდე, გა-  
ვწიო იქნება დილა მდე“.

— მაგისტვის გამაღვიძე? ამდგარი-  
ყავი თვითონ, — პეტრე ბუზღუნებს  
და ღებთ.

— ავღებთ, ძამა, მარა წავიქცევი,  
ნაღდად ვიცი და თავად შეგრცხვება  
მერე.

პეტრეს წყალი მოაქვს. ნოე ხარბად  
სვამს.

— გმადლობ, ძამა, ჩამიდგი სული  
და ეგ არის. აღარ მოვკვდები ახლა.  
პეტრე მიდის დასაწოლად, მაგრამ  
ახლა გივი აკვნესდება:

— არ დაწვე, ძამიკო, გაფიცებ ნი-  
ნუცას, ერთ ტიქას მეც დავლევ.

პეტრეს ვედროთი მოაქვს წყალი.

— ა, აგერ ვღვამ შუაზე. სვით რა-  
მდენიც გინდათ. არ გამაღვიძოთ მეტი!

— კი, ძამა, კი...

ახლა თუ არ დაეძინა, მთელი დღე  
ქუთაზე ვერ მოვა. ერთხელ გამოუცდია  
თუ ორჯერ. ახლა დაეძინებოდეს და,  
რას არ მისცემს... ათ საათამდე, თორ-  
მეტამდე შეუძლია მშვილად იძინოს.  
სასადილო პირველამდეც რომ არ გააღ-  
ოს, დიდი არაფერი დაშვდება. შემოდ-  
ის ვინმე თუ? მით უმეტეს, ამ ყიამეთ-  
ში. ერთბაშად თანამშრომლებმა არ მი-  
გასწორნ, მზარეულიც არ ჰყავს, რიგი-  
ანი საკმელი რომ გააკეთოს. თვითონ  
ნაა გამგეც, მზარეულიც, დამლაგებელ-  
იც, ოფიციალტიცა და მებუფეტეც.  
მთელი დღე ზის მარტო ამოდენა სასა-  
დილოში და ყვინთავს. ორი სამი გზა-  
აბნეული თუ შემოვა, ას-ას გრამს გა-  
დაპკრავენ, მწნილს დააყოლებენ და  
გავარდებიან. გეგმის შესრულებას კი  
სთხოვენ. თათბირებზე და კრებებზე  
ლანძღავენ, მოხსნით ემუქრებიან. გეგ-  
მას თუ ვერ შეასრულებ, გირჩევნია,  
სეფერთელამქს ახლოს არ გაეკარო.

„მიზეზები და თავის მართლებები არ  
დამიწყო შენ, ბიძია, აქანა, მე შენს  
სიზარმაცეს და უფხოობას დაბრალე  
ყველაფერი. რაფერ ასრულებენ გეგმ-  
ებს სანებლიძე, ლლონტი, აბაშიძე, წუ-  
წუნავა? აბა, ნახეთ, მიდით, მულამ გა-  
ჭედლილა სასადილო. ცხვირს ვერ შეყ-  
ოფ შიგ. ხომ არ გგონიათ, უკეთესი პი-  
რობები ჰქონდეთ. თანაბარ მდგომარე-  
ობაში ხართ ყველა. რაო? ქალაქშიო?  
აბაშიძეზე რალს იტყვიო? ტყეშია კა-  
ცი მთლად, მამალიც არ ყოვის ახლო-  
მახლო („მაგიტომაც, უფროსო“) არა,  
ბიძია, მიზეზები არ დაგეღვეათ თქვენ.  
გეგმა უნდა შემისრულოთ, კანონია მაი-  
როგორც გინდათ, რა საშუალებითაც  
გსურთ და გირჩევნიათ. მეტს არაფერს  
გთხოვთ მე თქვენ. თუ არ შეგიძლიათ,  
წერა-კითხვა ხომ იციო? დამიწერე გა-  
ნცხადება და შენ შენთვის, მე ჩემთვის.  
რაო? ესე იგი, მარტო ხარჩო, ხომ?  
ხარჩოც საქმეა. სანებლიძის ხარ-  
ჩოს საკმელად მეზობელ რაიონიდან  
ჩამოდიან, რომ იცოდე შენ. აგერაა სა-  
ნებლიძე და ჰკითხეთ. საკმელი გააკ-  
ეთო უნდა, აბა სასადილოში გამგის  
საყურებლად არავინ შემოდის. გაგექ-  
ცა? რატომ ლლონტს და წუწუნავას არ  
გაურბით მზარეულები?“

უჭირდა ნოეს უმზარეულოდ. ზაფ-  
ხულობით ცოლი ეხმარებოდა, მაგრამ  
მარინეს სხვა თათსი საქმე ჰქონდა და  
ვერ წვდებოდა ყველაფერი.

გარეთ ქარი ქშუტუნებდა, ხეებს  
აპრილებდა, თუნუქის სახურავს აწვ-  
ალებდა (სახლი ერთ მზარეზე თუნუქ-  
ით იყო დახურული, მეორეზე-კრამიტ-  
ით). დროდადრო სახურავზე ხრიგინ-  
ხრიგინით, გამაყრუებელი ხმაურით გა-  
დაივლიდა ხოშკაკალა. ნოეს შესცივ-  
და, უფრო მაგრად გაეხვია საბანში.  
უცებ ქარი ჩადგა, ყველაფერი მიწყნა-  
რდა. ნოე მიხვდა, გარეთ თოვდა. ესეც  
შენი პირველი თოვლი. ახლახან კი რა  
თბილი ამინდები იყო. იქნება ხვალ  
სულაც არ გააღოს სასადილო? ვაზ-  
ნებს დამუხტავს და იხვზე ან ტყის ქათ-  
ამზე სანადიროდ წავა. რამდენი ხანია,



თოფი არ აუღია ხელში. გაუგებს ვითომ ბატონი ბენო? გაუგოს მერე, დიდი ამბავი. „რა სმა შეგძლებიათ, ბატონო ბენო, ისე დამათვრეთ, საღამომდე სული ძლივს ჩამიდგა დედაჩემმა“. „თუ არ შეგიძლია, ბიძიკო, და დედაშენის საპატრონო თუ ხარ ამხელა კაცი, არ უნდა დალიო მაშინ“. „როგორ გავბედავდი, ხაზინ, თქვენს სუფრაზე, თქვენი მოტანილი ღვინო არ დამელია“. ეე, რა ენადირება, სკდება თავი. არ გაივლის ვითომ დილამდე? შარშანდღემა პირველმა თოვლმაც გაუღვიძა ნოეს ტკბილი ოცნებები, მოუწდა თოფით ხელში გასეირნება. ვაზნები მიჩხრიკ-მოჩხრიკა, თბილად ჩაიცვა და უცებ დაკა-დაკა ატყდა. რძალი და დედამთილი წაეკიდნენ ერთმანეთს, რამაც ნოეს ნადირობის ხალისი საბოლოოდ წაუხდინა. მშვენიერი დილა იყო, ღამაზად, ხვადრიელად ბარდნიდა. ნინუცას, ამ ხნის ქალს, ბავშვივით უხაროდა. თოვლზე ადამიანი ასე რომ აცუნდრატუნდება, იმის ოჯახს რა დახლი უნდა დაუდგეს, ან მის შვილებს რა ჭკუა უნდა მოჰკითხოო, ფიქრობდა მარინე, რომელსაც სურდო შეჰყროდა, სულს ძლივს ითქვამდა და ძაღლის გუნებაზე იყო. „ახლა კაი ხანს ითოვებს, თქვა ნინუცამ. — ხედავ, რა მონდომებით დაიწყაო?“ „ნეტა იმხელა თოვლი მაინც მოვიდოდეს, ამ ხუხულას დაანგრევდეს“. ოო, მაგრამ გაბრაზდა ნინუცა, მაგრადაც შეახურა გათავხედებული რძალი. მერე, საღამოს, ძმები ბუხართან რომ ისხდნენ და ვახშამს შეეკცეოდნენ, ხოლო გაბუტული რძალი თავის ოთახში იყო ჩაკეტილი ბავშვებთან ერთად, ნინუცა სამზარეულოში გადი-გამოდოდა და ჭერი ისევ დაუწყუნარებელი, თავისთვის ლაპარაკობდა: „არა, მაინც, რატომ ფიქრობს მაგ ქალბატონი, რომ ახალი სახლის აშენების წინააღმდეგი ვარ? ვერ გამიგია პირდაპირ. აიშენეთ, ბატონო. ერთი კი არა ოთხ-ოთხი აიშენეთ... მარა ამ ჩემს ხუხულას რას მინგრევთ, რომ არ ვიცი? მე აქ უნდა მოვკვდე. აქედან უნ-

და გამასვენოთ. ასე ვიბარებ და ერთი ნუ შეგისრულებიათ!.. მერეც ნუ დაშლით. იდგეს, რას გიშავებთ. ნუ მოიძულვით. აქ არ გაიზარდეთ? აქ დაეჯაკადით“. ნოე, დიმიტრი და პეტრე კვერს უკრავდნენ, აწყნარებდნენ, ეფერებოდნენ: ამ სახლს როგორ დავანგრევთ, ნინუცა. ხომ არ გაეჩედი ქალო. ეს ხომ ნამდვილი მუზეუმიოა. მარინეს ყველაფერი ესმოდა გვერდით ოთახში, ბოლმა ახრჩობდა, ტუჩებს იკვნეტდა, სიმწრის ცრემლებით ბალიშს ასველებდა. ოჰ, ეს სურდო, ეს სურდო, რა გახდა მაინც ასეთი მოუცილებელი. კი, მუზეუმიო, როგორ არა. შეუნახეთ შთამომავლობას. კილი არ გააკაროთ როგორმე. ექვიც არ ეპარებოდა, რომ ეს სახლი იყო მისი მტერი. მოჭადლოებული, მონუსხული, თილისმით შეკრული იყო აქაურობა, ვისაც აქ ფეხი მოუტეებოდა, ველარასოდეს გაეცლებოდა (ლოთი, მომღერალი ლევანაც კი კეტით ძლივს გადაადგო ეზოდან ნინუცამ, მარანში მოპარული ღვინით გაღეშული, ჭურში თავჩარბული რომ ნახა მძინარი. არ მიდიოდა, თითქოს დამაგნიტებულ მიწაზე დგასო), არავინ ჩქარობდა საკუთარი ბედის აშენებას, თითქოს ერთმანეთს ვერ ელევინაო. სხვებს კიდევ ეპატიებათ, დაქორწინდებიან და მერეც ეყოფათ საზრუნავი, მაგრამ ნოეს? ნოეს რაღა ემართება. არ უნდა ამ სახლიდან გამოსვლა, არა და არა. სამი ბავშვი ჰყავთ უკვე, ველარ ეტევიან. ეს კიდევ არაფერი, ოთახი ოთახს რომ ჰგავდეს. საბნიდან თავს ვერ გამოყოფ, ქარი წაგიღებს. სახლი კი არა, კარავია მართლა და იქ დგას ე, ღრუბლებზე, ეშმაკმა იცის, როდის წაიღებს და სად გადაკარგავს ქარიშხალი. „დაიწყე, დამაყენე საშველი... ერთი კედელი მაინც დამანახე, ჩემი საკუთარი სახლის ერთი კედელი. მეტი არაფერი მინდა...“

გარეთ წყნარად ბარდნიდა. თოვლ-

გიორგი კახალაძე  
პარავი ღრუბლებზე

ის თხელი ფენით დაიფარა მიწა, ჩაის ბუჩქები, მანდარინისა და ფორთოხლის ხეები. აქა-იქ ლაწანიც კი გაისმა — ყვითელი, მარადმწვანე აკაციების ტოტები ტყდებოდა სველი თოვლით დამძიმებული. ნელ-ნელა თენდებოდა. ოთახში ცივმა სინათლემ შემოჟონა. ნოემ გივის გადახედა, ნაჯარისკაცის მკვდარვით ეძინა მკრთალ სინათლეზე საწოლის გვერდით წყლიანი ვედროც გამოჩნდა. იქვე სკამზე ჭიქა იდო. ჭიქა აიღო, ვედროში ჩააყურყუმელავა და სულმოუთქმელად დაცალა. გააუჩოლა, შეციებული საბანში გაეხვია, კედლისკენ გადაბრუნდა, გათბა და ჩაეძინა კიდევ, რომ გამოეღვიძა, კარგად იყო გათენებული. გივის ისევ ღრმად, უშფოთველად ეძინა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. „ყოჩაღ, ნინუცა!“ ფანჯარაში გაიხედა. აღარ თოვდა. ეზოში ქათმები კრიახებდნენ, გოჭები ჭყვიტინებდნენ, ისმოდა ძაღლის ყეფა, რომელსაც წამდაუწყუმ უჯავრდებოდა ნინუცა, აქაურობას მოსცილდი, შეეჭერქებავ, ქათმებს და გოჭებს ნუ აწვალებო. ბევრი ვერაფერი მოუთოვიაო, კმაყოფილებით გაივლო გულში ნოემ. მას შემდეგ, რაც ეს დანჯღრეული, ნახათქუნებ ვედროსავით დაეყვილი და დაჰყვლებილი „ჟიგული“ იყიდა, თოვლი შესძულდა, რადგან მაშინ აღმართნი ამოსვლა უჭირდა. თავი კვლავ სტიკოდა, მაგრამ არც ისე შემაწუხებლად და იმედი ჰქონდა, რომ გაუვლიდა, სასაილოში „ბორჯომი“ და გუშინდელი ხაში ეგულებოდა. „ის მიშველის ახლა, თუ რამე მიშველის“. ჩაიცვა, ეზოში ჩავიდა. დიდი ვაი-ვაგლახით ჩაუდგა სული მოტორს. სასაილო აქვე, ორ ნაბიჯზე იყო. სხვა დროს (გივის ჩამოსვლამდე) ასეთ ამინდში მანქანას ეზოდან არ გადაიყვანდა. „რომ ვარგოდეს, კიდევ ჰო. გაუჩერდება სადმე შუა გზაზე და უყარე მერე კაკალი...“ დაღმართში დიმიტრის წამოეწია. გაუჩერა. დიმიტრი უარობდა. „ფეხით წავალ. არ წვიმს, არ თოვს. გავივლი“. აშკარა იყო, ფეხით სიარული ერჩია. „მესამე გაკვეთილი

მაქვს, არ მეჩქარება.“ ა? სჯობია ერთ-ომ? წადი მაშინ, წადი, იარე, ისიამოვნე, დატეხი ცხოვრებით. თავი არ გტკივა და კუჭი... და უცებ კარგად წამოუბერა, თოვლქუყავიც წამოვიდა. „რას იზამ? მაინც ფეხით აპირებ წასვლას?“ დიმიტრის გაცინა და სწრაფად შეძვრა მანქანაში. სასაილოსთან შეჩერდნენ. ნოემ ხაშუე შეიბატიყა ძმა. „ხელად გავაცხელებ“. „არ მშია, კარგად ვისაუზმე“. „წაიყვანე აბა, გათხოვებ. არ მჭირდება დღეს“. „შენ გგონია, გივი იქ ვერ მოაგნებს?“ „შეეზაროს იქნება ამ ყიამეთში იქ ამოსვლა.“ „არ შეეზარება. რა საქმე აქვს მეტი? გადასახვევთან მიმიყვანე. მერე ავტობუსში გადავჯდები“.

რომ მობრუნდა, გივი უკვე სასაილოს კართან ელოდა. „გამოგავდო სახლიდან ნინუცამ?“ „მიდი, მიდი, ხაში გააცხელებ“. გაშმაგებით წამოუშინა ხოშაკალამ, მერე კი მსხვილი ფანტელები წამოვიდა. ხაში მართლაც წამლივით იყო. ახლა ჩიტივით ვარო, თქვა გივიმ და ბუფეტს მიაშურა. „აქ სიგარეტს ვერ ვიშოვი?“ „კი, პირმის“. „ქლავ საყვარელ ძმას?“ ნოემ ჯიბიდან „კოსმოსის“ კოლონიდ ამოიღო და გივის გადაუგდო. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დღეიდან ერთი ცალიც აღარ მოეწია. „შეფის ნაჩუქარია“. „ახლა გასაღებიც... ქალაქში ჩავალ და ამოვალ“. „ხომ იცი, დაშლილია მანქანა“. „ვიცი, ვიცი. ბენზინი მეყოფა?“ „არა“. „მერე? უბენზინოდ რომ მიშვებ, არ გრცხვენია? მათხოვრად დავდგე გზაში? ფული... მალე ასწილად გადაგიხდი, მშენებლობაზე შენს გვერდით მიგული. ყოველგვარ სამუშაოზე. უმწიკვლოდ და უანგაროდ. იქამდე კი უნდა მარჩინო...“


გივი წავიდა. ნოე ფანჯარასთან იდგა გზა-შარას მოწყენილი გაჰყურებდა. რა უნდა აკეთოს აქ მთელი დღე? თეფშები ააღავა, სამზარეულოში შეიტანა, წყალი მოუშვა. იქნება გარეცხოს კიდევ? ანდა ვინ გაუჩრებავს სხვა? ევბ. იქნება მართლა აიღოს თოფი და

სანადიროდ გასწიოს? რა გამოვა მერე? არაფერი. სველი, მშვიერი, დაღლილი დაბრუნდება შინ. ლამაზად თოვდა. არც თავი სტკიოდა უკვე. ესეც ასე. თეფშები გარეცხა. ივარგებს კი ამ ყინულივით წყალში გარეცხილი? არ ივარგებს და ჩინ-მედლები არ ჩამომართვან. ერთი ცალი სიგარეტი ხომ არ გააბოლოს? რომ დიფიცა, აღარ მოვწევო? კართან ვილაცამ ფეხები ააბრაგუნა. გაიხედა. პეტრე იყო. „მოდი, პეტრე, მოდი!“ „პური არ გექონია შინ. ნინუცამ გამომგზავნა. გაქვს თუ მაღაზიაში წაფიდე?“ „კი მაქვს, მაგრამ ქვასავითაა“. „წავედი აბა“. „მოიცა, ბიჭო, ხაში მაქვს“. „მოდი, მოდი. ამოვიღე უკვე, მეც მშობა და მარტო დაჯდომა მეზარება“. „თუ ასეა, კაი...“

სახლში პური არ გექონიაო. ტყუილია. ნინუცა სახლში პურს არ გამოიწყვეტს? პეტრეს სახლიდან გამოგდება უნდოდა. მშვენიერი ამინდია. დიდებულად თოვს. ახლა სუფთა ჰაერზე გასეირნებას რა სჯობს. ეს კი ზის დიდიდან საღამომდე წიგნში ცხვირჩაყოფილი. დიქლორდინით... ოქროს მედალოსანი. სკოლის სიამაყე. ნინუცას სიამაყე. მედიცინის სიამაყე (მომავალი). კი, მოუტირე ხელები. შენ ვინ მივიშვებს იქ, შე უპაბ... შე საცოდავო. შენ არც ბენიამინ სეფერთელაძის ვაფი ხარ, არც სიძე. არც ის და არც ის... რას სწავლობს მაინც ამდენს. მთელი ათი წელი თავი არ აუღია წიგნიდან. რა ნახა იმ წიგნში ასეთი? იქნება გამოლაცხა უკვე და ველარ ხვდება? იქნება წრე შეიკრა უკვე, ბრუნავს სულ ტყუილად და არსაით აღარ მიდის? „მოეშვი, ბიჭო მაგას! — უაზროდ იყვირა ნოემ, — მო-ე-შვი!“ პეტრემ თავი ასწია, ძმას გაკვირვებულმა შეხედა თვალებში. „აა? რა თქვი? შევკამ ბარემ ამას, კაი ყოფილა მართლა“. ნოე წამოხტა, აქეთ-იქით დარბოდა, ყვიროდა: „ჰა-მე! ჰამე!.. მარა, მომისმინე თან. შე ოქროს მედალოსანო, ნინუცას სიამაყე! შე მამამ... ვირისთავო... იცი შენ, ვინ გაგზარდა? იცი, მამა რომ დაიღუპა,

რამდენი წლის იყავი?“ „სამის ვიყავი“, — ჩაუბრუნა პეტრემ და ხელები გახუთის ნაგლეჯზე შეიწმინდა. „გახსენებოდა ხომ? მტერი არაა, შენ არაფერიც არ გავიწყობოდა. მეჩქეტი კისერზე და მათსამდის, როცა მოგპრიალებოდა“. „კი მარა, სამი წლის?“ „რა გიკვირს. სამი წლის კი არა, ზოგი სამოცისა და... მე მაინც იმისთანა იღბალი მაქვს. ციცი-ნო ერთი წლის იყო, შენზე ოხერი და მუდრეგი — უარესს მიშვებოდა, უარესს. გივი რვა წლის იყო და, როგორც კი თვალს მოაცილებდი, ასანთს მოიპარავდა და რასაც კი ნახავდა მშრალსა და ხმელს, ყველაფერს ცეცხლს უქიდიდა. ორჯერ ზვინი და-გვიწვა. ოთხჯერ სახლს წვავდა. ე, დიმიტრის ეკითხებოდა პაწა ჭკუა, ცამეტის იყო... შენ გგონია, ნინუცას ეცალა თქვენთვის? ამდენი გიყისთვის? ნინუცა დიდიდან საღამომდე ჩაის კრეფდა. გათენდებოდა თუ არა, პლანტაციაში გარბოდა. ბრიგადირი იყო უკვე, გმირი, დეპუტატი...“ პეტრე ადგა: „გეწყინა ჩემგან რამე?“ „არა, ძამა, არა... დაჯექი... ვყვირი, ხომ? კაი, დანარჩენს ხმადაბლა ვიტყვი“. ნოე დაჯდა, ხმას დაუწია: „ჩემი გაზრდილი ხარ... ძმა კი არ ხარ მარტო... და შენი საქმე ნამეტანი მაწუხებს. შეეკლავ თავს და ვერ შეეკლავ შენ იქ ცხვირს. კაცი მყავს მე ერთ ადგილას. ხომ გეუბნებოდა ადრე. ჩემი კაცია, ნაღდი. ნათესავდაც გვერიგება და არ გაგყვიდის მთლად. ერთი ხუთიანი გყოფნის შენ და იმიტომ მოგიფიქრობს რე კიდევ. იწყინებოდა გამოხვალ... ავტონიყინებოდა და ავტონისპექტრობასაც გამოპკრა იქნება ხელი. ერთი ჩემი კაცი არ უნდა იდგეს ამ გზა-შარაზე, საცეროვით რომ მაქვს ტალონი?“ „ნოე, ძალიან გთხოვ, მაგაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებო“. „მკარი ხელი, ხომ?“ „კაი ახლა, ნუ გეწყინება, თუ ძმა ხარ. გაისად მე სტუდენტი ვიქნები. ეკვი

გიორგი ავაღვალაძე  
პარაზი ღრუბლებზე



არ შეგეპაროს“. „გამოლაყდები და გამოშტერდები მაგ წიგნების კითხვით“. „მატყობ რამეს თუ?“ „რომ გატყობ, ის მაწუხებს სწორედ“. „შენ რომ გამოშტერებული გგონივარ, მაშინ ვარ სწორედ ფორმაში, ჩემო ნოე“. ვილაყ აბრახუნდა კიბეზე. კარი გაიღო და ახლა ნინუცა გამოცხადდა. „მობრძანდი, ნინუცა, — შეეგება ნოე, — როგორც შენს ოჯახში... ხაშს არ მიირთმევ?“ „არ დამანახო... გასწი იქით. რას შერებით, იყინებით, ხომ? დაგედა, ნენა, ლუმელი. რომ არ დაიჭერებ კაციას. არც შენ გაცივდებოდი, არც სხვა. მაგიზაა, რომ არ გეკარება კაცი-შვილი.“ „ბენო სეფერთელაძემ მოგაგზავნა, ხომ?“ „რა შუაშია, ნენა, სეფერთელაძე. შენს საქმეს შენ უნდა მიხედო“. „თუ ვინმეს შესცივდება, ე, არაყი. ხედავ, რამდენი მაქვს? დალევს და გათბება იმწუთში“. ნინუცა დაჭდა. „ორი საქმე მაქვს ახლა მე, ნოე, შენთან. ცოლი რომ გაგექცა, ატყობ?“ „სად გაიქცევა. აქეთ შემომეხვეწება, მოიცა ცოტა“. „ღმერთმა ნუ ქნას, მართლა რომ გაგექცეს, მარა გავწვალეებს ასე... სად გაქვს შენ ის ფული, სახლისთვის რომ აგროვებ? სალაროში, ხომ? დღესვე წაიღე წიგნაკი და ჩააბარე მარინეს. შენ ხარ ამის ბატონ-ბატონოთქვა, უთხარი. როგორც კი გამოზაფხულდება და კარგი ამინდები დადგება, მშენებლობას ვიწყებთქვა“. „ვეუთხარი უკვე“. „ვიცი, რომ უთხარი, მარა მარტო თქმა არ კმარა. იცის იმან, რისთვისაც აკიანურებ მშენებლობის დაწყებას. შემოდგომამზეც შეგეძლო საძირკველის ჩაყრა. არ ჰქენი“. „შენ ფიქრობ, დედა, მარინე ისეთი შეუუგნებელია, რომ...“ „შენ ხარ შეუუგნებელი, ის კი არა.. მარინემ იცის, რომ პეტრე თავისი ცოდნით უნდა მოეწყოს უმაღლესში და მოეწყობა კიდევ... შენ ხარ გაფუჭებული (არ გეწყინოს, ნენა), სულ ვილაყ-ვილაყების მოჭრთამვაზე ფიქრობ. ისე თუ გაკეთდება რამე, არ გგონია“. ნოე მოიღუშა. ასე ხომ, ნინუცა. არ გეწყინოსო, მეუ-

ბნები და თან მიწასთან მასწორებ. ახლა ავღებები და „პრიმას“ მოვწვევ. ჯანდაბას ფიცი და მტკიცი. ადგან მუფეტიცენ გასწია, „პრიმა“ გასწია, მოვწვევ და. მოდი ახლა და გაუფრთხილდი ჯანმრთელობას. დიდი-დიდი თხუთმეტი წელი მომაკლდეს. ასეთი უმაღური ხალხის ხელში თხუთმეტი წელი გინდა იქით, გინდა აქეთ.

— ეს ერთი საქმე უკვე მოგვარდა. მეორე? — იკითხა ბოლოს ნოემ.

— შენ, ჩემო ნოე, კი გეშლება ხანდახან რალაც, მარა მაინც ყველაზე ჭკვიანი ხარ ჩემს შვილებში. უშენოდ ამ ობლებს მე რაფერ ამოვზრდიდი. მამაშენმაყ ხომ დაგიბარა, როცა კვდებოდა ის საწყალი, აბა შენ იცი, ოჯახს მიხედო. შენი იმედი მაქვსო. არც შემცდარა საცოდავი. კმარა, ნენა, მარტო შენ რომ ხარ ცოლშვილიანი? დიმიტრიმ დაავიანა უკვე. გივის დროც მოვიდა. სწავლაზე რომ ფიქრობდეს, კიდევ ჰო, მარა არ ისწავლის, ვატყობ მე. ჰოდა, დაოჯახდეს მაინც. არ აჯობებს აქეთ-იქით სირბილს? შვილებს გააჩენს და კაცი იქნება. დიმიტრიმ უმაღლესი რომ დაამთავრა ოთხი წელია, რალას უცდის? მიაძალე პაწა... დავიჭერებს, უფროსი ხარ.

— ესაა მეორე საქმე?

— კი, ნენა, ესაა... მეორეცაა და მთავარიც.

ნოემ მეორე სიგარეტი ამოიღო. ბოლთას სცემდა, დაძაბული ფიქრობდა რალაცას. დროდადრო გამომცდელად გადახედავდა ნინუცას.

— იცი შენ, დედა, მე „ვოლგა“ რომ მინდა?

ნინუცამ ყურებს არ დაუჭერა.


— რა გინდა, ნენა?

— „ვოლგა“. ახალთახალი. ოცდაოთხი...

ნინუცამ გაიცინა.

— მაგი ჩვენ როდის გვეღირსება, შვილო. სადაა მაგდენი ფული.

— გვეღირსება. დაწერე განცხადება და შედი რაიკომის მდივანთან. თუ გინდა, მე დაგიწერ, მარა არ გეშლება



შენ წერა-კითხვა, დეპუტატი ხარ ქალი.

ნინუცა ჩაფიქრდა, ნოეს თვლებში შეხედა.

— მაშინაც ხომ ვიცხარი, შვილო, მაგ სისულელეს თავი დანებე-მეთქი. რა დროს ახალ მანქანაზე ფიქრია. კოლ-შვილიანი კაცი ხარ, დასასახლებელი. ჩვენი სახლიც მოძველდა, ტყუილად კი არ იწუნებს მარინე, შესაკეთებელია. სახურავში წყალი ჩამოდის. სხვაც რამდენი საქმე გვაქვს. მაგ მანქანას, შენ რომ ფული გაქვს, კიდევ სჭირდება ორე იმდენი. ვისესხებო, რომ ამბობ, ვინ გასესხებს, კიდევ რომ გასესხონ, ქვეყნის სასაცილოდ გაიხდი თავს.


რამდენჯერმე ადრეც უსაუბრიაა ნოეს ნინუცასთან ამ თემაზე. ვერ იქნა და, ვერ დაიყოლია, ვერ დააწერინა განცხადება. ძალიან ეჯავრებოდა განცხადებების წერა და კაბინეტებში სიარული. ნოემ იცოდა, უფულობა არ იყო ნინუცას ჭიუტობის მთავარი მიზეზი. დღეს უნდა დასძლიოს მისი მედგარი წინააღმდეგობა, რადაც უნდა დაუჯდეს. უამისოდ ყველა გეგმა ჩაიშლება, ნოე ვერ აიშენებს ახალ სახლს, დიმიტრი და გივი მის დღეში ვერ დაქორწინდებიან, პეტრე ვერ გახდება სტუდენტი. შენი ერთი სიტყვაა, ნინუცა, მთელი ოჯახის ბედნიერების საწინდარი, შენი ერთი პატარა განცხადება. სიტყვამ მონათხა და, დიმიტრისთან შენ სხვა დანაშაულიც გაქვს. იურისტი კაცი ოთხი წელია მისწავლებლად ზღუზაობს. მერე ვინ — ნინუცას ვაჟი? შესულიყავი ერთი მდივანთან და ნაუხადი, თუ იმ დღესვე არ გამოჩნდებოდა ადგილი პროკურატურაში. ჰო, რას გაჩუმდი, ამოიღე ხმა, ვწერთ ამ საღამოსვე განცხადებას თუ არა? მივიღებთ ახალ „კოლგას“ და გაჩაღდება კიდევ ქორწილები. აბა ჩემი დანჯღრეული მანქანით რომ მივადგეთ კარზე საპატარძლოებს, კეტით გამოგვენთებიან, ვერ ხედავ, რა დრო დადგა? ვოლგაიანებს კი სამოყვროდ ვინ დაგვიწუ-

ნებს. „ამდენ ვალს რომ დაიდებ, გეყოფათ მერე ის მანქანა სახლსა და საკმელ-სასმელად. ჩასაცმელს დასახურავად?“ „კვიციან ქალს გეძახიან, ნინუცა, და მიკვირს, შენით რომ ვერ ხედავ. გგონია, მართლა „ვოლგით“ სეირნობა მომინდა? რა მევოლგება, თუ ქალი ხარ. მაგ მანქანაზე ჩემს შეფს უკაწაწებს კბილები — ბენიამინ სეფერთელაძეს“. „საკვირველია პირდაპირ. დაწეროს მერე განცხადება თვითონ, ვინცხა სეფერთელაძეა მაგი და წავიდეს სადაც უნდა“. — „წავიდეს, ხომ? რას მელაპარაკები. მივართმევენ იმ დღესვე. მაშინვე თბებებს გაუგზავნიან, გაიგეთ ერთი, ამდენი ფულის მოპარვა რანაირად მოახერხაო“. „რას მიედ-მოედები შენ, ნოე, ვერ მივხვდი მე, რა უნდა იმ შენს სეფერთელაძეს“. „რა ხარ, ვინც არ გიცნობს? ვერ მიხვდი, ვითომ? არ გინდა, რომ მიხვდე და იმიტომ. ჩემი ხაზინი ვერსად ვერ გამოჩნდება საკუთარი სახელით. ის შრომის გმირი და დეპუტატი კი არაა, ქურდია, ფული აქვს ბევრი. მანქანას გივი გაიფორმებს, მერე კი მინდობილობით ჩვენს საყვარელ სარდიონოვიჩს გადასცემს... ქურდსა და მამაძალს, ფულიანს. ჩვენ კი, სულ კოტა, თხუთმეტი ათას მანეთს ვიკებთ.

— არ გრცხვენია, ნოე?  
— როგორ არა. ცეცხლი მეკიდება პირდაპირ...

— ხუმრობ კიდევ? იცინი, ნოე?  
დმერთო დიდებულო, როდის მოვა ეს-ქალი კეუაზე. როდის გაიგებს, რომ ჩემი შეფისთვის ფულის წაგლეჯა (თუ ეს წაგლეჯაა) სამადლო საქმეა. იხრჩობა ფულეებში ის საცოდავი, არ იცის, რა უყოს, სად წაილოს, რაში დახარჯოს, სად გადამალოს. აღარ შეუძლია მეტი, მოკვდა კაცი. დამით აღარ სძინავს. ლამის სული ამოხადოს შიშმა და უძილობამ. სამი ბულდოგი ჰყავს ეზოში გაშვებული, მეოთხეს ეძებს ახლა.

გიორგი კაპალაძე  
კარაპი ღრუბლვაზი



თვითონვე ლამის გული გაუსკდეს, ეზოში ძაღლებს რომ ხედავს, არ შემეპოწონო. დიდი ამბავი, თუ თხუთმეტი ათასი გაიმეტა ჩვენთვის, პატიოსანი მშრომელებისათვის. თვითონ რომ არ გვეხვეწებოდეს, კიდევ ჰო. დიმიტრისა და გივის დაქორწინების დროაო, რომ გაიძახი, იცი შენ, რა ჯდება ახლა დაქორწინება? — ძვირფასი ბეჭდები და საათები, ჩასაცმელი, დასახურავი. მე რომ მარინე არ მომეტაცებინა, იმ ერთი გაცვეთილი, შენი ნაქონი ბეჭდით ვინმე ქალს გამომატანდა? ადგეს და დიმიტრიმ, გამომძიებელმა, იურისტმა, მასწავლებელმა ქალი მოიტაცოს? პეტრე წელს სტუდენტი რომ გახდება (თუ ღმერთმა უშველა), ასე ცარიელ-ტარიელს გაუშვებ ქალაქში? იცი, როგორ იცვამენ ახლა სტუდენტები? აგერ ციკინოც ამთავრებს სკოლას. აი, ეგ რომ ქალიშვილობას დაიწყებს მაშინ იკითხე...

ნოეს სიგარეტი ჩაუქრა. იქვე დაადლო იატაკზე, ახალი ამოიღო, ხელში კარგად მოსრისა, მოუკიდა. ცერად გადახედა ნინუცას. დიდებულია. ნინუცა ყოყმანობს. გამარჯვება მოახლოებულა! თვითონვე გაჰყო თავი ხაფანგში, დიმიტრისა და გივის ქორწინებაზე რომ წამოიწყო ლაპარაკი. აბა რა გეგონა! რძლები გინდა, შვილიშვილები გინდა, სახლები რომ ავიშენოთ, გინდა, ჩავიცვათ და დავიხუროთ, გინდა. კაბინეტებში სიარული არ გინდა. ამაყი ხარ. იყავი მერე ამაყი, ვინ გიშლის. რაც გეკუთვნის კანონით, იმის მოთხოვნა ვითომ დამამცირებელია? „ვიღაც სეფერთელაძე რომ გააჯიშობა ჩვენს მანქანაში, მთელი ქვეყანა არ მიგინგდება თადლითობას?“ მიხვდეს მერე, სხვა უარესს აკეთებს. სხვა სხვაა, ნინუცას არ ეკადრება ეს. თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი, გარეშე და შინაური ყველა იმას გაიძახის, ნინუცა კეთილშობილი, პატიოსანი, უმწიკვლო, უსპეტაკესი ადამიანიაო, ქვრივობაში ხუთი შვილი გამოზარდა, სულ ერთმანეთის უკეთესებითა და ამ ამბის მერე სად

გამოყოს თავი? სად გამოჩნდეს? არც მთლად მასეა საქმე, ნინუცა, რას ჰქვია სად გამოყო თავი და სად გამოჩნდეს. რა არის აქ, პატრონო, არაჩვეულებრივი და გაუგონარი. ბიძაა, გენაცვალე, ის სეფერთელაძე ჩვენი და, ვთხოვეთ მანქანა. კაცს კაცისთვის ჭერ მანქანა არ უთხოვებია? თავს არავინ მოიტყუებს? თვალს არ დახუჭავენ? ჰოდა, ნუ დახუჭავენ. თქვან, რაც უნდათ. ბოლოს და ბოლოს ნინუცაზე კი არა, ნოეზე იტყვიან, საქმოსანია, ფული გააკეთაო. მერე ნოეს გალანძღვა ნინუცას გალანძღვა არ იქნება? სწორედ შვილებითაა ნინუცა ამაყი და ბედნიერი. პატიოსანი შვილები ჰყავსო, რომ ამბობენ, ესაა მისი ყველაზე დიდი ჭილღო. სხვებზე არაფერს ვიტყვიო, იყვირა უცებ ნოემ, სხვებზე არაფერს ვიტყვი, იყვნენ ანგელოზები, მარა ჩემით ტყუილად იწონებ თავს. სამი წელია, ამ სასადილოს გამგე ვარ და დღე არ გასულა, ვინმე რომ არ მომეტყუებინოს, როგორც მომეპრიანება. ისე ვამახინჯებ ფასებს, ვიღობები... არ შემისრულებ თხოვნას? ჩემი ფეხით წავალ და ჩავჯდები ციხეში. ნუ გეშინია, კი მეყვოდა დანაშაული, მაშინ რით იამაყებ და მოიწონებ თავს, იმასაც ვნახავო. ამოიჩიე ახლა, რომელი გირჩევნიაო.

ყოჩაღ, ნოე! იერიშიც ასეთი უნდა. წინაღმდეგობა გატეხილია. ნინუცამ შუბლზე შემოიღო ცალი ხელი, ჩაფიქრდა, მეორეთი მაგიდაზე დარჩენილ პურის ნამცეცებს დაუწყო სრესა. აა? როგორ არის საქმე, ქალბატონო ნინუცა? გვაჯობებს ხომ? გმძლიეს? ავადრიალოთ თეთრი დროშები?

— კაი, ნენა, კაი... მივალ მდივანთან, მარა, ვკითხოთ ჭერ დიმიტრისაც. იქნება არ მოეწონოს შენი საქციელი.

ხავს ეკიდება!

— ახლა ეკითხები დიმიტრის? წელან მე რომ ვიყავი ყველაზე ჭკვიანი?

— აბა რაფერ შვიძლება ისე. წლო-

ვანია ისიც... მთლად ასე შენს ქუთაზე ვიაროთ ყველამ?

— ვკითხავ, ბატონო, დიმიტრისაც ვკითხავ, გვიისაც... პეტრეს და ციცი-ნოს. ჩემს ცოლ-შვილსაც შევეკითხები, სიღედრ-სიმაბრისაც...

— კი, ასე ქენი, შვილო. ყველას ჰკითხე. სირცხვილს და ხიფათს არ გადაეყარო.


განცხადება იმ საღამოსვე დაიწერა და მიტანილ იქნა იქ, სადაც საჭირო იყო. ნინუცას ყველგან, სადაც კი მივიდა, თავაზით, ფეხზე ადგომით შეხვდნენ. დიდი მოწიწებით ართმევდნენ ხელს, ჯანმრთელობის, ოჯახის, შვილების, შვილიშვილების ამბავს ეკითხებოდნენ. რაკი შენ ნავსი გატეხე და რალაც გვთხოვე, უარს როგორ გეტყვითო. იგულისხმე, რომ ახალი მანქანა ეზოში გიდგასო. ზეიმობდნენ ნოე და გივი (დიმიტრის და პეტრეს ამ საქმისთვის არ ეცალათ, ციციწო კი ჭერჯერობით ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა „ვოლგას“, „ჟიგულს“, „მოსკვიჩსა“ და „ზაპოროჟეცს“) ხედავ, ნინუცა, რა ხელად გაიჩარხა საქმე? დროზე რომ შეგეწუხებინა თავი, ახალი სახლის მასალასაც მოგცემდნენ და მოგიტანდნენ კიდეც. ახლა ვაცალოთ ცოტა და დავტრიალდეთ მერე მაგ საქმეზეც. გადამაქცევთ თქვენ მათხოვრად ამ ხნის ქალს. შენ ითხოვ იმას, რაც წესით და კანონით გეკუთვნის, მათხოვრობა და მოთხოვნა ერთი და იგივე არაა. ჩემთვის ერთია მაგი. როცა მიჭირდა, პატარები რომ მყავდით, მაშინ არ მირბენია რაიკომში და აღმასკომში განცხადებებით. მომესწარით ახლა, აწი აღარაფერი მიჭირს-მეთქი, ვფიქრობდი და... რა ამაცია ეს ქალი, ვის დაემსგავსა ნეტა. მე მგავს მე, სულ მე მგავს, თქვა გივიმ.

ეს მწამს, ეს სულ სხვა საქმეაო, თქვა ბენო სეფერთელაძემ, პირველად თავის სიცოცხლეში ნოეს ხელი ჩამო-

ართვა და უთხრა, ფული თუ გჭირდება რამეზე, არ მომერიდოო... ამ საქმეს ცოტა მიწოლა კი დასჭირდება, მაგრამ ჩემზე იყოსო. ახლა წინ ველარაფერი დაგვიდგებაო. ყოველივე ამან კეთილისმყოფელად იმოქმედა ნოეს შრომით წარმატებებზეც. ჩამორჩენილებიდან მან სასწრაფოდ მოწინავეთა რიგებში გადაინაცვლა. აქამდე გვემის შესრულება სულ უჭირდა და სხვაც ბევრი ხარვეზები ჰქონდა, ახლა კი საზოგადოებრივი კვების სისტემის ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად იქცა: გვემის გადაქარბებით ასრულებდა და ამის გარდა გამოირჩეოდა თავაზიანობითა და გულისხმიერებით მომხმარებელთა მიმართ, უნარიანობით, საქმის ერთგულებით, პატიოსნებით. „ჩვენ ყოველთვის გვყავდა და გვყავს მუშაკები, რომელთა გამოცდილება და მეთოდები ფართოდ უნდა დავენერგოთ, რომელთაც მხარი უნდა გავუწყოროთ. ეს საჭირო და აუცილებელია ჩვენი შემდგომი წარმატებების უზრუნველსაყოფად!“

ნოეს მოწინავე გამოცდილების განაზიარებლად თავი არავის შეუწუხებია, რადგან საზვეების მუშაკები არც ისე გულუბრყვილონი იყვნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ სად იყო „ძაღლის თავი დამარხული“. ცხადია, ბატონმა ბენომაც ძალიან კარგად იცოდა, რა ხალხთან ჰქონდა საქმე, მთავარი ის იყო, რომ, მისი დიდი ხნის ოცნება ხორც-შესხმის გზაზე იდგა. გზაზე კი არა, თითქმის ხორცშესხმული იყო უკვე. რა დაუდგებოდა წინ ნინუცა თოიძის განცხადებას, რომელსაც გზას უკაფავდა თვით ნინუცას უდიდესი ავტორიტეტი და საზვეების მძლავრი სისტემა ბენიამინ სეფერთელაძის მეთაურობით? რა თქმა უნდა, ნოეც კმაყოფილი იყო, იგი უკვე შეუდგა სამშენებლო მასალის შეგროვებას: მოზიდა ქვა, ხრეში, სილა, ბლოკები, საყალიბე ფიცარი, ქილიშები, საარმატურე რკინა, შიფერი.

ზიორგი კახალაძე  
აარავეი ღრუბლუაძე




სამოსახლო უკვე შერჩეული ჰქონდა. გამოიღარებდა თუ არა, საძირკველს ჩაყრიდა. მარინესთვის ყოველივე ეს საქმარისზე მეტიც იყო, იგი ბედნიერებისგან ფრთაშესხმული დაბრუნდა ქმრის სახლში სამივე ბავშვითურთ. მართო ნინუცა იყო დაღონებული და შეშინებული. წარბშეკრული, დაძაბული ღაღიოდა, ყოველ წუთს რაღაც უსიამოვნებას, საფრთხეს ელოდა, ცუდად ეძინა, ცუდ სიზმრებს ხედავდა, ცოტა წნევაშიც აუწვია, გულიც აუჩქარდა, რევმატიზმებმაც გაუხსენა... შენთვის ახლა წყალტუბო მისწრება იქნებაო, დაარწმუნეს შვილებმა, სასწრაფოდ უშოვეს საგზური და რამდენიმე კვირით სამკურნალოდ გაგზავნეს. თებერვლის შუა რიცხვები იყო. ვიკტორნალებ და საგაზაფხულო სამუშაოებსაც ჩამოვეუსწრებო, ფიქრობდა ნინუცა. რა იცოდა, ამ ერთ თვეში, მისი შინ არყოფნის დროს მის ოჯახს რა განსაიდევლი უღოდა, თორემ სახლიდან ფეხს როგორ გადგამდა.

ხუთი დღეც არ გასულა ნინუცას წასვლიდან, ნოემ „დრუბით“ შეიარაღებული ხის მჭრელები მოიყვანა. საქმე ის იყო, რომ თოიძეების საკარმიდამო ნაკვეთს მარადმწვანე, ყვითელი აკაციის ხეივანი ერტყა გარს. ეს ხეები ოჯახის მამას გაეშენებინა ამ ოციოდე წლის წინ. ეს უცნაური აკაციები საოცარ სასწრაფოდ იზრდებოდნენ და მრავალდებოდნენ. მთელ ეზოს მოედო მათი ფესვები, რაც აშკარად ფიტავდა მიწას. მათი ჩრდილი კი დილიდან საღამომდე ეფინა ციტრუსებს, აჩიავებდა და აენიებდა. ოჯახში რამდენჯერმე ვადაწყვიტეს. გაეწმინდათ ეზო ამ ყოველად უსარგებლო ხეებისაგან. ერთხანს ნინუცა ჭიუტობდა, ოჯახის მამის დარწმუნებით, მის სამახსოვროდ იყოსო. აკაციების აჩეხვით განსაკუთრებით ნოემ იყო დინტერესებული, რადგან საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც მას ახალ სამოსახლოსთან გამოუყვეს, ციტრუსების ბალსათვის გამოუსადეგარი გამოდგა, ამ აკაციების ნამყოფზე კი,

როცა ნიდაგი რიგიანად გაიწმინდებოდა ასიოდე ძირი მანდარინე გაიშენებოდა. შვილებმა ბოლოს მანდარინე დაარწმუნეს ნინუცა, რომ ყვითელყვავილა აკაციების აჩეხვა აუცილებელი იყო და დაითანხმეს კიდევ, თუმცა მუშაობის დაწყებას მაინც ავიანურებდნენ, იცოდნენ, დედას რა ტკივილსაც მიაყენებდნენ ადრე დაღუპული ქმრის ხელით დარგული ხეების აჩეხვით. ნოემ დედა რომ წაიყვანა, იმ დღეს გადაწყვიტა, ახლა ეზოსაც გავწმენდ, ახალ ნერგებსაც ჩავყრი, აქაურობას დავამშვენებ და შინ დაბრუნებულ ნინუცას ასე უფრო გაუადვილდება თავის მეტისმეტად პარაზიტებად გადაქცეულ მეგობრებთან გამოთხოვებოაო. პირველი ხე უკვე წაქცეული იყო და მხერხავი ნოეს ეთათბირებოდა, შეშა ღუმელისთვის გინდათ თუ ბუხრისთვის, რა ზომაზე დავჭრაო, რომ ეზოში ვიღაც უცნაური კაცი შემოიჭრა ყვირილით: „შეჩერდით! არ გაინძრეთ! რას სჩადიხართ! ეს დანაშაულია!“

— თქვენ, ბოდიში და, ავად ხომ არ ბრძანდებით? — ჰკითხა კაცს ნოემ.  
 — თვითონ თუ ხართ ჰკუთხე? ამ ხეების აჩეხვა როგორ შეიძლება?  
 — იცით რა? ეს ეზო ჩემია და, რასაც მინდა, იმას მოვჭრი და დავრგავ.  
 — თქვენი იყოს, ვინ გართმევთ, თქვენთვის ვამბობ. თქვენი სარგებლობისთვის. თქვენთვის ვიწუხებ თავს...  
 როგორც იქნა, გაირკვა, რომ ეს სიმპათიური, შუახანს მიტანებული, წარმოსადეგი, ჰალსტუხიანი და ტყავის ლაბადიანი კაცი ყვავილების დამამზადებელი კანტორის წარმომადგენელი ყოფილა. რუსეთიდან ყვავილზე დაკვეთა მივიღეთო, თქვა მან, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სჭირდებათ რვა მარტისათვის, ანუ ქალთა დღისათვის. გასაგზავნად ვამზადებთ მიმოზას, — ყვითელყვავილა აკაცისა. იგი კარგად უძლებს გზას და, როგორც წესი, მარტის დასაწყისში უკვე აყვავილებულიაო. წარმომადგენელმა ჯიბიდან ხელშეკრულების ბლანკი ამოიღო, სას-





წრაფოდ შეავსო, ნოეს ხელი მოაწერი-  
ნა, კილოში ოთხმოც კაპიკს გადაგიხ-  
დითო, დაჰპირდა. კაცმა ეზო დაკვირ-  
ვებით მოათვალიერა, ჩემი აზრით, აქ  
ორიათას კილოზე ნაკლები არაფრით  
არ იქნებაო, მარტის დასაწყისში მო-  
ვალთ, მუშებსაც მოვიყვანთ, დავსხებ-  
ავთ და წავიღებთო.

გივიმ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი  
ამოიღო და ნოეს მიაწოდა. სტუმარმა  
სწრაფად წაიღო ხელი კოლოფისკენ.  
„აჰ, ბოდიში, უთხრა გივიმ, ინე-  
ბეთ“. ნოე ნაღვლიანად, სინანულ-  
ით დაჰყურებდა მოჭრილ ხეს. ესეც  
შენი პარაზიტი აკაციები! დგანან თა-  
ვისთვის, არც შებარავს ითხოვენ, არც  
შეთოხნას, არც ნაკელი უნდათ, არც  
სასუქი და უცებ ათას ექვსასი მანეთი.  
რა ღროზე მოგვისწრო ამ კაცმა, ორი-  
ოდე საათი რომ დაჰგვიანებოდა, ჯავრს  
გადავყვებოდი...

— რას ვიფიქრებდი, თუ ეს ძვერი  
რამედ გამოდგებოდა.

— ძვერი კი არა, ყვავილია, გაზაფ-  
ხულის პირველი მახარობელი. მერე  
რა სახელი აქვს — მი-მო-ზა...

— ეს რომ მოვჭვრით? — გივიმ წაქ-  
ცეული ხისკენ გაიშვირა ხელი.

— მაგას რაღა ეშველება, — თქვა  
ნოემ.

— იმედია, მეტს აღარ აჩეხავთ? —  
იკითხა წარმომადგენელმა

— აჰ, როგორ გეკადრებათ...

— ხომ ხედავთ, თქვენთვის ვირჩე-  
ბი. შენ კი, ავად ხომ არ ხარო.

— ბოდიშს ვიხდი... დიდი ბოდიში.  
მაპატიეთ, ძალიან ვთხოვთ. ისე მოუ-  
ლოდნელი იყო... შინ შევიდეთ, ოჯახი  
დაგვილოცეთ. პირველად ხართ... გი-  
ვი, მარინეს დაუძახე, აქ მაინც გამოგ-  
ვითანოს რამე სასწრაფო...

— არა, არა, ნუ სწუხდებით. მად-  
ლობთ. მეჩქარება, ვერ გავჩერდები.  
ოჯახს მერე დავლოცავ, — ეზოს თვა-  
ლი მოავლო, აკაციები კიდევ ერთხელ  
დაათვალიერა, გუნებაში გადათვალა,  
თვალები გაუბრწყინდა, — როცა გავიფუ-  
რჩქნებით, ავუყვავილდებით, — დაუმატა

ალერსიანი ღიმილით, — მძლოდი მე-  
ლოდება, სხვა სოფლებიც უნდა მინახუ-  
ვიაროთ. დაკვეთა ბევრი გვექვს უნდა  
იცის, სხვაგანაც მიმდგარნი არიან და  
ჩეხავენ. უნდა მივეუსწრო, გადავარჩი-  
ნო.

კაცი წავიდა, ჭიშკართან შეჩერდა,  
ნოეს და გივის ხელის აწევით დაემშვი-  
დობა.

— ესეც ასე, — თქვა ნოემ. — დღეს  
ერთი ნაბიჯით წინ ვართ. გინახავს ცი-  
დან ჩამოვარდნილი ათას ექვსასი მანე-  
თი?

ციდან გაცილებით მეტი აპირებდა  
ჩამოცვენას!

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასუ-  
ლი, ჭიშკარს მანქანა მოადგა, საიდანაც  
ორი კაცი გადმოვიდა. ახალგაზრდები  
იყვნენ, მალღები, ლამაზები, ბეწვის  
ქურქები ეცვათ, თბილი, ბეწვისავე ყუ-  
რებიანი ქუდები ეხურათ, ტყუპებივით  
ჰგავდნენ ერთმანეთს, თუმცა სულაც  
არ ყოფილან ძმები, არც ნათესაები.  
რაღაც ორიოდე კვირის წინ ვაიცნენ  
ერთმანეთი. ერთს მანქანა ჰქონდა,  
მეორეს — იდეები, ეს აკავშირებდა  
და ამსგავსებდა კიდევ მათ. ერთს ან-  
ზორი ერქვა, მეორეს — რამაზი, გვა-  
რი კი არც არავის უკითხავს მათთვის  
და კიდევ რომ ეკითხათ, ალბათ ნამ-  
დვილს არ იტყოდნენ. რამაზი საქმის  
მცოდნე კაცის თვალთ ორიოდე  
წუთს ათვალა იერებდა თოიძეების კარ-  
მიღამოს და ბოლოს თქვა: „გვეყოფა“.  
„მგონი მეტიც კია“, — მიუგო ანზორ-  
მა — მანქანის პატრონმა. ამ საქმეში  
იგი დამწყები იყო, დიდი არაფერი  
გაეგებოდა, მაგრამ ცდილობდა ამხანა-  
გისათვის თავი ისე მოეჩვენებინა, თი-  
თქოს ზოგი რამ მანაც იცოდა. „არაა  
მეტი, — დაბეჯითებით თქვა რამაზმა,  
— იდეების პატრონმა. — ზუსტად იმ-  
დენია, რამდენიც გვინდა“. „ატყობ ახ-  
ლა შენ მაგას ასე ზეპირად?“ „ატყობ  
და მეტი არა?“ „ავაშენა ღმერთმა. მე-

გიორგი კახალაძე  
აარავი ღრუბლებზე



ხი“. „ჩავალ, ერთს მივებგვა“, — სთხოვა გვიმ ძმას ნებართვა. „შენ, ეი, ვაჟკაც! — დაუძახა ნოემ დამამზადებელს, — წალდი ჩამომივარდა, მანდ აგდია, მომაწოდე, თუ ძმა ხარ. მერე კი აითესე, ისე რომ უკან არ მოიხედო“. სტუმარი ერთ წუთს რალაცას დაძაბული ფიქრობდა, მერე ავტოკალამი და ბლოკნოტი გულის ჯიბეში შეინახა, წალდი მოძებნა, აიღო, ხელში შეათამაშა: „რას მიბედავთ! თქვენ ვინ გგონივართ!“ „ნუ ფაფხურობ, ბიძია! — გადმოსძახა გვიმ, — თორემ თუ ჩამოვედი, ოთხში ამოგიღებ!“ ყვავილების დამამზადებელი კანტორის წარმომადგენელმა ერთი კი ახედა გვიმს, წალდი ხელიდან გააგდო და ჭიშკრისკენ გავარდა: „ახლავე დავრეკავ მილიციაში! ახლავე! ამწუთს! თქვენ გაყურებინებთ სეირს!“

რამაზი და ანზორი თვალის დახამხამებაში ჩამოსრილდნენ ხიდან. „ა, ბიჭო, ხათაბალა. მილიცია გვინდა ახლა ჩვენ?“ ჩამოვიდნენ ნოე და გვიცი. ანზორმა სწრაფად მოკრიბა თავისი სამუშაო იარაღები და ჩანთაში ჩაყარა. გვიმ ხელი მოჰკიდა, სიცილით უთხრა: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო. დამშვიდდით. ის კაცი არსადაც არ დარეკავს“. „აბა სად გაიქცა?“ „თავს უშველა. ისეთი დანაშაული აქვს ჩვენთან, მიხვდა, გაულახავი ვერ გადაშირჩებოდა.“ „რომ დარეკოს?“ „ნუ გეშინიათ-მეთქი, ხომ გითხარიო“.

ანზორი და რამაზი ერთმანეთს შეპყურებდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ, ახლავე გაქცეულიყვნენ აქედან თუ დამშვიდებულიყვნენ და დაწყებული საქმე გაეგრძელებინათ.

— რამე შარში არ გავებათ და...

მერე სასხლავები მოიმარჯვეს და ხეზე ასვლა დააპირეს.

— ჯერ ფასზე მოვრიგდეთ, — შესთავაზა მათ ნოემ.

— ფასზე მაშინ არ შევთანხმდით?

— მას შემდეგ ზოგი რამ შეიცვალა. ჩვენი საბოლოო ფასი ხუთი მანეთია.

— მერე ესაა კაცობა, პირი, სიტყვა, სინდის-ნამუსი?

— არც ისაა სინდის-ნამუსი, ცდელ კაცს რომ ნახავ და გაყვლეთას მოუწოდებ.

— რაო, რა თქვა? — შესძახა ანზორმა, — ხუთიო? გაგიყდით? ამ ქვერში ხუთი მანეთი?

— არ გავგიყებულვარ, — თქვა ნოემ, — ახლა ვარ ჭკუაზე.

— ორი მანეთი, — თქვა რამაზმა.

— იცით, ის კაცი რატომ გაიქცა? შეგვატყო, დამზადების ნამდვილი ფასი რომ ვიცოდით.

— რამდენია?

— ვითომ არ იცით, ხომ?

— არა... დედას გეფიცები.

— სამი მანეთი.

— ოთხს გაძლევთ.

— არა.

— ხუთს.

— ახლა არც ექვსად არ იქნება.

— კარგად მეყოლეთ აბა, — ანზორი და რამაზი ჭიშკრისკენ გაცვივდნენ.


— კეთილი მგზავრობა, — ხელი დაუქნია ნოემ.

— ნოე, გაგიყდი?! — შესძახა გვიმი.

— დამშვიდდი, ყმაწვილო. ხომ ვთქვი, ახლა ვარ ჭკუაზე-მეთქი. რაო, ჩვენ თვითონ ვერ წავიღებთ სადაც საჭიროა? იქნება შენი სიამაყე შეგვიშლის ხელს?

— ძირს სიამაყე! — იყვირა გვიმი, — ძირს!

მთელი კვირა დააგვიანდათ. შინისკენ ახალთახალი მანქანით — საკუთარი „ვოლგით“ გამოემგზავრნენ. არსად შეჩერებულან, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საუკესთან და მაინც მთელი დღე და ღამე მოუწინდნენ გზას. თერთად მოლივლივე მანქანა ისარივით მოქროდა ტრასაზე, მოფრინავდა, მოგელავდა, მონავარდობდა. „ა, ბიჭო,



მანქანა! — გაიძახოდა ნოე. — ძლივს არ შევიტყვე, ცოცხალი რომ ვარ? — გათენებას აღარაფერი უკლდა, შინ რომ მივიდნენ. მანქანა ზედ კიბესთან დააყენეს („სერიო არ იქნება, ეს გაუფორმებელი „ვოლგა“ ამაღამვე რომ მოგვპაროს ვინმემ?“). სახლის ქვეშ შეშებს შორის მოკალათებული და ღრმა ძილში მყოფი ძალი გააღვიძეს და მანქანაზე მიიბეს, მერე ცოტა წაიქეიფეს, მშვიდობიანი დაბრუნება დალოცეს და დაიძინეს. დილის თერთმეტ საათზე ფეხზე იყვნენ, ათასი საქმე ელოდათ, ქალაქში უნდა ჩასულიყვნენ, მანქანა აღრიცხვაზე აეყვანათ, ნომერი გამოეტანათ. იცოდნენ, ეს სადავიდარაბო საქმე იყო და დროზე სჯობდა დაწყება. სასადილოსთან წუთით შეჩერდნენ. შევიხედავ ერთს, თქვა ნოემ, ვინმეს ხომ არ გავუქურდივარო. შევიდნენ, გაიარ-გამოიარეს, ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც დატოვეს. ერთი ბოთლი „ბორჯომი“ გახსნეს და ის იყო, დაკეტვას აპირებდნენ, მოულოდნელად სეფერთელაძე წამოაღდათ თავზე. „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ ომახიანი შეძახილით შეეგება ნოე. ბატონმა ბენომ თავშეკავებულად, უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი ძმებს. არ მოეწონა ნოეს აღტაცებული, თამამი შეძახილი, არც მისი იერი და გამოხედვა. თითქოს უფროსი კი არა, ძმაცაი სტუმრებოდეს. მე მოწინავეებში ვასახელებ, ვაქებ და ვადიდებ, ამან კი მთელი კვირით მიკეტა სასადილო და სად დაეხედებოდა, ეშმაკმა იცის. ეთქვა მაინც, თუ სადმე მიდიოდა, გავათავისუფლებდი. ნოე თვალეზში შეჰყურებდა შეფს, უცნაურად, თავხედურად იღიმებოდა.

— სხვა, ხომ ჯანმრთელად ხარ, სარდიონოვიჩ? — ნოემ სკამი დაუდგა, — დაჯდები თუ? კი მოგენატრებოდი ახლა ცოტა, შენი ამბავი რომ ვიცი.

„რამ შეცვალა ეს კაცი? — ფიქრობდა გაკვირვებული სეფერთელაძე, — რა იშოვა ასეთი ამ უპატრონომ?“

ნოე ახლოს მივიდა, მხარზე დაჰკრა ხელი. „აა, ძველო, გამახარე შენი სტუმრობით“. ბენიამინმა ვერც ვიძიო-სწრო გვერდზე გაწეულიყო. რას იფიქრებდა. აქამდე თუ მივიდოდა ამ მუდამ თავჩალუნული, მორიდებული და მორჩილი კაცის თავხედობა. „ხარ ხომ ძველებურად, ყოჩაღად და უბერებლად? ასე უნდა, ასე. კაი ყაძახი ხარ შენ, ბენია, კაი, რომ გამომიარე, ამბავი იკითხე. მე მივიდოდი ახლა შენთან. დამასწარი ხომ? ჩამავდე სირცხვილში“.

— რას ჰგავს, ბიჭო, ეს?

— რა, ბენია?

— ბენია ვარ, ბიჭო, მე შენთვის?

— ბოდიში სარდიონოვიჩ.

— ჰო და, რას ჰგავს-მეთქი ეს, რომ მიკეტე სასადილო და გაქრი სადღაც. არ უნდა დაგებარებინა ორი სიტყვა? შეიძლება ყველაფრის ასე აბუჩად აგდება?

— მამატიე ეს ერთი და არ ვიზამ მეტს, სარდიონოვიჩ.

„რაცა ნაშოვნი აქვს ამ გლახას“.

სეფერთელაძემ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა დარბაზში, სამზარეულოში შეიხედა, ბუფეტიც გულდასმით დაათვალიერა.

— უნდა ახლა ერთი რემონტი აქაურობას, — ფანჯრები გააღო. უკვე ყვოდა ტყემალი. მზიანი, თბილი ღღე იყო. დარბაზში გაზაფხულის ჯანსაღი სურნელი დატრიალდა, ერთბაშად განდევნა სინესტე და შმორი.

— აგაშენა ღმერთმა, — გაუხარდა გივის. — არ მოვიტყვი სული?

— ახლა დატრიალდე უნდა, ნოე, — თქვა სეფერთელაძემ, — რაც იყო, იყო. არ ვარ მე ბოროტი კაცი და არ მოგდევ, კი იცი შენ. გაზაფხულიც მოვიდა, ათბა. აწი სტუმრებიც ბევრი გეყოლება. ქვეყანა მიდი-მოდის ამ გზაზე... მარტო ვარო, რომ იძახი, ამოიყენე აგერ შენი ძმა მხარში. ახალგაზრდა კაცია, ენერგიული, წელი არ სტიკია და გული... — მე, ბენო ბატონო?




უთხრა ნოემ. — ამდენი სული ვართ  
ოჯახში.

ბენიამინ სეფერთელაძემ ქურჩის  
ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სახეზე  
ოფლი მოიწმინდა. უჰ, მაგრად კი დამ-  
ცხა დღეს. კარი გააღო და კიბეზე დაე-  
შვა. „მოვივლი მე შენ! მოვივლი!“ „მო-  
იცადეთ, სარდიონოვიჩ, დავეტრავ ამ და-  
საწვავს და ჩაიბარეთ ბარემ გასაღები“.  
„რაო? რომელი გასაღები?“ „სასადილოს  
გასაღები. არაა ეს ჩვენი საქმე“. სეფერ-  
თელაძემ კინალამ მოვლიჯა თავისი  
„ქიჯულის“ კარი. რა იშოვებს? რა განძი  
ნახეს ნეტა ამ მათხოვრებმა?

წყალტუბოს სასწაულთმოქმედმა აბა-  
ზანებმა ნინუცა ერთბაშად გამოაჩანსა-  
ლა, გაახალგაზრდავა და გაახალისა. ოცი  
წლის გოგოსავით გრძნობდა თავს. მარ-  
ტო ერთი რამ აწუხებდა, ვერ შეარჩია  
დასვენებისათვის კარგი დრო. ჩაი-  
მანც დაეტოვებინა გასხლული, სხვა  
საქმეებს კიდეც არა უშავდა, შემდეგაც  
წამოეწეოდა როგორმე. ეზოშიც ჰქონ-  
დათ ნახევარ ქვევავზე ჩაი გაშენებუ-  
ლი. ჩემი ბედოვლათი რძალი იმას მანც  
გასხლულს დამახვედრებდესო, ფიქრობ-  
და ნინუცა. ანდა სხვა რა დახვედბა სა-  
ხლში რიგიანად გაკეთებული. თანაც  
რა კარგი ამინდებია. ნოე ალბათ სახლს  
აშენებს უკვე, ოჯახისთვის სად ეცლე-  
ბა. რამდენი რამ უნდა მშენებლობას.  
რძალიც ძალიან მოუცლელი იქნება, ახ-  
ლა იგი მარტო სადილ-ვახშამის მზადე-  
ბასაც ვერ აუთავდება, ციციხო თუ  
არ მიეშველა. ციციხოს იმედი კი  
მტერს ექნა, რისი გამკეთებელია, კი-  
დეც კარგი, სწავლა არ ეზარება. ერთ  
საქმეს კი უეჭველად მოაბავდა თავს  
ნოე ნინუცას არ ყოფნაში—აკაციებს ძი-  
რფესვიანად ამოძიროკვავდა და მის ად-  
გილას მანდარინებს დარგავდა. დარგოს.  
ნეტა უფრო ადრეც დაერგო. იმ საწყა-  
ლმა რაღა მანცდამანც ეს უსარგებ-  
ლო ხეები გააშენა. მანდარინი, ფორ-  
თოხალი და ლიმონი არ ერჩია? ვიცი  
მე, რასაც ვაკეთებო, გაიძახოდა, ციტ-

რუსები, რაც დავრგე, თავზე საყრილო  
გვეყოფა, თუ სიცივეები არ დაიქირა  
და არ გაიყინაო და, რომ არ გაიყინოს,  
ამ მარადმწვანე მიმოზას სწორედ იმე-  
ტომ ვრგავო, მათი დაბურული ტოტები  
ეზოში სუსხიან ქარს არ გააჰკავანბნოს.  
რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, აკა-  
ციებმა ტანი აიყარეს, მთელი ეზო და-  
ბურეს. კი ბატონო, ქარსაცავიც საჭი-  
როა, მაგრამ არ ჰქონდათ სხვებს ქარსა-  
ცავები და ციტრუსები მათ ეზოებში  
კიდეც უფრო უკეთესად გრძნობდნენ  
თავს, ჰოდა, მართალია ნოე, აკაფოს,  
გააშენოს ციტრუსები.

შინ დაბრუნების დროც მოვიდა, რო-  
გორც იქნა. დიდებულები ამინდები იღვა-  
თუ ასე გასტანა, ორიოდე კვირაში ყვე-  
ლა საქმეს მოვათავებო, ფიქრობდა ნი-  
ნუცა, მაგრამ არ გაუმართლა. ჩამოვი-  
და თუ არა შინ, მეორე დღესვე გაწვიმ-  
და და მას მერე არც გადაუღია, ხან წვი-  
მდა, ხან თოვდა. ერთი სიტყვით, ჩვე-  
ულებისამებრ იკბინებოდა შერეკილი  
მარტი. რახან ჩემი იღბალი გაერია საქ-  
მეში, მთელი წელი ასეთი ამინდები იქ-  
ნებოა, ამბობდა გივი. საქმე ის იყო,  
მასაც მოუნდა მშენებლობის დაწყება,  
მასაც გამოუყვეს სამოსახლო და ჩაყა-  
რა კიდეც საძირკველი, მაგრამ მეტი ჯე-  
რჯერობით ვერაფერი მოასწრო. ცუდი  
ამინდების გამო. ცხადია, ნოეს სახლის  
მშენებლობაც შეფერხდა. ისხდნენ ახლა  
ბუხარათან ნოე და გივი და დილიდან სა-  
ლამომდე ღომინოს თამაშობდნენ. ხან-  
დახან პეტრე შეუერთდებოდათ. არც  
დიმიტრი ამბობდა სალამოობით ერთი-  
ორი პარტიის თამაშზე უარს. უკვე კვი-  
რა სრულდებოდა, პროკურატურაში  
რომ გადავიდა სამუშაოდ და კმაყოფი-  
ლი იყო, ძლივს თავის საყვარელ საქმეს  
მოჰკიდა ხელი. მთელი ოთხი წელი  
ელოდა ამ ადგილს დიმიტრი. სანამ უნ-  
და იყო ასე უშნო და უხეიროო, დას-  
ცინოდა ნოე, მე როგორ უნდა გიკვალ-  
ოთ გზა ყველას ამ უსწავლელმა, უშიგ-  
ნურმა კაცმაო. ახლა პეტრეს საქმე ჰქო-  
ნდა მოსაგვარებელი. ძლივს დაიყოლია



და თავის გიჟურ ოცნებაზე უარი ათქმევინა. სიგიჟე იყო, აბა რა, კაცი ავტონიზირებაზე ამბობდა უარს. ეს რამდენიმე დღეა, ჰუსაზე რომ მოვიდა და შეეტყო კიდევ. დღედაღამ ოთახში რომ იყო გამოკეტული თავის წიგნებში ცხვირჩარაგული, ფერმკრთალი და სისხლნაკლული, სუფთა ჰაერზე გამოვიდა, ფერიც უკეთესი აქვს და მადაც. ახლა აღარაფერი უჭირს, ახლა ნოეს ხელშია მისი ბედი და მომავალი. აქამდე კი ყველაფერი გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. გივისაც უნდა მიხედვად, თორემ თავის ნებაზე თუ ირბინა, რამდენიმე თვეში უკაბეიკოდ დარჩება. სადმე ჩაის პუნქტში უნდა მოაწყოს მწონავად, ან ხილის ქარხანაში. ვაისად კი ციცილო ამთავრებს სკოლას. ისიც საპატრონოა. პოეტობს გოგო. „გაზაფხული მოსულა, აყვავილდა ტყემალი...“ ერთი წავიდეს, ისწავლოს და მერე უნდა ლექსები წეროს და უნდა—შარადები. ოღონდ ის არ თქვან, ობლები უპატრონოები დავერჩით და რას ვისწავლიდითო. ან დამიფასებენ ამავე, ან არა, მე მაინც ჩემსას გავაკეთებ, ჩემს სინდისთან მართალი ვიქნებიო, ფიქრობდა ნოე.

ნინუცამ შეშა შეუტკთა ბუხარს. „რას მიშვები, ქალო, მწვავ, ხომ?“ შეფუცხუნდა გივი, იგი ყველაზე ახლოს იჯდა ბუხართან. „გაიწი, ბიჭო, ცოტა იქით, ვერ უნდა მიხვდე?“ „აა, ჰო, მართლა“. ქარმა გამეტებით დაუბერა და ფანჯრის მინები ააწკრილა, კედლები შეაზანზარა, „თავიდან იწყება ზამთარი, — თქვა ნინუცამ, — არადა, რამდენი საქმეა“. კვირა იყო. მეზობელ ოთახში ციცილო განმარტოებულყო და გაკვეთილებს სწავლობდა. ხმამაღლა კითხულობდა, ასე უფრო ვიმახსოვრებო. კი არ კითხულობდა, ყვიროდა, გამწარებული, თვალებზე ცრემლმომდგარი, ნერვებაწყული. რა ამბავია, გოგო სახლი ნუ გადაიტანეო, შეუძახებდნენ ხანდახან აქედან. უფრო მოუმატებდა, მე ხომ გამიშრა სისხლი, არც თქვენ მოგასვენებთო. არ უყვარდა ქიმი და ფიზიკა. ამ ბოლო

დროს ნამეტანს ბრაზობდა პეტრეზე. ადრე ეცოდებოდა, თანაუგრძნობდა, მერე კი, ბიჭმა ქიმი გვერდზე რომ დადო, ციცილო გამწარდა: „მარტო შენ და ვიუთხო ქიმი? მარტო მე?“ „შენც დაანებე თავი, — ურჩია ნოემ. — თუ არ მოგწონს“. „ა, ჰკვიანი, — აღმფოთდა გოგო, — მეც სხვასავით დაიწყეო ბლუქუნი, მასწავლებელი რომ გამომიძახებს?“ „ისწავლე აბა, ვინ გიშლის...“ არა, არავინ უშლიდა, რა თქმა უნდა, პირიქით. ქიმიის მასწავლებელს უყვარდა ციცილო. შენი იმედი მაქვსო, ეუბნებოდა, ვინმე რომ დაგვესწროს, შენ უნდა მიშველოო, შენ რომ არ მყავდე, ამ კლასში ფეხსაც არ შემოვდგამდიო. იცოდა, გოგო ლექსებს რომ წერდა. კითხულობდა კიდევ, მაგრამ დიდად არ მოსწონდა, განსაკუთრებით ის ლექსები, ამ ბოლოს რომ თხზავდა მომავალი პოეტი: „ღრუბლებზე დგას თეთრი კარავი, ამაყი, კალთებშემოძენილი, შიგ კი მხიარული, ბედნიერი აღამიანები ცხოვრობენ...“ „კარავში? ღრუბლებზე? ეს ალბათ ზღაპარია, ხომ?“ „ზღაპარი რა შუაშია, მასწ... ლექსია“. „ღრუბლებზე კარავს რა უნდა, გენაცვალე... აღამიანებს, მით უმეტეს... იქნება თვითმფრინავს გულისხმობ?“ „არა, მასწ. რის თვითმფრინავი, ჩვეულებრივი კარავია, მაგრამ ძველი, კალთებშემოძენილი“. არა, ქიმიის მასწავლებელს ისევ ის ერჩია: „გაზაფხული მოვიდა, აყვავილდა ტყემალი, სიხარულით ავისილან ციცილო და ჭემალი. მოდი ერთად ვიაროთ, მოდი ერთად ვიცინოთ, ასე გაიძახიან ჭემალი და ციცილო...“ აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია, თუმცა ამ ლექსსაც მოჰყვა ცოტა გაუგებრობა. ნოე მთელ კვირას დადიოდა სკოლაში იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო ჭემალი და რატომ დადიოდა და იცინოდა მაინცდამაინც ციცილოსთან. კიდევ კარგი, სკოლაში ერთადერთი ჭემალი აღმოჩნდა და ისიც პირველკლასელი. იმ

ზიორკი ავაღლაძე  
პარავი ღრუბლებზე

პატარა ჯემალთან სიარული და სიცილი ნოეს აღარ აუკრძალავს თავისი დისთვის.

ხმელი შეშა სწრაფად აბრიალდა და მალე ჩაიწვა, ცეცხლი მიინავლა. ნინუცა ადგა და გარეთ გავიდა. ოდის ქვემოდან გაჩავერებული ქათმების კრიახი და ქოთ-ქოთი მოისმა. ოდის ქვეშ შეშა ჰქონდათ და ქათმებსაც იქ უყვარდათ ცულ ამინდში შეყურდება. ფრინველები ბედს რომ შეურიგდნენ და მიწყნარდნენ, ნაჯახის ცემის ხმაც მოისმა. ნინუცა შეშას აპობდა. „ვაი, სირცხვილო“ — თქვა ნოემ. „ა. სწრაფად მოვრჩეთ ამ ხელს და გავალ, დავაპობ“, — თქვა გვიმ. სანამ იმ ხელს მორჩებოდნენ, ნინუცამ დაპობილი შეშა შემოიტანა, ბუხართან დაყარა, შეუკეთა. „მე უნდა ვაპობდე შეშას, ვაქაცებო?“ „სასიკვდილე ვარ, სასიკვდილე.“ — გვიმ გარდაიხარა და ნინუცას თმაზე ეამბორა — „რას ვიფიქრებდი, ზამთარი თუ შემობრუნდებოდა, თორემ შეშა დამრჩებოდა დაუბოებელი?... სად გაქრა მაინც ის ბედნიერი ლევანა? გაქცა, თუ იცით, ჩვენს მეზობელს, მისი სიმღერა რომ არ ისმის? თუ ნახოთ, უთხარით, მოვიდეს, დააპოს და დააწყოს ლამაზად.“ „შენ ლევანაზე ნაკლები ხარ?“ — ჰკითხა დიმიტრიმ. „დრო, ჩემო ძმაო, დრო... დრო ახლა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე ის ფული, ლევანას რომ უნდა მივცე.“ „მაინც რა საყინულეა ეს სახლი. ოთხივე მხრიდან უბერავს, — თქვა ნოემ და პეტრეს მიუბრუნდა, — სამყანი და ნული, დამიწერე ოცი.“ „გავინარე“, — თქვა დიმიტრიმ.

— ვბერდებით, ვძველდებით, — ამოიხვნეშა ნინუცამ. — სახლიც, ადამიანებიც...

— ნუ გეშინია, ნინუცა. ახალი იქნება... ერთ სახლსაც აქ დავდგამ, ამ ეზოში და შენ გაჩუქებ, ჩემი გაზრდისთვის.

— ხარ ვითომ გაზრდილი?

— მაინც უნდა გაჩუქო.

— არ მინდა თქვენი ნაჩუქარი სახლი. ეს ძველიც მეყოფა... ისე, მაინც რა

იმოვეთ ამდენი, ორივემ ერთად რომ დაიწყეთ სახლების შენება, გინდათ თუ არა, ანა გადარიოთ? მერე უნდა დაიწყებოთ ნაც...

გვერდითი ოთახიდან ციცილო შემოვარდა და ბუხარს მიეფიცა. მერე დომინოს თამაში მოუნდა. ჯერ პეტრეს დაუპირა გაგდება, მერე გვიმს. ბოლოს მსაჯობას დაყაბულდა. მაშინვე საქმიანად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

— ჰო, მითხარით ერთი, — განაგრძობდა ნინუცა: — რას იტყვის ხალხი, ასე რომ აიშვით და აიწყვიტეთ...

— ვიფურჩქნებით, დედა, ვიფურჩქნებით, — მიუგო გვიმ. — ჩვენი დროც მოვიდა, ობლებსც...

— დუ სე, — თქვა დიმიტრიმ.

— იძახე შენ დუ სე და დუ შაში, — შეუწყრა ნინუცა. — სხვაგან რომ ეძებ დასაპირავ ხალხს, შენს ძმებს მიხედე ჯერ.

— ორი ნული, — წამოიძახა გვიმ.

— გავიარე, — თქვა დიმიტრიმ.


— დიმიტრი ჰკუთთ იყოს, ის ურჩევნია, — თქვა ნოემ, — თორემ როგორც გადმოვიყვანე პროკურატურაში, ისე დავაბრუნებ თავის საყვარელ სკოლაში...

— შენ გადმომიყვანე? — დიმიტრიმ ნოეს ახედა, — საიდან სადაო?

— არა, ბიჭო? თუ გგონია იმ შენმა მკვლე განცხადებამ გაქრა.

ნუთუ მართლა ნოეს ოინებია? რატომ აქამდე არაფერი წამოსცდა? რაღაც ძალიან უცნაურად კი აეწყო საქმე. ადრე სულ უარს ეუბნებოდნენ. ადგილი არა გვაქვს და, კიდევ რომ გამოჩნდეს, სხვებმა უფრო ადრე გვთხოვეს, ჯერ ისინი უნდა დავაკმაყოფილოთ. ეს საბოლოო უარს ნიშნავდა. იურისკონსულტობა შესთავაზეს ერთ-ერთ ქარხანაში. არ ისურვა, ისევ ისტორიის მასწავლებლობა მირჩევნიაო. ამას წინათ სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნეს და მოულოდნელად ქალაქიდანაც დაუბრუნეს, თუ პროკურატურაში მუშა-





ომა გინლა, დაუყოვნებლივ გამოცხად-  
დით. უნდოდა და მეტი არა?

იქნება სეფერთელაძე დატრიალდა?  
მას მართლაც ბევრგან მიუწვდება ხე-  
ლი (დიმიტრიმ არ იცოდა ჭერ, ნოესა  
და ბენიამინს შორის შავმა კატამ რომ  
გაიბრინა). „გამოვიძიებ მე მაგ საქმეს,“  
— დაპირდა დიმიტრი ნოეს. „აბა შენ  
იცო, — გაიცინა ნოემ. — გვიჩვენე შე-  
ნი ნიჭი და უნარი.“ უცებ ციციონომ  
ხელი დაპკრა მაგიდას: „ბოლოს და ბო-  
ლოს, ჩემი ფული სად არის?“ „რომე-  
ლი ფული?“ — დაინტერესდა გივი.  
„ხომ დამპირდით. მთელი ორი დღე  
ტყუილად მამუშავეთ? ორმოცი ყუთი  
მარტო მე გავავსე. ორასი მანეთი მინ-  
და, სასწრაფოდ“. „რად გინდა ამდენი  
ფული? — ჰკითხა გივიმ, — რაში უნდა  
დახარჯო?“ „ჯინსი მინდა“. „აჰ ჯინსი?  
გასაგებია... დუბეში. ოცდაათი... დამი-  
წერე ჭერ ოცდაათი... ახლა პიჯაკი მო-  
მეცი... კარადაში ნახე“. ციციონომ მა-  
შინვე მოუტრებინა... „რა ღროზე იცი  
შემოჩენა, ამისთვის მცალია ახლა? —  
გივიმ სამმანეთიანების შეკვრა ამოიღო,  
— აჰა, გადათვალე და ასი მანეთი და-  
აბრუნე, იცოდე“. „არაფერსაც არ და-  
ვაბრუნებ. ფეხსაცმელი არ მინდა?“  
„ყველაფერი მე გაუცილო? ნოე არაა  
შენი ძმა? ან დიმიტრი?“ „დიმიტრი  
არაა თქვენსავით მდიდარი“. „აიღოს  
ქრთამი და გამდიდრდება“. „გივი, შვი-  
ლო, რა კარგად მესმარებოდი ჭარში  
წასვლამდე ჩაის გასხვლაზე, გახსოვს?“  
„მაგას რა დამავიწყებს, დედა“. „ახლაც  
ხომ მომეხმარები?“ „შაში-ბეში“, —  
თქვა გივიმ. „გივი, ნენა, გაიგონე თუ  
არა? ჩაი გვაქვს გასასხვავი“. „ციცი-  
ონო, პიჯაკი მომეცი!“ ციციონო კარადის-  
კენ გავარდა. „დავამთავრე... აბა გადა-  
თვალეთ, რა დაგრჩათ ხელში. ა, ნინუ-  
ცა, — ჯიბიდან ისევ ამოიღო სამმანე-  
თიანების შეკვრა და ნინუცას გადაუ-  
გლო, — ჩაი არ გამაგონო მეტი. მოფ-  
რჩი მე ჩაის სხვლას და კრეფას... მე-  
ყოფა. მოიყვანე ვინმე და გაასხვლე-  
ვინე. ლევანა, ლევანა, ლევანა მოიყვა-  
ნე“. სამმანეთიანების შეკვრა ბუხრის

წინ, იტაკზე დაეცა. „ჩაი და ციტრუ-  
სები შესაბარავია, ნაკელი შესატანია...  
ვენახშიც რამდენი სამუშაოა. დაქვეყნდით...“  
სულ იქით-აქეთ დარბიხართ...“

— დედა, ნახე ვინმე, გეხვეწები.  
მიეცი მაგ ფული, არ დაგენანოს. თუ  
არ იკმარებს, დაგიმატებ.

— სახლზე კრამიტია გადასაწყობი.  
წყალი ჩამოდის.

— ჩვენ მაგ საქმისთვის მაინც ვერ  
მოვიცლით, დედა, — უთხრა ნოემ. —  
მოიყვანე ლევანა. მიუგდევ ოცდაათი მა-  
ნეთი. ერთ დღეში მომჩბება.


— ბოსელი?  
— ბოსელსაც შეაკეთებს.  
— საღორესთან თხრილია გასაწმე-  
ნდი. ბოსტანი — დასაბარავი.

— შაში სე, — თქვა ნოემ.  
— თოვლს ღობე წაუქცევია, დრო-  
ზეა გასაღობი, სანამ საქონელი შემო-  
გვეჩვევა.

— ჩარი სე, — თქვა გივიმ.  
იტაკზე დადგებული სამმანეთიანე-  
ბის შეკვრას ციციონომ ხელი დასტაცა  
და თავისი ოთახისაკენ გაქანდა. „სად  
გარბიხარ?“ შეაჩერა ნოემ. „თქვენ  
თუ აღარ გპირდებათ, ამ ფულს მე  
მოვუვლი“. „იქნება მე მაინცდამაინც  
თქვენი გასხლული, დაბარული და გა-  
თხხნილი მინდა? მინდა თქვენ გაღო-  
ბოთ, კრამიტი გადააწყოთ?“ „შენ აწი  
ლექსების წერას დაიწყებ, ნინუცა და  
მოგვეტრი თავს, იცოდე“, — უთხრა  
ნოემ. „აჰ, — თქვა გივიმ: — ღრუბ-  
ლებზე დგას თეთრი კარავი...“


გამოიღარა თუ არა, მშენებლობაც  
გახურდა. მარტი და აპრილი საამისოდ  
მთლად შესაფერი არ იყო, მაგრამ ნო-  
ესა და გივის უკვე ვეღარაფერი შეაჩე-  
რებდათ. სხვები თუ ბალ-ბოსტანებში  
ტრიალებდნენ, ბარავდნენ, თოხნიდნენ,  
ჩაის სხვავდნენ, საყანებს ასუფთა-  
ვებდნენ, სახნავად და დასათესად ამ-

გიორგი კახალაძე  
აბრავი ღრუბლავაძე



ზადებდნენ, ისინი ცემენტს, ხე-ტყეს, ფიცრებს, სილასა და ხრეშს ეძებდნენ. არაფერზე უკან არ იხევდნენ, არაფერს არ ზოგავდნენ: არც ფულს, არც დროს, არც თავსა და არც სხვას. მთელი ძალები, ცხადია, პირველ ყოვლისა, ნოეს სახლის დასამთავრებლად იქნა მობილიზებული. ცოლშვილიანი კაცი იყო, ეჩქარებოდა ახალ ბინაში გადასვლა. სულ რაღაც ათიოდე დღეში აიყვანეს მეორე სართული, ჩასვეს რკინა-ბეტონის სარტყელში, გამართეს ქილიშებით, კავებით და ბოლოს, დასახურავად მოამზადეს. ხურვაზე ათიოდე კაცს მოუყარეს თავი. მომღერალი ლევანაც იქ ტრიალებდა, ხან კავებს ეზიდებოდა, ხან ფიცრებს, ხან მორს, ხან შიფერს. უმისოდ ამოდენა მშენებლობაზე ერთი ჩხირიც არ გადაბრუნებულა, ერთი აგურიც არ დაშენებულა. „ჩემი ძმა ხარ, ლევანა, ჩემი ალალი ძმა“. ეფერებოდა ნოე. ლევანა ყველაზე ცნობილი კაცი იყო იმ სოფელში, ყველა ოჯახში შინაური, ყველასთან დაახლოებული, პურნაკში, ნამუშევარი. დღიურად ათ მანეთს უხდიდნენ, ზოგჯერ ნაკლებსაც. ხშირად მუქთადაც უმუშავია, მაგრამ ყველას ერჩია, ფული მიეცათ და გაესტუმრებინათ, რადგან თუ სადმე მუქთად ამუშავებდნენ, იქ მეტისმეტად იცოდა გაშინაურება; როცა მოებრიანებოდა, მაშინ მივიდოდა, ღვინოსა და სასმელს მოითხოვდა, დაჯდებოდა, იქეფებდა, ქეიფი კი ძალიან გრძელი და მოსაბურთებელი იცოდა, თუ დაღამდებოდა, იქვე გაათენებდა, სიმღერითაც გულს მოიჯერებდა, ისე რომ ბოდიშსაც არავის მოუხდიდა. ნოე განსაკუთრებით შეუყვარდა, რადგან დღიურად ოც-ოც მანეთს უხდიდა (ძლივს გაიგო კაცმა ჩემი შრომის ფასიო, გაიძახოდა.) და თან ძმობას ეფიცებოდა. ღვინოს, რა თქმა უნდა, არ ამადლიდა და არც სიმღერას უწუნებდა. სიკვდილამდე შენთან ვიქნებიო, პირდებოდა ლევანა. აქვე სადმე, შენს ეზოსთან ახლოს ერთ გლახა ქოხს მეც დავიდგამ და ნამდვილ ძმასავით გეყო-

ლებიო. ხურვას რომ მოვრჩებით, ნინუცას უნდა მიეშველოო. შენსებოდა და დროდადრო ნოე, ჩემს ვეკს განსახლავი და დასაბარავი, ბოსელი შესაკეთებელი და სხვა და სხვა... „ნინუცა ბიოლასთვის მე თავს გაეწირავ“. „ბიოლა კი არა, დედა, ბიჭო... დედად გერგება. ძმობას ტყუილად გეფიცები?“ „მაგ საკითხი მერე... ჯერ ბიოლა იყოს“. ჯანმრთელი და ღონიერი კაცი იყო ლევანა, არც მთლად შეუხედავი იქნებოდა, მუდამ მიჩაჩულ-მოჩაჩული და ჭუჭყიანი ტანსაცმელი რომ არ სცმოდა. დილით გარეცხილ-გაუთოვებულს რომ ჩააცმევდნენ, შუადღეზე უკვე ველარ გაარკვევდი, რა ფერის ტანსაცმელი ეცვა. დაბანა და წვერის გაპარსვა ჭირვით ეჯავრებოდა, ამის გამო იყო, რომ უცნობ კაცს ერთი შეხედვით შეაშინებდა კიდევ. ამ ორიოდე კვირის წინ პატარა ფათერაკი შემთხვა. უბნის ახალმა ინსპექტორმა, ლეიტენანტმა ცელაქმე მანქანაში ჩასვა და სადღაც წაიყვანა. შენისთანა ხალხს ვეძებთ ჩვენ, უნდა დაგივიროო, უთხრა გზაში. „რას მერჩი, უფროსო, რა დავაშავე ამისთანა?“ „არ იცი, ხომ?“ „არ ვიცი და, რა ვქნა“. „ხარ მუქთახორა? ხარ თუ არა?“ „მე ვარ მუქთახორა, უფროსო?“ „აბა მე?“ „მუშაობს ვინმე, უფროსო, ჩემს გარდა ამ სოფელში?“ „მაგ მუშაობას ვინ ჩავითვლის, კერძოდ რომ მუშაობ და ფულებს ხვეტავ. კოლექტივში უნდა იმუშავო. საზოგადოებას უნდა ემსახურო“. „რავა, კოლექტივში ვმუშაობ მე ვინმეზე ნაკლებს? შარშან მარტომ არ გავმარგლე მთელი ლეკიანი?“ „მერე სხვის მაგივრად რომ თოხნი და ბარავ, შე სულელო, თვითონ შედი კოლექტივში და იმუშავე. შენ რომ შეძლების პატრონი ხარ და რასაც შენ საქმეს აკეთებ, გამირი ჩახდებოდი აქამდე“. ლევანა წამით ჩაფიქრდა. ნეტა რამდენი ხნით ჩამსვამენ და რა მეშველება, იქ ღვინოს ვინ დამალევენებსო, წუხდა. „ავი მანქანა შენია, თუ მთავრობამ მოგცა, უფროსო?“ ცელაქმე ერთხანს



დუმდა, თითქოს შეკითხვა არც გაუგონაო, მერე დაარბია: „არც მე გამიხედები სადავიდარაბოდ. სამოსახლოს მოგკემენ. დასახლი. ცოლი შეირთე. და იცხოვრე ადამიანურად. რას ჰვავხარ, არ იხედები სარკეში?“ „და მანქანასაც ვიყიდი, ხომ, უფროსო?“ „იყიდი, პო, იყიდი. შენ რაღა ხარ, ყველა ყიდულლობს.“ „მერე შოფრობა რომ არ ვიცი? ვისწავლი აწი მე შოფრობას?“ ამასობაში რომელიღაც კიშპარს მიადგნენ. ჩამოდი, მოვედითო, უთხრა ლეიტენანტმა ცელაძემ ლევანას და მანქანის კარი გაუღო. „რომ არ გავს მილიციას, უფროსო?“ გაუკვირდა ლევანას. მილიცია კი არა, ჩემი კარმიდამოა და მუდამ რომ სხვისას მუშაობ, სხვას რომ ეხმარები, ერთი ჩხირი ჩემს ეზოშიც რომ გადააბრუნო, არაფერი დაგიშავდებაო, უთხრა ინსპექტორმა. „დღეში თუ მანი, უფროსო... სხვები ოცსაც მადლევენ, მარა შენ ჩვენი კაცი ხარ...“ „არ გრცხვენია, ლევანა? ჩვენს შორის მაგაზე ლაპარაკი შეიძლება?“ „მაგაზე ლაპარაკი დროზე ჯობია.“ „დაგივირო გინდა მიინცდამინც? არღვევ შენ პასპორტო რევიმს? არღვევ თუ არა? ხარ სადმე ჩაფერილი? გაქვს პასპორტი? მაჩვენე ერთი, თუ გაქვს. საიდან გექნება. არ მითხრა ახლა, შინ დამჩაო... ვიცი მე, ვინ ხარ შენ? იქნება კაცი მოკალი და გამოქცეული ხარ ციხიდან. იქნება ინგლისის ჯაშუში ხარ...“

ლეიტენანტი ცელაძე დაპირდა ლევანას, პასპორტის საქმეს მოგიგვარებ, ვიზრუნებ, რომ კოლმეურნობაში მიგიღონ, ჩაგწერონ და სამოსახლო მოგცენო. მერე სამუშაოზე მიაყენა. საბიფარეშო ჰქონდა გასაკეთებელი და ლევანა უკვე ამ საქმის აღიარებელ სპეციალისტად ითვლებოდა. ლევანამ სახელოები დაიკაბიწა და დატრიალდა. პასპორტი და სამოსახლო ჩალად უღირდა, მაგრამ უგულოდ და უხალისოდ მუშაობა, უბრალოდ, არ შეეძლო, ყველაფერს ერთგულად, ყოჩაღად, სწრა-

ფად და საშველიშვილოდ აკეთებდა. ეს რა ოქრო კაცი ყოფილაო, დიასახლისს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვამშმად დედალი მოუხარმა, საუკეთესო ლენიო გამოუტანა, აბანოც გაუმზადა; რაზედაც ლევანამ თავაზიანად უთხრა უფარი, ხვალ იყოს, სამუშაოს რომ მოვრჩებიო (რა იცოდა, დიასახლისს ქვეშაგების ბედი აწუხებდა, არ ემეტებოდა და დასალუბავად). ნაშუალამევს ნაჭეფიფარმა ლევანამ სიმღერა რომ დააგუგუნა, მთელი ოჯახი დადგა ფეხზე. ძილგატეხილი, გულგანთქილი ცელაძე, ორჯერ მიუვარდა ლევანას, რომ დაგიღია პირი და ბლავი დასაკლავი ხარით, შენ აქ სოფელი არ შემიყაროო. ბოლოს მიხვდა, რომ ლევანას უკვე პირსველარ მოუყარავდა და ხელი ჩაიჭნია, რაც მომივა, მომივიდეს, ჩემი ბრალიაო. დილით გამოუძინებელი გამოცხადდა ინსპექტორი სამუშაოზე, შუადღეზე კი, შინ რომ შემოიარა, საბიფარეშო უკვე მზად იყო. დიასახლისმა უთხრა, ერთი ხელი ქვეშაგები მაინც ნაზარალებია, ბარემ ორიოდღე დამე ვაათოს, სავენახე მიწას გადააბრუნებს და ნაკელს შეიტანსო. იმ საღამოს ლევანას ერთი ლიტრა ლენიო აკმარეს (იქნება ნაკლები იმღეროსო). ის ერთი ლიტრა მალე დაცალა, ერთხანს ნაღვლიანად ილიღინა დაბალ ხმაზე, მერე მძინარე მასპინძელს შეუთვალა, ეს ორი ღღეშენზე ალალი იყოსო, ღობეზე გადაძვრა და გაიპარა.

მომღერალი ლევანა მეორედ რომ შეასახლა ნოემ ფოტოლაბორატორიაში, ნინუცას გული კინაღამ წაუვიდა. ძლივს დაიყოლიეს; ხან ნოე ეხვეწებოდა, ხან გივი, ჩვენი მარჯვენა ხელია, უმაგისოდ ჩვენს მშენებლობას საშველი არ დაადგება და სახლშიც ხომ უამრავი საქმე გვაქვსო, უნდა როგორმე გავუძლოთო. მაგ კაცის ქეიფი, ყბეღობა და სიმღერები ჭკუაზე შემშლის, დამასნეულებს, ბოლოს მომიღებსო, წუხდა,

გიორგი კახალაძე  
აკარავი ღრუბლებზე




წუწუნებდა, ხელებს ასავესავებდა ნინუცა. მართალიც იყო. ლევანა ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა, ყველას თავს აბეზრებდა გაუთავებელი ლაყობით, ერთხელ მოყოლილს ათასჯერ გაიმეორებდა და თუ არ მოუსმენდი, გაბრაზდებოდა, გათავებდებოდა კიდევ. ნინუცას ადრე (საღორეს რომ უშენებდა) ძალიან ეცოდებოდა ლევანა, სულ რჩეულ კერძებს აჭმევდა, ტანსაცმელს ურეცხვდა, საუკეთესო ლვინოს ასმევდა, სუფთა, ახალ ქვეშავებში აწვევდა. მეტისმეტად კმაყოფილმა ლევანამ, სამუშაო რომ დაამთავრა, შეძლებულ ფულს ხელი არ ახლო, თქვენ ისეთი კარგი ხალხი ყოფილხართ, გასამრჩელოს როგორ ავიღებ, ეს საღორე თქვენთვის მიჩუქნიაო. გულაჩუყებულმა ნინუცამ ლევანას ჯარში წასული გივის ტანსაცმელი გამოუტანა და ფრანტივით გამოაწყო. თითქმის ახალი პალტოც კი არ დაენანა. მაშინ ლევანა ნინუცასთან გაცილებით უფრო მორიდებული და ხათრიანი იყო, მერე თანდათან აიშვა, გათავებდა, უხეში და ურცხვი გახდა. ნინუცას ნაჩუქარი ტანსაცმელი: პალტო, ფეხსაცმელი, კოსტიუმი, პერანგები, წინდები ორიოდვე კვირაში ძონძებად აქცია.

შენს თავს ვფიცავ, ლევანა, და, შენი კუმბო დავდგი ადრე და მალე, გივიზე მეტად თუ არ მიყვარდები, ეფიცებოდა ნოე, შენში რომ კაცობა და ადამიანობაა, იმდენი სიკეთე გივიას რომ ჰქონდეს, ამ ცხოვრებაში რა გამიჭირდებოდაო. აბა-პა, ნუ იფიცებ, მაგას კი ვხედავო, ამშვიდებდა ლევანა, მარა გივის საყვედურს ჩემთან ნუ იტყვი, მაგიც კი ბიჭიაო. ჩემს თავს ვაფიცებ, ნინუცას არაფერი აწყენინო, ეხვეწებოდა ნოე, ნუ გააჯავრებ და საკუთარი შვილივით მიგიღებს, თუ არა და, არ ვიცი, რა მოხდება, თავდებად ვერ დავდგებიო.

ნინუცას გულის მოსაგებად, პირველ ყოვლისა, ლევანა სახლის სახუ-

რავზე ავიდა და კრამიტის გადაწყობას შეუდგა. ისე ბეჭითად მუშაობდა, ისე გულდაგულ წმენდადა ყოველ კრამიტს, ნინუცას მის შემხედვარეს რამდენჯერმე ცრემლი მოადგა თვალებზე, შე უბედურო, ვინ დავლუპა, ვინ ჩადგა შენს ცოდვაში, ვინ გავალოთა და წაგახდინა, ერთ კაცს შენ რაში ჩამოუვარდებოდიო. ნინუცა ბიცოლა, შეეხმებოდა დროდადრო ლევანა ზემოდან, ახლა ვინ ხურავს სახლს კრამიტით. კრამიტობა კარგა ხანია დამთავრდაო. ახლა შიფერია მოდამი. მომიტარე შიფერი და ისე დაგიხურავ ამ სახლს, მის დღეში წვეთი ვერ შემოყოწიანავსო. მე მაინც კრამიტი მიჩვენებიაო, პასუხობდა ნინუცა, რომელიც ძირს ტრიალებდა, პეტრესთან ერთად ლევანას დაწუნებულ, ძირს გადმოყრილ კრამიტს გვერდზე აწყობდა და ახლებს აწვდიდა თოკზე მობმული კალათით. თუ გირჩენია, იყოსო, ამბობდა ლევანა, ჩემს ნახელავს მაინც ვერ დაიწუნებო, კი ხანს არ გამოუარს წვიმა, მარა მერე ისევ მოედება ხავსი, ისევ გასაწმენდი, გადასაწყობი გახდებოა. სახურავს რომ მორჩა, ბოსელი შეაკეთა, მერე თხრილები ამოწმინდა, ციტრუსები შებარა, ნინუცას ჩაის სხვლაში მიეხმარა. აბა ჰე, ჩემო საყვარელო ძმაო და ძმობილო, აქეზებდა ნოე, კაცი არ ვიყო, თუ პატივისცემა ორმაგად არ დავიფასო. როცა კი მეტყვი, იმ საათში ანგარიშს გავისწორებო.

ერთ წვიმიან დღეს ლევანამ მართლა მოითხოვა „ხელფასი“ გავივლ-გამოვივლი, თვალს წყალს დავალევივინებ, გავიპარსები, აბანოში შევალ, ტანზე და ფეხზე ვიყიდო. არც წვერი გაუპარსავს, არც აბანოში შესულა, თითზე გადასახვევიც კი არაფერი უყიდიო, რესტორანში შევიდა, გამვლელ-გამომვლელი, ნაცნობი და უცნობი — ყველა დაპატიჟა, უკანასკნელი კაპიკი დახარჯა, საღამოს ბედნიერი, კმაყოფილი დაბრუნდა ფოტოლაბორატორიაში, იქ დღემდე მღეროდა, ხანდახან მოკლე-მო-



კლე სიტყვებსაც წარმოთქვამდა საზეიმოდ, მაღალფარდოვნად: „გაუმარჯოს ადამიანობას, ურთიერთგაგებას, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას... ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა!“ დილით ნოემ უსაყვედურა, ეს რა ჰქენი, ამდენი ფული ასე უაზროდ როგორ დაფანტეო, არ გირჩევნია, დასახლდე, შენი კუთხე გაიჩინო, ოჯახი შექმნაო? მე ჩემს ცხოვრებას სულაც არ ვწუნობო, მიუგო ლევანამ, რაცა მაქვს, იმაზე მეტი არაფერი მინდა, ან ფული ვის უნდა შევუნახო და რაში დავხარჯოო. სულაც მუქთად ვიმუშავებდი, მით უმეტეს, შენისთანა კაცურ კაცთან, მაგრამ უფულოდ მუშაობას დიდი ხალისი არა აქვს, გულს ვერ ვუღებო. როცა ვიცი, რომ კაცმა გასამრჯელო უნდა მომცეს, ყველაფერი უფრო ადვილად და უკეთესად გამომდის ხელიდანო. ფულის შენახვა (თუკი ამას მოახერხებდა) მხოლოდ ერთი რამისთვის უხაროდა ლევანას: თუ სასწაული მოხდებოდა და ვინმე დაესესხებოდა, არ გაეწბილებინა. ვის უნდა ეთხოვა მისთვის ფული? ყველამ მშვენივრად იცოდა, რა დამგროვებელი და შემნახველიც იყო. მაგრამ თუ სთხოვდი, უარს არაფრით არ გეტყოდა, სასწრაფოდ შემოივლიდა მთელ სოფელს, ყველა ოჯახს, სადაც კი როდისმე რამე გაეკეთებინა. ზოგან დარჩენილი ექნებოდა რაღაც ასაღები, ზოგანაც ისესხებდა. ასე გაუმართა მან ხელი პეტრესაც და ამით საბოლოოდ მოინადირა ბიჭის გული. მოხდა ისე, რომ პეტრე გივის მანქანით ერთ თავის თანაკლასელს ესტუმრა მეზობელ სოფელში. იქ გამოქექილ ყომარბაზებს ჩაუვარდა ხელში, რომელთაც თაღლითურად ჩაითრიეს აზარტულ თამაშში. ჭერ წაათამაშეს, წაახალისეს, კარგა ბლომად მოაგებინეს, მერე ნელ-ნელა მოგებულ იც წაართვეს და ჭიბეც გამოუცარიელეს. პეტრემ თამაშიდან გამოსვლა რომ დააპირა, პარტნიორებმა ნისიად თამაშის უფლება მისცეს, გენდობითო,

უთხრეს, სანდო ხალხს ჩვენ ერთი შეხედვით ვცნობთო, კარგი ბიჭი ხარ, წაგებული რატომ უნდა წახვიდე, ვინაა გრძე, იქნება დაიბრუნოო. პეტრე მაშინდა მიხვდა, რა ხალხთან ჰქონდა საქმე, ვალმა ექვსას მანეთს რომ მიადწია. მეყოფაო, ადგა და წამოსვლა დააპირა, მაგრამ ვინ გამოუშვა, კატეგორიულად მოსთხოვეს ანგარიშის გასწორება. ასი მანეთი სახლში მაქვსო, განაცხადა პეტრემ (ჰქონდა ძმების ნაჩუქარი), დღესვე მოგიტანთ, დანარჩენი კი ცოტა ხნით უნდა მადროვოთო. თაღლითებმა პეტრეს მანქანის გასაღები წაართვეს და დამეუჭრნენ, საღამომდე თუ ფულს არ მოგვითან, მანქანას საბურავებს დავხსნით და წავიღებთო. შეშინებული პეტრე მაშინვე გამოქანდა შინისაკენ და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ჭერ ციციონს გივის ნაჩუქარი სამასი მანეთი მოჰპარა (ციცინო სკოლაში იყო), მერე კი ლევანა მოძებნა და თავისი გასაჭირი შესჩივლა, თავს მოვიკლავ, თუ სასწრაფოდ ფული ვერ ვიშოვებო. ლევანამ ერთ საათში შემოირბინა მთელი სოფელი და პეტრეს ორასი მანეთი ჩააბარა. სკოლიდან დაბრუნებულმა ციციონმა ვანგაში ატეხა, ვილაცის გავუქურდივარო. ძლივს გააჩუმა პეტრემ, მე ავიღე, აუცილებელ საქმეზე მჭირდებოდაო. ისიც უამბო, რა საქმეზე სჭირდებოდა. არც ის დაუმაღავს, ლევანამ როგორ უშველა. ხელსაყრელი შემთხვევა რომ იშოვა, ციციონმა დედას უამბო ყველაფერი. მთელი ეს ამბავი ის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა, ნინუცას მოთმინების ფილას რომ აკლდა. მერე დილით, შვილები სახლს გარეთ რომ დაიგულა, კარგად აღესილი ცული გამოიტანა და ლევანას დაუძახა. ნამთვრალევი, თმაბურძენილი, გაუპარსავი შეშინებული ლევანა ფოტოლაბორატორიიდან გა-

გიორგი კეზაბაძე  
კარავი ღრუბლებზე

მოდერა და იქვე გაშეშდა. ქალის ხელში მოლაპლაპე ცულს შეკუყრებდა და გასაქცევად ემზადებოდა (წუხელ რალაც ნამდვილად დამიშავებიაო). მომყევით, უთხრა ნინუცამ და აკაციები-სკენ გასწია. გაკვირვებული ლევანა ზღაზღენით, თვალების სრესით მიჰყვა. ნინუცა ერთ-ერთ ხესთან მივიდა, ჭერ თვითონ შემოაკრა რამდენჯერმე, მერე კი მოახლოებულ ლევანას მიმართა „მოდი, თუ ჩემი ხათრი გაქვს, მომიჰკერი ეს ხე“. ლევანა ვერც კი მიხვდა, რა უთხრეს, ისე მოულოდნელი იყო მისთვის ეს თხოვნა. კვლავ თვალებს ახამხამებდა შეშინებული და აბურძგნილ თავს იფხანდა. ვაითუ ახლოს მიმიტყუოს და ცული თავში ჩამქრასო, ფიქრობდა. „მოდი, ბიჭო, რამ შეგაშინა...“ ლევანამ გაბედა, მივიდა და ფრთხილად გამოართვა ცული. „ეეს? ნინუცა ბიცილა?“ „ჰო, ჰო, მაგი. გშოა იქნება... რაცხა ნამეტანი ნელა ირჩები. წამო, ისაუზმე ჭერ. თუ გინდა, ერთი ჰიქა ლინოც დალიე, ჯანზე მოხვალ“. „ჯანი მაკლია მეე?“ „მიდი, აბა,“ ლევანა ციბრუტივით დატრიალდა და რამდენიმე წუთში იმოდენა ხე ლაწანით დაენარცხა ძირს. „ყოჩად, ლევანა, ყოჩად... ეს რა მალე წააქციე, ბიჭო“. „ამ ხეს ტყუილად კი არ ჰქვია, ნინუცა ბიცილა, მიმოზა... ყველივით იჭრება. ერთ საათში ერთიც არ დამრჩება ზეზე, თუ გინდა“. „კაი, კაცო... მართლა? ახლა კი ტრაბახობ, ლევანა“. „მე და ტრაბახი? რა მაქ მე სატრაბახო?“ „მიდი აბა, მოჰკერი მეორე“. „მართლა, თუ ხუმრობ?“ „რა მეხუმრება, მიდი, მიდი“. ლევანამ ხელებზე დაიფურთხა, ცულის ტარი მაგრად ჩაბლუჯა, ვაშმაგებით დასცხო და ერთ წუთში მეორე მიმოზაც გაიშოტა ძირს. „ოო, ეს მართლა რეკორდული იყო... ახლა მესამე“. ლევანამ ცული ხელიდან გაავდო, თვალების ხამხამს მოჰყვა. „კი მარა... ამ ხეების აჩეხვა რაფერ შეიძლება.“ „რეიზა ვითომ?“ „აგი მიმოზები არაა?“ „მერე?“ „ეესენი ხომ ოქროს ისხამენ“.

„კარგად ვიცი მე, რასაც ისხამენ. მიყევი ახლა და არ დატოვო“. „მერე ნოე და გივი რომ ემზადებოდნენ, რა ექნა მაშინ?“ „ამ სახლში მე ვარ ჭერჭერობით უფროსი“. „ამ ხეებს ბევრი ფული სცოდნია, ნინუცა ბიცილა“. „ბევრი ფულიც სცოდნია და ბევრი უსინდისობა და გათახსირებაც“. „აბა ფული და სინდის-ნამუსი სად გაგონილა ერთად, მარა მთლად უფულობაც რომ არ ვარგა?“ „შენ, ბიჭო, იქნება მართლა გგონია, რომ ეს ხეები რამედ ღირს?“ „რა ვიცი, კი ამბობენ, ნოე და გივი ამ ხეებმა გაამდიდრაო“. „სისულელეა. ასე რომ იყოს, მოგაჭრევივინდი? გივი ვარ? მიდი, მიდი მიყევი საქმეს. თუ დაიღალე, დაისვენე ჭერ“. „რა დამელიდა...“

ასე იყო თუ ისე, დააჯერა ნინუცამ ლევანა, რომ ეზოს ვაწმენდა მეტისმეტად მომრავლებული ყვითელი აკაციისაგან აუცილებელი და საჩქარო საქმე იყო. ისიც მიჰყვა და პირწმინდად აჩეხა ყველა, დიდიან-პატარიანად. ის იყო, ბოლო ხეს უტრიალებდა, ნინუცა კი საშხარეულოში ფუსფუსებდა, ლევანას სამალარიჩო პურ-მარილს უმზადებდა, რომ ნოე და გივი შემოცვივდნენ ეზოში. ისინი მშენებლობაზე იყვნენ და ვილაცას ამბავი მიეტანა, თქვენი სახლის ეზოდან დილას მერე ნაჯახის ხმა და წაქცეული ხეების ლაწანი ისმისო. მაშინვე მიატოვეს ყველაფერი და შინისაკენ გამოქანდნენ. ვერაფერი ვერ გადაარჩინეს. ლევანას თითქმის დამთავრებული ჰქონდა თავისი შავი საქმე. როგორც კი მათი შეშფოთებული სახეები დაინახა, ლევანა მიხვდა, რომ მწარედ მოატყუა ნინუცამ. „შეჩერდი, ლევანა! მოგვალე! ვერ გადამიჩრები, იცოდე!“ ლევანამ ცული იქვე მიაგდო და ღობეს გადაეკლო. შორს არსად წასულა, იქვე გაჩერდა, ქმებს გალახული ძაღლივით ცერად გაკუყრებდა გასაქცევად გამზადებული. იმედი ჰქონდა, იქნება ავუსნა და გაეაგებინო, რომ არაფერ შუაში ვარო. ნოე და გივიც შეჩერდნენ.



„რა ჰქენი ეს, შე უტვინოვ, — დაუძა-  
 ხა გივიმ. — ამ ხეების აჩეხვა შეიძლე-  
 ბოდა? როდის მოასწრო მაინც“. „რა  
 მექნა, გივის ვენაცვალე, — ხელები გა-  
 შალა ლევანამ. — მე პატარა კაცი ვარ.  
 მეტყვიან, მოკერიო, მოვჭრი, მეტყვიან  
 არ მოჭრაო, არ მოვჭრი...“ „მერე ვინ  
 გითხრა, შე დამპალო, მოკერიო? ვინ  
 დაგავალა?“ ამ ყვირილზე ნინუცაც გა-  
 მოსულიყო სამზადიდან, მათკენ მო-  
 დიოდა. ხელები ფქვილიანი ჰქონდა, ხა-  
 ჰპურს უცხოებდა ლევანას. „ვინ დამა-  
 ვალებდა... ნინუცა ბიკოლამ“. „დედა,  
 შენ?“ „კი, მე ავაჩეხინე. აბა თავისით  
 რას გაბედავდა. ლევანა არაფერ შუა-  
 შია“. „დაგვლუბე, დედა?“ — იყვირა  
 ნოემ. ლევანა ლობესთან მოჩოჩ-  
 და: „ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მაგ მი-  
 მოზა ისე სწრაფად იზრდება, ამ გა-  
 ზაფხულზე ერთის ადგილას ხუთი ამო-  
 ვა... ზღაპარში რომ გაგიგონია, დევს  
 ერთ თავს მოჭრიან და იქვე ცხრა ამოუ-  
 ვაო“. „გაჩუმდი, შე ლოთო, — უყვი-  
 რა ნინუცამ. — მე ცოცხალი არ ვარ თუ

რა გგონია შენ? ერთიც ვერ ამოვას ერ-  
 თიც...“ გივი ზურგით ლობეს მიყვირ-  
 ნო და ხარხარი აუტყდა: „ღრუჭებზე  
 დგას თეთრი კარავი... ამაყი კარავი...  
 ახ, ნინუცა, რა ხარ შენ... კალთებზე-  
 მოქენძილი... შიგ კი სულელები ცხო-  
 რობენ...“ სამზადიდან ცხელი ხაჭა-  
 პურის მადის აღმძვრელი სუნი მოიჭრა.  
 ლევანას ნესტოები შეუთრთოლდა, ლო-  
 ბის სარს მოეჭიდა: „გადმოვიდე?“ იკი-  
 თხა ყოველი შემთხვევისათვის. გააფ-  
 თრებული ნოე ცულისკენ გაქანდა, ხე-  
 ლი დასტაცა და ლევანას ესროლა. „გაე-  
 თრიე, შე დამპალო! გაეთრიე აქედან!  
 არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თორემ  
 შემომაკვდები, იცოდე!“ ლევანამ ცუ-  
 ლი ადვილად აიცილა, ლობეს უხალი-  
 სოდ მოსცილდა და დაღონებული ძუ-  
 ნძულით დაეშვა დაღმართზე.  
 გივი სამზადისკენ გარბოდა. ხაჭა-  
 პურის სუნმა გაახსენა, რომ დილას  
 აქეთია ლუკმაც არ ჩაედო პირში.  
 — ლევანას პურ-მარილია, ხომ, ნი-  
 ნუცა? არ შეგვერგება, ვითომ?



რაღაც ხომ უნდა იყოს, რისი გულისთვისაც  
 შეგიძლია თავი გაწირო —  
 ან დროშის აბრეშუმში,  
 ან აბრეშუმით სრიალა სიტყვა...  
 თუმცა დღე და ღამე გეჩიჩინება ქალაქი —  
 შენი გაცნობიერებული მტერი,  
 ბედნიერი ხარო,  
 რადგან მოწესრიგებული გაქვს ყოფა.  
 არც სახელი გაკლია,  
 არც ცხოვრების პატარ-პატარა სიამენი,  
 მაგრამ როცა შენ ამ თემაზე ფიქრობ,  
 ვინ იცის, იმიტომ, რომ სიტყვის ხატოვანებაზე  
 ხარ ჯაკვით გამობმული,  
 თუ ალაღად შენატრი პეპელას,  
 ყველა სულიერზე უფრო,  
 რადგან ის არც ჭამს, არც სვამს,  
 არც სხვა რაიმე სამარცხვინო საჭიროებებზე ფიქრობს,  
 არც იმას ანგარიშობს,  
 ვისზე ძლიერია და ვისზე სუსტი,  
 რომ შესაბამისად დათრგუნოს, ან მიელაქტოს,  
 თავისთვის დაფრიალებს და კვდება  
 ყვავილების ქვეყანაში...  
 მის ხავერდოვან ტანში ფიქრის მოწყობილობა  
 არ ჩაუყოლებია ღმერთს  
 და ამიტომ მან არ იცის, რომ ზამთარი  
 კირით შელესავს ყვავილების ქვეყანას,  
 როგორც ურჯულო ეკლესიის ფრესკოვან სარჩულს.  
 ამაყ და ძლიერ მგელს  
 მშვიერი მათხოვარივით დაარბენინებს,  
 მშიშარა კურდღელს  
 ფუფუნების დამრეც კალთაზე დააგორებს  
 და სოროს შესაძლებლობას დაანახებს,  
 თვითონ კი სასტიკია და ცალკერძა  
 კრინის ყლორტიც და ბანების ვულკანიც  
 მის მკერდზე გახამებული თეთრი მაქმანით  
ბოლოვდება...

და არ ჯობია ამ ჯახირს  
 და სოროში კანკალს,  
 პეპელას ფრიალივით ხანმოკლე წუთისოფელი,



ერთხელ ჰრელი, ერთხელ ბინდისფერი,  
როცა შეგიძლია თავი გაწირო  
ან დროშისთვის, ან კაცისთვის,  
ან მიწისთვის, ან წიგნისთვის...

### კატარჯისი

ჩემი მშვენიერი კლასიკა!  
საღაც, ყმაწვილობის მიჯნაზე მდგარი  
ნატიფი სვეტი პართენონის,  
ელსინორის კოშკის მაკეტი  
და გმირები — ჟოლოსფერი ხავერდის ვულკანები,  
მათი ყოველი სიტყვა ზმნაა,  
წამლევადი და მდინარეში ჩამდგები,  
რასაც ნათლისღება ჰქვია,  
ნაპირზე სისხლისმსმელი მენადები კივიან,  
ალისფერ აბრეშუმში გამოკვართული ტურები,  
და ამდენი მაყურებელი ისე იტრუნება,  
თითქოს ნაცვალსახელის ერთი დიდი  
უსახო საბანი გადააფარეს...

„ისინი“ და „შენ“ —  
ერთგვაროვანი, მშიშარა მასიდან  
გამოწეილი წვეთი აღტკინების,  
რომელიც მალე ჩაიწრიტება  
უნივერსიტეტის — მარჩენალი დედის  
მკაცრ თეთრ კალაპოტში  
(ვივა აკადემია! ვივა პროფესორე!)  
და მაშინვე გაუჩნდება თვალსაზრისი,  
რაც მნიშვნელობით ბავშვის გაჩენას უდრის!  
ამ დროს ვულკანები შეგიძლია სინათლესავით

გამორთო,

რადგან მათი ჟოლოსფერობა  
მარტივი ბუნების ხალხზეა გამიზნული  
შენი თვალსაზრისით კი,  
შეიძლება ბათქაშამორღვეულ კედელთანაც  
გაითამაშო ისეთი ტრაგედია,  
რომ სოდომის ცოდვას,  
რომელიც ეროვნული ბუნების გამო  
კდემამოსილ სახეს ატარებს,  
რაც ასჯერ უფრო დიდი ცოდვაა,  
ჩამოგლიჯო ნაოქასხმული,  
ყელამდე შეკრული სამოსი  
და შიშველი გამოიყვანო  
მოწიფული გონების სამსჯავროზე.  
ჩემი ძვირფასი კლასიკა!  
დრომ და გარდაცვლილმა მშობლებმა  
ჩამიქრეს აღმატებითი ხარისხის ვულკანი




აღარც სცენის თვალისმომჭრელობა მზიბლავს,  
 არც მისი იამბიკო მეჩოთირება,  
 ვლამბარაკობ ყოველდღიურ საქმეებზე  
 ჩვეულებრივი ყოფითი ენით,  
 აქა-იქ შემორჩენილი ჟარგონით  
 და, უცებ, სადღაც მეტაფორა გამოკრთება,  
 როგორც ხორბლით, სიმინდით, ხეხილით  
 დატვირთულ მიწაზე  
 სარეველა ყვავილი, უსარგებლო,  
 მაგრამ მშვენიერი...  
 აი, ამ ყვავილივითაა ბედნიერება,  
 როცა ადამიანს შეუძლია ზოგჯერ  
 ქოლოსფერი ხავერდის ვულკანი იყოს,  
 საიდანაც ამოხეთქავს ისეთი მონუმენტური ვნება.  
 რომ ერთხელ იქნება,  
 ვერც კი დათრგუნავენ მას,  
 ჩემო ძალმოსილო კლასიკა!

ყველაზე შეუსაბამო დროს იწერება ლექსები,  
 როცა ყოფა ისე დაგაწვება,  
 როგორც მტვிரთავს საკუთარი კუბო,  
 ყველანაირ კარადაზე მძიმე,  
 რომელიც თავის სიცოცხლეში უთრევია...  
 ან უახლოესი ადამიანი გაწყენინებს,  
 ან ტკივილის სალტე ისე მოგიპერს,  
 რომ გათავდა, მეთორმეტე სართულიდან უნდა გადახტე...  
 ამის ნაცვლად, თითქოს წვიმა გინდა გადაიკარო,  
 შენს ბუნაგში შეიკეტები,  
 საჩვენებელ თითს შექარყინულივით ჩაიდებ პირში  
 და წაუწვები შენს ტკივილს...  
 ეკეკლუცები კიდევ მას,  
 რადგან ყველა ადამიანი ცოტათი მაზოხისტია.  
 და ისეთი ხატოვან-სინონიმებიანი ლავა  
 ამოგდის პირიდან, რომ თვითონვე გიკვირს,  
 ზოგჯერ კი საწერ მაგიდასთან ზიხარ,  
 კოხტად ჩაცმულ-დახურული,  
 არაფერი არ გაწუხებს, პირიქით,  
 მშვენიერ ხასიათზე ხარ,  
 მაგრამ ტვინი ისე გეყინება,  
 თითქოს ტელევიზიის პროგრამის გარდა  
 არაფერზე არ გიფიქრია შენს სიცოცხლეში...  
 მაგრამ როდესაც თავი მტკივა,  
 როცა მამაჩემის კუბო დგას ოთახში,  
 როცა ჩუტყვავილა ისე დაასვირინგებს ბავშვს,  
 თითქოს შავ ანგელოზებს ეთამაშება,



საბოლოოდ ვრწმუნდები,  
რომ ადამიანი მთელი სიცოცხლე ტკივილია  
და წამლის ძებნა  
დედისთვის, შვილისთვის, მეგობრისთვის,  
მაგრამ არა საკუთარი თავისთვის  
რადგან ტკივილიდანაც იქნებ რამე გამოდნეს!  
საკვირველია, როგორ ეტყუებებიან ასე  
ვაკრული გამორჩენის ნიჭი და ხელოვნება,  
უმადლესი გაკირვების უამს  
ბუნაგში რომ შეგაგდებს,  
სალოკ თითს პირში ჩაგადებინებს  
და ისეთ სინონიმებიან — ხატოვან ლავას  
ამოგიფრქვევს პირიდან, რომ გეშინია,  
საწერი მაგიდა არ გადაბუგოს  
თავის ქალღღებთან-წიგნებთანად,  
კაპიკის ფასიც არ ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს,  
რომ ყველაზე შეუსაბამო დროს  
არ იწერებოდეს ლექსები...



## სარკვე

ჩემი მარჯვენა — შენი მარცხენაა.  
ვდგავართ ყოველთვის პირისპირ ან ზურგშექცეულნი.  
მე რომ გავდივარ, — შენ, ცხადია, ადგილზე რჩები,  
მე ვბრუნდები და ერთმანეთს მხოლოდ  
მაშინ ვიხსენებთ.

შენს მიღმა — მხოლოდ კედელია (რას მოსთხოვ კედელს),  
ჩემს მიღმა — თითქმის ყველაფერი (და ყველა თითქმის)  
ფიქრის ეკლებიც,  
შიშის წუთიც,  
ცრემლის სისველაც,  
და მე არ ვიცი, მაინც რისთვის მოვდივარ შენთან?

ჩვენს შორისაა  
თვით კონტრასტიც სითბო-სიცივის.  
ჩვენს შორისაა  
გარჩევა და განურჩევლობაც:

ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი არაა.  
შენთვის — ყველაფერი სულ ერთია,  
მიყურებ ღია თუ დახუჭულ თვალებით...

თვალებს ვახელ და გეკითხები:  
„რალა გვაქვს საერთო?!“  
...ტუჩების მოძრაობაზე გემჩნევა, რომ  
იმასვე იმეორებ:  
„რალა გვაქვს საერთო?...“

## თოვლი

ჩემი ნაბიჯი  
მე არასდროს არ დამითვლია —  
ეს თოვლი ითვლის!  
თოვლი ჰყვება ნაბიჯებს ჩემსას,  
თითქოს ამბობდეს, რომ ადგილი ტერფების ხელა  
მეც შეკუთვნოდა მცირე ხნის წინ, —  
მცირე ხნის ვადით.

მხოლოდ თოვლი თუ მიმასსოვრებს  
და ამბობს რამეს.  
თოვლი, რომელიც  
ვინ იცის და, არცაა თეთრი, —  
უბრალოდ, ყველა დანარჩენი ჩანს უფრო მუქი,  
უფრო გამძლე და  
ხანგრძლივი თოვლზე.

## მოსკვენობა

მრავალგანზომილებიანი ვანცდა.  
დაახლოებით ისეთი,  
როდესაც კარი არა ჩანს და,  
მაინც ვილაცა აკაკუნებს.



### პატარა კახის გახსენება

დამარცხებული ვერ ისვენებს  
მხოლოდ და მხოლოდ, —  
დაწრიალებს და შმაგად ქმნილი  
აწყდება კედელს.  
კრიკა არ ეხსნის,  
არ გადასდის გამშრალი ლუქმა,  
არ ესმის ზათქი  
ხის ტაბლაზე დაქნულ მუშტის...

დამარცხებული ვერ ისვენებს  
მხოლოდ და მხოლოდ, —  
ქარის მოთქმაში ანამღვრევი  
ტალღების ხმაზე,  
და წინაპრების  
გალოკილი ძვლების ჭრიალში  
თვალს ვერ ხუჭავს და  
თუ დახუჭავს — არ ეძინება!..

დამარცხებული ვერ ისვენებს  
მხოლოდ და მხოლოდ...

### სამკაუთხედი

რითი ვიმართლოთ თავი  
იმ ლექსთან,  
ჩემს გამო რომ დააყრიან  
სიცილის კენჭებს?

რითი ვიმართლოთ თავი  
იმ ქალთან,  
ჩემს გამო რომ გააწნავენ  
სიტყვას და სილას?

რითი ვიმართლოთ თავი  
იმ ხესთან,  
ჩემს გამო რომ დახერხავენ  
ბოლო ფიცრებად?...

ნაირა გელაშვილი

## „აპბრნი, შპბრნი და არაპბნი...“

მოთხრობა

I

ახლა წვიმს. საღამოა. შინ მარტო ვარ. სექტემბერია, ფოთოლცვენა უკვე დაიწყო. ფანჯარასთან ვდგავარ და ვფიქრობ, ვინ იცის, მერამდენეჯერ ვიხსენებ, როგორ მოხდა ყველაფერი. ოთახში ბნელა, მხოლოდ ლამპიონების ყვითელი, რბილი შუქი შემოდის ქუჩიდან. მერე სინათლეს ვანთებ, მაგიდასთან ვკდები და ვიწყებ წერას. რა დღე იყო მაშინ? გამახსენდა. ძალიან უბრალოდ დაიწყო ყველაფერი.

ხუთშაბათ საღამოს დამირეკეს და მოთხრეს, შაბათს დილაადრიან მივიღე ვართო. საკუთარი მანქანებითაც შევცემლო წავსულიყავით, თითქმის ყველას გვქონდა, მაგრამ ავტობუსი ვარჩიეთ, იმ მოსაზრებით, რომ ერთად უფრო მზიარულად ვიქნებოდით. იმათ... თორემ ჩემთვის სულ ერთი იყო, მსუბუქი მანქანით გავემგზავრებოდი თუ ავტობუსით და, საერთოდ, წავიდოდი თუ არა. ხათრი ვერ გავუტეხე. თან რა მიზეზი უნდა მეტქვა? ივლისია შუა რიცხვები იდგა, ცოლ-შვილი ყველას გაგზავნილი გვყავდა, ვის სად და ვის სად, ესე იგი, „თავისუფლებით ვტყუებოდით“, უფრო სწორად, ასე ითვლებოდა, თორემ როგორც კი სახლები

ცარიელდებოდა და ყოველდღიური ოჯახური თუხთუხი წყდებოდა, მე, მაგალითად, ვნებადვდი, რომ ეს თავისუფლება ბევრში აღარაფერში მჭირდებოდა. მივეგდებოდი ხოლმე სამსახურის შემდეგ, თბილისური სიცხით დაოსებული, დაეუშვათ, საძინებლის მაგივრად, შუა ოთახში და ფიქრსაც ვერ ვაზერებდი. ირგვლივ ავეჯზე ძტვერი გროვდებოდა, და სამზარეულოში — გასარეცხი ტურქელი. დაეუშვათ, ამ დროს ქალებთან კი არ მივიდიოდი, შინ მოგვეყავდა (თუ ვინმე გულისხმინრი შეგვეგდებოდა იმ ზაფხულს, მაშინ ავეჩიდან მტვერი ქრებოდა და ტურქელიც ირეცხებოდა: აკრძალული გზით შემოდოდა სისუფთავე), ესეც ისე, კაცმა რომ თქვას, სეზონი რომ გამოგვეყენებინა, თორემ მე, მაგალითად, მთელი თვე ისე ვავიდოდა, ქალის არსებობა არც მახსენდებოდა. ცოლთანაც დიდი ხანი იყო, უფრო მოვალეობას ვიხდიდი, თან, რომ არაფერი ეფიქრა. ვერ ვიტყვი, რომ ფიზიკურად სუსტად ვგრძნობდი თავს. უბრალოდ, თანდათან უნალისობა და უსურვილობა დამჩემდა და ეაეც ისე ჩემად და ბუნებრივად მოხდა, რომ მაინცდამაინც არ მაწუხებდა... ერთი



სიტყვით. მაშინაც არაფერი მინდოდა. წასვლა მეზარებოდა, მაგრამ უარი ვერ ვთქვი. კიდევ ვინ მოდის-მეთქი. ჩვენი გასყოფილება თითქმის მთლიანად. ორნი რაშჩენკოს განყოფილებიდან და სამოც უცნობი ქალიო. ერთი იღას ამხანაგაა. არ ვიცი, მსახიობი თუ მხატვარი, ერთი რუსუდანს მოჰყვება, შორიდან ვიცნობ, ძალიან ლამაზი ქალია, ცისფერთვალეა, და მესამე ვიღაც მიიხრა. იმისი ბიძაშვილიაო.


ჩვენი ქალებიდან, ყველანი ამხანაგებად მიმაჩნდა იდაა გარდა. იაიცი, კაცმა რომ თქვას, მაგრამ მგონი, თვითონ არა ფიქრობდა ასე შარშანდელი ზაფხულის შემდეგ. ამიტომ ყველანაირად თავა ვარიდებდი. სხვათა შორის, არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რომ ერთი ორჯერ მწარედ გადმომკრა (რაც უსამართლობად ჩავთვალე და ქალების აუტანელ ხასიათს მივაწერე), მაგრამ ჩვენმა ურთიერთობამ ბუნებრიობა დაკარგა და ეს მართლა მწყინდა, რადგან ზნედი იყო, რომ ჩვენი ამხანაგობა წყალმა წაიღო, რაც გადაქარბებად და ზედმეტობად მიმაჩნდა. დიდი ამბავი, ერთმანეთი გინდოდათ და ერთად იყავით, რა აუცილებელია, მერე ერთმანეთი დაქამოთ-მეთქი, ასე ვფიქრობდი. თან მაინცდამაინც ჩემი წამოწყებით არ დავახლოებულვართ და არც არაფერს დავპირებდით. ახლა რაღა უნდოდა, აზრზე არ ვიყავი. მაგრამ ხომ ყოველთვის ვიცოდი, რომ თუ გინდა ქალი დაკარგო (ადრე თუ გვიან) უნდა ფიზიკურად დაუახლოვდე. სულ ერთია, ცოლია, თუ ისე... ცოლ-ქმრობა ხომ ამის უტყუარი გარანტიაა. სხვაგან არა, როგორც ვხედავ, მაგრამ, ჩვენში რატომღაც ასე ხდება. რატომ, არ ვიცი, ამაზე აღარ მიფიქრია.

არა, რას მოვავოლე ეა ყველაფერი? ჰო! ერთი სიტყვით, იდაა წამოსვლა არ მესამოვნა. ჩვენი ქალები არ ითვლებოდნენ. ყოველდღე ცხვირწინ არა მყავდნენ ამსახურში? ასე რომ თუკი რაღაცამ ოდნავ დამაინტერესა და მი-

მიზიდა, ის სამი უცნობი ქალი თუ შელიშვილი იყო. აი, იტყვი რაიმეს და რომ დაფიქრდები, შეიძლება სულაც არ იყოს ისე, როგორც თქვი. ახლაც არ ვიცი, მართლა დამაინტერესა და ცოტა ხალისი გამიჩინა, თუ ჩემს თავს მევე ვარწმუნებდი: სამი უცნობი ქალი მიღია, თანაც ერთი ძალიან ლამაზი უოფილა, წადი, ცოტა თვალს წყალი დააღვეინე, ვინ იცის, ვინ არიან-მეთქი. რაიმეს ხომ უნდა ვაპყოლოდა გუული. თორემ ხევსურეთში სამჯერ-ოთხჯერ ვიყავი ნამყოფი და მართალი რომ ვთქვა, ახლა არაფერი აღარ მეძახდა. ათენგენობა, ლაშარობა და მსგავსი რამ საჩემო ვართობა არ იყო. იქ არაფერი მეგულებოდა.

აი, რას ნიშნავს, რომ წერას ისე გადავეჩვიე, ხვირიანად არც დაგჩვეულვარ. ვინ იცის, რამდენმა წყალმა ჩაიარა მან შემდეგ, ერთი სული რომ მქონდა, როდის მივიდოდი შინ, ჩემს ბნელ, პატარა ოთახში და როგორ მივუჭდებოდი საწერ მაგიდას, რომელიც დაბალი ფანჯრის წინ იდგა და სულ კრიალი გაქონდა. ვწერდი და ვწერდი. აზრზე არა ვარ, რა მქონდა იმდენი საწერი. მაგრამ ციებანივით ვწერდი, სულმოუთქმელად, დღიურებს, ნოველებს, ლექსებს, ათას რამეს. მერე, ოჯახი რომ წამოვიკიდე და ჩემი დღე მაცურად და შეურყვევლად განაწილდა სახლსა და სამსახურს შორის, წერიაათვის ვიღას ეცალა. მაგრამ, ეს იყო, პირველ წლებში რაღაც აუტანელი სურვილი მიჩნდებოდა ხოლმე მარტო დარჩენია. მეჩვენებოდა, რომ ცოტა ხნით მაინც სადმე მარტო თუ არ დერჩებოდი, ნამდვილად გავგიჟდებოდი. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც მარტო დავრჩი და არც გავგიჟდი. სხვაზე ნორმალურ კაცად მიმაჩნდა თავი და, სხვათა შორის, სხვებიც ასე თვლიდნენ. მერე კი, წლების შემდეგ, როცა ბოლოსა და ბოლოს,

ნაირა ველაშვილი  
„ამბრნი, უამბრნი და არაბნი...“



მარტო დავრჩი (ბავშვები წამოიზარდ-  
ნენ და ახლა ცოლა უკვე მარტოს მი-  
ყავდა მთელი ზაფხულით), გამალიზია-  
ნა კიდევ ამ მარტობაში, რადგანაც ის  
დრო გამახსენდა, როცა ასე ვნატრობ-  
დი ამ დროს, და ის დროც, როცა ჩემი  
მარტობის ყოველი წუთი პირთამდე  
სავსე იყო ათასი რამით, ცხადია, ში-  
ნაგანით. ახლა კი აღარაფერი მქონდა  
გააყვებელი. ადრე ჩემს თავს ვეძებ-  
დი, ახლა კი ჩემი დანახვაც აღარ მინ-  
დოდა.

აი, განა რა დრო გავიდა და სად  
ვიცხოვრე, რომ დავწერე თუ არა ეს  
სიტყვა—„შინაგანი“, ცოტა მეუხერხუ-  
ლა, რაღაც ძალიან პათეტიკურად მო-  
მჩვენება. უცებ სხვების თვლით წაფი-  
კითხე და იმიტომ. იმათი თვალით,  
ვინც ჩემს გვერდით იყვნენ და ტრია-  
ლებდნენ. დაკონკრეტებას არავითარი  
აზრი არა აქვს. მაგრამ მინც ვტოვებ  
ამ სიტყვას და ეს ყველას მირჩევნია,  
რადგანაც ნებისმიერი სხვა შემცვლე-  
ლი კიდევ უფრო გადაპრანჭულად მე-  
ჩვენება და შეიძლება ბანალურადაც.

რისი თქმა მინდოდა? წერას გადავე-  
ჩვიე-მეთქი. რაზე გავიფიქრე? ჰო, მა-  
შინ უფრო ზუსტად გამოვთქვამდი ჩემს  
აზრებს, თუმცა სტუდენტი ვიყავი და  
ყველანაირად და ყველაფერში ახალ-  
ბედა. აი, ახლა ვთქვი, შატლში არა-  
ფერი მეძახდა-მეთქი და ფაქტიურად  
ზომ არაფერიც არ მითქვამს. აბა, ეს  
რა თქმაა. სულაც მიჩქმალავა. არა-  
ფერი მეძახდა კი არა, პირიქით  
ლსაცა მკრავდა, გავუბოდი კიდევ,  
სიმართლე თუ გინდათ. კიდევ უფრო  
მეტი სიმართლე თუ გინდათ, იქითგან  
გახედვაც კი არ მინდოდა, თუმცა ეს  
ძალიან გულში, სადაც, სიღრმეში,  
სადაც შეიძლება მეც არ ვიხედებო-  
დი... მაგრამ ვატყობ, ყოველწუთს მიწყ-  
დება აზრი და ამას მერე ავხსნი, თუ მა-  
ინცდამაინც საჭირო იქნება, რატომ  
მკრავდა ხელს, თორემ მთავარზე ვე-  
ლარ გადავალ. თანაც ვჩქარობ, რო-  
გორც ყველა შეატყობს ხელნაწერზეც

და ისეც, თუმცა ვინ ყველა? თითქოს  
ანდერძს ვტოვებდე. რა მშვენიერაა  
ლა? ან რა შუაშია შეიძლება  
ამას მაინცდამაინც ვერ დაევიწყებ.  
შეიძლება ძალიანაც შუაში იყოს. ყო-  
ველ შემთხვევაში, შატლზე მერე...  
როგორმე ხომ უნდა მოვყვე, რაც იქ  
მოხდა და რაც მოხდა მერე... მაგრამ  
მანამდე რაღაც უნდა მეთქვა... რაღაც  
აზრი დავიწყე და ისეც დავკარგე... რა-  
ღაცა, მგონი, წერასთან დაკავშირე-  
ბით... (უცბად შევატყვე ჩემს თავს,  
რომ რაც უფრო ვუახლოვდები ფიქ-  
რით შატლს, მით უფრო ვჩქარობ და  
აზრიც მიწყდება, აჩქარისაგან აქეთ-  
იქით დამიხტის... მაგრამ ასე არაფერი  
გამომივსება და სჯობს ნელა და უბრა-  
ლოდ ვწერო, ისე როგორც თავიდან  
დავიწყე, და, რაც მთავარია, ვწერო  
ისე, როგორც მაშინ ვხედავდი და არა  
ისე, როგორც ახლა განვიცდი ყველა-  
ფერს). ჰო, წერასთან დაკავშირებით...  
რისთვის ვწერ ამას? მით უმეტეს, თუ  
ვერც აზრი შემიკრავს, ვერც ზუსტად  
გამომითქვამს, ერთი სიტყვით, ხელი  
არ მემორჩილება... რისთვისაა ვწერ, რო-  
ცა აგერ თვრამეტი წელიწადია, იოლას  
გავდივარ და წერით თავი აღარ ანიტ-  
კიებია... ჩემი ადრეული შემოქმედება  
ჩემს სტუდენტობასთან ერთად დამთა-  
ვრდა... ისეც გადავუხვიე, მგონი შეგ-  
ნებულად; ათას წერილმანს ვედები,  
ალბათ იმისთვის, რომ აულ უფრო  
იქით გადავდო მთავარი სათქმელი, ან-  
და იმისთვის, რომ ნელ-ნელა ნერვები  
მოვთოკო... მაგრამ, ბოლოს და ბო-  
ლოს, ხომ უნდა ვთქვა: რისთვისაა ვწერ?  
ან რა მოხდა იქ და მერე?

რისთვის და, ჯერ ერთი, მინდა ჩემ-  
თვის გავარკვიო, რა დაქმნა ბო-  
ლოს და ბოლოა. ფიქრში ყველაფერი  
ერთმანეთში მერევა და ეგებ წერის  
დროს დალაგდეს ცხადად. მეორეც...  
მეორეც, რა?.. რა და... ახალგაზრდა  
აღარა ვარ და ეჭვი მაქვს, რომ გავა-  
დრო და ყველაფერი, რაც თავს დამა-  
ტყდა, თანდათან გაიციოება, გაიციო-







ქერა თმისა და მკვრივი, მოხორბლისფერო მკლავების გამო. გავიფიქრე, რომ ვაჟს ეს უნდა ეგულისხმა, როცა მითხრა, ძალიან ლამაზი ქალიაო. მეორე შავვკრემიანი იყო და მის უკან, ორი სკამის მოშორებით იჯდა. ასე, ოცდაჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, ზედმეტად შავი, შუაზე გადაყოფილი და გადატკეცილი თმა უცნაურად უბზინავდა და კისერთან ჰქონდა შეკრული. გუგებზე მოყვითალო ფერი დაჰკრავდა და უბეებს ქვემოთ ფერმკრთალი ჰორფლი ეყარა. თნელი კუთხეებდაშვებული ტუჩები და საოცრად სწორი ცხვირის ნესტოები რაღაც ნერვულად უთრთოდნ. სანტერესო გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ არა ვნებისაღმძვრელი, რაც შეეცნება მესამეს, კარგა ხანს არ ვიცოდი, ვინ იყო და როგორ გამოიყურებოდა, რადგანაც ცისფერთვალეებს ვასწვრივ, იღას გვერდით იჯდა ფანჯარასთან და იქით გახედვას ვერიდებოდი. თანაც წინ ვაჟა ეფარებოდა. ასე რომ მხოლოდ მისი ვარდისფერი კაბა მეცა თვალში, ეგრეთ წოდებული „ბალახონი“ და თვალში იმიტომ მეცა, რომ ასეთისავე კაბაში, ოლონდ ნაციისფერში, ჩემმა ცოლმა მთელი ჩემი პრემია — სამასი მანეთი მაფუშენა და რაღა გასაკვირი იყო, რომ თვალში მომხვედროდა (ჩემს ცოლს — რაკი შინაგანად სულ არ ვეკუთვნოდი — სხვა მხრივ არაფერზე ვეუბნებოდი უარს, ვცდილობდი, ყველაფერი ჰქონოდა). ვაჟა ადგილზე ცმუკავდა და თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, რის გამოც ამ ვარდისფერკაბიანის ხან ცალ ყურს ვხედავდი, ხან ნახევარ შუბლს, ხან რბილ ხაზს ყურიდან ნიკაპამდე; თვითონ სულ ფანჯარაში იყურებოდა. მე რე და მე რე მივხვდი, რომ მისი კაბის გარდა, კიდევ რაღაც იპყრობდა ჩემს ყურადღებას: ეს იყო ძალიან სწორი მჩრები, რომელთაგან ძირითადად მარჯვენა ხედავოდა ჩემი მხედველობა არეში. ან ლამაზად გამხდარ მხრებზე ვარდისფერი კაბა წყალივით იყო ჩა-

ღვრილი და ძველ ბერძნულ სამოსს მავონებდა. შეიძლება იმიტომ, რომ სამსახურს ნობი ქალი სასიამოვნო განცდილებას ვევიდა, ან შეიძლება საერთო მხიარულება გადმოემეღო, რაღაც კარგ გუწებაზე დავექეი. თუმცა იმ მესამის სახეს ჯერაც ვერ ვხედავდი, მაგრამ აღარც მაინტერესებდა, რადგან მთელი ჩემი ყურადღება ცისფერთვალეებს დაეპყრო, ჩემს წინ რომ იჯდა ხელმარცხნივ, პირველ სკამზე, ფანჯარასთან, გურამის გვერდით. გულში რაღაც ბუნდოვან და საინტერესო შეაძლებლობებს შეველიმოდო, თუმცა სხვა კაცების გულშიც იგივე ხდებოდა ალბათ. და საინტერესო იყო როგორ განაწილდებოდა როლები, რადგან კაცები ათნი ვიყავით, უცნობი ქალი კი სულ სამი გვახლდა. სანდროს ჩვენს რიგებში არა ვთვლიდი, რაკი, როგორც სამსახურში, ისე აქაც, თანამეცხედრე გვერდით ეჯდა (რასაც თავისი ცხოვრების მთავარ უბედურებად მიიჩნევდა). გურამს ბენდიერი სახე ჰქონდა, წარამარა რაღაცას გადაულაპარაკებდა ზოლმე თავის ლამაზ მეზობელს. ამასობაში ვაჟა ადგა და ავტობუსის ბოლოსკენ გასწვია. და როცა ბოლოს ვარდისფერკაბიანს სახეში შევხვდე, პირველ წუთს ისეთი ახალგაზრდა მომეჩვინა, რომ სასწრაფოდ გამოვრიცხე ყოველგვარი „შესაძლებლობებიდან“. მაგრამ მე რე, როცა კარგად დავაკვირდი, მივხვდი, ასე, ოცდაშვიდი წლის მინც იქნებოდა. მთელ მის გარეგნობაში იყო რაღაც ისეთი, არ ვიცი, კერძოდ, რა, რომ ეტყობოდა, იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებაც ან ძალიან გვიან, ან ვერასდროს ვერ გამოდიან ბავშვობის ასაკიდან. ოლონდ რით ამქვად ვებოდა ამას, იმწუთისავე ეს რომ გავიფიქრე, აზრზე არა ვარ. პირველად, მთლიანად, ესე იგი. სხვითაც რომ დავინახე, სკამის ზურგზე, მოხრილ იდაყვზე ლოყა დაეყრდ-

ნო, თითქოს ბალიშზე ედო თავი და ასე რალაცნაირად შუბლსკვემოდან ამოხვდა, რის გამოც ძალიან დიდი სვალეები გამოუჩნდა. როცა გასწორდა, დავადგინე რომ იმ „შავთან“ და „ცისფერთან“ შედარებით, ერთი შეხედვით არაფერი განსაკუთრებულია შთაბეჭდილება და თვალში საცემია არა ჰქონდა. გურამს ვანიშნე და სჯარაქტის კოლოფი გადმომივლო. ვეწიოდ, თანაგზავრებს სახეში შევყურებდი და ვფიქრობდი, რომ ძალიან გამოცვლილები იყვნენ, სხვანაირები: ავიქს რომ მტკერს გადააცლიან და აკრიალდება, რალაც ისე გახალისებული ჩანდა ყველა.

„შავს“ თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცის კუთხე მალიმალ მიჰქონდა გამჭვირვალე ნესტოებთან და ოდნავ შეეხებოდა ხოლმე. კარგა ხანი იყო, რალაცაა გაუთავებლად და გაუღიმიებლად ელაპარაკებოდა ბონდოს, რომელსაც მთელი თავისი გონიერი გამომეტყველებია მარაგი მოეკრიბა და სახეზე გამოეფინა.

რამდენჯერაც „ვარდისფერი“ ჩემი მზერის არეში მოხვდა (იქით პირდაპირ გახედვას ისევ ვერიდებოდი), იმდენჯერ ვიგრძენი, რომ რალაც მსიამოვნებდა და რა, ვერ ვხვდებოდი. მერე გავაცნობიერე: რალაც ფარული მიმზიდველობა ჰქონდა, რაც მისი გრძელი ხელებისა და თავის მოძრაობაში ნქლადენდებოდა. იყო რალაც გრაციაო-წული ან მოძრაობებში, რაც მისი ხანის ოდნავ დაუდევარ გამომეტყველებას ი. ოიქოს არ ესადაგებოდა. ყველა ან აღძრული განცდების გამო ვარდისფერკაბაანი ისევ ჩავრიცხე „შესაქლებლობა“ ბუნდოვან საუფლოში, მაგრამ ძირითადად მარაგში, ყოველ შემთხვევისათვის, რადგან მთელი გულისყური „ცისფრისაკენ“ მქონდა მიმართული. და როგორც კი გურამი სკამიდან წამოდგა, რათა მძლოლისათვის რალაცა ეთქვა და ისევ დაბრუნებულიყო თავისი ლამაზი მეზობლის გვერ-

დით, მაშინვე მშვიდად დავიკავე მირადგილი და ლაპარაკი გავუბი მეგისასეთი აღმოჩნდა მისი სახელი.

ვუთხარი, ჩემი მეგობარი, და ვთხარი, გა ისეთი საშიში თვალებით გიშხრდათ, გადავწყვიტე, სასწრაფოდ ჩავერიო ამ საქმეში და სრულიად უანგაროდ დავიკევა თქვენი უსაფრთხოება-მეთქი. მეგვი ნამამალა გაიცინა, გურამმა კი ხელი ჩაიქნია ჩემი მიმართულებით, ვიცი გულში რაც შემომითვალა, მაგრამ დაუყოვნებლივ გულშივე დავუბრუნე უკან და ლალად შევუღე-ქი მეგის უსაფრთხოების დაცვას. მთელი ტანით მისკენ მივებრუნდი, ცალი ხელი წინა სკამის საზურგეზე გავკვიმე. მეორე მეგის ზურგსუჯან: ათასი მავნე თვალის თქვენიკენ მომართული, დე, ჩემი ზურგი დაცხრილონ-მეთქი. ძალიან გამხიარულდა. მელაპარაკებოდა და სახეში შემომციროდა. ლურჯ, შემოტყეცილ ქვედაკაბაზე ბოლო დილი შეხსნოდა და დანარჩენებიც აშკარად ამკლავებდნენ ტენდენციაა ამ ბოლო დილისათვის მიებაძათ და მისი მუნლისთავებისათვის შვება მიეცათ.

ვიჯექი და სიამოვნებით ვყურყუმალაობდი მისი თვალების ცისფერში, რომელთა მზერაც არავითარი სიღრმითა და სიმძაფრით არ იყო დამიმბებული, რაც, ჩემი აზრით, მათ დამატებით ღირსებას წარმოადგენდა და ჩვენს ერთად ყოფნა კიდე უფრო სასიამოვნოს ხდიდა.

მიხვეულ-მოხვეულულებში, როგორც ხდება ხოლმე, უნებურად მკლავზე მეკვროდა, რაზეც ვუთხარი, თამამად მოიქეცით, შეგიძლიათ ჩემი მკერდიც გამოიყენოთ, აქ ხომ თქვენი უზრუნველყოფილი მგზავრობისთვის ვზივარ-მეთქი. ერთხელაც ხელი სკამის საზურგეს რომ ჩასქიდა, ჩვენი ხელები გვერდიგვერდ აღმოჩნდა, ისე რომ ნეკით ჩემს ნექს ეხებოდა და ჩემი პირველი ნაბიჯები გამახსენდა ამ მღელვარე

ნაიბა ვალაჟილი

„ამბანი, შამანი და არამანი...“

გზაზე. შეიძლება კიდევ იმიტომაც გა-  
მახსენდა, რომ ამასობაში ავტობუსი  
ხიდზე გადაჯაყავდა ორწყალთან: ერ-  
თხელ სოფელში, მაშინ ალბათ თუ-  
თმეტი წლისა ვიქნებოდი, ხიდზე ვიდე-  
ქი ჩემს მეზობელ გოგოსთან ერთად.  
მოაჯირზე გვეკიდა ხელები. იმ დრო-  
ისათვის უკვე საკმაოდ ვიყავი გატან-  
ჯული ჩემი სისხლითა და სხეულით,  
მით უმეტეს, რომ ის მარტივი და  
სხვისგან დამოუკიდებელი ფიზიკური  
კათარზისი, ჩემხელა ბიჭების ხსნას რომ  
წარმოადგენდა, მე თავში არ მომდიო-  
და. მზე ჩადიოდა. მუქვარდისფერი შუ-  
ქი რბილი ქსოვილივით ეფინა მდინა-  
რეს და იქაურობას. წყალს ჩავცქერო-  
დით და ის რაღაცას ლაპარაკობდა. მი-  
სკენ მიხედვას ვერ ვბედავდი. თვალე-  
ბი ამიჭრელდა წყლის დინებისაგან და  
უცბად ჩემდა გასაგებებლად აღმოვა-  
ჩინე, რომ ჩემი ხელი თანდათან მი-  
სი ხელისაკენ იწევდა, ვიდრე თითქმის  
თავზარდაცემულმა ნეკი მის ნეკს არ  
გადავაქდე. რაღაც ისეთმა დამიარა  
მთელ ტანში, თითქოს ის მდინარე,  
ოღონდ გავარვარებული და მღორე,  
პირდაპირ ჩემში გადმოღინდა. ცოტაც  
და, თავით გადავეშვებოდი იმ ხიდი-  
დან... ის კი იდგა და ვითომც არაფე-  
რო. — წინ იყურებოდა... გავიფიქრე.  
ნამდვილად გაგიჟებოდა... ამ ნეკე-  
ბის დლით დასრულდა ჩემი ცხოვრების  
პირველი პერიოდი, თუკი მაინცდამა-  
ინც პერიოდებად მოვინდომებ ცხოვ-  
რების დაყოფას. ამ დღიდან კიდევ უფ-  
რო გამიძლიერდა მოწიწება და შეძრ-  
წუნება გოგოების მიმართ... ისე მტა-  
ნჯველად ვილტვოდი მათკენ, რომ უა-  
ვე თითქმის მძულდა კიდევ ისინი. ვი-  
დრე ეს მეორე პერიოდი იმით არ დამ-  
თავრდა, რომ ერთ დამით, ჩვენი  
მდგმურის — ახალგაზრდა მასწავლე-  
ბელი ქალის ოთახში არ შევამიჯე  
მთვარეულივით (ჩვენები მეზობელ  
სოფელში იყვნენ ერთი ჩემხელა ბი-  
ჭის დასაფლავებაზე და მეორე დღეს  
აპირებდნენ დაბრუნებას. ეზოდან რომ

გადიოდნენ, ჩემმა დამ გეორგინტის  
წითელი თაიგული დამიქნია და ესაგა  
მომიყო), არ მესმოდა, რას ვეუბნე-  
ბოდი და რას ვაკეთებდით. მახსენებ  
რომ შეცბუნებული მიდებოდა...  
ველ შემთხვევაში, ყველაფერი მშვი-  
დობიანად დამთავრდა-მეთქი, ვერ ვი-  
ტყვი. რადგანაც იმის ქათქათა ლოგინ-  
ში კიდევ ერთხელ რომ დამიარა იმ  
ნაკადმა, თან წამილო კიდევ: გული  
წამივიდა. თავზარდაცემული ქალი  
(რომელსაც ალბათ მთელი სიხარული  
ჩავუშხამე, თუ რამე მივანიჭე), მეძა-  
ხდა, საფეთქლებს მისრესდა და მკოც-  
ნიდა. როცა გონს მოვედი, მის რბილ  
მკერდში ჩავმალე სახე, მხრებზე ხე-  
ლები შემოვხვიე და ავტირდი. ასე გა-  
მოვიტირე ყველაფერი. იმ ღამის შემ-  
დეგ ღამის სახლიდან გადავიკარგე,  
ჭერი ერთი, იმიტომ, რომ სირცხვილი-  
სგან მიწა გამისკდებოდა, რომ დამე-  
ნახა, მეორეც... მეორეც... დავინახე-  
დი თუ არა, მიუხედავად ამ სირცხვი-  
ლისა, ალბათ მონასავით შეებარბა-  
დებოდი მის ოთახში...

მერე, როცა თბილისში ჩამოვედი,  
იღვილად წავიდა ყველაფერი. განსა-  
კუთრებით ცოლის მოყვანის შემდეგ.  
არც სხვაზე უკეთესი ვიყავი, არც უა-  
რესი. ისე ვცხოვრობდი, როგორც ყვე-  
ლა. ყოველ შემთხვევაში ეს მესამე და  
ბოლო პერიოდი იმით აღინიშნებოდა,  
რომ როცა სადმე ვგვამდი ძმაცაცბ-  
თან ერთად, მთვრალს შემეძლო ავმ-  
ტვარიყავი, ქალი გვერდით ოთახში  
გამეყვანა და იქ ვყოფილიყავი მასთან,  
თუკი ამის შესაძლებლობა იქნებოდა.  
მართალია, ასეთ შემთხვევაში ყოველ-  
თვის მთვრალი ვიყავი ხოლმე, მაგრამ  
ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.  
არ იცი, რა და როგორ ხდებოდა, ახ-  
ლა ამისი განსენებისა და ანალიზის  
თავი არა მაქვს, მაგრამ ორმოცი წლია  
რომ გავნდი, უკვე მთლიანად განხიბ-  
ლული ვიყავი ქალისაგან. როგორც რე-  
ზო, ჩემი ბიჭი იტყოდა, „ბოლომდე  
გამიტყდა“. აღარაფერს ქალისგან არ

ველოდი და არც ვითხოვდი. ოღონდ ხანდახან მენატრებოდა ხოლმე, როდესმე კიდევ განმეცადა ის სასწაული, რაც იქ, ჩვენი მდინარის ხიდზე დამატყდა თავს, ან პირველ ღამეს, მაგრამ ორჯერ ვინ შესულა ერთ მდინარეში.

ამის გახსენებამ, როცა ასე დავყურებდი ჩემსა და მეგის ხელებს, გული დამიმძიმა. რალაცნაირად მოვეწვი და ყველაფრის ხალისი დავკარგე. მაგრამ ასეთი ენთუზიაზმით დაწყებულ საქმეს უცბად ზომ არ ჩავშლიდი. ისევ გავაგრძელებ ჩემს ღამაზე მეზობელთან ღალბა. შიგადაშიგ იდას მჭახე სიცილი ისმოდა. თითქოს განგებ ხმამალალი. როცა ერთხელ მივიხედე, მის მზერას შევეფეტე. მაშინვე თვალი ამარიდა. „ვარდისფერს“ კი ახლა ხელისგულზე დაეყრდნო საფეთქელი და მოწყენილი მომჩვენა.

ავტობუსი აჯაყავდა, მერე გაჩერდა. მძღოლმა დაიძახა ჩამოდით, მოაწეითო. „ვარდისფერი“ წამოხტა და, ვიდრე კაცები წამოვიშლებოდით, უკვე ძირს იყო. მეგი არ განძრეულა. სხვა ქალებიც ავტობუსში დარჩნენ. კაცები გვერდიგვერდ ჩავმწკრივდით და ავტობუსის კედელზე ხელის მისააკარებელი ადგილი აღარ დარჩა. „ვარდისფერს“, ეტყობა, ეწყინა. „მე შენ მოგეხმარები, ვაჟა“, — უთხრა ვაჟას და ხელები ბეჭებზე დააწყო. „ადგილები გაცვალეთ, ეგრე უფრო უპრიანია“, — ვუთხარი ორივეს, როცა მთელი ძალით ვაწვევდით ავტობუსს. „ვარდისფერმა“ გაიცინა, ღამაზად იცინოდა.

მაღე ბარისახოსაც მივალწვიეთ და შესასვენებლად გავჩერდით. მე და მეგი მდინარისაკენ წავედით და ნაპირზე ჩამოვსხედით. ბონდო ისევ „შავს“ მიპყვებოდა მორჩილად. ზოგი ბალახზე წამოწვა, ზოგი ქვაზე ჩამოჭდა, ზოგი აძლერდა. რალაც გუნება ვეღარ გამომიკეთდა. უცბად შინაგანად მოვდუნდი. ასე ხშირად მემართებოდა ხოლმე, თუმცა ჩემი თვალები ისევ დასრიალებდნენ მეგის ყელ-კისერზე, მკერ-

დასა და ქვედა კიდურებზე, რომლებმაც მთლიანად გაამართლეს ზედა ნაწილით აღძრული მოლოდინი. მერე მჭკნულ მზის სათვალე დასჭირდა, წამოვდებოდა და ავტობუსისაკენ გავემართე მისი ჩანთისათვის. დავინახე, რომ ერთი მუხის ძირში ვარდისფერკაბიანი მუხლის ჩოქზე იდგა, ჩხირით მიწას ქექავდა და რალაცას ვაფაციცებით ჩაშტერებოდა. მივედი და თავზე დავადექი. დახრილი კისრიდან თმა აქეთ-იქით გადაჰყოფდა, და მალეები ემჩნეოდა. კისრისა და ხერხემლის მალეების შესართავთან წვრილი, ფერმკრთალი ხალები ხომლი მოჩანდა, რომელიც პატარა დათვის თანავარსკვლავედით იყო განლაგებული.

— რას აკეთებ?

შეკრთა, ამომხედა:

— ხედავ? ჭიანჭველები მაისია ხოქოს მიათრევენ... სულ გამოუხრავთ... ეს ხომ მესაფლავება... ყველას მარბავს, ახლა კი თვითონ მომკვდარა... — თქვა სერიოზულად და ჩხირი წინ დაუხვედრა ჭიანჭველების გროვას. მერე ხოქო ცალკე გამოავორა. გათხარა პატარა ორმო და ჩაფლა, — ცოლო, თან სხვა მიზეზიც მაქვს...

— პატარაობაში ერთი ამხანაგი გოგო მყავდა, სადაც მკვდარ ჩიტს ან წიწილას იპოვიდა, მარბავდა... ძალიან ღამაში საფლავების გაკეთება იცოდა, ვერც ერთი გოგო ვერ შეედრებოდა საფლავების კეთებაში...

— მეც ვიცოდი, — მიპასუხა უბრალოდ.

— მათხრევე ეგ ჩხირი, ერთი წუთით, — მეც იქვე ჩავუცქედი.

უცებ დამინტერესა, ჭიანჭველები ჩხირზე ავიდოდნენ თუ გვერდს აუქცევდნენ.


— არა. — მომიჭრა მოულოდნელოდ.

— რატომ? — შევცბი.

— იმიტომ.

ნაინა გელაშვილი

„ამბანი, შაბანი და არაბანი...“



— შენ რა, მებუტები?

არ მიპასუხა და მიწის ჩიჩქნა განაგრძო. ამ დროს მეგის ძახილი მომესმა და ავტობუსისკენ წავედი. კარში იდას შევეფეთე, კიბეზე ჩამოდიოდა, ხელში თურმოსი ეჭირა. გზა დავუთმე. „გმადლობ“, — მითხრა ირონიულად და წავიდა. რა უნდა ამ ხალხს ჩემგანმეტქი, ვავიფიქრე. მეგისთან ცოტა მოშლილი დავბრუნდი და ჩანთა გავუწოდე. „გმადლობთ“, — შემომცინა და სათვალე ამოიღო. გვერდით მივეუჩქე და მდინარეს ჩავაშტერდი. „არაგვი“, — ისე ვთქვი, თითქოს ვავიფიქრე. „არაგვი“, — გაიმეორა მეგიმ. — „რას ნიშნავს ნეტავ?“ „როგორ არ იცით? არა გვიან, ესე იგი, არ დაავიანოთო“, — ვუპასუხე ისე რომ თვალი წყლისთვის არ მომიშორებია. „რა არ დაავიანოთო?“ „ყველაფერი, რაც გულში გაქვთო“. გაიცინა. იდაზე ვფიქრობდი გაღიზიანებული: ალბათ ყველაფერი მოყოლილი აქვს იმ „ვარდისფერი ბალახონისათვის“ და იმანაც მაგრძობინა. წარმოვიდგინე, როგორ მოუყვებოდა. ნეტავ ერთი ქალი მიანც თუ არსებობს ამქვეყნად, თავისი ამბები არავის რომ არ ჩაუქუეკოს. ფეხებზე მკიდა, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რომ ჩემი გაღიზიანება გამეფანტა; მერე დამავიწყდა კიდევ რადგან ამასობაში მეგიმ ჩემი მარცხენა ხელისგული გადაშალა და ხაზების შესწავლას შეუდგა. მისი ხელი მსიამოვნებდა. სითბო ჩამელვარა.

— ნუ აჩქარდებით, მაგ საქმეს არ უყვარს აჩქარება, — ვურჩიე მე.

— ხან ნუ დაავიანებთო, ხან ნუ აჩქარდებითო, — ჩაილაპარაკა ღიმილით, თან ხელისგულზე დამჩერებოდა. მერე უცბად მკითხა:

— რამდენი წლისა ხართ?

— ორმოცდაორის.

ისევ დამხედა ხელზე და ჩემი „სიცოცხლის ხაზს“ საჩვენებელი თითი ააყოლა.

— ხელავთ? სამოცდაათ წლამდე

იცოცხლებთ, ბოლოს ძალიან მარტო რჩებით, აულიერად მარტო, ავიღმყოფობთ... მაშასადამე, აი, ეს კვლავი საჩვენებელი თითი ერთგვან შეაჩერა, სადაც „სიცოცხლის ხაზი“, „ვენერას ბორცვის“ ძირას რომ მიიკლავებოდა. ღრმა და პატარა ჯვრით იყო გადაკვეტილი, — აი, ეს ადგილი დაახლოებით თქვენს აბლანდელ აპაკს ემთხვევა... ისე რომ, თუ ჯერ არ ყოფილა, მოკლე ხანში იქნება...


— რა? — ვკითხე ჩემდა გაააოკურად სრულიად აერიოზულად.

— ძალიან, ძალიან დიდი სადარდებელი... აი, ისეთი, უცბად რომ თავზე დაგატყდება... მაგრამ თან ისეთი, რომელიც... რომელიც, როგორ ვითხრა... უცბად კი მოვა... მაგრამ შემთხვევითი არ არის... რადგანაც ჯვრის ფორმა აქვს... გესმით, ისეთი ტანჯვაა, რომელიც თქვენია.. თქვენ უნდა ატაროთ... არ ვიცო, მიმიხვდით თუ ვერა...

ამას რომ ამბობდა, მთლიანად უაზრო სახე გაუხდა, თვალეები თითქოს მხოლოდ ზედაპირისაგან შედგებოდა და, წელან რომ მეჩვენებოდა, თითქოს მათ ცისფერში ვიძირებოდი, ახლა ვფიქრობდი, ეს შეუძლებელი იყო — ჩემს მზერას მაშინვე ირეკლავდა და უკან ისროდა. შეიძლება სწორედ ამ უაზრო გამომეტყველების ბრალი იყო, რომ მის სიტყვებზე ცივმა ფრუანტელმა დამიარა და უცბად ნერვულად წამომძდა:

— სისულელეა! — მალევე შევეცადე გამომეწიწივებინა და დავუმატე: — მაგ სიტყვების მთავარი ღირსება ის არის, რომ ასეთ ბავთვან მოედინებინა, არა? — რალაც უგერგილოდ გამომივიდა.

— სისულელეა, რა თქმა უნდა, — მაშინვე დამეთანხმა. — უბრალოდ, გაერთობა ხანდახან კაცი... — მერე თითები გადამიწია, ისევ მომიკეცა, ხელის ნებზე წარმოქმნილ ღარებს დააკვირდა და გაიცინა:



— აუჰ, რამდენი ქალია... კიდევ იქნება...

— ცისფერთვალემა ჭერა ქალი არსად მოსჩანს?

— არა, — გაიცინა, ხელი დამიხურა და უკანვე ჩამაბარა.

— რამენაირად უნდა გამოვუძებნოთ ადგილი, საპატიო. მკითხავი ბრძანდებით?

— არა. ჟურნალისტი.

— მხოლოდ ქირომანტიია თქვენი საუფლო?

— რატომ? კარტი. ყავა, — იცინოდა.

— ბარემ კარტიც გამოშალეთ, ყავაცა აქვთ თქვენთვის... მაგრამ თერმოსში შენახული ყავის არა მჭერა.

გაიცინა.

წამოვდექი. ხალხი მივათვალე რმოვათვალე რე. ყველანი ერთად შეგუფუთიყვენენ. ბალახზე მიწოლილ-მოწოლილიყვენენ. ელგუჭას გიტარა ღიბზე ჩამოედო და უკრავდა. ბონდო „შავს“ ატამს აწვდიდა. ვეჟა თვალებს აბრიალებდა და ლექსებს ამბობდა. გურამს ნელის კალთაში ჩაედო თავი. ქეთი რაღაც ყვითელი ყვავილების გვირგვინსა წნავდა და წარამარა მზის სათვალეს ისწორებდა. მხოლოდ „ვარდისფერი“ არ ჩანდა. გავიხედე და, გზის გადაღმა დიდი ზის ძირას რაღაც ლოდზე პირალმა გაწოლილიყო. ახლარომ მივიდე და ვუთხრა: ცოტა მიიწი, მეც ჩამოვჯდები-მეთქი, მეტყვის: არა! დიდი ჭიუტი ვინმე ჩანდა. მივედი და იქვე, ბალახში მიყრილ-მოყრილი კარტი აეკრიფე. გურამმა ფეხი დამიდო. გადავაბიჯე. რაღაც მითხრა. გაიცინეს. მეც რაღაც ვუთხარი და მეგისტთან დავბრუნდი.

ამასობაში თავისი სქელძირიანი „საბოგები“ გაეხადა და ფეხები წყალში ჩაეყო. კარტი გამომართვა, ნაპირზე ამოიწია და, გვერდულად დაჯდა, კარტი აურიო. მერე ჭვრის ვალეტი გამოაძრო და ჩემკენ გამოახედა.

— ეს თქვენა ხართ. ცოლ-შვილი გყავთ, რა თქმა უნდა.

— რა თქმა უნდა. იმითომ გინდათ ყურები ასე სულელურად? — უღვაშიან ჭვრის ვალეტს, წითელი ლოყები და მართლაც სულელური იერი ჰქონდა.

მეგემ ვალეტი ბალახზე დაასვენა და ერთი კარტი გულზე პირდაღმა დაადო.

— ახლა ვნახოთ... — გარშემო კარტები შემოუმჭკრივა. ჭერ ორივე თავთან, მერე გვერდებზე. ბოლოს გულზე დააწყო ლოდებივით. მერე იმ საცოდავ ჭვრის ვალეტს, ანუ მე, გულიდან მთელი სიმძიმე ააცალა და ხელში მაროსავით გადაშალა... სწორედ ამ დროს, იმწუთას ვერ გავარჩიე, კრაზანა იყო თუ ფუტკარი, — ზედ ცხვირწინ აუბზუილდა. კარტებიანი ხელი აუქნია და... სამი კარტი პირდაპირ მდინარეში გადაფრინდა... საოცრად გაცურდნენ: ორი პირქვე, პრიალა შავი ზურგებით, მათ შორის კი მომღიმარი აგურის დამა. არ გაეძძრეულვარ, მონუსხულივით გავეყურებდი: უცნაურად და ლამაზად წატივტივდნენ. მერე ერთ ტალღას დაეჭახნენ, აირივნენ, გადაყირავდნენ და თვალს მიეფარნენ.

ჩემმა მკითხავმა შეჰკვივლა და ხელი გაიწვდინა. წამოხტომა და გამოკიდებაც სცადა. მაგრამ ხელით შევაჩერე.

— რაც წასაღებია, წაიღოს. ხომ ვერ მეტყვით, ვინ იყო ის ქალი?

— გაუთხოვარი ქალია, — მიპასუხა ძალიან სერიოზულად: — გულზე გყავდათ დაცემული.

— ჰოო, თქვენ გათხოვილი ბრძანდებით?

— მე კი...

— ძალიან კარგი, ესე იგი, ადგილი განთავისუფლდა...

— ძალიან ცუდი, — ჩილაპარაკა ისევ სერიოზულად, — ძალიან ცუდი...

ნაირა გელაშვილი  
„ამბრნი, უმბრნი და არამბნი...“

ფუტკარი ისევ აზუზუნდა და ამჯერად ლამის თავზე დამაჯდა...

— მაგისი ბრალია ყველაფერი! — უცბად გაეხარა მეგი, დასტაცა ხელი თავის საბოს და ისე მოიქნია, თავი დროზე რომ არ გამეწვია, ზედ დამაქუციტავდა.

ჩვენს ზურგს უკან სიცილმა გაიწვია რილა. მივიხედეთ. „ვარდისფერი“ და ვაჟა შორიახლო იდგნენ და ჩვენკენ იყურებოდნენ. „ბალახონი“ იცინოდა და ვერ ჩერდებოდა.

— ზომ მოკლე აქვს ცალი ფრთა? — იკითხა „ვარდისფერმა“ სიცილ-სიცილით.

ფუტკარს, რომელიც ისევ თავზე დაგვებუოდა, ცალი ფრთის ბოლო მართლაც თითქოს წაგლეჯილი ჰქონდა.

— კი მაგრამ, საიდან იცი? — ვკითხვებთ გაოგნებულმა.

— წელან ჩემთან იყო, მერე თქვენთან გამოფრინდა...

„ვარდისფერს“ იაეთი ენით აუწერელი სიცილი აუტყდა, კინალამ გაიგუდა და ბალახში ჩაჯდა. ძალიან ვადამდეხად იცინოდა და სამივენი ნელ-ნელა ავყვეით. ბოლოა ყველანი გიყვებით ვხარხარებდით.

ამასობაში ფუტკარი გაფრინდა. „კი მაგრამ, პუტკარი?“ — გამახსენდა უცებ რაშჩენკოა შეკითხვა და უფრო ვამხიარულდი. ერთი კვირის წინ მასთან კაბინეტში შევედი და ვკითხე, რატომ განაცხადა უარი დაეპროექტებინა სამუშაოები, არბოს ტბაში წყლის დონის ასაწევად. ჩემთან ძალიან ახლოს იყო, მეგობრადაც მთვლიდა, რაც ხელს არ უშლიდა სრულიად მოულოდნელად, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიდა, მაქსიმალური ოფიციალურობა გამოეჩინა. ახლაც მკაცრად შემომხედდა, აახაზავის ბოლოთი ჯერ სათვალე გაისწორა, მერე თეთრი მიტკლის კეპიანი ქუდი, მერე ის სახაზავი მკერდზე მომაბჯინა და ნიშნის მოგებით მკითხა:

— კი მაგრამ, პუტკარი?

ძალიან ამაყობდა, რომ ქართულად ლაპარაკი შეეძლო და ხშირად გულწრფელად რაღაც ხოლმე „ზოგ-ზოგებს“ (ქველამ იცოდა, რომ გერასიმოვი ჰყავდა მხედვლობაში), რომელთა პაპებიც კი იბილისში დაიბადნენ, თავად კი ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ აბამდნენ.

მაინცდამაინც მაშინ დაიყინებდა ხოლმე ქართულს, როცა რაიმე ცხარე ჯამათი ან პრინციპული ახსნა-განმარტება სჭირდებოდა, ანუ ისეთ დროს, კაცს მშობლიურ ენაზეც რომ უჭირს საუბრისათვის თავის მობმა: ახლაც ქართულად მკითხა და გამიძვორა:

— კი მაგრამ, პუტკარი!

— რომელი ფუტკარი?

— არ გეკადრებათ, ახალგაზრდა კაცო! აციევა-დაციევა ადვილია. მერე რა ზღვება იქ?

— სად იქ?

სახაზავით წრე შემოვიღო.

— ტპის გარშემო! გახსოვთ, შარშან, მდინარეში დონე აციეა, არ გაიგეთ, რა მოხდა? პუტკარი გადაშენდა! ცავიდა იქიდან! ზოგი მოკდა! ორი იშვეითი ჯიშის ბალახი მოკდა! იქ არბოს ტბასთან უმდიდრესი ფლორაა, სამი ისეთი ყვავილია, რომელიც სხვაგან აღარსად აღარ დარჩა. პუტკარიც არის. მერე, რომ მოკდეს? ის იშვეითი ყვავილებიც მოკდნენ?

— იშვიათი — შევეუსწორე.

— დიახ, იშვიათი. გამაღობ. ჯერ მორაიგონ იქაურობა, მერე აციონ-დაციონ.

— მოავგარონ.

— დიახ, მოავგარონ. თქვენც მოავგარეთ თქვენი ინფორმაცია.

ასანთის კოლოფი მაგიდან დააქუციტა, მერე აავლიჯა და მეორე ადგილას გადადო.

— ბუნებაში ასე ვერ გადადებ და ვერ გადმოდებ. ვერაფერს. უნდა თავიდან ყველაფერი შეისცავლო. მდინარე სხვაგან გადავაგდეთ, იმ ხეობაში პატარა ბაზილიკა დაინგრა. ვინმე



სულელი იკითხავს — რატომ? კლიმატი შეიცვალა. ეკოლოგია!

— კი მაგრამ, ამას წინათ ხომ დააპროექტეთ რომელიღაც ტბის ღონის აწევა!

კიდევ უფრო მკაცრად შემომხედა.

— არ გეკადრებათ, ახალგაზრდა კაცო! იმ ტბამ დაიცია. თვითონ დაიცია! მე ავციე. ბუნებრივ ღონეზე ყოველთვის ავციე.

— სულ ერთია, ეგ პროექტი მაინც გაკეთდება, თქვენც ხომ იცით...

— ვიცი. მე არ ვავაკეთებ.

დიდი საყვედურებისა და აყალმაყალის შემდეგ, რასაც ჩვეულებრივ რბილი და გულჩვილი რაშჩენკო კლდესავით შეეგება, პროექტი ჩვენ განყოფილებას გადმოსცეს. ახლა ჩვენ ვაპროექტებდით და ყველაფერი ძირითადად ჩემს კისერზე გადადიოდა.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც უნდა მომგეგვარებინა, ეს ყველაფერი კარგად მომეხსენებოდა. განსაკუთრებით ჩემი სამსახურის პირველ წლებში ტვინი მიდღუღდა იმ ცვლილებებზე ფიქრით, რასაც იწვევდა ბუნებაში ნებისმიერი პიდროლოგიური ჩარევა. ხეობების გამოფიტვა. ქანების ჩამოშლა, დატბორვა, მცენარეების გადაშენება და, საერთოდ, რაღაც აუხსნელი პროცესები ფრინველებსა თუ მწერებში. მაგრამ ყველაფერ ამის შესწავლა წინასწარ თითქმის შეუძლებელი იყო, და ყველაფერი რომ გაგვეთვალისწინებინა, ერთ პატარა ღონისძიებასაც კი უამრავი, დრო და თანხა დასჭირდებოდა. თანაც დაეინახე, რომ ამ პრობლემებზე ფიქრით თავს მაინცადამაინც არავინ იცხებებდა, თუკი რაიმე დიდი შეცდომა და ზარალი არ გამოაშკარავდებოდა ხოლმე, და მეც შევეშვი. ისე რომ „პუტქარი“ მხოლოდ რაშჩენკოს აწუხებდა.

ავტობუსში რომ ავედი, გურამმა დამასწრო მეგის მეზობლობა. მე სულ უკან, გრძელ სკამზე დევჯექი და ახლა


საზოგადოებას ზურგიდან შევიტყუდი. ბონდო ისევ ლამაზს გვერდით იჭდა, ასე ერქვა „შავს“ თერაპევტი ყოფილიყო და რამდენჯერაც ყური მოგკარი მათ საუბარს, იმდენჯერ ქოლერისტიტის რაღაც ფორმაზე ელაპარაკებოდა თავის მეზობელს, ისე რომ ბონდო, რომელსაც ღვიძლი აწუხებდა, ეტყობოდა, კარგა ხანი იყო ამ ქალის პაციენტად თვლიდა თავს და ერთი სული ჰქონდა, თავისათვის ეშველა: რამდენჯერმე ანიშნა ელგუჯას, თუ გინდა, აქ დაგვამ, ნახე რა ქალიაო; მაგრამ ელგუჯა ჭერჭერობით თავს იკავებდა. გვერდით ქეთი მეჭდა, ერთხმად აღიარებული ჩვენი დაწესებულების ყველაზე მომხიბლავ ქალად, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც გაუთხოვარი იყო. ქეთის მეორე მხრიდან ერთი ჩვენი თანამშრომლის მეუღლე მოსჯდომოდა, ფილოსოფიისა თუ ფსიქოლოგიის დოქტორი. იმისი მეუღლე, ესე იგი ჩვენი თანამშრომელი, ბოლო წუთს ავად გამხდარიყო და ფილოსოფოსი (თუ ფსიქოლოგი) მიუხედავად ამისა (ან მით უფრო), გამოგვევა. ახლა თავისი მიზიდველი მეზობლის მიზიდვას და მოჭადოებას, ეტყობა, იმით აპირებდა, რომ მგზავრობის დასაწყისიდან სულ ევროპის სულიერი ცხოვრების დაქცევისა და გაპარტახებაზე ესაუბრებოდა. ჩანდა, ძირისძირიდან დაეწყო და ახლა ევროპის უბედურებას თანმიმდევრულად აშუქებდა. ასხენებდა ნიციშეს, შვინგლერსა და აღორნოს. ყველა იმედი გადაუწურა ევროპას და სამუდამო წყვდიადი უწინასწარმეტყველა. ეტყობოდა, დეკადანსის სპეციალისტი იყო. რაც შეეხება ქეთის, აკვანშივე დაწვევლილად თვლიდა თავს, იმის გამო, რომ, როგორც თვითონ ამბობდა, თუკი ცხოვრებაში ვინმე კაცი გამოელაპარაკებოდა, — მხოლოდ ერთი მიზნით: თავისი სადარდებელი და სა-

ნაიკა ვალაშვილი  
„ამბარნი, შმბარნი და არაბანი...“

ტანჯველი გადაენტზია, მოეთხრო, როგორ ავიდა იყო, როგორ უჭირდა და ილუბებოდა. ქეთიც ამწვილებდა და ამხნივებდა. ყველა დედად ან მოწყალეების დად აღმიქვამსო, — გვარწმუნებდა. ახლა რალა უნდა ეთქვა, როცა ამ კაცმა მთელი ევროპის სადარდებელი აჰქიდა და თან ისეთი შთაგონებით, რომ ჩვენი, ბუნებით ვულჩვილი თანამშრომელი საცა იყო, ცრემლებად დაიღვრებოდა. ამ საუბარს დროდარო ელგუჯაც მოაპყრობდა ხოლმე ყურს, რომელიც ბევრს ვერაფერს იგებდა, მაგრამ ერთს კი მიხვდა: ევროპელების საქმე წასული იყო. ბოლოს გულმა ვედარ მოუთმინა: „არიქა, ვუშველოთ იმ ხალხს როგორმე, აქ მინც ჩამოვიყვანოთ რიგრიგობით, ეგებ გადაჩნენო“. „აი, თქვენ ხუმრობთ. — მიუგო ფილოსოფოსმა — მაგრამ ერთ მაგალითს გეტყვი: ერთხელ თბილისში ერთი გერმანელი თეოლოგი იყო ჩამოსული ერთი წლით. იეზუიტთა კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული და აქედან რომ დაბრუნდებოდა, იეზუიტთა ორდენში აპირებდა შესვლას. იცით, ეს რა ორდენია? არ იცით. უმკაცრესი ასკეტური ორდენი. ერთი წლის შემდეგ ამ კაცმა თქვა, აღარ მიზნა ორდენი, ცოლი უნდა მოვიყვანო და ოჯახი შევქმნა. საქართველოში სიცოცხლის სიყვარული ვისწავლეო“. „ეგ რა არის, — მიუგო ელგუჯამ. — თბილისში ერთ გერმანელ ქართველოლოგს ვიცნობდი, ქართულის შესასწავლად იყო ჩამოსული. გერმანელების წესრიგი და დისციპლინა რომ თქვენც მოგეხსენებათ. დღე სულ წუთებად ჰქონდა განაწილებული. ბევრი ამხანაგი გაუჩნდა, რალაც კარგად შეეთვისა აქაურობას. ხან ვინ პატიუბდა, ხან — ვინ. თვითონაც ამბობდა, ვატყობ, ვქართველდებიო. მისი გაქართველება იმით დამთავრდა, რომ წლის ბოლოს ვაცილება რომ მოუწყვეს, ისე მოილხინა, მასპინძლები ეხვეწებოდნენ, ცოტა აჩქარდით, თვითმფრინავ-

მა არ გაგასწროთო. ბოლოს აეროპორტში რომ გამოცხადდა და მოხსენეს: თვითმფრინავი უკვე ნახევარსაშენებელია, ვაფრინდაო, მორიგეს დაიწყებოდა, ამოსლოკინა და სთქვა: „ვაფრინდა? ჩინებულია! Wunderbar! მერე მორიგეს ხელი დაუქნია, გამცილებებს მიუბრუნდა, გადაეხვია და უთხრა: „ჩვენ შეგვიძლია, მშვიდად გავავარძლოთ“. დაბრუნდნენ სუფრასთან და გაავარძლეს. ერთი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, ვაფრინდა, მაგრამ ახლა თავისი დოკუმენტებით სავესე ჩანთა დაჩა. იქ ვწერა ვინ იყო, რა იყო, რა მიზნით იყო ჩამოსული და რა გააკეთა. როდის, როდის გაუგზავნეს“.

ყველანი ვიცინოდით. მაგრამ ამან ფილოსოფოსის სერიოზული განწყობა ევროპის ტრაგედიის მიმართ ოდნავაც ვერ შეამსუბუქა. „ესა და თერაპევტი უნდა მჭადარიყვენ ერთად, შეაკვდებოდნენ ერთმანეთს-მეთქი“, ვავიფიქრე, ისევ წინ გადავქეჩი, მძღოლის გვერდით და გიდის მოვალეობა ვიკისრე: საზოგადოებას ვთხოვე, ყურადღება მიექცია, რომ გზის ერთ მხარეა ხევი იყო, მეორე მხარეა ფერდობი, ზემოთ ცა, ცაზე ღრუბელი. ავუხსენი, ამ გზის რომანტიკული უპირატესობა ის ვახლავთ, რომ ყველა მანსი გვაქვს. მგზავრობის მიზნამდე ვერ ჩავალწით-მეთქი. ეთქვი, რომ ეს ვზა ათასგვარ საშუალებას გვთავაზობდა პოეტურად, არაჩვეულებრივად ამოგვხდომოდა სული: ან ხევში გადავჩეხილიყავით, ან კლდის ნაშალი დაგვნარცხებოდა, ან სადმე ნალარში წაეყო ცხვირი ეტობუსს. სიკვდილის ეს მხარედი სიძალოვე უსაზღვროდ ამძაფრებდა ჩვენს გუნება-განწყობას, გვკარანახობდა ყოველი წუთით ბოლომდე დამტკბარიყავით და მკვეთრი შეგრძნებების საძიებლად წამოსულ ხალხს მადლობის მეტი რალა გვეთქმოდა. რალა: ამ სტილში მივედ-მოვედებოდი და ყველანი იცინოდნენ.



ავტობუსი ცხვის ფარას წამოეწია, რომელსაც, რომ გავხედე, ბოლო არ უჩანდა. მძღოლი ყურისწამლებად ასიგნალებდა, მაგრამ ამაოდ. ერთ მხარეს ზევი მოგვედევდა, მეორე მხარეს — კლდე, ცხვარს წასასვლელი არსად ჰქონდა, ნელა მიიზღაზნებოდა და ჩვენც მივბობლავდით. მწყემსები, ორი კაცი და ერთი ბიჭი, საკირეში გამომწვარივით რომ დაშაშროდათ სახეები და წელზე გადაებულ სახრეებზე ხელეები გადაეკიდათ, ყურსაც არ იბერტყავდნენ. მძღოლმა რაღაც გასძახა. ერთმა მოხედა, მე რა ვქნა, კაცოო, და ზანტად მოიქნია შოლტი. ეტყობოდა, მაინცდამაინც არ უნდოდა ცხვრების აჩოქებულება, და ის უფრო უპრიანად მიაჩნდა, რომ ჩვენ მოგვეცადა, ვიდრე ფარა ფართოზე გავიდოდა და გაიშლებოდა. ცხვრები ერთმანეთს მიაწყდნენ, შეჩქვიფდნენ, ერთმანეთს ააბობდნენ და ჩვენს წინ მკირე ნაპრალი გაჩნდა. ავტობუსი იქ შეიჭრა, მაგრამ ფარა ისევ შედგა. მზე აკურდა, სული შეგვეხუთა და ოფლი ჩამოგვდიოდა. ვილაკამ მგზავრებიდან მძღოლს დაუძახა: ცოტა ნელა, ბატონებს არ დაეჯახოო. მგონი „ვარდისფერი“ იყო. მძღოლი თითქმის ამას უცდიდა. უცბად აფეთქდა: „ნელა! მეც სუ მივფრინავ, აი! თქვენ რა გენაღვლებათ! დაიწვა მოტორი!“ იქვე ჩემს თავთან ბადმინტონის ჩოგანი რომ ეკიდა, ხელი ვტაცე და მძღოლს ვუთხარი კარი გაეღო.

— მეც ჩამოვალ! — დაიძახა „ვარდისფერმა“.

— თუ იმის იმედი გაქვს, რომ ქალს ძალიც არ უყვფხ, მე მგონი, ცდები, ახლა ან ქალი შეიცვალა, ან ძალი, ან ორივე: ქალსაც სიამოვნებით გაჰკრავენ ხოლმე კბილს, — ვუთხარი და ჩასვლა დავაპირე.

— არაფერსაც არ გამკრავს, — მიპასუხა ჩიუტად.

კაცებმა გაიცინეს. „ვარდისფერმა“ მიიზნედა-მოიხედა, რაიმე მინდა ხელში

დავიჭიროო. გურამმა ილას მართლა მოსტაცა და მიაწოდა — ავეთ ცხვრებს“. ბონდო გრძელტარიანი ქოლგა შეაჩეჩა. „კარგია“, თქვა ვარდისფერმა და ჩამოყვა.

ავტობუსს წინ მოვექეცი და ჩოგანის ქნევით ცხვრებში შევევარი. „აააააა!“ — ვიძახდი გიჟივით და მივრბოდდი. უკან „ვარდისფერი“ მომდევდა, ქოლგა გაეშალა და წინ ატრიალებდა. ფარა გაიყო და ავტობუსიც გამოგვეყვა. ხახნადფჩენილი ძაღლები მართლაც მხოლოდ ჩემკენ იწვედნენ ყეფა-ღრენით და „ვარდისფერს“ ზედაც არ უყურებდნენ. შეიძლება იმითომ, რომ ის იცინოდა, უფრო თამაზობდა, ვიდრე იბრძოდა, მე კი მართლაც გაღიზიანებული ვიყავი და გულში ათასნაირად ვიგინებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, თავში გავედით, ავტობუსიც გამოეთრა. კიდევ ერთხანს გავრბოდით წინ, რომ ფარა არ წამოგვეწოდა და არ წაველეკათ. მე რე უცბად ავევარდით ავტობუსში, სადაც ტაშით და ყიყინით შეგვეგებნენ. შოთამ ჩემს თანამებრძოლს ყვირთელი ყვავილების გვირგვინი ჩამოაცვა კისერზე და ხელზე ეამბორა. მე კი მკერდზე მაგნიტოფონის პატარა ცარიელი კასეტა მომამაგრა ქინძისთავით. ჩამოვიხანკი, უკანვე მივაჩეჩე და ვთქვი:

— ჯილდოდ ჩემს ადგილს ვითხოვ, — და ხელი მეგისაკენ გავიშვირე. გურამი სასწრაფოდ წამოავდეს. ვილაკამ დაიძახა, ადგილი რა არის, ქალიც შენ გეკუთვნისო. დავჭეკე.

— ხომ ხედავთ; რა ტანჯვით მოვიპოვე თქვენი სიახლოვე; — ვუთხარი მეგის და ახლავდა მეცა თვალში, რომ იმ „ბალახონს“, რომლის სახელიც აქამდე არ ვიცოდი, შენობით მივმართავდი, მეგის კი თქვენობით, თუმცა პირიქით უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. უცბად უკანიდან ბონდო გა-

ნაირა გელაჟვილი  
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“

დმოიწია და ჩამჩურჩულა: „მაგისი ქმარი ვახტანგის ძმაცაცა“. „მერე მე რა ვქნა, ძალას ხომ არა ეხმარობ?“ — ვუბასუხე ჩურჩულითვე და ჩემთვის გავიფიქრე: „გაუშვი ახლა ცოლი სადმე“. თუმცა ცოლს მთელი ცხოვრება ვლალატობდი და ეს ბუნებრივად მიმაჩნდა, თვითონ კი თუნდაც ასეთ გარემოებაში რომ მენახა, ალბათ შემომაკედებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა.

ტრანზისტორი ჩართეს. გურამი დიდხანს ეძებდა: წყვეტილ სტვენაში, ზრიალსა და ლაპარაკში უცხად მსუბუქი ნიაღვარივით გადმოდინდა რაღაც მუსიკა: მღელვარე, დაძაბული და საიდუმლოებით მოცული ნაკადი იზრდებოდა და იშლებოდა, იზრდებოდა და მერე წვრილ ნაკადებად მიშრიალებდა... რათა ისევ ერთად შეგრავილიყო... ვერ მივხვდი, რა იყო.. მაგრამ რაღაც ისეთი იყო, რომ თავს აუცილებლად მოგასმენინებდა, შენთვის ვერ დარჩებოდა.

პირიქეთა ხევესურეთში გადავედი.

— ვაგნერის „რაინის ოქრო!“ — წამოიძახა ლამარამ. მივხედე. თვალები დაეხუჭა. ლამის ეტირა, — სიყვარული დაწყველეს, რათა ოქრო ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ის ოქროც დაწყველილი იყო, — მერე გურამს მიუბრუნდა: — წელან მდინარის პირას რომ ჩართეთ, მაშინაც მოვკარი ყური, ეტყობა, მთელ ოპერას გადმოსცემენ, ნეტავ ადრევე ჩაგერთოთ... ახლა რაინის ასულები იმღერებენ...


მუსიკას ყველა დაეპყრო. რომ მოვავალიერე, ყველა გამეტყნარებული იჭდა. მხოლოდ ფილოსოფოსი მოჰყვა აგზნებულად ხელების ქნევას. ეტყობა ვაგნერმა ბოლომდე გაამძაფრა მისი პათოსი, რითაც ის ევროპის მზის ჩასვლას იუწყებოდა. „ღმერთების დაღუპვა“, „ღმერთების დაღუპვა“ რამდენჯერმე ისე წამოიძახა, აშკარად ევროპას უგებდა ნიშნს და უქიქინებდა,

თითქოს ღმერთები მხოლოდ იქ დასცილდნენ.

— რაინის ოქრო არაგვის მღელვარეში! — კარგია! — თქვა ვაჟამ.

— თანაც ჰიდროლოგთა საზოგადოებაში! ამასაც არა უშავს! — დაუმატა ბონდომ. ალბათ არც ერთს არ ჰქონდა ნოსმენილი. მეც, სტუდენტობაში აყო, ვაგნერზე რომ ვგვიყვებოდი და საერთოდ მუსიკაზე. ერთი მეგობრის სახლში ვუსმენდით ზოლმე. მერე წლები ისე გადიოდა: მუსიკის გარეშე. ასლა, კაცმა რომ თქვას, არაფერზეც აღარ ვგვიყვებოდი. ჩემი ბიჭი ოცდაოთხი საათი ჯაზურ მუსიკას უსმენდა. ახლა ის „გვიყვებოდა“.

— ოქროს სისხლიც შეიცავს, — მომესმა ლამარას სიტყვები, რომელიც, როგორც ჩანდა, ისევ ბონდოს მოძღვრავდა. ეტყობოდა, ივლიდა, ივლიდა, სისხლის გავლით ისევ ნაღვლის ბუშტთან მივიდოდა და ბონდოს საბოლოოდ გაუსივებდა ნაღველს. — „დიახ, ოქროს“, — გაუმეორა და მე გამახსენდა, ერთხელ ბავშვობაში პაპაჩემის ძმამ რომ მითხრა, ზოგ ქვიშაში ოქროაო. ნათესების ბოლოს ჩვენს სოფელს დღე ჩამოუღიოდა, რომელიც მთებში იღებდა სათავეს. იქ, სათავის შორიანულ პაპაჩემის ძმა კალმახს იჭერდა. კალმახით, ბატკანს პირველად რომ გაკრეპენ, იმ მატყლით და მგონი ცხვრის ტყავით, ძვლის მოტეხილობებს არჩენდა. სხვაც ბევრი სნეულების წამალი იცოდა. მე ხშირად დავყავდი თან. მეუბნებოდა, რომ გაიზრდები, შენ უნდა გასწავლო, მიწაში ხომ არ წავიდები. როდის უნდა ესწავლებინა, არ ვიცი, მაგრამ თითქოს რაღაცას ელოდა. არადადაგებზე რომ ჩავდიოდი, ისევ გაეწევიდით ზოლმე მინდვრების ბოლოს დელის პირას, სადაც რაღაც ბოლქვებს მათხრევენებდა, სისხლნაკლულობას შველისო. ვუამბობდი ჩემს ცხოვრებას, რაზე ვფიქრობდი და რა მინდოდა. ისევ მეტყოდა ზოლმე, უნდა გასწავლოო. მეც ხატრს არ ვუტეხდი და თავს ვუ



ქნევდი. მერე, ცოლი რომ შევირთე, იშვითადალა ჩავდიოდი, ჩემს ცოლს სოფელი არ უყვარდა. საუბარი აღარ გამოგდიოდა. იმ დროისათვის უკვე ძალიან მოტყეხილი იყო. თვალს თითქმის აღარ უჭრიდა. ქუთუთოები სულ ნოვრღვა და წითელი, წვრილი ძარღვებით დაქსელილი გუგის ძირები მოუჩანდა. თვალები ცრემლს ველარ იკავებდნენ და ზოგჯერ მზეზე რომ იჭდა, ცრემლები ღვარად მოსდიოდა და ასე მეგონა, წითელი ცრემლებით ტირის-მეთქი. მუხლისთავებზე ჭამებივით ლაბირქვავებული ყავისფერი, დალაქული ხელის მტევნები ეწყო და თავი უკანალებდა. უკვე აღარ მეუბნებოდა, უნდა გასწავლოო. აღარც მე მახსოვდა და თუ ხანდახან მახსენდებოდა, მას აღარაფერს ვეუბნებოდი. ჩვენი სოფლის შორიანლო, ერთი გორის თავზე, პატარა უსახელო ტბა იყო და იმ ტბის გაფართოებას აბროქტებდა ჩვენი სამსახური, რის გამოც ერთ თვეს სოფელში მომიწია ყოფნა. ტბა გავაფართოეთ, მაგრამ რატომაც ჩვენი სოფლის ღელემ ძალიან მოიკლო და მერე დაშრა. ერთხანს მიკვირდა. ეს ჩვენი ღელე იმ ტბასთან თითქოს არაფერ კავშირში იყო. მერე დავსკვინი, ალბათ ტბისგან დამოუკიდებლად დაშრა-მეთქი, თავისთავად. ერთხელ ბაბაჩემის ძმამ მითხრა, წადი, ღელეს აუყევი და ზომ გახსოვს ის ფოთლები, იმათი ფესვები ამომითხარეო. ძალიან დადლილი ვიყავი, მეზარებოდა, მაგრამ წავედი, იქაურობა მივათვალ-მოვათვალე, მაგრამ ის ფოთლები ვეღარ ვიპოვე. არ ვიცი, ველარ ვიცანი, თუ იმ გაზაფხულს აღარ ამოსულა. ვერ ვიპოვე-მეთქი, ვუთხარი. ღელე რო დაშრა, ალბათ იმიტომ აღარ მოვიდაო, თქვა. სოფლიდან რომ მოვდიოდი და ვემშვიდობებოდი, მითხრა, ველარ ისწავლიო. დარწმუნებული ვიყავი, აღარ ახსოვდა და ძალიან გამიკვირდა. წამოვედი. იმ წელს გარდაიცვალა. მერე ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, ან რას

ელოდებოდა ან რაღად არ მასწავლა-მეთქი. მაგრამ ვერაფერს მივხატე. თანდათან დამავიწყდა კიდეც.

ჩემს ცოლს რომ ვუყვებოდი ერთხელ ამ ამბავს, მითხრა, კარგი იქნებოდა გესწავლა, ამაზე უკეთესად ვიცხოვრებდითო. მერე დასძინა, მაინც არაფერი გამოვიდოდა, როგორ შეიძლება შენ ვინმე მოარჩინოო. არ არსებობდა საკითხი, ჩემს აუტანელ ხასიათთან რომ არ დაეკავშირებინა. ბავშვებს რომ სახადი შეეყრებოდით, იმასაც, მოახერხებდა და მე დამაბრალებდა. პასუხს აღარ ვცემდი. ბუნებრივადაც კი ვთვლიდი, რადგანაც უკვე ის დრო იყო, როცა ქალი ისეთ არსებად მიმაჩნდა, რომელსაც არაფერი მოეთხოვებოდა, უკეთეს ვარიანტზე ფიქრსაც კი სისულელედ ვთვლიდი და ხშირ-ხშირად ვიმეორებდი ერთი ჩემი ძმაცუის სიტყვებს: „ქალი ქალია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცოლიაო“. სიყვარულს რომ აღარ ვგრძნობდი ჩემი ცოლის მიმართ და სურვილს, ეგ არ მაწუხებდა. ბუნებრივად მიმაჩნდა. მაგრამ უბედურება ის იყო, ზოგჯერ აუტანელი გაღიზიანება მეუფლებოდა: მაღიზიანებდა მისი მანერები, გამომეტყველება: როგორ მხვდებოდა შინ შესვლისას; ტელეფონით როგორ გააბამდა ხოლმე ლაპარაკს ყალბი ხმითა და მოჩვენებები. ი გულითადობით, რალაცნირად რომ წელავდა სიტყვებს. კიდეც კარგი, გარეთ უფრო ზშირად ვიყავი, ვიდრე შინ და ეს გაღიზიანებაც, როგორც იყო, გადამივლიდა ხოლმე. ამ ამბების გახსენებამ ისევ გამიფუჭა გუნება.

ჰო, მართლა, არ დამავიწყდეს: მაშინ კოშკში საოცარი რამ მითხრეს. ცხოვრება სიზმარავით უნდა გაშიფრო, ყველას თავისი სიმბოლოები აქვსო... ისე კი არ მითხრა, როგორც, მაგალითად, ლამარა იტყოდა, ბონდო რომ გამოატვინა ნადვლის ბუშტის თაობაზე. ისე მითხრა, თითქოს თვითონაც მონუს-

ნაირა გელაშვილი  
„ამბრნი, შმბრნი და არაბნი...“

ხული იყო ამ აზრით და ეს მონუსხვა გამიზიარა... მაშინ და განსაკუთრებით კი მერე ამ სიტყვებს ღრმად ჩაუფიქრდი (ასე მეგონა, მთელი ცხოვრება ამ ნათქვამს ველოდი) და არ ვიცი, ახლა ჩვენს მგზავრობას რომ აღვწერ, ამ აზრით ვარჩევ ეპიზოდებს თუ უამისოდაც ასე მოვყვებოდი.

უკვე ბინდდებოდა, შატლის რომ მივეუახლოვდით. შინაგანად შევიკუმშე რალაც ნაცნობი და უსიამოვნო განცდის მოლოდინში, რომელიც აქამდე არ გამეცნობიერებინა. უცბად აღიმართა (როგორც იცის ხოლმე), თითქოს თავს დაგატყდაო: შორიდან კოშკების ძირას მოციმციმე თითო-ოროლა ნათურა მოჩანდა და ისევ ის გავიფიქრე, რაც პირველად (და რასაც ყოველ ჩასვლაზე ვფიქრობდი): ისევ მომაკვდავ, პირხმელ, სახეგაშვებულ კაცს მივახსენებ, რომლის სასთუმალთან უნუგეშოდ ლიცილიცებს ორი ობოლი სანთელი... ავტობუსში აღტაცებული შეძახილები გაისმა. მე კი მომაკვდავით აღტაცება არ შემეძლო. ეტყობა, სხვას მშვენიერების განცდა აქვს უფრო ძლიერი, მე კი — სიკვდილისა. და ისე მძულს სიკვდილი და კვდომა, რომ ფიქრიც კი არ მინდა ამაზე. ცხოვრებაში ორჯერ შევეცნაირი ახლობლის სიკვდილს და ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი იქაურობას. არაფერი საერთო არ მქონდა მკვდრებთან. არა, რალაც ვერ ვამბობ იმას, რასაც განვიცდიდი. როგორ ვთქვა. რასაც არაფერი აღარ ეშველება, იქეთკენ გამხედი არ ვიყავი. სიკვდილზეც მძულდა ლაბარაკი და მკვდრებზედაც.

ახლა კი ისევ ისე უნდა მოვყვე, როგორც ხდებოდა.

ავტობუსიდან ჩამოვედი. ვეძას ნაცნობ-ნათესაეები შემოგვეგებენ. წლებიანდელ ათენგეზობაზე, როგორც ვაქამ გვითხრა, მრავალი შატლიონი აპირებდა თავშეყრას. აქედან გადახვეწილთ ერთმანეთისათვის ხმა უნდა მიეწვდინათ და ოჯახებიანად ხატობა-

ზე ამოსულიყვნენ. მათ შორის ცხადია, ბევრი იქნებოდა ისეთი, ვინც ვეზობაში დაეტოვებინა შატლიონი მერე აღარ ენახა, ბევრიც ისეთი (ძალიან შვილები და შვილიშვილები ალბათ), ვისაც პირველად უნდა დაედგა აქ ფეხი. უქანასკნელად აქ ოთხი წლის წინ ვიყავი საქმეზე. ხატობას შემთხვევით შევეცნაირი და ძალიან უღიმღამოდ და უფერულად ჩაიარა. ახლა კი მართლაც დიდი ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. არღუნის მარჯვენა ნაპირზე ავტობუსები, სატვირთო და მსუბუქი მანქანები ჩამწყრივებულიყვნენ. კარვები: გაეშალათ და კოცონები დაენთოთ. ყველგან ხალხი ირეოდა. ქალებიც მრავლად იყვნენ. რალაც მღელვარება და გულაჩვილებული განწყობილება იგრძნობოდა. ჩვენები ხიდზე გადავიდნენ და კოშკებისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ. კოშკებს უქან, სახატე გორაზე ალბათ პირუტყვი იკვლებოდა, ამწყალობებდნენ, როგორც წესი და რიგი იყო და ლოცულობდნენ. მე არ გავყევი, იქვე დავრჩი შატლიურას პირას, ხალხს შევერჩე და ალათო მოვათვალიერე. არსად ჩანდა. ერთ შუახნის კაცს მოვკარი თვალი: ხელში სამიოდე წლის ბიჭი ეჭირა და ხელით კოშკებზე ანიშნებდა. რას ეუბნებოდა, არ ვიცი, მაგრამ შევამჩნიე, რომ ჯმუხ სახეზე ცრემლები დაუგორდა. ახალგაზრდა ქერა ქალიშვილი მომხვდა კიდევ თვალში, დიდი, ცისფერ თვალები ჰქონდა და გრძელი, ნაოკაყრილი, ქვედატანი ეცვა. ხელი გადაეხვია წელში მოხრილი დედაბრისათვის და ეუბნებოდა: აი, ბებო, ხომ კიდევ ნახე შენი შატლი, რომ იხვეწებოდი, ისე ნუ მომკლავთო. დედაბერი უხმოდ უქნევდა თავს, კოშკებისაკენ იყურებოდა და პირჯვარს იწერდა, მერე აცახცახებული ხმით სთხოვა, ეგებ იქ ამიყვანო. ხევსურულად უქცევდა. ასე დავდიოდი და ხალხს ვათვალიერებდი. შვიდი-რვა წლის ბიჭები შექუჩებულიყვნენ ერთგან. ერთი კოშკებზე აჩვე-

ნება: „აი, იქეთა მხარეს, აივნიანი, ისა ყოფილა თურმე ჩვენი კოშკი“. ბიჭებმა იქ ასვლა გადაწყვიტეს. ცოტა ხნის შემდეგ მართლა დავინახე: ხან სარკმლიდან გამოჰყოფდნენ თავს, ხან კედელს მოექცეოდნენ თავზე.

შატოლში პირველად, სტუდენტი რომ ვიყავი, მაშინ ამოვედი, ამხანაგებთან ერთად. მაშინაც ათენგეგობა იყო, ვაჟაც აქ გავიცანი. მაშინ ხატობას ვერ კიდევ შერჩენოდა ძველი დიდებულეება და აქაურობამ და საერთოდ, მთელმა სანახაობამ ისე შემძრა, თბილისში რომ დავბრუნდი, ღამეები აღარ მეძინა, ყურებში სულ ხევისბერის ზარით ხმა მეღდა:

დიდება ღმერთსა, მადლი  
ღმერთსა!  
ღმერთო, გაუმარჯვე დღესა  
დღევანდელსა,  
ღმერთო, გაუმარჯვე ზედაშის  
პატრონსა,  
მოსულან შენს კარზეა,  
გულხელდაკრეფილნი  
შემოგძახიან შევლასა...

დამამახსოვრდა ზანზალაკებიანი დრო-შა და ხევისბერის გამხდარი, დაარღვეული თითები იმ დროშის ტარზე. ხატონის გუგუნი, ანთებული სანთლები, სამხვეწროები. დამამახსოვრდა ორი წლის ბიჭი წელსქვემოთ ტიტველი. დედას გამოჰპარვოდა ალბათ, ხმალს შოთრევედა ქშენით და მობაჯბაჯებდა. სად მიდიხარ-მეთქი, ვკითხე და ზედ არ შემოუხედავს, კუშტად მიპასუხა: ხატჩი მიგდივარ, — და წატყაპუნდა.

ერთი ახალგაზრდა, ძალიან ფერმკრთალი; ძაძვებით შემოსილი ქალი მუწლის ჩოქზე იდგა ხატის შორიახლო და ლოცულობდა. ხელში ჩვილი ეჭირა. ბავშვს ძალიან წვრილი თითები ჰქონდა და დროდადრო უღონოდ ზუჰავდა თვალებს. შევნიშნე, ქალს შორიდან ერთი ახალგაზრდა ხევსური მიშტერებოდა, სახეჩატეტკილი და გულხელდაკრეფილი. მერე მითხრეს ის, რაც თვითონაც გავი-

ფიქრე: ის ქალი ქვრივი ყოფილიყო. ამ კაცს კიდევ ბავშვობიდანვე ჰყვარებოდა. მაგრამ ქალი ახლომდებარეობდა. ისევე ხევისბერის ხმა:

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი და  
ღმერთო, შენა ხარ სავედრებელი.


თბილისში რომ დავბრუნდი, იმ ჩემს პატარა დაქირავებულ ოთახში ყველაფერი ეს დაწვრილებით აღვწერე. გამახსენდა ერთი ადგილი ჩემი დღიურიდან:

„ხალსს გავერიდე და მარტო დავბორიალებდი... ვფიქრობდი, ალბათ ახლა გარეშემო, მათა მწვერვალებზე ყველა ის უხილავი არსებაა ჩამოგდარი. ხატიონი რომ უხმობს-მეთქი: უამრავი წმინდა გივარგი — წითელჯვრიანი, კვირია და ლომისა, თმაგაშლილი ღვთისმშობელი, და თეთრკაბიანი წმინდა ნინო, თმაში ყვავილებჩაწულთი, მძლეთამძლე პირიმზე, საცრისხელთვალა კოპალა და ელვარე იახსარი... შემოქმადიანი შატალს, ვარსკვლავების ჩირაღდნები უპყრიათ ხელთ და გადმოსცქერიან სანთლებანთებულ ხატიონს. მერე სასაფლაოზე ამოვყავი თავი კოშკებს უკან, ხატის შორიახლო. მეჩვენებოდა, ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი იყო ის მთვარე, ძალიან შენიჭებული და ხარბი: ყველას და ყველაფერს შეგვისრუტავს-მეთქი, ვფიქრობდი. მედღეობეთა ხმაწყობილი გუგუნი ავსებდა იქაურობას. მეგონა, ამ მთვარით შეღებულ და მოძახილებით გაფატრულ ღამეში საფლაოებიც გაიხსნებოდა, მკვდრებიც სიმღერით ამოვიდოდნენ და ყვითელი ხმებითა და ყვითელი სიცილით შეუერთდებოდნენ ფერხულს“.

გამეცინა, ეს ჩემი სტუდენტობის დროინდელი ჩანაწერი რომ გამახსენდა. ისე კი, სჯობდა, მეტად აღარ ამოვსულიყავი და ამ სურათთან დავრჩე-

ნაინა გალაშვილი

„ამბრნი, შმბრნი და არანნი...“



წილყავი. რადგან ათი წლის შემდეგ კიდევ რომ მოვხვდი ხატობაში. უკვე ღრეობა იყო და მეტი არაფერი. ის ხეცისბერი მომკვდარიყო. ვილაც ახალგაზრდა, გრძელ, შავ კაბაში გამოწყობილი, თმაწვერმოშვებული კაცი ხატის წინ დაეცა და გრეხას მოჰყვა. მერე წამოხტა. მკერდში მჯილის ცემითა და პირჯვრის წერით საღლაც გაეჭვა. ქალები ამბობდნენ, დამიზეზებულაო, კაცები ილანძღებოდნენ. ერთი სიტყვით, არავის აღარაფერი გაეგებოდა. სულ ბოლოს კი, ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, წინალამეს გამომთვრალ დეკანოზს დროშის ტარზე ჩამოეძინა და დროშინად წაიქცა. ახლაც, ალბათ, ამიტომ აღარ გავყევი ჩვენებს. ერთი კი გავიფიქრე, ახლა, მაგის კაცი რომ ვიყო, და მახვეწართ შევუერთდე. ხატს რას შევთხოვდი-მეთქი. ვიჭიქრე და ვერაფერი მოვიფიქრე. ამ დროს ნაცნობი მომიახლოვდა, ვაჟას ნათესავი იყო და იქვე ლუღზე მიმიპატიჟა... როცა ავდექი, შემთვრალი ვიყავი. ისევ ალათო მოვათვალე რე და ისევ რომ ვერსად მოვკარი თვალი, შატილურაზე გადებული ბოგირისაკენ წავედი, ვიფიქრე, კოშკებში ავალ-მეთქი. შევდგი თუ არა ფეხი, საღლაც, ჩემს ზურგს უკან ფანდურის ხმა გაისმა და სიმღერაც მოჰყვა:

ისევ ჩამოსულაა  
შენი ნანდაური...

ერუანტელმა დამიარა. „ალათო“ — ვთქვი ჩემად. დასწყევლოს ღმერთმა! რა დროს ეს არის. ხატობაში ხმით ნატირალი! დღესასწაულია თუ გლოვა! ალბათ ვილაც მეტიჩარამ სთხოვა. შევეტრიალდი და მისკენ გავემართე. ქვაზე იჯდა. ვილაცები გარს შემოსხდომოდნენ, მეტწილად ქალაქელები. დამინახა თუ არა, ფანდური გვერდზე მიდო და გადამეხვია.

— ალათო, როგორა ხარ? შენ გეძებდი...  
— რაღა როგორ ვარ, ჩემ შვილო, ვკრივართ ჩვენ და ეს ტიალი კოშკე-

ბი, აღარვის უნდივართ. ყველანი წავიდნენ, ამომსვლელ ატარებენ ხატს. ჰინჯარმა შეგეკამას ლამაზი წიგნი დაე, მოვითბე ერთი კვირის წინ, ისევ ამოიყარა. იზრდების ოხერი, კაცის ფეხი თუ არ ხედების, თიბვა ვერას ვერ შველის. დავბერდი, დაგენაცვლე, ალბათ სიკვდილს თუ ვახსენდები, სულ გული მიტირის, შემომონჯავის ბალივითა... დავამღერებ ხოლმე ხმით ნატირალს, გულს სხვა აღარაფერი სწადს და შენ მახსენდები... აღარ იმღეროო, რომ მითხარ, მაშინ. ამოვიდეს-მეთქი, ვამბობ გულში, სულ სიყვარულზე ვუმღერებ-მეთქი, — სახე სულ დაღაროდა, შუბლზე ჩამოყრილი თმაც გაქალარავებოდა, მაგრამ თვალები და ვერცხლის საყურეები ისევ ერთნაირად უბრწყინავდა. თუშის ქალია ალათო, შატილიონთა რძალი, ვაჟას, მგონი, ბიცოლად ხედება. ქმარი შატილში ჰყავს დამარხული, ერთი ქალი ფშავშია გათხოვილი. მეორე — თუშეთში. შვილები ეხვეწებოდნენ, ჩვენთან იცხოვრეო, მაგრამ ალათო კოშკებს არა სტოვებდა. ისე კი, ზოგჯერ ჩააკითხავდა თავის ქალებს, ცოტა ხანს დარჩებოდა ხოლმე მათთან. როცა ჯავრობდა და ბრაზობდა — ხეცურულად უქცევდა, თუ ჩიოდა — ფშავურად, თუკი ვინმეს დაუტკებოდა და მიესიყვარულებოდა — თუშურ კილოს ირჩევდა ხოლმე.

აქ გეოლოგებს რომ ჩამოვეყვი (ეს ჩემი მეორე ჩამოსვლა იყო შატილში), მაშინ გავიცანი. კარავი არღუნის პირას გვედგა და ხშირად გეაკითხავდა, ქადები მოჰქონდა ჩვენთან. ბიჭები სთხოვდნენ და ისიც მღეროდა. ალათოს სიმღერაც იმ მოვლენებს განეკუთვნებოდა, მე რომ ვერ ვუძლებდი. ისეთი ცრემლიანი, მტკიენეული ხმა ჰქონდა, გულ-მუცელი გადამიბრუნდებოდა ხოლმე და ასე გულმუცელგადატრიალებული ყოფნა არ მეპირიანებოდა. ერთხელ კარავში შემოვიდა და მე მარტო დავხვდი. ძირს ვიჭექი, ფე-



ხებგაშობილი, კარვის კუთხეში მიყრილ ზურგჩანთებს ვეყუდე. ტიქა იქვე მიწაზე მედგა და გვარიანად ვიყავი გაღეშოლი: ალათო, — ვუთხარი მაშინ (მევე ვიგრძენი, რაღაც ძალიან პირქვე და ზრინწიანი ხმა ამომივიდა ყელიდან), — ჩემთან, ეგ ხმით ნატირალია თუ რაღაც ოხრობა, აღარ იმღერო, აღარასოდეს... კარგი? საერთოდ აღარ იმღერო, ალათო, გესმის?

— მძიმეა, ჩემ შვილო, მძიმე, განა არ ვიცი, — ჩაიღუღუნა და აღარაფერი უთქვამს. ვიღრე იქ ვიყავით, მე და ის გეოლოგები, რითაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით: ჰინჭარი მოვთიბეთ, მოვასუფთავეთ; კოშკის კედლები ალაგ-ალაგ თიხით შევლესეთ, ქვები შეგუყუდეთ. რატომღაც მე გამორჩევით ვუყვარდი, რის გამოც მისი ტკბილი თუშური კილო მხედებოდა ზოლზე წილად. მაშინაც ასეთი მბრწყინავი, შავი თვალეები ჰქონდა და წლები მათ ციმციმს ვერაფერს აკლებდა. ეტყობოდა, ეშხიანი და წარმტაცი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობაში, რაც ვუთხარი კიდეც: ნეტა ახალგაზრდას შეგსწრებოდი, მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი-მეთქი. რასაო — გაიცინა. ქმარა მოგიკლავდი და მოგიტაცებდი, ედევნათ ამ გიყ ხევსურებს, რამდენიც უნდოდათ-მეთქი. გაიცინა და ბარემ სულ ადრე შემხვედროდი, რაკი ნატრობ, რაღა წიქა უნდა აგეკუწა, კარგი კაცი იყო.

— ალათო, ავალ შენთან, ცოტას წამოგწვები.

- გამოგყვე, თუ მარტო წახვალ.
- მარტო წახვალ.
- წადი, დედისავ, მერე მეც მოვალ, ლუდიც არის იქა, ქაღებიც.

ხელი მოვხვიე მხრებზე და მერე წავიდი. ავტობუსიდან ჩემი ზურგჩანთა ავიღე, სადაც ცოტა რაღაცეები მქონდა ალათოსთვის. ხილზე რომ გადავედი, დავიხარე და მთის ფერმკრთალ, ვარდისფერ ყაყაჩოს ვუსუნე. ბილიკს ავუყვიე, ძლივს რომ მოჩანდა ჰინჭრებში.


ალათოს კოშკს მივალწიე და შევედი. ქვეტიკირის კედელში გამოკრული ქატირა საარკმლიდან გადაყურებდა გეტოს. შუბლი მიხურდა და კედელზე მქონდა მიყრდნობილი. უცბად მივხვდი: იქ მარტო ყოფნა არ მინდოდა. მეტი გამახსენდა. გამოვედი. უკვე ბნელოდა. დარწმუნებული ვიყავი, მეგის საქმენელად მივდიოდი. ის იყო პატარა ბოგირი გადავიარე, რომ „ვარდისფერი“ დავინახე. არღუნის პირას იჭრა მარტო და ნიკაბი მუხლებზე ჩამოეყრდნო... მაშინვე ვიცანი, თუმცა უკვე ბნელოდა. რატომღაც ვული შემეკუმშა. არ ვიცი, შემეცოდა თუ რა იყო... ავდექი და მისკენ გავემართე... რა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი, რისთვის მივდიოდი, არ ვიცოდი.. მახსოვს, ერთი გავიფიქრე, რაც არ უნდა ვუთხრა, მეტყვის: არა! ჯიუტად, როგორც იცის-მეთქი, რომ მივუახლოვდი, მაშინლა გამახსენდა: მისი სახელი არ ვიცოდი. უცნაურად მომეჩვენა, რომ ამხელა გზაზე ერთხელაც ვერ მოვეკარი ყური... მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო... თვითონაც ვერ გავიგე, როგორ დავაწყვე მხრებზე ხელები...

შეკრთა. წამოიყვირა და მოტრიალდა.

უკვე გვიან იყო. ჩემდა გასაოცრად, პირი გავხსენი და ვუთხარი: „წამოდი, გინდა, ჩემთან კოშკში“, და კიდევე უფრო გასაოცრად მშვიდად დავუმატე: „წამოდი ამაღამ ჩემთან“.

ხომ ძალიან უცნაური იყო, რაც გავაკეთე, მაგრამ ამას რაც მოჰყვა, ის კიდევე უფრო გასაშტერებლად მომეჩვენა ზე ფაქტიურად ამით დაიწყო კიდეც ყველაფერი: ჩემს სიტყვებზე სახე გაუბრწყინდა, გაუციკროვნდა, თითქოს სასუფეველში ვეპატიებოდი! სრულიად გასაგები იყო, რაც ვუთხარი. კოშკში ჰინჭველების საყურებლად და მისის ხოკოს დასამარხად არ მიმიწვევია. ერთმანეთს თითქმის არ

ნაიბა გილაზვილი  
„ამბანი, უმბანი და არაბანი...“



ვიცნობდით. მეგი რომ შემხვედროდა, იმას წაეყვანდი (ხომ იმის საძებნელად წამოვედი). ეს, რა თქმა უნდა, თვითონაც უნდა ეფიქრა. როცა ქალები ასე მოგყვებიან, როცა იციან, რაც გინდა, რალაცნაირი სახეები აქვთ ხოლმე. ან ოდნავ დაძაბული, ან უტიფარი, ან ყალბად მორცხვი, ან კმაყოფილი, ან უაზროდ მხიარული — გამოცდილებისა და დახვეწილობის მიხედვით. მის ადგილას რიგრიგობით დავსვი ზოგიერთი ჩემი ნაცნობი ქალი და იგივე სიტყვები ვუთხარი: ყველამ გაიკვირა: კოშკში? რატომ? ერთი-ორმა ყალბად გაიცინა: „არ არის საშიში?“ მეგიმ იკითხა: „შეიძლება შესვლა? ძალიან მაინტერესებს, როგორია შიგნიდან, თან ალბათ მშვენიერი ხედაი...“ და ყველანი წამოვიდნენ, რა თქმა უნდა, და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. საქმე ის იყო, რომ სიამოვნება და კმაყოფილება რა გასაკვირია, მაგრამ სიხარულით ასე გაბრწყინებული სახე, ბავშვების გარდა, არავისზე შენახა, ასეთ შეთავაზებაზე ვინმე სიხარულისგან გაბდღვრილებულიყო, თანაც თითქმის უცნობი, პირველად ვხედავდი და მგონი, გაკვირებისაგან პირიც კი ღია დამრჩა.

— მართლა? — აღმოხდა გაბრწყინებულს და ხელები გამომიწოდა. ხელი მაჭებზე ჩაეჭიდე და წამოვაყენე. ამ დროს გავიფიქრე, რომ ძალიან ლამაზი იყო.

ბილიკს რომ მივუყვებოდით, ერთ-ორჯერ გვერდიდან შევხედე: სახეზე სიხარული არ მოშორებია. შეცბუნებული ვიყავი, მაგრამ არ ვიმჩნევდი, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო.

II

კოშკში შევედი. წინა „ოთახში“ არ გავრებულვარ, მეორეში გავიყვანე. აქ მარჯვნივ და მარცხნივ ზის გრძელი სკამები იდგა, შუა კედელთან — ხის ტახტი, ზედ დაზვინებული ლოგი-

ნებით. მეოთხე კედელში ერთ-ერთი იყო გამოჭრილი.

ხალისიანი განწყობილება დასმუტვლა, რაც ალბათ მისგან გადმომედო. უცებ მივეუბრიალდი, ლოყებზე ხელი მოვეუბრე და ვკითხე:

— რა გქვია, პატარა დათვი?

— მე ვარ პატარა დათვი?

— დიახ, შენ. აბა, აქ მოდი! — ფანჯარასთან მივეყვანიე, საიდანაც მთელი არე-მარე ხელისგულივით მოჩანდა. ცისკენ ავახედე. იქ, წყლან მარტო რომ ვიყურებოდი, „პატარა დათვს“ მოეცარი თვალი. ახლაც იქ იყო და კამკამებდა თავისთვის. — აბა შეხედე, ხედავ? — თავი დამიქნია.

— მერე ეს რა არის? — ხელი კისერზე გადავუსვი, სადაც ფერმკრთალი ხალების პატარა ხომლი მქონდა შეგულვებული. თვალები დახარა. ვიგრძენი, რომ გააფრქოლა.

— რა არის? — მკითხა ჩუმად, შეცვლილი ხმით.

— რა და პატარა დათვი. აქ ხალები რომ გაქვს, არ იცი?

— ვიცი, მაგრამ მხოლოდ სარკეში დამინახავს, — მიპასუხა კიდევ უფრო ჩუმად. — შენ საიდან იცი?

— საიდუმლოა. მეცოდები, რომ ვერ ხედავ. ძალიან კარგი სანახავია. ზუსტი ასლია. ვინ წარმოიდგენდა? — უცბად დავიხარე და კისერზე ვაკოცე. — მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდი, პატარა დათვისთვის მეცოდნა. — და აი, სად დამიხვდა.

— არ ოცნებობდი, — მითხრა ხზვანსმით, მაგრამ ჩუმად (რალაც ბევრი რამ მითხრა ამ სიტყვებით) და სახეში შემომხედა. გამომეტყველება სოცრად გაღლობოდა... გაღმობიერებულ სახეზე რალაც თვინიერება ეხატა. რაც მისი „არას“ პატრონისაგან, კოტა არ იყოს, გამიკვირდა. დელავდა, ვგრძნობდი, მის გულს სულ ბავაბუგი გაუდიოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ლოცულობსო.

— რა გქვია, მართლა?

— მერცია.

— მერცია... ბავშვობაში ჩვენი ექიმის შვილს ერქვა. ჩვენთან სათამაშოდ არ უშვებდნენ, სულ ეზოში ჰყავდათ ჩაკეტილი, მგონი ავად იყო...

— ავად იყო? რითი?

— არ მახსოვს... მერე ეგ სახელი აღარ შეგხვედრია... — ვუყურებდი, — მერცია, ეს არის ჩვენი გამოქვაბული, ჩვენა ვართ ველურები... ვიბოვეთ ერთი გამოქვაბული და ერთად უნდა დავიწყოთ... ცხოვრება, ხო კარგია? — მივედ-მოვედებოდი, რომ არ გავჩუმებულიყავი, რადგან მეც ვლელავდი.

— კარგია, — გაიცინა და გამხიარულდა.

— ოღონდ ამ თამაშისათვის, არა, ამ ცხოვრებისათვის, ყველაფერი უნდა დაივიწყო... — ვუთხარი და თმაზე ჩამოვუსვი ზელი...

— რა ყველაფერი?

— ქალაქი, წარსული, ნაცნობები... ყველაფერი...

— ოჰ! — ხელი ჩაიქნია, — არც მახსოვს.

— ძალიან კარგი... რა გახსოვს? — ვიგრძენი ამ სიტყვებით რაღაც კონკრეტულს ვეკითხებოდი, რადგან ახლადა გამახსენდა, რომ არც კი ვიცოდი, ვაზოვადი იყო თუ ვაუთხოვარი, საერთოდ ვინ იყო... და ვინ ჰყავდა.

— რა? რა ვიცი... — მხრები შეიშმუნა, — მახსოვს, რომ... დრო გადის...

— ეგ წელან ხომ არ დაადგინე, სევიანი წყალის პირს რომ იჭექი...

— რა ვიცი, — ჩუმად გაიცინა.

კედლიდან ხანჯალი ჩამოვხსენი, მერე ალათოს მამამთილის ნაქონი „ბერდნკა“ ფანჯრის რაფაზე გავდე. ხანჯალი ვიშიშვლე, მერციას მხრებზე ხელი გადავხვიე და ვთქვი:

— ჩემი ციხე, ჩემი მიწა, ჩემი ქალი, ჩემი ხმალი.

— მრისხანე შატლიონი, — გაიცინა და განზე გაიწია. არ ვიმჩნევდი რომ ვამჩნევდი. რამდენჯერაც შე-

ვეხე, იმდენჯერ გააქრეოლა. გავიფიქრე, ძალიან მგრძნობიარეა-მეთქი.

ხანჯალი ტახტზე დავედე. მბორკავდა და არ ვიცოდი, რა ასეთი უხერხულობა ბავშვობის შემდეგ აღარ განმეცადა და ვერაფრით ვხსნიდი. იმ სიხარულის ბრალი იყო ყველაფერი... ისე რომ გამომყვია... თითქოს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ... არადა, რატომ, რა საფუძველი ჰქონდა? გავიფიქრე, მეგი რომ მყოლოდა, ალბათ აქამდე უკვე ერთად ვიწვებოდით-მეთქი... მაგრამ, ახლა რა მომდიოდა, ვეღარ გამეგო. კოშვიდან რომ გავედი, საკმაოდ ძლიერ სურვილს განვიცდიდი. ახლა კი უბრალოდ ხალისიან ვუნებაზე ვიყავი (რაც, რა ხანი იყო, აღარ მახსოვდა), მაგრამ წელანდელ ფიზიკურ სურვილს ვეღარ ვგრძნობდი... და ფანჯარასთან რომ მივიდა და გარეთ გაიხედა, ზურგიდან მივუახლოვდი, ხელები ყელზე შემოვხვიე და ჯერ ერთ ლოყაზე ვაკოცე, მერე მეორეზე. ამით უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჩემი საქმე წასული იყო. რაღაც სულ სხვა გემოს ვატანდი იმ კოცნას. უნებოდ ვკოცნიდი, სიყვარულით, ბავშვებს რომ ეფერებიან, ისე. მოტრაალდა, ხელებით მკერდზე მომაწვა და განზე გამწია. ისევე ავაფარე ხელები ლოყებზე და დაღრეცილ ტუჩებზე ოდნავ შევეხე. მერე ყურის ძირებისაკენ ჩავაცურე და კისრის მალე-ბთან თითები ერთმანეთს გადავაჯდე, გააქრეოლა.

— გინდა გაგაზარო? — ვკითხე უცბად.


— მინდა.

ძირს ნაბადი დავაგე. თავთან ხმალი დავიდე. გვერდით თოფი მივიწვინე და გულალმა გავიჭიპე:

— აი, მკვლარი ვარ და დამმარხე, ხომ გიყვარს დამარხვა და საფლავების კეთება. — ხელები გულზე დავიკრიბე და თვალეები დავხუჭე.

ნაირა გელაშვილი

„ამბონი, შობონი და არაბონი...“



— კოშკში ლომი წოლილიყო,  
 მომრევ არვინ იყო მისი,  
 იმის თავით რაში ება, ტორით მიწას  
 თხრიდა ისი,  
 მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, წვერი  
 ცასა ხევდა მისი,  
 მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი  
 ჰქონდა აღმასისი,  
 გვერდით ეჭდა თავის დედა,  
 ცრემლად დასტიროდა შვილსა  
 თავით ერთი ქალი ეჭდა, ზღვას  
 ერევა ცრემლი მისი...

თქვა ხმადაბლა. თვალეები არ გამი-  
 ხელია. მერე გაჩუმდა. ვიგაძენი, მო-  
 მიახლოვდა... ნაბაღზე ჩემს გვერდით  
 ჩაიშუხლა. მხარზე მუხლისთავეებით მე-  
 ხებოდა... დაიხარა და ტუჩებზე ოდნავ  
 შემეხრო. მერე დახუჭულ თვალეებზე მა-  
 კოცა... თითქოს პეპელა დამაჯდა ქუთუთ-  
 თოზე. მერე ხელი შუბლზე გადამის-  
 ვა... საფეთქლებზე. მოვიტენთე. ლო-  
 ყაზე ჩააცურა და მხარზე შეაჩერა...  
 ოდნავ მომიკირა:

— გაახილე, — მითხრა ჩუმაღ.  
 არ გავანძრეულვარ.

— გაახილე თვალეები, — წამწამებ-  
 ზე ხელი მომიკიდა და ამოწია.

ღე უფრო მაგრად მოვხუჭე.

— გაიღვიძე, გესმის, გაიღვიძე! —  
 ხმა ნერვული გაუხდა. დაიხარა და  
 ლოყით ლოყაზე მომეკრო.

— ააჰ! ხომ ჩამივარდი ხელში! —  
 დავიძახე და ხელეები მოვხვიე.

შეკრთა. თვალეებში რომ შეეხედე,  
 თითქოს ცრემლი უბრწყინავდა.

— ე! რა მალე დაიჭერა! ხელად არ  
 შევიდა ჭირისუფლის როლში!

გაეცინა.

— როგორ მითხარი? — „გაიღვიძე,  
 გესმის, გაიღვიძე“. იცი ეგ ლექსი?

— არა, — მოიწყინა ისევ.

— გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსია.  
 ხევსური იყო. ვაჟა გიფდბა. მაგაზე.  
 მგონი შორეულ ნათესავად ხვდება.  
 ტვინი გვაქვს წადებული სამსახურში.  
 გავივლის, გამოივლის და გეტყობრცნის  
 რაიმე სტრიქონს, მთელმა განყოფილე-

ბამ ზეპირად იცის. ერთი ქალი ჰყვო-  
 რებია, მზექალი, ადრე მომეკვდა და  
 კარგი ლექსები აქვს იმ ქალზე, წვერს  
 შემხვდა ვაჟა, კარგა მაგრად გამოი-  
 რუქული, გამაჩერა და მტყობრცნა: „გა-  
 იღვიძე, გესმის, დროზე გაიღვიძე“, —  
 თან თვალეებს აბრიალებდა მოხვერი-  
 ვით. გინდა გითხრა ბოლომდე?

— მინდა.

მე თვითონ გამიკვირდა, ლექსი რომ  
 ზეპირად ვიცოდი თურმე:

გაიღვიძე, გესმის, დროზე გაიღვიძე,  
 შენთან მოვდივარ და,  
 ხომ უნდა დამხვდე ფხიზელი,  
 რამდენი გეძებე,  
 რამდენი გეძახე,  
 რამდენი ვიღვაწე,  
 ხმა არ გამეც და  
 უშენობა მეტად ვერ შევიძელი,  
 რამდენი სათქმელი დაგროვდა,  
 რომ იცოდე.

მგონი ათ წელსაც ვერ მოვათავო  
 ლაყაფი;

გაიღვიძე, კუბო მორთე,  
 შენს გვერდით მომიწოდე,  
 ადგილი მანდ ორთავეს გვეყოფა.  
 ხომ იცი, ხალხს და სოფელს  
 განვერიდე,

მტორავენ ტრფობისა და კენტობის  
 ვაებანი,


გაიღვიძე, გესმის, დროზე გაიღვიძე.  
 ნუთუ არ მოგენატრა ჩემთან  
 პაემანი?

— ჰოდა, ასე ჩამიბუღებულა. ეშმაკ-  
 საც წაუღია შენი თავი, მომწყედა აქე-  
 დან-მეთქი, ვუთხარი. ვერ ვიტან ამ  
 მოთქმასა და მაგათ სიმღერებს სიკვდი-  
 ლზე. ვერ ვიტან საერთოდ ლაპარაკს  
 მკვდრებსა და სიკვდილზე... ე! რა მო-  
 გივიდა! შენ რა, მართლა მოიწყინე?  
 კარგი რა! აი, ხომ ხედავ, ტყუილად  
 კი არ მეჯავრება ეგეთი რაღაცები.  
 რა სისულელეა, ხომ არ ტირი?

— საშინელი ლექსია, — თქვა და  
 წამოღდა. თვალეები გაუშტერდა.

— საშინელია, აბა რა!

— ძალიან კარგი ლექსია... საოცა-



რი კაცი ყოფილა, — მერე დაუმატა, —  
— მე მიყვარს მკვდრები.

— კარგი ერთი. ძლივს კარგ ტალღაზე გადაგრთე და ყველაფერი ჩაშალა ამ ლექსმა.

— არა, — თქვა და ჩაიმუხლა. ხელები მხრებზე მომხვია და მაკოცა. რალაცნაირად გამოუვიდა: თითქოს გულამომჭადარი მკოცნიდა, რალაც განსაკუთრებულად მგრძობიარედ, ისეთნაირად, თითქოს მისი სიხარული ტირილს ესაზღვრებოდა, თითქოს სულ ცოტა დროლა ვეჭონდა დარჩენილი და ყველაფერი უნდა მოგვესწრო. ისევ გამიკვირდა. ალბათ შატილის ბრალიამუთქი, გავიფიქრე.

მკლავზე მეწვინა... მეორე ხელით მისი ნიკაბი მეჭირა და ნელა ვკოცნიდი. ამაზეც უნდა მივმხვდარიყავი, რომ რალაც უცნაურობაში შევეყავი თავი: სულაც არაფერს არ ვჩქარობდი. ასე მინდოდა გაგრძელებულიყო ძალიან დიდხანს...

თასმები ნელა გამოვადრე. იჯდა. ხელები ჩემს მხრებზე ეწყო. ჯერ ერთი მკლავი გაუშვივლდა. მერე მეორე და კაბა ჩაცურდა კიდეც. წელთან მოქუჩიდა. არ შემიხედავს, ისე მოვეხვით. წელს ზემოთ არაფერი ეცვა. ესეც გავიფიქრე, მგონი ავტობუსში.

— ბავშვი გყავს?  
თავი დამიქნია.  
— ერთი?  
— ისევ უხმოდ დააქნია თავი.  
— რამდენი წლისაა?  
ჩუთი გაშლილი თითი სახეზე აიფარა.

— ქმარი?... ქმარი... გიყვარს?  
თავი გააქნია უარის ნიშნად. მერე თქვა:

— არა მყავს.  
— როგორ?  
— ისე, — მხრები აიწურა.  
— მოკვდა?  
— ნწ.  
— გაყრილი ზარ?  
— ნწ.

გავჩუმდი. ისევ რალაც ცივმა და უსიამომ დამიარა. სიგარეტს მოვუწვიდე. გულალმა დავწეე და მეორე ნელი თავქვეშ ამოვიდე. ვიგრძენი, ერთი ორჯერ ამომხედა. ხელი გავიწოდე და თავზე გადავუსვი.

— ახლა ვისთან არის ბავშვი?  
— დედაჩემთან და ჩემ დასთან. ძირითადად იმათთან არის. მე არ მანდობენ, — გაელიმა.

— შენ რას აკეთებ?  
— ვხატავ.  
— ის... გიყვარდა?  
მხრები აიწურა:  
— მომწონდა... იმას ვუყვარდი.  
— რატომ დაშორდი? მოეშვი მაგ მხრების აჩჩვას.

— არ შემეძლო მასთან... მივხვდი, არ შემიყვარდებოდა...  
— რატომ გააჩინე?

— უფლება არ მქონდა? — მკითხა გაბზარული ხმით: გაღიზიანდა. მერე მოლბა და დაუმატა: — არ შემეძლო მოშორება... მზარავს ეგ... ალბათ ვერასოდეს ვერ მოვიშორებ... მზარავს...  
— აბა, რამდენჯერაც იქნება... იმდენჯერ უნდა გააჩინო?

გაიცინა. ისევ მხრები აიწურა.  
— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... არ ვფიქრობ... რაც არ შემიძლია, არ შემიძლია. არ ვფიქრობ... ბევრი რამ არ შემიძლია...


— რა ჰქვია ბავშვს?  
— ელენე.  
— შენა გგავს?  
— მე მგონი...

ჩუმად ვიყავით. ნაღველი შემომამწვა.  
— ვერ წარმომიდგენიხარ ფეხშიძე.

— ვერც მე წარმომედგინა, — სევდიანად გაიცინა და მხარზეც რალაც სევდიანად მაკოცა. მერე მითხრა:

— იცი, როდის ვნახე პირველად?  
— როდის?  
— ამ შემოდგომაზე. ნოემბრის ბო-

ნაირა ბალაშვილი  
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“



ლოს. თქვენთან ვიყავი სამსახურში. ამხანაგისთვის რალაც წიგნი მკირდებოდა და ვიფიქრე, იღას ექნება-მეთქი...

— იღა შენი მეგობარია?

— არა. ჩემი დის მეგობარია. ჩემმა დამ მითხრა, იღასთან მიდი, იმას ექნებაო. იღამ მითხრა, მე არა მაქვს, აქ კი აქვს ერთს, მაგრამ იმას ვერა ვთხოვო და თავით შენზე მანიშნა. შენ მაგიდაზე იჯექი, კედელს მიყრდნობოდი და ფანჯარაში იყურებოდი. სივარეტს ეწეოდი... არ ვიცი, რატომ ვერ ვთხოვდა. „რა ჯავრიანი თვალები აქვს“, — ვუთხარი იღას. „ჯავრიანი? — მკითხა და მერე ჩილაპარაკა: — „ჯავრიანი არა, ის...“ „ცოლი ჰყავს?“ — თვითონვე გამოვირდა, ეს რომ შევეკითხე. შემომხედა და მიპასუხა: „ცოლიც, შვილებიც... საერთოდ, არაფერი არ აკლია“. მერე ხშირად ვფიქრობდი ზოლზე შენზე.

— რა წიგნი გინდოდა? — რატომღაც დავინტერესდი, თან იღას სიტყვები გავიმეორე გულში: „არაფერი არ აკლია“.

— ვიღაც გერმანელი ავტორის წიგნია, მგონხ, წყლის მიწისქვეშა მარაგს ეხება, თუ არ ვცდები... ამ მიწისქვეშა მდინარეებზე რალაც საინტერესო მოსაზრებები ჰქონია. სათაური დამავიწყდა. ჩემი ამხანაგი მიხსნიდა.

— ჰო. ვიცი. მაქვს. ვინ არის ის შენა: ამხანაგი?

— ერთი გოგოა. ბულეიშვილია და „ბულეის“ ვეძახი. ამქვეყნად ყველაფერი აინტერესებს. და ისე მოგიყვება, რომ შენც გაგაგიყვებს. წყლისა და მნათობების კავშირი დიდი საიდუმლოაო, ერთხელ მითხრა. ვისაც კი რა უთქვამს ამქვეყნად წყალზე, სულ ამოწერილი და შეგროვილი აქვს. მეც ერთი ხანობა სულ წყალს ვხატავდი და მეუბნებოდა, ბრწყინვალეაო...

— ჰო, — ვთქვი ჩემთვის. — წყალია ყველაფერი, თავიდათავი.

— თალესიც მაგ აზრისაა, — გავიყენა.

მეც გამეცინა. უცებ სახე გაუშტერდა და პირი დააღო. წამოჭდა კიდეც.

— ე!

— რა?

— თალესზე არ ამბობენ, პატარა დათვის თანავარსკვლავედი აღმოაჩინაო?

— რა იცი?

— მახსოვს. საღლაც წავიციოთხე, მას მიაწერენო... რა უცნაურია.

— რა არის უცნაური?

— რა ვიცი... — ისევ გულდაღმა დავწვა, სახით ჩემკენ.

— პატარა დათვი მე აღმოვაჩინე. — ვუთხარი და ჩავეხვიე. თმა ავუწიე და კისერზე ვაკოცე. — წყალს კი აღარაფერი ეშველება, დამიჯერე, ვარსკვლავებით თავის გაცხლებლა არა ღირს, მაგის დრო ახლა არ არის...

— ჰოო? — იკითხა ჩურჩულით! — აბა რისი დროა?

— ამისი, — ვაკოცე. — წუთების წუთები უნდა შეავროვო, რამდენიმე წუთი მაინც, რომ თან წაიღო, სუენი რად... ამ ქვეყნიდან გულდა-ნაბაღს როცა აიკრავ. რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაშვიდის. შენ ორმოცდაორის, ხომ?

— საიდან იცი?

— იღას ვკითხე.


— წინა ზაფხულს სად იყავი? — იღაზე გამახსენდა.

— ზღვაზე. მაგრამ ავად გავხდი... მთელი თვე ვიწეკი მერე საავადმყოფოში...

— რა დაგემართა?

— არ ვიცი... სიცხეები მქონდა, სუსტად ვიყავო... მერე გამიარა. თქვენთან რომ მოვედი სამსახურში, ერთი-ორი კვირის გამოსული ვიყავი საავადმყოფოდან...

არა, რა თქმა უნდა, უკვე მიყვარდა. შეიძლება, უკვე გზაშიც მიყვარდა, აზრზე არა ვარ, არაფერი აღარ მესმის, მგონი, პირველად რომ შევხედე, მა-



შინვე მიგრძნო გულმა რაღაცა... იმი-  
ტომაც ვარიდებდი თავს.

გულალმა ვიწეკი. ვეწეოდი. ფანჯრის  
კუთხეში უზარმაზარი საესე მთვარე  
გაქვავებულოყო. ფანჯრის შუაგულში  
ერთი დიდი ვარსკვლავი ბრწყინავდა.  
ტანზე დავყურებდი. რაღაც ბავშვური,  
დაუმთავრებელი ფორმები ჰქონდა. იმ-  
დენად იდეალური კი არა, რამდენადაც  
საყვარელი. წამოვიწიე, მის კაბას მი-  
ვწვდი და ტანზე დავაფარე. იგრძნო  
და მძინარემ მკლავზე მაკოცა, სადაც  
თავი ედო.

მეც ჩაშეძინა.

უცებ თვალეები გაეახილე. მუხლის  
ჩოქზე იღგა და სახეზე დამყურებდა.  
ოთახი მთვარის შუქით იყო განათე-  
ბული. ოდნავ ხვეული თმა მხრებზე  
ეყარა. ხელი მხარზე გადავუსვი, გა-  
ჟურჯოლა. ორივე ხელი ხელზე შემომ-  
ხვია და ამოიოხრა:

— რა ლამაზი ხარ...

— მე ვარ, ლამაზი? ხომ არ გაგიყ-  
ვლი!

თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად.  
გარედან მედღეობეთა ხმები აღ-  
წევდა. გარმონს უკრავდნენ. კაცები  
მღეროდნენ. ჩხუბის ხმაც ისმოდა. წე-  
ლზე ჩემი პერანგი შემოიხვია და ფა-  
ნჯარასთან მივიდა.

ვუყურებდი. მთვარე ეღვრებოდა.  
მობრუნდა და თქვა:

— ჩვენ ალბათ ხატი გაგვიწყრება.

— ვითომ რატომ: რა დავაშავეთ.

— ალბათ არ შეიძლება ხატობის და-  
მეს... — ცალი ხელი კედელზე ედო  
საფეთქლის სიმაღლეზე. ისევ ის გრა-  
ციოზულობა მომხვდა თვალში.

— გავფრთხილებინეთ მაშინ. ჩვენ  
რა ვიცით...

გაეცინა: — რაღაცა ალბათ თვითონ  
უნდა ივარაუდო ზოგჯერ...

— მეტი საქმე არა მაქვს... იცი, რა  
ლამაზად დგახარ... მოიხსენი რა, პე-  
რანგი.

— არა! — ისე ჩაიგრიალა რ-მ!

— არა-მარა. ჩვენ რაღა ამ ხატის  
გაწყრომა გვინდა... ისედაც შემოგვ-  
რალი არა გვყავს ყველაფერი... მოიხ-  
სენი. რა!

ამას ჩემთვისაცვე უცნობი ხმით ვთხო-  
ვდა, რომლის არსებობაზე წარმოდგე-  
ნაც არა მქონდა.

— არ მოვიხსნი.

— გეხვეწები!

— არა.

— არ დამაყენო.

— აღეკი... — მხრები აიწურა და  
საფეთქლით კედელს მიეყრდნო.

წამოვჯექი. ფანჯრისკენ მიიხედა.  
ჩავიციე და ფანჯარასთან მივედი.

— ახლავე მოვალ. ხომ იცი, რა მო-  
სდევს ლუდის სმას... აბა, შენ იცი.  
ჩემს მოსვლამდე თუ ვინმე შემოგვა-  
რდეს, ავე ხანჯალი, უბრძოლველად არ  
დანებდე... — კეფაზე ვაკოცე და გა-  
რეთ გავედი.

ვარსკვლავები ისეთი ყოფით დაბლ-  
ღერიალებდნენ იქაურობას, ლამის გუ-  
ლები დასკდომოდათ. პატარა დათვიც  
აქ იყო. ღრეობა გრძელდებოდა. ისე-  
თი ჰაერი იღგა, მისი დაღევს მოგინ-  
დებოდა. ვიდეკი, გული ბოლომდე მჭო-  
ნდა გახსნილი; მთელი ქვეყნიერება შე-  
მოდიოდა. ვიდეკი და ვფიქრობდი,  
მგონი პირველად, რომ არც ისეთი ცუ-  
დი კაცი ვიყავი ალბათ, რაკი ასე მი-  
ხაროდა. შუალამე გადავიდა.

რომ შევბრუნდი, ოთახი ცარიელი  
დამჩვდა. სკამზე მიგდებულ ნაბადს ხე-  
ლი წავაკარი. მოგათვალეირე. გავიფი-  
ქრე: ალბათ ტახტის ქვეშ შექვრა-მე-  
აქი და ხმაძალა ვთქვი:

— შემოდი, მეგი, რამდენი გექებე!  
შემოდი, აქ ერთი პატარა დათვი მყავს  
დაბმული, ტახტის ქვეშ, სხვა არავინ  
არის... არა! არა!, რას ამბობ, სულ  
არ იკბინება... ძლივს არ გიპოვე... სად

ნაირა გელაშვილი

„ამბრნი, შამბრნი და პრანნი...“



იყავი? ნუ გეშინია... ზომ გითხარი, არ იკბინება-მეთქი, ერთი ბრიყვი დათვის ბელია...

ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ტახტის ქვეშ შევიხედე და სასწაული! არავინ არ ჩანდა. რალაც გამოვათრიე და ზელში ცხვრის გამხმარი ტყავი შემჩნა. განჯინა გამოვხსენი... არაფერი. ერთ წამში გამოვტვინდი... კოშკს არ მოვცხლებივარ, ვარეთ არ გამოსულა... კაბა და ფეხსაცმელები აქ იყო... ვაგონებული ნაბაღზე ჩავჯექი. რა მეფიქრა, არ ვიცოდი... უცებ რალაც უცნაური ზმა შემომესმა ფანჯრიდან... თითქოს ბუ კიოდა, ოღონდ ძალიან ჩუმად, შორიდან... მივედი, გავიხედე — არაფერი. ისევ ნაბაღზე დავჯექი.

უეცრად ფანჯარაში ჯერ ერთი ფეხი გამოჩნდა. მერე მეორეც შემოცურდა გვერდიდან. მთვარე ერთი წამით ქალის შიშველ წვივებს შორის მოექცა. პერანგი ისევ წელზე ეხვია. ფანჯრის ჩარჩოში მხრებამდე ეტეოდა. ჩაიკუნა, თავიც შემოაპყო და ფანჯრის რაფაზე გაჩერდა. ზურგიდან მთვარე ანათებდა პროექტორივით.

— გაგივდი, გოგო! სად ეშმაკებში დაფორთხილობ მთვარეულებით! — თითქმის დავუღრიალე.

სიცილი დაიწყო და ძირს ჩამოხტა.

— მე არ მენახვები და იქ რა, მთელი შატლის დასანახად გადქეი! ათენგენობის ატრაქციონი! ერთი დაენახე ვინმეს! ალქაჯი ეგონებოდი და გადმოგიღებდა კიდეც თოფით, მეტი კი არ უნდათ...

მივედი, ზელით გვერდზე მივწიე და ფანჯარაში გავიხედე. კედელს ერთ მტკაველზე გამოშვერილი სიბი მიჰყვებოდა.. აქედან რომ გადავარდნილიყო, სულიც არ დაჰყვებოდა...

— არანორმალური, — ჩავილაპარაკე. მართლა გაბრაზებული ვიყავი. ოღონდ მიზეზი ბოლომდე არ მესმოდა, გავცოფდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყოველგვარი უაზრო და საშინელი შემთხვევითობა ყოვლად აუტან-

ლად მიმაჩნდა იმ წუთებში, როცა მეორეც, მეორეც, რა? შენ ხარ, რა? თავზეხელაღებულია გამბედაობამ რატომღაც მომშალა...

— კინალამ მე თვითონ გადავეფი თავით, მეგი რომ შემოიპატიე... კიდევ კარგი, დროზე მივხვდი, რომ იტყუებოდი. — თითქოს მიბოდიშებდა.

— ნეტავ მართლა ის მომეყვანა. დარწმუნებული ვარ, იწვებოდა თავისთვის მშვიდად.

— რა თქმა უნდა! — თმა უკან გადაიყარა, ქვემოთა ტუჩი გადმობრიცა და დაუფარავი სიძულვილით გააჯავრა. გამეცინა. მივბრუნდი და ნაბაღზე ჩავჯექი. მინდოდა ისევ შორიდან შემეხედა.

— სხვათა შორის, ის ფრთამოგლეჯილი ფუტკარი მე გამოვიგზავნეთ. ჩემთან მოფრინდა და გულში შევეხვეწე, წადი იმათთან და ისე დაკბინე, სულ თხებივით ხტუნვას მოჰყვინებ-მეთქი. ზომ მართლა მოფრინდა! იმ შენმა სატრფომაც ზომ კინალამ ქოში ჩაგიშვა თავში!

ყველზე სასაცილო ის იყო, რომ სრულიად არა ზემბობდა. თავი ველარ შევიკავე და ავხარხარდი.


— შენ რა, გინდოდა გავიკებულნი გავარდნილიყო იოსავით? — მერე ვუთხარი:

— მოდი ახლა აქ და დაიკავე შენი პირვანდელი მდგომარეობა. მე დასაკარგი დრო არა მაქვს. აქ აკრობატიკისათვის კი არ მოვსულვარ...

— აბა რისთვის მოხვედი, პროფილაქტიკისათვის? — მკითხა მშვიდად. გული შემიხტა. ზომ შეუძლებელი იყო, ეს სერიოზულად ეთქვა და ეფიქრა, იმის შემდეგ რაც იყო, როგორც ვიყავით... მაინც საშინლად მეწყინა.

— აბა რისთვის უნდა მოვსულიყავი, შენი აზრით? შენ აქვე შემხვდი და რიდასთვის გამეგრძელებინა გზა მემგის საძებნელად? — საინტერესო ის





საქართველოს  
ქვეყნური  
ბიბლიოთეკა

ყო, რომ ფაქტიურად სიმართლეს ვა-  
ზნობდი. ვიგრძენი ვაშრა.

— ვიცი, — თქვა ჩუმაღ.

— იცი, არა? სხვათა შორის, არ  
მინახავს შენისთანა უზნეო და ხელი-  
დან წასული გოგო. — წამოვდექი. მი-  
უხსნლოვდი თუ არა, მომეხვია.

— მეც მინდა გარეთ...

— აჰა, ჩაიცივი. — კაბა მივაწოდე.  
ჩაიცვა. ფეხები ჩემ ფეხსაცმელებში  
ვაჭყო. რომ გადიოდა, ვუთხარი:

— იცოდე, თუ სადმე შემძვრალხარ  
და დამალულხარ, გამოვალ და არა ვიცი  
რას გიზამ.

გავიდა. ტახტიდან ლეიბი ჩამოვა-  
თრი და ნაბადზე დავაფინე. ბალიშე-  
ნიც და საბანიც გადმოვიღე. სამფეხა  
სკამი ბალიშის გვერდით დავდგი და  
ხელ ქაღები დავაწყვე. ლუღი იყო ვე-  
ლოში. ისიც მივიღე და პატარა ჰი-  
ჭებიც გამოვიღე განჩინიდან. ჩემი ჯი-  
ბის დანით ქაღები დავჭერი.

ჩაეწევი და სიგარეტი გავაბოლე.  
უკვე შენატრებოდა. შემოვიდა: კარი  
რომ შემოალო, ერთი სწრაფად შემომ-  
ხედა და სწრაფადვე დახარა თვალები.  
კაბა გადაიძრო და შემომიწვა. „შემცივ-  
და“, — თქვა და ტანზე მომეკრო. სი-  
გარეტი ჩავაქრე და ხელი გადავხვიე.  
ნელ-ნელა გათბა.

— არა გზია?

თავი დამიქნია.

წამოვჯექით. ქადა მივაწოდე. ლუღი  
დავაყოლეთ, მუქი, მძიმე, მომადუნე-  
ბელი. ნელა შევექცეოდით და გსვამ-  
დით. მერე ისევ ვათბობდით ერთმა-  
ნეთს. სახე ჩემს ყელში ჰქონდა ჩარ-  
გული და მკითხა:

— რა ჰქვია შენს ცოლს?

მომეჩვენა, რომ ხმა აუკანკალდა. ნი-  
კაში ხელი მოვკიდე, სახე ავუწვი და  
ვუთხარი:

— ნუ გეშინია, საეჭვიანო არაფერი  
გაქვს. — და ვაკოცე.

როგორ მინდოდა იგივე ეთქვა, შე-  
იძლება არც დამეკერებინა, მაგრამ მა-

ინც მომეშვებოდა, იმიტომ, რომ უკ-  
ვე გულს მიღრღნიდა მისი წარსული  
მისი ცხოვრება, ყველაფერი, რამაც  
მამდე და უჩემოდ იყო. მიუხედავად  
ყველაფრისა. მიუხედავად იმისა, რომ  
ბედნიერები ვიყავით. ან შეიძლება  
სწორედ ამის გამო. არ ვიცი...

მინდოდა მთლიანად მეგრძნო... წყა-  
ლივით მინდოდა დამეღია, ერთი სიტ-  
ყვით, ჩემს ჰკვავზე აღარ ვიყავი და  
ვსვამდი კიდეც. თვითონაც. და როცა  
ამ დროს გავიფიქრებდი, რომ ვიღაცა  
ან ვიღაცები, ერთი სიტყვით, სხვე-  
ლი ესე იყვნენ ხოლმე ამასთან, რო-  
გორც მე ვიყავი სხვებთან, ცუდად  
ვზღებოდი. მაგრამ როცა გავიფიქრებ-  
დი, რომ ის სხვები ისევე იყვნენ ამა-  
სთან, როგორც მე ვიყავი ახლა, კი-  
დედ უფრო ცუდად ვზღებოდი. რა-  
ღაც უსაშველო დამემართა. კიდეც  
კარგი, ეს წამების მანძილზე ხდე-  
ბოდა, თორემ ერთი ორჯერ ისეთმა  
ბრმა და უსახელო ბოლმამ წამომიარა,  
კინალამ წამოვხტი და გარეთ გავვარ-  
დი. რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი სა-  
ქმე ცუდად იყო. თვითონაც რომ შე-  
იძლება რაიმე ამდაგვარი განეცადა,  
თავშიც არ მომსვლია. დარწმუნებული  
ვიყავი, რომ ასეთი განცდები მხო-  
ლოდ კაცებს ჰქონდათ და, საერთოდ,  
ძირითადად კაცი იტანჯებოდა. თუმცა  
ისე მხურვალედ და მთლიანად შეძ-  
ლეოდა, რომ მისგან აღარაფერი რჩე-  
ბოდა, მაინც მეგონა, მე უფრო ვიყავი  
მისი, ვიდრე ის ჩემი.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა უცებ.

— შენზე.

— რას ფიქრობ?

— რა ვიცი. ყველაფერს... ვფიქ-  
რობ, რა დამემართა და რად გამოვტ-  
ვინდი... მგონი, მართლა რაღაცა ჯა-  
ღო გამიკეთე, ტყუილად ხომ არ მი-  
გზავნიდი იმ ფუტკრებს... თორემ ამ-  
ხელა კაცი, დასალოვეად და დროს სა-  
ტარებლად წამოსული, რასა ვგდივარ

ნაირა ბალაზილი

„ამბანი, უმბანი და არაბანი...“

ერთ ქარაფშუტა გოგოსთან და რაღაცებს მიველ-მოველები. — თვალბში ვაკოცე.

— ალბათ ხატობის ბრაღია... ხატმა მოგვაჯადოვა... ალბათ არ შეიძლება... და ამ ღამით... და, ვინ იცის, სულ შეგვშალოს ჭკუიდან... — თქვა ნაღვლიანად.

— ძალიანაც კარგი, შეგვშალოს...

აეღლები ძლიერად მომხვია, მე ისევ მისა თავი მეჭირა და ვკოცნიდი და გეუბნებოდი.. ვეუბნებოდი ყველაფერს, რაც არასოდეს არავისთვის მეთქვა, რაც აღარც კი ვიცოდი, რომ სათქმელი მქონდა, რაც ასე დამქონდა თურნე დაგროვილი და დაგუბებული... ეს რომ სხვისგან მომესმინა, გული ამერეოდა, სასაცილოდ არ მეყოფოდა. არ არსებობდა არც ერთი ჩემი ნაცნობი, რომ დაეჯერებინა, ქალი შეუყვარდაო, თუნდაც ეს თავად მამაზეციერს ეთქვა. არც მე დავიჯერებდი.

ვიგრძენი, კისერზე და მკერდზე შეხებას ყველაზე უფრო განიცდიდა. ამ დროს ისეთი სახე უხდებოდა, თითქოს კვდებო. ისევ ის მაფიქრებდა, „ასაწყობი რომ იყო“.

შეეკითხე:

აპც ერთხელო.

გამიკვირდა.

არავისთან? — დავაზუსტე.

— არა.

— რანაირად-მეთქი.

— რა ვიცი, — მხრები აიწურა.

— სურვილი არა გქონდა?

— მქონდა. მაგრამ მერე... არაფერს...

— მასე გავიქდები, გოგო.

ამჯერად ნამდვილად ვგრძნობდი, რომ ჩემთან იყო... მომყვებოდა.

— მერცი, — ჩაეჩურჩულე, — შემეშინდა ცუდად არ გამხდარიყო... გააქანკალა და მოეშვა.. ერთი წუთის შემდეგ ორივე ხელი მხრებზე მომხვია, სახე მკერდზე დამადო და ატირდა. ცრემლები გულის კოვზზე შეღვრებო-

და, ჩემს ნეკნებზე მიყონადა. ჩემი ტირილი გამახსენდა. მამა ჩაჩუქდა მეს. თითი მოვუსვი ღრუბნის მსგავსად და მერე ტუჩებთან მივიტანე. ისევ გამახსენდა ცრემლის გემო: მომლაშო, ბავშვობაში რომ ვიცოდი, როცა საკუთარ ცრემლებს ვილოკავდებოლმე.

ჩაგვეძინა. უცნაური სიზმარი ვნახე. ხატობა თუ რაღაც დღესასწაულ იყო. მთელი სახატე გორა ხარის მოჭრილი თავებით იყო მოფენილი: უზარმაზარი ღია თვალები მზეზე ბრწყინავდნენ. შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი უხმოდ დაბორილებდა თავებს შორის, რქებზე რაღაც წითელ ქინკებს ჰკიდებდნენ. მაგრამ თავები შეიარხებოდნენ ხოლმე და ქინკებს ძირსა ყრიდნენ. აქა-იქ სისხლის გუბებში იდგა. სადღაც, ქვემოთ ფეხშიშველა გოგო-ბიჭები დარბოდნენ. უცბად წითის წვერზე ვიღაც მაღალი კაცი გამოჩნდა, თეთრტანსაცმლიანი. — ათინაგენოს! ათინაგენოს! — დაიქუხ ხალხმა და მუხლი მოიყარა, კაცი მოგვიახლოვდა. შევხედი და ჩემი პაპის ძმის თვალები ჰქონდა, ქუთუთოებმორღვეული, მაგრამ მთლად ვერცხლისფერი. თვალის კაკალი და გუგა ერთმანეთისაგან არ განირჩეოდა, თითქოს ქუთუთოებში წყალი ესხა. მოდიოდა და თავს იქნევდა უკმაყოფილოდ. ხელი აიქნია და მთის თავიდან თეთრი ნაკადი წამოვიდა, მთელ გორაზე გაიშალა: ჩარეცხა სისხლი, ხარებს ბუზებით ამოვსებული თვალები ამოუკრიალა, ძირს ჩავიდა და დაგროვდა, ბავშვები სისხლიან მორევში აღმოჩნდნენ. ვიღაც კაცი იდგა ჩემს გვერდით, მონღოლური თვალები ჰქონდა და იცინოდა, კვდებოდა სიცილით. ქალებმა დაიკვირეს და მორევში გადაეშენენ...

თვალები გავახილე სასტამბო-საღებო და ერთხანს უაზროდ მივჩერებოდი ჭერს. აღარ მახსოვდა, სად ვიყავი. რა



ემეაკმა დამასიზმრა! სიზმრებს საერ-  
ოდ აღარ ეხედავდი. და თუ ერთი  
ორჯერ მენახა, იმ „მაგიდის სიზმრის“  
გარდა, აღარც მახსოვდა. ასეთ ბედ-  
ნიერს ეს კომპარი რატომ უნდა და-  
მსიზმრებოდა, ვერ ვაგიგე. გავლიზიან-  
დი. საზეზე დაგხედე, თმა შუბლზე  
დაკვროდა, პირი, ოდნავ ღია ჰქონდა  
და ღიმილი ეფინა.

უცხად ალათო გამახსენდა. ზომ შეი-  
ძლებოდა, შემოეხედა. „ვინ იცის, წი-  
ნა ოთახშია და სძინავს“.

გათენდა. როცა ჩავიცვით, მითხრა:—  
ჭერ მე ვავალ. შერე შენ ჩამოდი... რა  
ვუთხრა, თუ მკითხავენ, სად გეძინაო?

— ვინ შეგამჩნევდა? დათვრნენ. ზო-  
გი სად მიწვებოდა, ზოგი სად.

— ილა.  
— უთხარი, კოშკში ვიყავი-თქო, შენ  
რა, გეშინია?

— მე? მე არა. ჩემთვის სულ ერ-  
თია. შენთვის ვამბობ.

— ჩემზე ნუ ფიქრობ. არავისი სა-  
ქმე არ არის. მდინარის პირას დამე-  
ლოდე, ზიდთან.

მომეხვია და წავიდა.

სიგარეტს ვეწეოდი და ფანჯრიდან  
ვუყურებდი. დავინახე, როგორ დაეშ-  
ვა დამრეც ბილიკზე. ნელა მიდიოდა.  
უცხად მოიხედა და ისევ გააგრძელა  
გზა.

მე რომ ჩავედი, ქვემოთ, შატილუ-  
რას მეორე მხარეს ნალვინევი და ლა-  
მენათევი ხალხი ირეოდა. ზინკალს ზა-  
რშვადნენ ღიდი ქვაბით. ახალი მედლე-  
ობენიც ემატებოდნენ. ერთი ავტობუ-  
სი მოგრიალდა და ერთიც სატვირთო  
მანქანა. ვილაც ცხენოსანიც მოჭირი-  
თდა მდინარესთან. ახალ კარავს შლი-  
დნენ. ვილაცამ გარმონი გაწელა და  
ამღერდა. უცებ ვაჟამ გამაჩერა, ხე-  
ლი გადამხვია და ლუდიოთ საესე ჰქიპა  
მომაწოდა. დავლიე.

— რა ფხიზლად გამოიყურები, არ  
გეძინა? გეტყობოდა კარგ გუნებზე  
ხარ... სულ სხვანაირი ხარ, იცი? ისე-  
თი კი არა, სამსახურში რომ ჩამევადე-

ბი ზოლმე. ასე იცის შატილმა... გაუ-  
მარჯოს!

— გაუმარჯოს! — დავლიეთ.

— ჩვენები სად არიან?

— ანატორის აკლამებში წავიდნენ  
წელან, — თქვა ვაჟამ.

ალათო მომიახლოვდა.

— ზომ კარგად გეძინა... — შემომ-  
ცინა.

— კარგად... შენ არ ამოსულხარ?...—  
მხრებზე ხელი მოვხვეი.

— არა, ჩემ რძალთან ვიყავი წუ-  
ხელ...

— კარგი, ალათო. გნახავ, მერე. ვი-  
ლაპარაკოთ. — ლოყაზე ვაკოცე.

მერციას ვათვლიერებდი. ვავიხედე  
და დავინახე: ვილაცა ჩოხაში გამოწყო-  
ბილი ხევესური ბიჭი ყაყაჩოს აწვდი-  
ლა.

იქით წავედი.  
დამინახა და გამოიქცა გაბრწყინებუ-  
ლი. კინალამ გადამეხვია.

— ჩვენები სად არიან?

— ანატორის აკლამებში წასულან.

— მართლა? მეც როგორ მინდოდა  
ნახვია..

— გინდა, წავიყვანო.

— მინდა. რითი უნდა წავიდეთ?

— დაიცადე ცოტა ზანს.

ვაჟა მოვძებნე.

— ვაჟა, ერთი ცხენი მიშოვე, თუ  
ძმა ხარ.

— წამოდი. აგე, ჩემი ბიძაშვილის  
ცხენია, წაიყვანე.

მდინარის პირას სამი ცხენი ბალა-  
ხობდა.

— რომელი?

— აგე, შავი, ყველას სჯობია.

მერციასთან მივედი.

— ხილზე გადადი და გზას გაუყვევი,  
ესლავე მოვალ.

წავიდა.

ცხენს აღვირი მოვარგე და ხილზე  
გადავიყვანე.

ნანიკა ველაშვილი  
„ამბრნი, შმბრნი და არაბნი...“



— ცხენით? — თვალები გაუბრწყინდა.

— ჰო. გეშინია?

— არაა...

ცოტა ხანს ფეხით მივიდოდით. ხალხის თვალს რომ მივეფარეთ, ხელში ავიყვანე და ცხენზე შევესვი გვერდულად.

მერე მეც მოვუჯექი.

ხელები წელზე შემომხვია.

ცხენი ადგილს მოსწყდა. ფიცხი ჩადა და შიში შემეპარა.

კაი ხანი იყო, რაც ცხენს არ გავკარებოდი. ქარივით მიჰქროდა.

ერთი ორჯერ კეფაზე ვაკოცე.

ხელები მაგრად ჰქონდა შემოსაღტული. ეტყობოდა, ეშინოდა. ასე მივედით ანატორის აკლდამებთან. ცხენი ძლივს გავაჩერე ჩვენი ავტობუსის გვერდით.

— ჩვენები და ირეოდნენ. ყრიაშულით შეგვეგებნენ. უფრო კაცები.

— სადა ხართ, კაცო, რა ლუღია, რა ჰაერია, არა, ბიჭო! — მეცა ელგუჯა.

— რა სიკვდილის მხედარივით მოაგვლეხები! — დამიძახა გურამმა.

იღამ დამცინავად შემომხედა. მერე ჩაიცინა და წავიდა. მეგის ცნობისმოყვარე მზერაც დავიჰიკრე. მერე გურამს ჩასჭიდა ხელი... და რაღაცა აჩვენა. „ერთი, თქვენი“ — ვთქვი გულში მერცხის მხრებზე ხელი გადავხვიე და აკლდამის სარკმელთან მივიყვანე.

— ხედავ? აქედან შედიოდა მომაკვდავი, სახალშეყრილი — ხომ ხედავქვის მერხებს აქეთ-იქით, იქა წვებოდა და კვდებოდა. მერე, სხვა რომ მოვიდოდა, მკვდარს ძირს ჩააგდებდა და თვითონ იკავებდა მის ადგილს... ჩონჩხებისა და ძვლების გროვას რომ შევხედე, ნერვები მომეშალა, — აბა რა არის აქ სანახავი, საზიზღრობაა, წავიდეთ!

მაგრამ მერცხა მოჯადოებულნი მიშტერებოდა. პირი ოდნავ დაეღო. ნიკასს ქვემოდან ხელი ამოვდე და პირი დავუხუტე.

— რას დაგილია პირში? — იდგა და შინით იყურებოდა. მეც ავეხის ძირას ლოდზე ჩამოვჯექი. ზურგით ზეს მივეყრდენი და სიგარეტი გავაბოლე. მერცხის ვუყურებდი. უცბად შორეულად მომეჩვენა და აღარ მჯეროდა, რომ ეს ვარდისფერკაბიანი წუხელ გვერდით მეწვა და მთლიანად ჩენი იყო.

მოიხედა.

— რას მიყურებ?

— მაგ ჩონჩხებს აღარ ჯობიხარ?

— ერთი მჯდომარე მომკვდარა...

მივედი და შევიხედე. მერე სარკმელს მოვაცილე.

ცივი ხელი ჰქონდა.

— წამოდი, იცი, რა ლამაზი ფერის კლდე უნდა დაგანახო... გზაში დამივიწყდა მეთქვა...

— არა. აქ მინდა! — „რ“ ჩაგრიალდა.

— ტყუილად კი არა ვაქვს ჩონჩხით გაფშეკილი წამწამები, აუტანელი სიკეთის ნიშანი.

თითი წამწამებზე ჩამოსივა. მეორე აკლდამასთან მივედი.

მე ისევ ქვაზე ჩამოვჯექი. იმან ჩაიმუხლა და ლამის შიგ შეეყო თავი, სარკმელში.

— სად მიძვრები, გოგო! გამაგიყებს ეს ქალი.

— აკვანი ღვას, იცი?

— ჰო, ვიცი. მახსოვს.

— რა საშინელებაა. დედამ მარტო დატოვა ცოცხალი ბავშვი, თუ ერთად დაიხოცნენ?

— რა ვიცი.

— აქ სჯობია, თუ მიწაში?

— ჯერ არ ვიცი.

მოვიდა. წინ დამიჭდა და თავი მუხლებზე დამაღო.

— გეშინია სიკვდილის?

— არ ვფიქრობ, — თავზე ხელი გადავუსვი. — შენა? ოღონდ მხრები არ აიჩეჩო.

— ადრე არ მეშინოდა. ბოლო ხანებში რატომღაც მეშინია... ლამაზო-



ბით... შენ, ერთი დღე რომ გქონდეს სიკვდილამდე დარჩენილი, რას გააკეთებდი?

— რასაც წუხელ ვაკეთებდი.  
— ნებისმიერ ქალთან?  
— არა. მარტო ერთთან. ვინც მიყვარს. თუ ასეთი ქალი არ მეყოლებოდა, ძილის წამალს დავლევდი და იმ ერთ დღესაც დავიძინებდი.

ეს ვთქვი და უტბად საოცარი სურვილი ვიგრძენი. მხრებში ჩაგვიდე ხელები და ავყავნე.

— შენ რას გააკეთებდი? — ვკითხე და მივიზიდე.

— რასაც შენ.  
— მოდი, რა, ჩამეხუტე.  
— ისინი?  
— ისინი ქვემოთ ჩავიდნენ, ხევში.  
— არა... არ შემიძლია, — ადგა და ისევ აკლდამის სარკმელთან მივიდა. მიყვავი და მოვეხვიე.

გეხვეწები, ერთი კარგად ჩამეხვიე და გაგიშვებ.

— გამოშვი, — ჩაიჩურჩულა გაფითრებულმა და გამიძალიანდა.

მუხლები მიკანკალებდა. ამ დროს ფეხი დამიცდა და აკლდამის კედელს მივებთქვე. ვაისმა საზიზღარი და საშინელი ჩლახუნი. ხმა შიგნიდან გამოვიდა. ეტყობოდა, რომელიღაც ჩონჩხი საბოლოოდ ჩაიშალა. მერცხამ შეჰკიევა. ხმამალა შევიგინე. პირველ რიგში იმ ჩონჩხის და მერე, მგონი, რაღაც უფრო ზოგადის მისამართით.

— წამოდი, — ვუთხარი, ხელი მოვკიდე და გზაზე გავედით.

ჩვენი ღამესავით შავი და მბზინავი ცხენი გზის პირას ბალახს ძოვდა. შვესხელით და უკანვე გამოვბრუნდით.

გზაში მოიღრუბლა და წვრილად წამოწვიმა.

— თი, ამ კლდეებზე გეუბნებოდი, — მარჯვნივ გავახედე, სადაც მუქვერცხლისფერ-ბოლისფერი კლდე თანაბრად, მასრებივით დაღარულიყო. იქვეა. კიდევ. თავი ჩემკენ მოატრიალა და ხმამალა მითხრა:

ამირან, გვალე-გვალესა, მუხლად გაქებენ მალესა, ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა, მალედვე მოგვეწვიან. ომს გაგიწვიენ ცხარესა, მოგვეწვიან, დავგვბოცვენ, ცეცხლით დავგვხრიან თვალებსა.

ოჰო-ჰო, რას ჩააგრილა „რ“-ები. უტბად ხმამალა გაიცინა: პატარაობისას მაგ სიტყვებზე სიცილით ვკვდებოდი: „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“. ახლა ელენეს რომ ვუკითხავ, ისიც სიცილით კვდება ხოლმე, — ძალიან ხმამალა ლაპარაკობდა, რომ ცხენის თქარა-თქურში გამეგონა.

ნეტავ, იცოდა თუ არა მაშინ? არა, ალბათ არ იცოდა. ხიდთან ცხენი გავაჩერე და ჩამოვხტით. ხიდზე გადავედით და ისევ ხალხს შევეჩვიეთ. ნაცნობი ფშაველი შემხვდა და გამომელაპარაკა. მერე ისევ ცუდად ვწრიალებდი, გული არ მიდგებოდა. მერცხასთან მივედი.

— აქ რა უნდა გავაკეთოთ, გინდა, ააიმ გორაზე ავიდეთ? — არღუნის იქითა მხარეს გავახედე.

— მინდა.

— შენ წალი. მე ვაყას ვნახავ, რაღაც საქმე მაქვს და დავწვივი.

— ისიც ხომ სახატე გორაა. შეიძლება ჩემი ასვლა?

— მიდი, კაცო. ვერა ხედავ, ვირები დაბრძანდებიან, შენ რაღა დააშავე. სამი ვირი გორის ფერღზე წამოგორებულყო. შეხედა და გაიცინა.

— თანაც, ისეთი არაფერი გპირს, რომ მანდ ასვლა გეკრძალებოდეს, თუ გინდა, მოწმედ დავადგები.

გაწითლდა და წავიდა. ცოტა ხნის შეჰქდე, მეც რომ ავუყუვი ბილიკს, ის უკვე გორის თავში იჭდა და მელოდებოდა. ნელა ვუახლოვდებოდი. ისევ გამოიძარა და მზე ანათებდა.

— თი! — მითხრა და ორივე ხელი

ნაირა გელაშვილი  
„ამბრნი, უმბრნი და არაბნი...“

გამიწოდა. რაღაცას მიჩვენებდა.

მზის შუქი პირდაპირ თვალებში მღვრებოდა და უცბად ვერ გავარჩიე, რა იყო.

— რა არის?

— ბავშვი.

ხელისგულზე ხელფეხგაჩახული პატარა კაცუნა ეწვინა. თმად მწვანე ბალახი ჰქონდა, ქუთუთოებად ყაყაჩოს ფოთლის ნაგლეჯები, ტანი პატარა ყვითელი ფოთლებით ჰქონდა დაფარული.

თითით შეეხებე.

— რისგან გააკეთე?

— წილან ცომი დაუფარდათ ქალებს და ავიღე.

— შენგან მიკვირს, არ გაგიგია, ცომით თამაში რომ არ შეიძლება? — ვკითხე შემაგონებლად და მოძღვარივით გავშალე ხელები.

— ვიცი. მაგრამ მომინდა. თუ მართო ის აკეთე, რაც შეიძლება, ხომ მოწყენილობით მოკვდები...

— ჩვენი შვილი იყოს, — კუთხარი და თითი თმაზე მოკუსვი ცომის თოჯინას.

ხმა არ ამოუღია. ფოთლებს უსწორებდა ტანზე.

— რა ჰქვია?

— ლაზარე.

— წავიდეთ.

ადგა და გზა განვაგრძეთ. ერთი გადახედეთ არღუნს, კოშკებს გავსწორებოდით თითქმის, და მერე ხეებს შევეკრიეთ. მზე იღვრებოდა ტოტებში. თბილოდა. დაჯდა. თავი კალთაში ჩავუდე. სახეში ჩამაქცერდა. ახლა, მზის სინათლეზე უფრო მკვეთრად ემჩნეოდა ცისფერი ძარღვები, პირველად არაგვის პირას რომ მეცა თვალში: საფეთქლები ნახად დაექსელათ. ყველაზე საოცარი კი ერთი სისხლძარღვი იყო, რომელიც ტუჩის კუთხიდან ყვრიმალისკენ დამრეცად ეშვებოდა, თითქოს პატარა რუ გადმოდიოდა ვარდისფერი მღვიმიდან, ყელზე ჩარბოდა და მერე ლავიწის ძვალთან მკრთალად მიმოკ-

ლაკნილ უამრავ სხვა ცისფერ ხაზს ერთვოდა. თითქმის მაყოლებდა, შუბლის ღარებზე. მერე ქუთუთოებზე გადავიწვსვა ხელი. მოვიტენთე. ხელი დაუქვირე.

— დააძინე ბავშვი და მოდი ჩემთან.

გვერდით მომიწვა. თმა გასთბობოდა მზისგან, შუბლიც... მიწის, ბალახისა და მისი თმის სურნელს ერთად ვისუნთქავდი. თბილოდა. მზე დაგვიდიოდა. ფოთლები შრიალებდნენ...

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. გოწანი ცოტა ჩავთვლიმეთ კიდევ. ხელი ბალახზე გავაცურე და რაღაც „გაფიცხებულს“ შევეხებე... „ლაზარე“ იყო.

— ე! ეს უკვე გამომცხვარა კიდევ მზეზე, თუ მოგვშვიდა, შეგვიძლია შეეჯამოთ...

— ფუუ, რა საშინელებაა, შენ არა უკვი, ჩვენი შვილი იყოსო?

ისევ მოიღრუბლა. ავდექით. კაბა ჩამოვუბერტყე, თმიდან ფოთლები გამოვაცალე და ყურში ვუთხარი: „რა კარგია, ერთად რო ვართ, არა?“

თავი უხზოდ დამიქნია, წინ წავიდა და ხელები მაღლა ასწია. თითქოს ოდნავ გაიზმორა. თან თითქოს ასაფრენად ემზადებო, ფართო სახელოები მკლავებზე ფრთებივით დაეკიდა და გავიფიქრე, რომ მერცხალს ჰგავდა. უცბად შემობრუნდა და მკითხა:

— აქ მერცხლები არ არიან? რაღაც არ დამინახავს...

— რა ვიცი. ვიყვარს მერცხლები?


— გვიყვდები. ყველა ჩიტზე მეტად. ვიცი, რომ მერცხალს თავის მოკვლა შეუძლია?

— არა.

— ბებია მითხრა. მე არ მინახავს. ბებიაჩემმა თვითონ ნახა. გინდა გითხრა?

— მიდი.

— ორჯერ შესწრებია. ერთხელ, პატარა გოგო რომ იყო მაშინ. ერთ მერცხალს ფეხი უტყენია და დანარჩენებს ვედარ გაჰყოლია თბილ ქვეყნებში. ბე-



ბიჩიქმსა და მის დაძმას ფეხი შეუხვევიათ, და მთელი ზამთარი სახლში ჰყოლიათ. აჰმევედნენ და უვლიდნენ თურმე. გაზაფხულზე მერცხლები რომ დაბრუნებულან, ბეზიაჩემს ასეთი რამ დაუნახავს: აივნის ბოძიდან ვაშლის ხემდე ორი მავთული ჰქონიათ გაბმული სარეცხის გასაფენად. ერთ მავთულზე ის იჯდა თურმე, შინდარჩენილი მერცხალი (ფეხზე ისევ შერჩენოდა წითელი ჰინჭი), მეორეზე დაბრუნებულები ჩამწკრივებულან. და დაუწყიათ ჟღურტული, ეპიკიკიებიან, სულმოუთქმელად ეტლურტულებიან, ერთმანეთს აღარ აცლიან. „ქალბებმა რომ იციან რაღაც დიდი ამბის მოტანა, ისეა“, — ბეზიაჩემი ამბობდა. ის კი იჯდა თურმე ჩუმად და უსმენდა. „რა ვიცი, რა ამბავი ჩამოუტანეს იმ დალოცვილებმა, რა უთხრეს ამისთანა, რომ უცბად ადგა ის ჩვენი მერცხალი, ყელში კლანჭი გამოისვა და თავი წაიგდებინაო“. დახოცილან ბავშვები ტირილით. მეორედ კი უკვე მოხუცი იყო ბეზიაჩემი, მაშინ მომხდარა ასეთი ამბავი: ჩვენი სპხლის კედელზე მერცხლებს ბუდე ჰქონიათ. დედალ-მამალი მერცხალი ცხოვრობდა, ბარტყები ჭერ არ ჰყავდათ. სოფლის ბავშვებს, რა ვიცი, როგორ მოუვიდათ, მერცხალს ხომ არავე ერჩის, შემოხვევით ქვა მოუტრტყამთ, და ერთი მერცხალი სახლის წინ უსულოდ დავარდნილა. ბეზიაჩემი აივანზე იჯდა თურმე და საჩიჩელზე მატყლსა ჩეჩავდა, არაფერი გაუგია. მოფრენილა მეორე მერცხალი, აუტეხია საშინელი ჰყვივილი ჭერ გარეთ, მერე აივანზე შეფრენილა, აქეთ-იქით აწყდებოდა თურმე, ხან მოაჯირს მიეხეთქებოდა, ხან კედელს. გაოგნებულა ბეზიაჩემი, რა დამეართაო. ბოლოს, უცბად გაქანებულა ეს მერცხალი და ყელით საჩიჩელის ნემსებს დაჰკვებია. გულგახეთქილი ბეზიაჩემი გარეთ გამოვარდნილა და ძირს მკვდარი მერცხალი რომ დაუნახავს, მერე მიმხვდარა ყველაფერს.

— აეგ მეორე, მამალი მერცხალი იქნებოდა, — ვუთხარი და ჩაეცინა რაზე გავახსენდა?

— რა ვიცი... მგონი სითბოზე. წელან ისე თბილოდა, გავიფიქრე, ნეტავ სულ ასეთი სითბო იყოს-მეთქი, არ მიყვარს ზამთარი, მერე თბილი ქვეყნები მომაგონდა... და მერცხლები, სულ სითბოში რომ ცხოვრობენ...

— ხედავ, აქ რა მალე იცვლება ამინდი. უკვე ცივა. წავიდეთ. — თავქვე რომ დავეშვით, უცბად შეჩერდა.

— ჰაა! ლაზარე რომ დავგვრჩა? — რა გინდა, კარგ ადვილას დარჩა, ბალახში, აბა სად უნდა წაგელო.

შეყოყმანდა და მერე გზა განვაგრძეთ. არლუნის აქეთა მხარეს ბევრი სახლი შეგროვილიყო. სახელდახელო დოლი იწყებოდა, თუ რაღაც ამის მსგავსი. ათამდე ცხენოსანი ადგილს მოსწყდა. ჩვენი „კუნაპეტიც“ იქ იყო, ვაჟა მიაჰენებდა.

— ჩვენი ყველას გაასწრებს, — თქვა მერცხამ.

— მეც ეგრე მგონია. აქედან ვუყუროთ?

დავსხედით. ორ ზევსურს ხიდის გადაღმა ხალხი შემოხვეოდა. ხანჯლებს ატრიალებდნენ: „კენწლობდნენ“. ბავშვები ავტობუსის სახურავზე ამძვრალიყვნენ და იქედან უყურებდნენ ყველაფერს, თან მაღიანად ილუკებოდნენ. გარმონს უკრავდა ვიღაც და მოხუცი ქალები ცეკვავდნენ. ცოტა ხანში თქარათქური გაისმა და მტვერი ავარდა. ცხენოსნები გამოჩნდნენ. წინ „ჩვენი“ მოჰქროდა, უკან წაბლა ცხენით ფათახიანი მხედარი მოსდევდა. ვერ დაეწია და ხალხი ყიფინით შეეგება ვაჟას. გაბრაზებულმა ფაფახიანმა მათრახი გადაუქნია. ეტყობა, მთვრალი იყო. მათრახი ვაჟას ასცდა, მაგრამ „კუნაპეტს“ მოხვდა თავში. ცხენი ყალყზე შედგა. მერცხამ შეჰკივლა და წამოდგა. ვაჟა ცხენიდან ჩამოხტა, ფა-

ნაირა გალაფილი  
„აბზინი, შაბზინი და არაბინი...“

ფახიანს მიეკრა, ხელი სტაცა და ცხენიდან ჩამოთრევა დაუპირა. იმან კიდევ ასწია მათრახი. ხალხი შემოეხვიათ...

თავიკვე დავეშვიტ. იმ არეულობაში ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია და ხალხს შევერჩიეთ. მხოლოდ ის მეცა თვალში, რომ ვიღაც პატარა ნახ-შირივით შავმა დედაბერმა ავად გააყოლა თვალი მერცხის და რაღაც ჩაიხუტებუტა. ან შეიძლება მომეჩვენა. ცხენთან მივედიტ. ცალი ნესტო და ტუჩი გახეთქოდა და სისხლი სდიოდა „ტირის“ — თქვა მერციამ ჩუმად. მეც მომეჩვენა, რომ ცხენს თვალეში ცრემლები ჰქონდა. მერციას შევხედე. იმასაც ლაპალუბით წამოუვიდა ცრემლები. ამოიღო ცხვირსახოცი და ცხენს სისხლი მოსწმინდა.

— რად უნდა ეხლა ეგ შენი სუნამოდაპკურებული აბრეშუმი? — გავბრაზდი რატომღაც.

— თავი დამანებე, — მითხრა ჩუმად. ცხენი მორჩილად იდგა, მერცხე მერციამ თავზე ჩამოუსვა ხელი და ლოყით მიეკრო.

ამ დროს, არ ვიცი, როგორ მოხდა, ერთი წამით მიგტრიალდი, მომეჩვენა, რომ დამიძახეს და უცბად მომესმა, როგორ გამოსტრა მერციას ხმამ — „მხეცო“. მივბრუნდი და სანამ რამეს მოვასწრებდი, მთელი ძალიტ მოქნეული ხელი პირდაპირ სახეში გაუშალა იმ ფაფახიანს, რომელიც, როდის მოგვიახლოვდა, ვერც კი შევამჩნიე. იმას, ეტყობა, აღარც ის ცხენი ახსოვდა, აღარც ვაჟა და ახლა მოულოდნელობისაგან სახე მოექცა. ვერაფრით ვერ მიხვდა, რა უნდოდატ მისგან. მერციამ კი, ვითომც არაფერი, ზურგი შეაქცია და ისევ ცხენს მოხვია ხელები. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის ჩავდექი. „დედაკაცი არ იყო...“ — ჩაიღრინა და წავიდა. მერციას ხელი ვტაცე და მოვაბრუნე:

— შენ რა, გავიჟდი?! რას ერევი კაცების საქმეში!

ბრაზით შემომხედა, ხელი გამომვლოჯა და წავიდა.

აქეთ-იქით ვიბორიალე და ისევ ვაქვას გადავაწყდი. დაემატეხინა. ხელი გადამხვია და ერთ კარავში შემიყვანა. მისი ბიძები და ბიძაშვილები იყვნენ. ზოგი ფშავიდან ამოსულიყო, ზოგი კახეთიდან, ზოგიც თბილისელი ჩანდა. რომ შევედიტ, ერთი სადღეგრძელოს ამბობდა და ამ სიტყვებს მოგვარი ყურით:

— ძნელია ქართველობა. ძალიან ძნელია. მხოლოდ ქართველმა იცის, რისთვის. ქართველს ქართველის გარდა ვერვინ გაუგებს. ხევსურობა უფრო ძნელია. ვერც ხევსურს გაუგებს ვერავინ ხევსურის მეტი. არცვინ იცნელებს თავს.

დალიეს და ამღერდნენ:

ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს,  
ქვენ ბაცალიგოს შრებაააო...

უცბად გამახსენდა, რომ ისიც მშვიტი იყო. გავედი და დავინახე: ქვაზე აჯდა და იქვე მოფუსფუსე ორ ხევსურ დედაკაცს შესცქეროდა. გული მომეწურა. ავტობუსშიც უცხო იყო, არც აქ ჰყავდა არავინ ჩემს მეტი. მეც ისე დავუყვირე წელან. მივედი და ხელი მოვიკიდე მაჯაზე.

— ხო გშია.

ხმა არ გამცა.

— მოდი, ეხლა შემირიგდი და მე-რე გამებუტეც ისევ. თუ გინდა, კარგი? წამოვაკენე.

— ხო გშია.

თავი დამიქნია.

კარავში შევედიტ. „ეს... ჩვენი მეგობარია...“ — ვთქვი უმისამართოდ. მიესალმნენ და დავსხედით. ხინკალს შევექცეოდით. ვაჟას ბიძა ისევ ამღერდა. სუფთა ხმა და ძალიან ნაღვლიანი თვალეები ჰქონდა. სხვებმაც ბანი მისცეს. მერცხა თვალეზად იყო ქცეული. ხანდახან პირი ღია რჩებოდა და ტუჩებთან მიტანილი ზინკალი ჰაერში უშემდეგობდა.

— ჰამე, — ვუთხარი და ლუდიც





დაუესხი. ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ეტყობოდა, მერციას ჩემთან სულაც არ აკავშირებდა და თვალეზანთებული ხშირ-ხშირად შესვინებდა ხოლმე, მერე ბიძას ფანდურთა გამოართვა და დაამლერა:

შირაქის ველზე მივდივარ,  
უკან მამბრუნებს ქარიო,  
წინ შამეყარა პეპელა,  
წითლად უჩანდა მხარიოო...

— შენ გეძღვნება, — ვუჩურჩულე. გაიცინა. თვითონაც სახეგაბრწყინებული იჯდა. სთხოვეს, დაილოცეთ, ლუდი მიირთვიეთ. სათითაოდ შეხედა ყველას სახეში.

— ყველანი მიყვარხართ, — თქვა და დალია.

კაცებს, ეტყობა, გული შეეძრათ და ვეკას ბიძამ ისევ ფანდურს სტაცა ზელო. კიდევ კარგი, ის ძველი დრო არ იყო, თორემ ასეთ დაუზუსტებელ ნათქვამზე ერთმანეთის აკუწვას მიიჩნევდნენ საჭიროდ.

გარეთ რომ გამოვედით, ჩვენი ავტობუსიც დაბრუნდა და ერთი ვილისიც გაჩერდა არღუნის პირას. კინოოპერატორები ამოსულიყვნენ. ერთი, ჯინსებში გამოწყობილი, წვერიანი და გრძელთმეხა მერციას ნაცნობი გამოდგა. შორიდანვე შეამჩნია, ზელი დაუქნია და დაუძახა: „შენ აქ რა გინდა?“

მერციას არ უპასუხია. იდგა და რალაც დაუდევარი ღმილით შეჰყურებდა. ელოდა. ბიჭი მოვიდა და ზელი ჩამოართვა.

- ვისთანა ხარ?
- ჩემი დის მეგობარს გამოვყევი... სამსახურიდან წამოვიდნენ.
- წამოდი ჩვენთან. მუცოში მივდივართ.
- არაა...
- რატომ?
- არ მინდა...
- კარგი. შენ იცი. აქ იდექი. ერთი წუთით. ძალიან უხედები აქაურობას.

აპარატი მოიხსნა, უკან დაიხიდა და იჭაურობას მოატარა.

— ასე, წავედი! — ზელი დაუქნია. ჩვენები აქეთ-იქით გაიფანტნენ. მერცია ისევ მარტო იყო.

— ცოტა ხნის შემდეგ ადი კოშკში, მეც ამოვალ.

— ალათო რომ იყოს?  
— მერე რა! ჩემზე უთხარი, იმან გამოგზავნა, ცოტა მინდა დავისვენოთქო.

თავი დამიქნია. მოვშორდი, წინ გავიხედე და ერთ მხარეს იღა შევნიშნე, მეორე მხარეს მეგი. მეც ავდექი და პირდაპირ წავედი. ელგუჯა და ბონდო წამომეწვივნენ. წამოდი, დავლიოფო. წავედით.


რაც მერცია და მე ხალხს შევევრიეთ, დაძაბული ვიყავი. მერცია მაწუხებდა. ვერც მარტო ვტოვებდი, ვერც თან დამყავდა. როცა ვერა ვხედავდი, სულ მეგონა, რალაც უცნაურობა უნდა გამოვედო, იმის მსგავსი, კოშკის კედელზე რომ გაცოცდა.

თან მხოლოდ ეს არ იყო...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვათვალიერე და დავინახე, რომ რალაც ლოდზე შემდგარიყო. მის წინ წითელჯვრებიან ჩოხებში გამოწყობილი ორი ზევსური ბიჭი იდგა. ერთი ისევ ის ბიჭი, დილით ყაყაჩო რომ მიართვა. იმ ყაყაჩოს, ცხენით რომ მივჭროდით, ფურცლები გასცვივდა. ბიჭი სახეში შესვინოდა, თეთრ კბილებს აელვარებდა, ზელით სადღაც შორს ანიშნებდა, ეტყობა, სადღაც ეპატივებოდა.

მერცია იცინოდა და თავს აქნევდა უარის ნიშნად. მერე მეორე ბიჭმაც შესვინა და ზელის ისეთი ქნევა დაიწყო, ჩანდა, ლექსს ეუბნებოდა. კარგა გვარნიანად ვიყავი გამომთვრალი და გუნება ამემღვრა. „რატომ აქამდე არ წავიდა კოშკში“, გავიფიქრე ბრაზით. მზად ვიყავი, მივსულიყავი და იმ ბიჭებისათვის ერთი მეღეწა. მერ-

ნაირა გელაფვილი  
„ამბრნი, შამბრნი და არაბნი...“



ციასაც სიამოვნებით ვლიწავდი იმწუთში. მაგრამ უცხად რალაც გრძნობა მომერია და უღონოდ ჩავჯექი ქვაზე. შევეყურებდი და ვფიქრობდი: „ასეთი ბევრი გამოუჩნდება“. ის ბიჭი ოცდახუთი წლისა იქნებოდა, ლამის მისი ტოლი, თვალებსა და კბილებს აელვარებდა, და სულ ცეცხლი სცვიოდა.

საერთოდ, შევნიშნე, რომ მერციაზე ადვილად ვბრახდებოდი. ალბათ იმიტომ, რომ მეჩვენებოდა: ყველა უპირატესობა მის მხარეზე იყო. ახლაც შორიდან შევცქეროდი და ვფიქრობდი... არ ვიცი, კარგად, რას ვფიქრობდი, ჩემი თავის მერცხვინებოდა: აბა რაში გამოვადგები ორმოცდაროი წლის გამომშრალი კაცი, ხან რომ თირკმელი გაპკრავს და ხან გული, ოჯახწამოკიდებული, ერთი ნაბიჯი რომ თავის ნებაზე ვერ გადაუდგამს, ყველა კაპიკი რომ დათვლილი აქვს და დროც ტაბელივით განაწილებული. ჩემი თავი ძალიან უბედურად მომეჩვენა და შემეცოდა. მაგრამ ამ ფიქრმა მაინცადამაინც სიმკვეთრე ვერ მოიპოვა. ისევ წამომიარა ბრაზმა. მივედი,

ხელი მაჯაში ჩავკიდე და გვერდზე გავიყვანე. ბიჭები სახტად დარჩნენ. ერთი წამოიქორჩრა კიდეც, მეორემ გააჩეკრა. კიდეც რამდენიმე მზერა გამოგვევა.

— მაგათ ხომ არ უნდათ ცხვირ-პირი ამოვუნაყო, რატომ არ წახვედი კოშკში?

შემომხედა და გაიცინა.

— რას იცინი? შენ რა, ყველას უნდა უცინო?

უფრო ხმამაღლა გაიცინა. სულაც არა სწყინდა. პირიქით, რალაც მოხიბლულიც ჩანდა.

— ე — მუშტი რბილად, ხუმრობით მომიბაგუნა მკერდზე და გაიქცა. ხიდზე რომ გადაბროდა, გულში ვეფერებოდი.

მდინარის პირას ალათო ქვაბებს რეცხავდა. გვერდით მივუჯექი.

— ალათო, როგორა ხარ, ქალო!

შემომცინა და გააბა...

გაწვიმდა. უკვე შეზნელებულიყო. ცოტა ხანს კიდეც ვიბორიალე და წავედი. ისე მეჩქარებოდა იქ მისვლა, გული ამოვარდნაზე მჭონდა.

დასასრული იქნება



### ყველა ბილიკი დავტოვე გარეთ

ყველა ბილიკი დავტოვე გარეთ,  
 ყველა გზა-შარა გარეთ დავტოვე.  
 გამოვექეცი აფოფრილ ქარებს  
 და მივენდევი შენს სიმარტოვეს.  
 აწ გზაწვრილებით მატარე შენით,  
 გავტყუირდები მგლებთან, დათვებთან.  
 მარტოსულობის მარადი სენით  
 თრთის მთვარე ღამით შორს, ცის სანთლებთან.  
 ნუ გამასწავლი გზას შავ ხნულამდე,  
 ნუ მკითხავ, რად არ გავყევი ხომალდს.  
 გავიზამთრებ და მივაყურადებ  
 შენი ხეების კვირტების სკლომას.  
 მწვანე ტაძრების ჩამოგკრავ ზარებს,  
 მანდ ჩემი წყარო ჯერ არ დამშრალა.

ყველა ბილიკი დავტოვე გარეთ,  
 გარეთ დავტოვე ყველა გზა-შარა.

### ბჟჟს

შენი ხეების ბუდეებში ვათბობ ზმანებებს,  
 მაქანავებენ შენნი რტონი, მანანავებენ.  
 ციცქნა ჩიტები ჰრელა-ჰრულა ფრთებს მაზმანებენ...  
 შენი ხეების ბუდეებში ვათბობ ზმანებებს.  
 სადღაც ქარები ცა და მიწას აზანზარებენ,  
 უძრავი სული მედგარ ხეთა თავს არ განებებს.  
 შენი ხეები შენთან დგომას არ იზარებენ...  
 შენი ხეების ბუდეებში ვათბობ ზმანებებს.

### სიზმრის ხეივანი

გააღე კარი,  
 ვატოტუნენ გარეთ  
 ჩემი სიზმრების ხეთა ტოტები.  
 მათ ღრუბლებს აწი მზის ქარი გარეკს

და მერე მე მათ ჩრდილში მოგვედები.  
წუხელ მთვარის \*შუქს ვუსხამდი, ვრწყავდი,  
მიტომაც აგრე გავლიე მთვარე.  
ჩემი სიზმრების ცვრით ვზარდე...  
წადი,  
გააღე კარი,  
გატოტდნენ გარეთ.

შევიმალები მე ჩემს ღრუბლებში,  
ვარსკვლავჩაბნეულ ღრუბლებს გავყვები.  
იმ მაღალ მთებზე გადავხოხდები,  
ქედს დამიდრეკენ მთები მაღლები.  
ნუ დამიძახებ,  
არ დამადევნო  
შენი ჩიტები,  
ელვა ქალური...  
მაღალ მთებისკენ ღრუბლებს მივინდე,  
მე ჩემს ღრუბლებში ვარ მიმაღული.

### ქველ საყდართან

მომჩერებოდა მთელი გარემო, —  
ცა და ქვესკნელი,  
ზღვა და ხმელეთი.  
თუ დაბზარული გქონდა ზარები,  
ჩამოსარეკად რად მახელებდი?!  
თუ დაბზარული გქონდა ზარები,  
ჩამოსარეკად რად მახელებდი?!  
მომჩერებოდა მთელი გარემო, —  
ცა და ქვესკნელი.  
ზღვა და ხმელეთი.

მაშინ სადა ხარ, ჩემო ბუღბუღო,  
როცა მე ძალმიძს შენი მოსმენა?!  
ახლა გრიგალი ქუხს და ბუბუნობს,  
ელვამ ჩემი ცა მისერ-მოსერა,

ახლა გრიგალი ქუხს და ბუბუნობს,  
ელვამ ჩემი ცა მისერ-მოსერა.  
მაშინ სადა ხარ, ჩემო ბულბულო,  
როცა მე ძალმიძს შენი მოსმენა?!



### ხეივანი

ჩემს ქარიშხლებს შეაღწეწეს ფოთლები და რტოები.  
კაცებივით მხედებოდნენ და კაცებივით ვტოვებდი.  
მკლავაწვდილი მლოცველები ჩემი სარწმუნოების,  
თეთრ-ყვითელი გალობანი აპრილის და ნოემბრის.  
ტყე-ტყე, ღრე-ღრე, ხევ-ხევ დარჩენენ...  
მე იემ ხესთან მოვედი.  
მახსოვს, მახსოვს ის ! ეები, შორ გზებზე რო ვტოვებდი,  
ჩემს მრისხანე ქარიშხლებთან შეღწეწილი რტოებით.





ალმა წასული კომბატანის დარდი

ბ. ტაბიძის, პ. იაშვილის

მე ახლა თქვენზე ბევრად უფროსი ვარ და გიწოდებთ მაინც ბატონოს,  
სულაც არ მინდა რომ ვთქვა სხვასავით მე თქვენი წლები შემომმატრონ!  
მე იქნებ ჩემი წლებიც ვიკმარო განგების ძალამ თუ დამაცალა,  
მუდამ ვცდილობდი არ შემერცხვინეთ და ახლა ხედავთ ეს ვარ რაცა ვარ!

მე თქვენი სიტყვა მუდამ მანთებდა,  
როგორც სურვილი ნატვრის ახდენის,  
ყოველთვის თქვენი ვალი მმართვედა  
და დღემდის დამრჩა გადასახდელი!

მხოლოდ ფიქრებით, დარდით, ოცნებით ვიყავი თქვენი ნაღდი ძმობილი,  
დიდხანს მეჭირა ის დაუცლელი ყანწი ტკივილად მკერდსმიქობილი!  
მეჩვენებოდა ღრმადელისაკენ მიიჩქაროდით ბეჭებფართენი,  
და გათენებულს თეთრად ღამეებს ჩემი წუხილის ედოთ ხლართები!  
მაშინ ფიქრები, როგორც ბავშვები, ჯერ ისევ ფეხის ადგმას სწავლობდნენ,  
შერე მანახა თავად ცხოვრებამ, როგორ დავდგე და როგორ გავლომდე!  
რომ არ ვისწავლო კაცის განწირვის, კაცის გათელვის ძველი ხელობა,  
რომ აღარ ერგოს ქვეყნად არავის იმ თქვენი ბედის უღმობელობა!

აღრე გამწყრალი ღმერთი მაღალი  
აღარ ხარჯავდა ფუჟად შენდობას,  
ისევ ტიროდა ქარში არღანი  
გამქრალ იმედს და უიმედობას!

ჩოფურაშვილის სახლის მახლობლად წყნარად მოსთქვამდა დარდებს ფანდურიც,  
თქვენ არ იყავით და სიბნელეში სულ მოჩვენება მდევდა ლანდური!  
ო, როგორ მწყინდა რომ ყველაფერი იყო შორი და იყო გვიანი,  
არ მცილდებოდა თქვენი წუხილი ვით ცივი ეჭო თოფის გრიალის!  
მაგრამ ვხვდებოდი როგორც მეგობრებს თქვენს ნატიფსა და უკვდავ

სტრიქონებს

თან მიხაროდა რომ ჩემნაირად ბევრს უყვარხართ და ბევრი გვიგონებთ!  
ნამეხარებიც დარჩით დევებად, არ ჩააბარეთ სული კაცუნებს  
და ვაჟკაცური თქვენი სახელი კვლავ სიტყვის აფრებს მიატაკუნებს!

რიკოთი

ჩიტის გადაფრენაც ისმის,  
სიმშვიდეა ზღაპრული,  
დაწეწილი ბოლავს ნისლი,  
მთების წვერზე გაკრული!  
მოდებული ქარვის ფერით  
გზას იკაფავს წითელი,  
აქ სხვა ფიქრით აინთები,

სხვა იმედით ბრწყინდება!  
გამჭვირვალე დილის ბლონდებს  
მზე აელვებს ბროლივით,  
ცოტა მეტი დრო რომ მქონდეს,  
მთელ მიდამოს მოვივლი!  
ვინ რა იცის შინ რომ მინდა,  
რომ ამდენ ხანს მიმეღოს



ეროვნული  
წიგლწიფითე

გმირობითაც,  
ზრდილობითაც  
შუბლგახსნილი იმერი!  
პეიზაჟებს ხატავს დილა  
ცვარით გადანამული,  
მკლავებით გადამოილან.

ბილიკები მამულის!  
ფირმანივით მრჩება ხელში  
ვადა განავარდების,  
სიმაღლიდან მინდა ხევში  
გადავჩეხო დარდები!

### ღამე და თბილისი

გაღვიძებული, შეშფოთებული შენზე ფიქრების მარადი წამით,  
მე ვიდგები, როგორც ბავშვს რომ დახედონ, ფეხზე დგებიან მდუმარე ღამით.  
გამოვიხედავ, ვხედავ ანთიხარ, შენს ქუჩებსა და მოედნებს ვარჩევ,  
საუკუნეთა წარღვნის გამძლებო,  
სულ უნდა იდგე,  
მარადეამს დარჩე!  
მე დროებითი შენი მსახური არ მოგცილდება სანამდის წავალ,  
გემახსოვრები მერეც შვილივით ვით ახლა იცი ვინ ვარ და რა ვარ.  
მუდამ მიყვარდი გაგიყებამდე და სიყვარული იყო ორმხრივი,  
დრო მოვა ერთხელ მეც ჩამოგივლი გატეხილი და წელში მოხრილი.  
ჭერ კი როგორაც ბავშვს რომ დახედონ, შეშფოთებული მეც ისე ვდგები,  
მაგრამ იმედით გადმოიხედავენ ქალაქის მცველად მომდგარი მთები!  
და მეც ვმშვიდდები, რომ ისევ დგახარ  
დიდი,  
ლამაზი,  
მხრებში გაშლილი,  
ისევ მილიმი დედაშვილურად და მე მაძინებ თავად ბავშვივით.

### სალიტი, სიძველე და მონატრება


არ მავიწყდები არსად, არასდროს,  
და შენზე ფიქრით აქაც ვინთები,  
როცა დავვუვები ძველ ესპალატოს  
ვიწრო ქუჩების ლაბირინთებით!  
სუნთქვა წარსულის მოაქვს დროებას,  
რომ ჩამახედოს ჩამქრალ თვალებში  
და მიდასტურებს ამოებას  
სასახლე დიოკლეტიანესი!  
ჩვენ კი ჭერ აქ ვართ,  
ახალს ვუტკეპრით  
ცასავით გახსნილ თვალთა გუგებით,  
როგორც ვიყავი შენთან გულწრფელი,  
ანდა ერთმანეთს როგორც ვუგებდით!  
კვლავ მენატრები,  
ზურმუხტის ფერით  
ადრიატიკამ. ფიქრი არია,

შეხვედრას ძველი ოცნებით ველი  
და ახლა აღბათ ეს მიხარია!  
გზა რომ გახსნოდა ნაზსა და კეთილს  
ზოგაჯერ ულუქსოდ ვერც კი ვბედავდი,  
მადლობელი ვარ მე ჩემი ბედის  
და ერთგულების შენის ჩემდამი!  
ეს ოცი წელიც  
მომდგარი კარზე,  
წელთა სიმრავლეს გაჰყვება სავზლად  
ახლა კი ადრიატიკა მარწევს  
და მიჩენს მომცრო კუნძულებს გზაგზა!  
დროც მიხზობს უცხო სივრცეთა  
მოვლის,  
როგორც მშვენება ვარდის და ტიტის,  
და ყვავილების ფერადი თოვლით  
უკან ქალივით მომყვება სალიტი!

მზე დარაჯივით დაადგა კუმისს,  
ბალჩა-ბალებში ჩაგუბდა სითბო,  
დღეა ისეთი ლურჯი და ჩუმი,  
გაქვავებული ტბა არის თითქოს!  
შენ გიხარია სილურჯე შთათა,  
რომ გადაკვრია მამულის ჯებირს,  
და მიისწრაფვი,  
მიქრიხარ რათა  
სული აივსო ბუნების ხმებით!

ქველი რუანი

გადმოაფინა სექტემბერმა უცხო ფერები,  
უკან დავტოვეთ ნორმანდიის ლურჯი ველები!  
სახურავებით ჭრელჭრელებით დაჩნდნენ სახლები,  
და ვხვდები ქალაქს,  
ვით ოცნებას ცხადად ახდენილს!  
მუხლთმოსადრეკი რამ ადგილი ქვეყნად თუ არი,  
ვით ვეიშარი ან სხვიტორი,  
არის რუანიც!  
აქ ვპოვებ მრავალს ამქვეყნიურ დიდების მფლობელს,  
უპირველესად სახელოვან ბალზაკს და ფლობერს!  
ასწლულებმა ვიწრო ქუჩებს გადაუარეს,  
კვალი დიდების შეუნახავს ყველა რუანელს!  
ახალს ამაყად ადევს დალი ძველის მსგავსების,  
მესმის ჭრიალი შორეული დილიქანების!  
ბევრი ვიპოვე,  
უფრო მეტის პოვნას ვეცადე,  
ტაძრის გუმბათი აწეულა მაღალ ზეცამდე!  
მზე ჩამავალი ტაძარს ანთებს ფერად სვეტებად,  
გოთიკურ სტილით ნაგებ სახლებს ბინდი ედებათ!  
ღამის ტეხაზეც აღარ მინდა რომ ვთქვა უარი  
და ჩემთან ერთად არ იძინებს ძველი რუანი!







## ოჯახური იდილია

მოთხრობა

დილით ლამარამ ქმარ-შვილი სახლიდან გააცილა და ოთახის დალაგებას შეუდგა. სანდროს საწოლისთვის, რომლის ყოველდღიური აკეცვა საშინლად აღიზიანებდა, დღეს ყურადღება არ მიუქცევია. უპირველესად მისი ფიჭვი სადილის მომზადებისკენ იყო მიმართული, — რა უნდა გაეკეთებინა, როცა სახლში არაფერი ჰქონდა, ქმრის ხელფასამდე კი მხოლოდ მანეთიღა დარჩენოდა. მურთაზის საუზმეს და ვახშამს იოლად აუდიოდა — კარაქიანი პუკ და ჩაი. ან, თუ იქნებოდა, ყველის პატარანაჭერი. ლამარა ამ ტრაპეზს ქმარს და შვილს თავისი ხელით დამზადებული მურაბებით ულამაზებდა, მაგრამ სადილად საჭირო იყო უხვი და ნოყიერი საქმელი. მურთაზი ძლიერ მდშიებული ბრუნდებოდა, სამსახურიდან. ლამარასთვის ბევრჯერ უთქვამს, შენგან არაფერი მინდა, მხოლოდ დღეში ერთხელ მაინც გემრიელად მაჭამეო და რამდენჯერმე, მშიერი რომ დარჩა, ცოლს მაგრად ეჩხუბა. ლამარას კი ქმრის ხასიათის შეცვლა ყოველთვის საოცრად აშინებდა. ეჩვენებოდა, რადგან ამ დათვივით ძლიერ და კეთილადამიანსაც კი სახე ეღუშება და გუნება უფუჭდება, მაშასადამე, არაფერი მდგრადი და უკვდავი არ არის ამ ქვეყანაზე და მთელი სამყარო ინგრევად.

ლამარამ საბნები გაანიავა. ზეწრები გადაფერთხა, ავეჯზე მტვერი გადაწმინდა, აბაზანაში ჩაყრილ სარეცხს დახედა და, როგორც ყოველთვის, ვერ გა-

დაწყვიტა, ქუქყიანი საცვლები ახლა გაერეცხა, თუ შაბათამდე დაეგროვებინა. მერე სანდროს ძველი თეთრი პერანგის გადაკეთებას შეუდგა. ლამარას გაახსენდა, რომ შვილს თეატრის აბონემენტისთვის სამი მანეთი და სამოცი კაპიკი არ მისცა და ხელსაქმე გვერდზე გადადო — სადილზე ფიჭვა კვლავ შეაწუხა.

სამზარეულოში ყველა სათავსო დაათვალიერა. ერთი ყუთი ვერმიწელი და ერთი ყუთი მაკარონი მაგიდაზე დგა, მაცივარი გამოაღო, მაგრამ შიგ მხოლოდ ტყემლის და ტომატის ცხარე საწებლებით სავსე ბოთლები იდგა. საქმეს ხახვიც ვერ შევლოდა. კვერცი მაინც ყოფილიყო... მეზობლებზე ვეღარც კი იფიქრებდა, ყველასი რაღაც ემართა.

ლამარა სკამზე ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო, თვლები ერთ წერტილზე გაუშტერდა. ამ მდგომარეობიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია. მისი ბავშვობის მეგობარი ლალი ურეკავდა. ლამარას გაეხარა, ცოტა გულს გადავაყოლებო.

— ამდენი ხანია გათხოვილი ვარ და ჰკუთ მაინც ვერ ვისწავლე, — შესჩივლა მეგობარს, როგორ შეიძლება ასე, მურთაზის ხელფასამდე მანეთიღა დამარჩა.

— ეჰ, რას იზამ, ღარიბები ვართ, ჩემო ლამარა.

— არა, მე ის მიკვირს, რომ ვერა-

ფრთ ვერ გამოვიზოგე, ყოველთვის ასე მემართება...

— გუშინ ვაკეში ვიყავი, — გააწყვეტინა ლალი, — როგორ ცხოვრობს ხალხი! მანქანები, მანქანები, მანქანები... ყველას იმპორტული ტანსაცმელი აცვია, ფანჯრებიდან მუსიკა ისმის. ყველგან მღერიან, ცეკვავენ, ყველგან ქეიფია...

ქალები ნაღვლიანად ჩაფიქრდნენ. ლამარას რაღაც შხული შემოესმა. წამოხტა, აბაზანაში ონკანი ღია ხომ არ დამჩაო.

— ერთი წუთით, ლალი, ახლავე...

სამზარეულო და აბაზანა მთლიანად წყლით იყო დატბორილი. ლამარამ, აუპო, და საპირფარეოს კარს ეძგერა. იმავე წამს წყლის ძლიერ ჭავლში თავით-ფეხამდე დასველდა. ლამარა სადარბაზოში გავარდა. „პირველ სართულზე ჭერი ალბათ მთლიანად ჩაინგრა“. ქალბატონი ქეთო სახლში არ აღმოჩნდა. ლამარამ საშველად სხვა მეზობლებს მიაშურა. კაციშვილი შინ არ დაუხვდა. ისევ თავის სართულზე აირბინა. წყალმა უკვე ოთახში გამოჟონა. ლამარამ რაც კი ჭინჭები ჰქონდა, იატაკზე დაყარა და აკანკალებული ხელებით ტელეფონის წიგნი გადაფურცლა. მღელვარებისაგან საავარიოს ნომერი ვერაფრით ვერ იპოვნა. წიგნი მოისროლა, ყურმილი დაჰკიდა და გაახსენდა, რომ ტელეფონთან ლალი ელოდა, მაგრამ დრო არ ითმენდა. ლამარამ სველ ტანზე სასწრაფოდ კაბა გადიაცვა და სახლმმართველობაში გაიქცა.

კანტორაში მარტო ერთი ჩასუქებულ ქალი დაუხვდა:

— რა მოხდა, ლამარა, გენაცვალე? „საიდან იცის ჩემი სახელი?“ ლამარა მოკლედ მოუყვა თავის გასაჭირს.

— აგერ, ამ ნომერზე დარეკე. ჩვენი ხელოსნები უბანში არიან გასულნი.

ლამარამ ნომერი აკრიბა, მაგრამ ზუმერი არ გავიდა. — უფრო მეტად ანერვიულდა. გადაწყვიტა, ტელეფონს არ მოშვებოდა.

— მურთაზი შენი ქმარია, არა?  
— დიახ! — უბასუხა „შენობები“ კვირეებულმა ლამარამ.

— თქვენ მეორე სართულზე არ ცხოვრობთ?

— დიახ.

— თვრამეტი კვადრატული მეტრი?

— დიახ.

— მურთაზს რამდენი აქვს ხელფასი?

— ასი მანეთი, — ლამარა სულ მეტად და მეტად ღიზიანდებოდა.

— მეორე ბავშვს ხომ არ აპირებ?

— არა!

— მამაშენი პერსონალურ პენსიას რომ ითხოვდა, დაუმტკიცა სასამართლომ?

ლამარამ ყურმილი დაახეთქა, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა.

— თუ შეიძლება, ხელოსანი გამომიძახეთ. მე გავიქცევი, თორემ პირველ სართულზე ჭერი ჩაინგრევა, მუდარით მიმართა ქალს.

— კი, გენაცვალე, დაგეხმარები...

ლამარა ქუჩაში გავარდა. საკანალიზაციო მილის ქაში, რომელსაც ხუფი ახდილი ჰქონდა, ვიღაც კაცი დინახა. ლამარამ კაცთან მიიბრინა და მხარზე მოჰჩაჩა.

— მაპატიეთ, ერთი წუთით...

სპექტანსაცმიანმა, სილურჯემდე გაპარსულმა კაცმა კითხვით ამოხედა.

— თქვენ ისა ხართ?.. რა ჰქვია?.. წყლის მილი გამისკდა.

— სად?

— ტუალეტში.

— კაცი არ განძრეულა.

— აგერ ვცხოვრობ, ამ სახლში, — თითი გაიშვირა ლამარამ.


კაცმა პატარა ჩემოდანში ხელსაწყობების ჩალაგება დაიწყო.

— ალბათ, მეზობლებს ჩაუვიდოდათ... სულ ჩაინგრეოდა ყველაფერი...

შინ არ არიან... მთელი ავეჯი დაეღუპებათ...

კაცი უხმოდ გაჰყვა.

საპირფარეოშიმდე წყალში ჭყაბა-ჭყუპით მიიღწიეს. ლამარას ქალბატონ



ქეთოს გახსენებზე გული კუჭში ჩაუვარდა.

— აქა? — იკითხა ხელოსანმა და კარი გამოაღო.

ორივე უმალ გაიწუწა. წყლის ცივი-მა ჰავლმა ხელოსანს სული შეუღუჭა.

— ეს არაფერია, „შარავი“ უნდა, — ძლივს თქვა მან.

— თუ უნდა, მოიტანე მერე! — იყვირა ლამარამ.

ხელოსანმა სამზარეულო მოათვალა. კუთრკლის ტილო აიღო. გამსკდარ მილს დაახვია და მისი ბოლო უნიტაზაში ჩაუშვა.

„ღმერთო ჩემო, როგორ ვერ მოვიფიქრე, ხომ შეიძლებოდა, ეს წყალდიდობა თავიდან ამეშორებინა, ქეთოს რა გადაურჩება?“ გიფიქრა ძალაგამოცლილმა ლამარამ.

— „შარავი“ არ იშოვნება, — თქვა ხელოსანმა.

„დავიღუპე!“ — ლამარამ ხეგწნა დაუწყაო.

— მიშველე, შენი ჰირიმე, ფულს რამდენსაც მეტყვი, იმდენს მოგცემ, ოღონდ დღეს გადამარჩინე. ხომ ხედავ, რა დღეში ვარ?!

— ერთ ჩემს ნაცნობს უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუმნად ყოდის.

— მოიტანე, შენი ჰირიმე! — შეევედრა ლამარამ.

— ჩემი შრომაც ხუთი მანეთი...

— კი, კი, — სასწრაფოდ თავი დაუქნია ლამარამ.

ხელოსანი წავიდა. ლამარამ კაბის კალთები აიკეცა, სველი ჰინჯები აბაზანაში ჩაწურა და იატაკის გამშრალეებს შეუღდა. სადარბაზოს კიბეზე ვიღაც ამოდოდა. ლამარამ გახედა და მოხუცებულ ქალს, რომელიც რამდენიმე სტაფილოიან ბადეს ძლივს მოათრევდა, ხელი შეაშველა.

— შენ გაიხარე, შვილო!

— დეიდა ლუბა, დამეხმარეთ, თუ შეგიძლიათ, ხელფასამდე ოცი მანეთი კიდევ მასესხეთ და ყველას ერთად დაგიბრუნებთ.

ქალმა ლამარა დაკვირვებით შეათვალიერა.

— ხუთ დღეში, — ლამარამ დაუბრუნდა ლობისაგან გაწითლდა.

— კი, შვილო, შენ როგორ დაგიკავებ. ოცი მანეთი უნდა მქონდეს.

ლამარა ბინაში შეჰყვა, ფული გამოართვა, კიბეზე ხტუნვა-ხტუნვით დაემშვა და ქალბატონ ქეთოს კარზე ზარი დარეკა „ღმერთო, შენ გადამარჩინე, ქეთოს ჰერი არ იყოს დასველებული და, ხვალვე სანთელს დავანთებ“. ქეთო შინ არ იყო.

ლამარამ გასტრონომში გადაირბინა. მისდა სასიხარულოდ, სოსისი შემოეტანათ. ნახევარი კილო სოსისი და ათი კვერციხი იყიდა და თითქმის ბედნიერად იგრძნო თავი.

სახლში კვლავ იატაკის წმენდა განაგრძო. მალე ყველაფერი მოაკრიალა. ამ დროს ხელოსანიც მოვიდა. უნიტაჟის გამსკდარი მილი თვალის დახამხამებაში შეცვალა. ლამარამ მეორე, დაუანგულ და აქერცილილ მილზე მიუთითა.

— ალბათ ესეც მალე გასკდება?

— არა, ასეთი მილები წლობით მიწაში გვიყრია, ნუ გეშინია.

ხელოსანმა ფული აიღო და დიდინით კარი გაიკეტა. ლამარამ შვებით ამოიხსუნოქა. უკვე ტახტზე შისვენებას აპირებდა, რომ გაბმულმა ზარმა შეაკრთია. „ქეთო!“ გულამოძვარა სახე მოისაწყლა და კარი ფრთხილად გააღო. სადარბაზოში მომღიმარი სანდრო იდგა. მან ხელი გაშალა და სახლში სიმღერით შევიდა.

— გამოდი ბალკონშიი, ნუ მჯდობ დილიხორშიი, ო, მინადორაა!

— უიამე, დედა, დილიხორშიო! იმავე წამს დედის მწარე ხელი სანდროს თავში მოხვდა და ფორმის ქული კეფაზე წამოუსკუპდა.

რამაზ გიორგიანი  
ოჯახური ილია

— რა სიტყვებს იძახი, შე ხელიგანო, შენა?! უყვირა ლამარამ.

ასეთი მოულოდნელი შეხვედრისაგან სანდრო ჯერ შეცბა და მერე მთელი ხმით აღრიალდა.

— რა, იყო, რაა?

— სულ გაველურდი, სულ ქუჩის ბოჭი გახდი, არაა?!

— „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შვილი თუ გამიხულიგნდა, რა მეშველებს?!“ ლამარას მუხლები მოეკვეთა. სკამი მიიჩოჩა და ზედ დაენარცხა.

— გაიმეორე, ერთი, რა თქვი, გაიმეორე. შე საძაგელო!

— არაა, — გააგრძელა სანდრომ.

— იმღერე, გეუბნები, იმღერე, თორემ ჩემივე ხელებით მიგახრჩობ! — საშინლად გაკაპასდა ლამარა.

სანდროს სლოკინი აუტყდა.

— თავიდან! — უყვირა ლამარამ.

სანდრომ ტირილით თავიდან დაიწყო სიმღერა:

— გამოდო ბალკონში,

ნუ მაადგებ... იმაში, წელან როომი გითხაროი,

ოო, მინადლორაა!..

ლამარა შეეცადა სანდროსთვის ყუროში ხელი წაველო. მაგრამ შვილმა უკან დაიხია. ლამარას კი ადგომა აღარ შეეძლო.

— ვინ გასწავლა ეს სიტყვები?

— სკოლაში მასწავლევს, — უძკრია მეტად აღრიალდა სანდრო.

— რა მეშველება, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? — თვალები აუკრემლდა ლამარას, — წადი, ერბო-კვკერცხა შეიწვი და ხეთქე. დღეს სახლიდან გასული არ განახო, თორემ სულ ძმარს გაიყენ მაგ დაწითლებული ცხვირიდან.

სანდრო სამზარეულოში წალასლასდა.

...ლამარა ზარმა გამოაფხიზლა. იგი ტახტზე იწვა. სანდრომ, რომელიც მაგიდასთან იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა, წამოდგომა დააპირა, ლამარამ შეუყვირა.

— თავი არ ვნახო აწეულში!

ქმრისთვის სოსისი და მავრონი მზად იყო, მხოლოდ გაცხელება დასკირდებოდა!

ლამარამ კარი გააღო. საღებავიდან ქალბატონმა ქეთომ გაუღიმა.

— წამოდი, ლამარა, გენაცვალე, ერთი წუთით ჩემთან ჩავიდეო.

ლამარას გულმა ფართხალი დაიწყო.

ქეთოს ერთადერთი ოთახი მდიდრული აკვეჯით ჰქონდა გაწყობილი. ჭერი — ოქროთი მოხატული. ჭერის ოთხივე კუთხეში ფრთაგაშლილი ანგელოზები მიფრინავდნენ, ბროლის ჭალი ღრუბელზე იყო ჩამოკიდებული, საიდანაც ღმერთი იცქირებოდა და საჩვენებელი თითი პირდაპირ ლამარასკენ ჰქონდა გამოშვებული. ლამარამ რამდენჯერმე შეხედა, მართლა ჩემკენ იშვერს თითს, თუ არაო. ერთ-ერთი ანგელოზი მთლიანად გაყვითლებულიყო. მისგან ჭერზე ყვითელი ზოლი ღმერთამდე აღწევდა. ღმერთს თვალები ამღვრეოდა და საჩვენებელი თითი ჩამუქებოდა.

— პირველი შემთხვევა რომ იყოს, ლამარა, ჩემო კარგო, არაფერს გეტყვოდი, მაგრამ ამდენის ატანა უკვე შეუძლებელია. ადრე რემონტი არ მქონდა გაკეთებული და ხმას არ ვიღებდი. ახლაც, აბაზანაში რომ შეიხედო, გული შეგიწუხდებოდა, მაგრამ აბაზანაზე არაფერს ვამბობ, იქ ჯერ შეეკეთება არ დაგვიწყია. ახლა მითხარი, ალექოს ამაზე რა პასუხი გაცევ? — ქეთომ ხელი ჭერისკენ აიშვირა. — ჩემს ქმარს გული სუსტი აქვს, ხომ შეიძლება ინფარქტი დაემართოს. ეს, გენაცვალე, უბრალო ჭერი კი არ არის, მხატვრობაა, ხელოვნება! გაყვითლებული ანგელოზები გინახავს სადმე? ბოტკინი ხომ არ ქირთ?

დანალგოიანებულ ლამარას უნდოდა ეთქვა, ანგელოზები საერთოდ არ მინახავსო, მაგრამ ამის მაგიერ, ყველაფერს გადავიხდითო, ძლივს წაილულულა.

— მაგაში ხომ არ არის საქმე, ლამარას შემოველოს ქეთო, როდემდის გაგრძელდება ეს უმსგავსობა. შენ რა

უნდა გადაგახდევინო? მე ოთხასი მანეთი დამიჯდა. შენ, პა, დიდი-დიდი ორასი მანეთი გამოგართვა. ყველაფერს კეთილი მეზობლობის შენარჩუნება მიჩვენია.

ორასი მანეთის გაგონებაზე ლამარას კინალამ ტვინში სისხლი ჩაეჭკა.

— გადაგიხდით, აუცილებლად... — მას ერჩია იქვე მიწა გასკდომოდა.

ქეთომ ბევრი ილაპარაკა თავის კეთილშობილებაზე, მეზობლებისადმი დამოკიდებულებაზე, ქმრის ავადმყოფობაზე და იმ პატივისცემაზე, რომელიც ზევითა მობინადრეებს მისდამი უნდა ჰქონდეთ. ლამარამ ამ წამებისგან კინალამ იკივლა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოუშვეს. მან სადარბაზოს ცივ, ნოტიო კედელს გახურებული შუბლი მიადო და შვებით ამოისუნთქა. ას სმოცი მანეთის ობლიგაციები მამასთან აქვს. დანარჩენი ფულის შესაგროვებლად სახლში სამუშაოს აიღებს და, სხვა დიასახლისებოვით, ცელოფანის პარკებს დააწებებს...

მურთაზი სახლში დაუხვდა, ლამარა დაფაცურდა, სადილი გააცხელა, ერბო-კვერცხი შეწვა, მაგიდაზე საწებელი და მღოგვი დადგა. მერე ქმარს სახის პირსახოცი გამოუჩვენა. მურთაზი ყოველთვის ორ პირსახოცს ხმარობდა, ერთი — სახისთვის ჰქონდა, მეორე ხელებისთვის. ხელებს დიდხანს, გულმოდგინედ იბანდა, მაგრამ წლობით ჩაჯანგული ზეთის მუქ ლაქებს ვერაფერს შეელოდა.

მურთაზს სადილი ეგემრიელა. მადიანად ილუქმებოდა. ლამარა უკან ედგა. ხანდახან გადაიხრებოდა, ან საპურეს გასწორებდა, ან მაგიდიდან რაღაც მო-

ჩვენებით მტვერს წმენდა. ქმრის მადა და სიმშვიდე უხაროდა. მტვერი ეკითხა, ხომ გემრიელია, მარტო ასეთი შეკითხვები არ უყვარდა. თუ გემრიელია, მე თვითონ გეტყვი, შენი შესხენება რად მინდაო, ამბობდა.

უცრად მაცივრის ქვეშიდან ხოჭო გამოძვრა და პირდაპირ ლამარასკენ გამოიქცა. ლამარამ დაუცადა, უნდოდა შეუმჩნევლად მოეკლა, — ქოშმ: მაინც გაიტყატუნა.

— რა იყო?

— არაფერი, ფეხი გამიცურდა.

— ხომ გითხარი, მაგ ქოშებს ნუ იცვამ-მეთქი, ერთხელაც იქნება, ცხვირპირს დაიმტვრევ... თან საშინლად აკაკუნებ.

— ახლავე გამოვიცვლი...

მურთაზმა ჰამა მოათავა, ოთახში გავიდა, ტელევიზორი ჩართო და ზმორებით ტანტზე დაჯდა. ლამარა მის გვერდით მოკალათდა. რატომღაც ტირილი მოუნდა. დღევანდელმა დავიდარბამ მოქანცა. თავისი თავი ეცოდებოდა. მურთაზის მოფერებას ნატრობდა. იგი გადაწვა, ქმარს მუხლებზე თავი დაადო და მუცელზე მიეკრა. მურთაზმა თმაზე ხელი გადაუსვა. ლამარა სიამოვნებისაგან აკრუტუნდა.

სანდრო სკამზე შემობრუნებულიყო, მშობლებს უყურებდა და კალმისტარს დამორცხვებული ღეჭავდა. იგი წამოდგა, ტანტთან უხერხული შემშვებით მივიდა და მშობლებს შორის ჩაიკუჭა. მურთაზს გულიანად გაეცინა. ცოლ-შვილს ხელები მოხვია და მკერდზე მაგრად მიიხუტა.



მოულოდნელი გახლდათ შეხვედრა...  
 თვალზე — ცრემლები...  
 თეთრი პალატა...  
 ღმერთი და რჯული, მე არ მეხება,  
 რაც თქვენ ვარგუნათ დედაქალაქმა!  
 დედაქალაქმა რათა? ბედია  
 ამ წუთისოფლად ტანჯვა მიგების;  
 ახლა მითხარი, თუ გაყვედრიან,  
 ტვირთს ცალუღელა რომ ეზიდები?!  
 ცრემლს აბრჭყვიალებს შენი ბეჭედი,  
 მწუხრი კი სულში მიიზვირთება,  
 სხივი ქვესკნელის თუ ცისქვეშეთის  
 წინ გიდგას როგორც წყევლა-კირთება!  
 გათიბულია ყანა, მინდორი,  
 ვნებას აღმურში ფესვი უხმება,  
 ოდესღაც ნედლი მნათის ქიტონი  
 რეკვიემივით მოიმწუხრება.  
 და მახსენდება: ჟამი ნაკურთხი,  
 ტრფობა პირველი,  
 სიყრმის მარულა,

ნაფერები და გულით სათუთი  
 სად წასულა და  
 სად გაპარულა?!  
 რა საჭიროა დღეთა ჩამოთვლა,  
 ხომ გაალობენ სევდით  
 ლითონებს?! —

ოხაჩქუეზე თოვლი ჩამოდნა,  
 თუმცა, ეტყობა, გადაითოვლებს.  
 გაიყინება ცაზე მარიხი,  
 მიჯნურთა ლოცვით მირონცხებულნი  
 და სიყმაწვილე თავს ძირს დამიხრის,  
 ადრეც მართოლვარე, დამორცხვებულნი  
 ვდგავარ...  
 ცხოვრება მზაფრავს თუ მსუსხავს  
 ფარსი ნიღბებით,  
 ყალბი სცენებით, —  
 ეგეც ბედია —  
 სხვას ერგო, სულ სხვას,  
 ოდენ საჩემო შენი ცრემლები!

შუკა-შუკა,  
 მინდორ-მინდორ  
 ეფინება ოროველი...  
 მეც რომ შენთან ყოფნა მინდა,  
 რად ვიბნევით ორივენი?!  
 ზამთრის ჭირხლო,  
 ისე დათბი —  
 აჭრიალდეს გულის კარი...  
 აბურტყუნე თეთრი დათვი,  
 ფრთები ენგურისპირქარის...  
 ნუ ჩამოსწყვეტთ ბოლო ფოთოლს —  
 იმედია იგი ხვალის...

საშობაოდ, ალბათ, მოთოვს,  
 მთებს დაეღოთ ფერი ხამლის.  
 შენც გხედავ და...  
 ფიქრთა მორევს  
 გაპყოლიხარ ნაფოტივით —  
 ატმის ტოტზე სკვინჩა ტირის, —  
 სულ ერთ მოტივს იმეორებს...  
 იღვენთება სუნი საკმლის,  
 მაგ შენ თბილი კერის პირას  
 და მე ვგავარ ცოდვილ მარკიზს,  
 შენი ხმალი რომ გასწირავს!

მეხის ბერშით მოხლეჩილი,  
 რქანაყარი ტოტი,  
 ახლა თავის ბედზე ჩივის  
 და მდინარის მოტივს

ყურს მიაპყრობს, ვით ყარანა  
 ყანაში მწყრის ქვიტქვითს, —  
 სევდამ წამით ვერ დამალა  
 ჯვარცმა მწუთხე ფიქრის...

ქამი სლიპი და წყალმარჩხი  
ველარ გამეყარა, —  
ნაფუზენარში ყინვის კარჩხი  
კაწრავს ნაძარცვ ყანას...  
ყრუ მონასტრის ოჭროს კარედს  
ხუთ ალაბა კლიტე ადევს; —

ჩემი ცხოვრება  
წვეთავს უთაფლოდ,  
სხვა იყო ბედი  
მნათთა,  
ციერთა...  
მერე უბრალოდ  
სულში უდაბნო  
კაქტუს-საჯებით განსახიერდა!  
წყლით გაქდენთილი ღრუბლის  
ქისები  
ველარ მირჩენდა მტანჯველ იარას, —  
მსჯავრის მიგების ბოლმით ვივსები,  
რომელმაც ზარად ამაწკრიალა!

ვინაც აღრე აენთო —  
ის აღრე დაიწვება;  
ასე იყო საერთოდ,  
ახლა კი არ იწყება?!  
სხვათა თოკით, წრიაპით  
მწვერვალს მიებარები?!  
არ დაგარჩება კიადი

გულში ლურსმნად გავატარებ  
აწ შენეულ მწუთხე დარდებს,  
ო, მწუხრისგან ვერ გამიჯნავთ,  
ყველამ უღვთოდ მიმატოვა, —  
წისქვილმა კი ათას იჯრად  
ხვიშრას ცრემლი მიათოვა!..

ტალღა ტალღაზე მიეფინება,  
ხე ვარ დეკემბრის —  
ტანგაძარცული,  
ვიცი, დღეს  
ღმერთმა ცხადლივ ინება  
დამითარიღოს  
მერმის-წარსული.  
— ყველა ყვაავილი  
მწუხრის ფერს ერთვის,  
ლამით დღეც  
შავად აბრეშუმს აფენს,  
ბოლო ერთი აქვს  
ორთავეს, ერთი,  
მეაკვნესა და საფლავის გამთხრელს?!

ცაზე მნათთა მარების.  
მწუხრის დღეთა ციაგო,  
გულზე ჩხვლეტავ წიწვის, —  
თუკი ცოცხლობს იაგო,  
იქ ოტელოც იწვის, —  
ბედმა მათაც მიაგო  
ხვედრი ცის და მიწის!



გაორება

ისევ ისრუტავს წარსული აწმყოს,  
ისევ ეძახის წასული აქ მყოფს,  
გადაივიწყებს წასულს აქ მყოფი,  
ასე მწიფდება ცრდვის ნაყოფი.

ველარას შველის ბრძენი აქიმი  
ბალახ-ბულახით და ალქემით.

გულს ხან დარდიანს, ხანაც კმაყოფილს,  
ელვის ნაბზართით ორად გაყოფილს,

და ამაზრზენი ქალტამის მსგავსი  
მიმქრალ თვალბში ამოდის ხავსი;  
უშველე ღმერთო, ორად გაყოფილს,  
თან მგლოვიარეს, თანაც კმაყოფილს.

აბაპისაღმი

მოსარკული გუბის ბრწყინვას  
ლეღვით შევეყურებდი წინათ.

ვღგავარ ხიდთან, წინათ მტკვარში  
არეკლილი ცა მიყვარდა,  
წავეყვებოდი ამ მდინარეს  
თუ კი სადმე წამიყვანდა.

ახლა სხვანაირად ვუმზერ  
მივალწიე როცა ორმოცს,  
მოჩვენებით სიღამაზეს —  
ბებერ, ჭაობიან ორმოს.

მაგრამ ისევ, ისევ შიში,  
გუბის შეჩვეული ბრწყინვა...  
— არ გეთმობა?

სულ სხვა არის მდინარის ხმა,  
მისი მიმდინარე ბრწყინვა,  
ფიქრი, რომ ამ სიმღორეში  
ძლიერ, ძლიერ მომეწყინა.

— არ მეთმობა,  
თუმცა ძლიერ მომეწყინა.

ის რომელიმეს შეარჩევს ჩვენგან,  
სამარადისოდ მიჰყავს და მალავს,  
მერეღა ვხვდებით: ის არის ყველგან,  
იგი ჩვენშია, ჩვენშია მარად.

არ შეგიძლია რადგან უქალოდ,  
უღედოდ, ვისაც ჰქვია მეუღლე.

მაგრამ ეს ფიქრიც ქრება უკვალოდ,  
სხვა ფიქრი მოდის, სხვაგან შეუხვევ,

დრონი მიდიან, სული თანვდება,  
ან ბინდისფერი ფარავს ხავსივით,  
მხოლოდ თავისთავს აუჯანყდები  
და უცხოხავით მწარედ დასცინი.

ღამეულ ცას რომ აღმოაჩენენ  
მოგარაკე ქალაქელები,  
ნეტა იმათი მზერა მაჩვენა,  
ხმა გამაგონა ანალეღვები.

კარგავთ მიწიერ რიტმის შეგრძნებას  
ანაზღად ზეცას რომ აკვირდებით,  
ის კი მარადის სივრცეს ეძებდა  
და ვარსკვლავების სწევადნენ თითები.



ახლაც, ამ ბაღში რომ იბადება —  
წამი, უმწვიდეს სულის შემძვრელი,  
ცის უხილავი, ნაზი ბაღვა  
თვალთ დანახვა რომ ვერ შევძელი.

გული კი ხედავს, გრძნობს უოველივეს,  
როცა იღლება თვალი თვალთვალთ;  
კვლავ აღმოცენდი და მოგვევლინე  
გამოარიდე ტყუილს მართალს.

### ბაღში

სხვა მზერას ახსოვს, შენ კი გონებას —  
მარადის ფხიზელს და მოდარაჯეს,  
თვალი გამიბრბის, ნუ გეგონება,  
რომ ვერ ვხედავდე გულით დანარჩენს.

ნიავე, ბაღში შეუქს რომ აქრობენ,  
გულს ფოთოლივით აშარიშურებს,

წამებს ნაღვლიანს, მაგრამ ახლობელს,  
ეს ბაღი ჩემთვის არ დაიშურებს.

ვუსმენ ხეების თრთოლვით შევსებას,  
ახლა მარტო ვარ ბაღში სრულებით  
და შემოდგომა მეალერსება  
ფოთლებით — შენი ხელისგულებით.

ვერხვები, ვერხვები მზისფერი  
ტყეებს ანათებენ ქანგისფერს,  
თუ აღრე გულდასმით გისმენდი,  
ახლა სრულებით არ გისმენ.

მაღე მთებს ბინდები შთანთქავენ,  
ჩაქრება ვერხვი და არყის ხე,  
ისმინე თვალეებით ნათქვამი,  
მთების მღუმარებით აღივსე.

შენ ისე თბილი ხარ და ახლობელი,  
ისე მსუბუქი და ქათქათა,  
სიტყვები ჩვენი დამამზობელი,  
სიტყვები გვაშორებენ თანდათან.

შორით ჩანს ისეთი ანანური,  
როგორც არავის უხილავს,  
როგორც შენს თვალეებში სინანულის  
ჩუმი გარდასახვა წუხილად.

### ავადმყოფობა

აღარას ვნანობ, ამო იმედით  
თავს აღარ ვიტყუებ და აღარ ვერთობი,  
ერთი დღე მაინც გამოიმეტე,  
დღე განწმენდისა და შენდობის.

ერთი დღე მაინც განასხვავე,  
გამოარჩიე დღეთა ქაოსიდან,  
თითქოს ვაზი ვარ ახლად განასხვავი,  
ცრემლები ფესვებმა ამოზიდა.

ჩემი სიტყვები, მცენარის თესლივით,  
ქარს მიაქვს, ვინ იცის სად ჩაითესება,  
ვწევარ ავადმყოფი დაგესლილი,  
მიშველე, თვალი ცით მევსება.

მაღლა ცის ცისფერი მინდორია,  
იქ აღარ მოისმის ხმა ერთი,  
რა მღუმარებაა და რა სიმდორეა,  
რა უმოძრაოა ჰაერი.

### გურამიუვილისადმი

1.

თუ რამ მომცეს, სულ წამართვეს  
და ჩემიც თან წააყოლეს,  
— ხედავ?  
— ვხედავ, მხოლოდ ნანგრევს,  
ახლა ჩემი ცაა ყორე.

ვითმენ, თითქმის მივეჩვიე,  
ცრუ იმედით დარდი ვკემვს,  
მხოლოდ ღამით, მხოლოდ ჩემთვის,  
თუ ოდესმე დავიკენესე.

ვითმენ, თითქმის მივეჩვიე,  
ოკეანე საცრით ვხაპე,  
ბოლოს მაინც დავძაბუნდი,  
გზა წინ ველარ გავიკაფე.

ახლა ვწევარ ავადმყოფი,  
„მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს“,  
„ჩემი ცოდვამც მისცემია  
ჩემს ამამთხრელს, ამამზარავს!“

## 2.

შენ, — შემოსილო მზის სამოსელით  
და თბილ ნეშოში მოშარიშურე,  
ბედნიერია შენთან მომსვლელი  
ვისთვისაც სულსაც არ დაიშურებ.

— ამ შემოდგომის ყვავილებს  
თვალტრელებს  
სიტყვების მაგივრად ხომ არ ინებებთ?!  
მე რომ წავალ და ველარ შემაჩერებო,  
ჩემს ნაცვლად ისინი შემოგაციცინებენ.

მე გავიხსენებ ღიმილს ნებიერს  
მიტოვებული და გულგამსკდარი  
და ამოშანთავს წყვილადს ვნებიანს  
მაგ შენი მკერდის წყვილი ვარსკვლავი.

შენ, შლეგო ტალღავ, გადაქანცულო,  
კლდის ფერებით და კლდეზე ნარცხებით,  
მალღებდა ჩვენი წამი ჯვარცმული,  
წამი იმედის და დამარცხების.

## ცაცხვი

ცაცხვის სურნელი ზეციდან მოდის...

მშვენიერია ჩვენი ცაცხვის ხე,  
დღისით ფუტკრები დასტრიალებენ,  
ზოლო ღამით ვარსკვლავები დაბზუიან,  
როგორც ფუტკრები.

და დგას ცაცხვის ხე —  
ერთადერთი თავშესაფარი,

ტანზე გასხია ჭრელი ფოთოლი,  
თითქოს ფოთლებში ხარ ჩახატული...  
ხავსის გობელენს, ოღნავ მოთელინს,  
უმზერს მზის სხივი — თვალნი ნატრული.

ნეშოზე ცვივა წაბლის ზღარბები,  
მწიფობისა და თრობის ქამია,  
შენ, ხორბლისფერო დარდო ზღარბების,  
შარბათი ასვი დღეებს შხამიანს.

ტყე საშიშია და იღუმალი,  
წევხარ, მზის შუქი კაბად გაცვია,  
აჩქამდა ნეშო, მოდის სტუმარი, —  
შენი ერთგული მწყემსი ქაცვია.

თორემ ისედაც ხანმოკლე ყოფას,  
ბედნიერების წამებს ხანმოკლეს,  
წარმავალობის ქარმა დაჰყეფა  
და როგორც ფოთლებს ისე წამოკრეფს.

ჩვენ წყალს და მიწას მზე შევეურიეთ,  
ჩვენი სუნთქვა კი — ქარებს წუხანდელს,  
„ქალო — ფიქალო“, ისევ მწყურია  
მაგ ვარსკვლავებით მკერდს  
მიბურღავდე.

სთქვი, ჩემი კენესა თუ შემოგესმა,  
იგი წავიდა, ღამეში არი,  
მყარიბ მიწა, მაგრამ ოდესმე  
ის ჩამეშლება სადმე შრიალით.

რომ ვინმე მგზავრი —  
უსასრულო სივრცეებით გაოგნებული  
მის რტოებქვეშ ცას დაემალოს  
და იფიქროს მშობელ მიწაზე,  
რომელიც, თურმე,  
მარტივ სიტყვას — ხე,  
ზოგჯერ კითხულობს ნოლჯგუფელივით:  
— ეხ!

ვითომ, კვლავ ვეძებ  
 და ვიპოვე! —  
 რა მიხარია!  
 გაუხუნარი, სევდიანი  
 ღელვის მარშები.  
 თითქოს ტკივილი და სიცივე —  
 აღარ არიან  
 და უერთგულეს ილუზიებს  
 ვეთამაშები.

ის ბრავმანული ძველი სიბრძნე  
 ისევ ვიგუე  
 და მოთმინების  
 მოვიგორე ისევ, ლოდები  
 მე, ინდოელი ვიშნუსავით,  
 თავს მოვიტყუებ  
 და, კრძალვით,  
 ჭვარცმის ახალ ნიშანს  
 დაველოდები.

### მე როცა სიკვდილს დავაპირებ

მე როცა სიკვდილს დავაპირებ,  
 კვლავ ახალგაზრდა გავხდები ისევ.  
 ჩამომეწლება თამამი თმები  
 კვლავ ლამაზ მხრებზე.  
 და შუბლზე ისე ამენტება  
 ძველი ვარსკვლავი.  
 როცა შემხედავ  
 ძველებურად კვლავ გაოცდები,  
 კვლავ გაშლი ხელებს,  
 მისახსოვრებ ლამაზ სივრცეებს.  
 და ვნებისაგან ანთებული  
 კვლავ დაიჩოქებ.  
 მე შენ ღიმილით თავს დაგიქნევ  
 და სურნელებას გისახსოვრებ  
 ჩემი ტანისას.  
 ლამაზი ბავით  
 სიყვარულის სიტყვებს გაჩოქებ,  
 ვით ძვირფას საგანს,  
 სასოებით რომ ელოდები,

მერე იქნება იმდენი ღელვა  
 რამდენიც მქონდა სიცოცხლეში,  
 როცა გელოდი.  
 დაღლას გადავდებ,  
 შენს თვალებთან სულ ახლოს მოვალ.  
 და წყნარად გეტყვი —  
 რომ ამჯერად სიკვდილს ვაპირებ.  
 მერე წყნარადვე გაგეცლები,  
 რომ არ შემფოთდე  
 და არა ნახო ჩემი სიბერე.  
 შენ ხელს გაიწვდი —  
 დაბრუნებას კვლავ მომინდომებ,  
 მაგრამ მე უკვე გავიქროლებ  
 ღია თვალებით.  
 მე როცა სიკვდილს დავაპირებ.  
 კვლავ ახალგაზრდა გავხდები ისევ  
 რომ შენთვის —  
 ისევ ძვირფასი დავრჩე.

## მიხეილ ქვლივიძე

### შიქრები... შიქრები...

რაზე ვწერო? იმაზე, რაც თქვენ იცით? ეს თქვენთვის საინტერესო არ იქნება... იმაზე, რაც მე ვიცი? ეს მე არ დამაინტერესებს... მაშასადამე, იმაზე უნდა ვწერო, რაც არც თქვენ იცით, არც მე არ ვიცი, — რაც არავინ იცის!

\* \* \*

ახალი აზრი არ არსებობს. თქვენი აზრი — იგივე სხვისი აზრია, თქვენს მიერ გამოთქმული.

\* \* \*

სასვენი ნიშნების მტერი არ ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს ძახილის ნიშანი შემძულდა! ჩემი ნება რომ იყოს, გავაუქმებდი, თუმცა რა შეიცვლება ამით?

\* \* \*

„არ იყო — არის — არ არის...“ — ჩვენი არსებობის ამ ფორმულას თავსა და ბოლოში უარყოფითი „არ“ უზის და ამ შეკრული რგოლიდან გამოსავალი არ არსებობს.

\* \* \*

თავს იღარბებებს, ვინც მარტო აწმყოში ცხოვრობს, რადგან გამჩენმა ჩვენ მოგონებისა და ოცნებების ნიჭი, ანუ წარსულში და მომავალში გადანაცვლების უნარიც მოგვანიჭა.

ამაზე კარგად წერს კურტ ვონეგტის რომანში „სასაკლაო № 5“. რომანის გმირი ბილ პოლიგრიმი დროს გამოეთიშა: „ორმოცდაათი წლის კაცი იყო, უკვე დაქვრივებული, როცა დაიძინა და თავისი ქორწინების დღეს, თუ წლის ასაკში გამოეღვიძა; მერე უხილავი კარი შეაღო და სამოცდაათიან წლებში აღმოჩნდა. მისი ნაამბობიდან გამოდის, რომ მას არაერთხელ გაუვლია თავისი ცხოვრების გზა — დაბადებიდან სიკვდილამდე. იგი განუწყვეტლად



მოგზაურობს დროში და თვითონაც არ იცის ზოგჯერ, დღეს სად მოხედ-  
 ბა: ბავშვობაში, ახალგაზრდობაში თუ სიპარმაგეში... „სიკვდილი არ მისწავ-  
 ბობს, — ამბობს ბილი, — გარდაცვლილ ადამიანზე მხოლოდ იმის თქმა შე-  
 ლება, რომ იგი ამჟამად „ცუდად გამოიყურება“, რადგან ღროის სხვა მონა-  
 ვეფში, მაგალითად, წარსულში — იგი ცოცხალია. ამიტომ სისულელეა მკვდრის  
 დატირება... დრო კრიალოსანს ჰგავს და მისი ყოველი მძივი — წარსულიც,  
 აწმყოც და მომავალიც — მუდამ არსებობს და იარსებებს, როგორც ჩვენი  
 მოქმედების ასპარეზი“.

რა დიდებული, რა მანუგეშებელი აზრია!

\*\*\*

ყველა უფლება რომ წავართვათ ადამიანს, მარტოობისა და საკუთარი  
 თავის გასამართლების უფლება მაინც შერჩება...

საკულტო ნაგებობა, — ქართული ტაძარი იქნება თუ რუსული ეკლე-  
 სია, — ხელთ უქმნელსა ჰგავს: იგი ბუნებასთან ორგანულად შერწყმუ-  
 ლია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქო, ხესავით, მიწიდან იყოს ამო-  
 ზრდილი... ამას ვერ ვიტყვით. სამოქალაქო ან საწარმოო დანიშნულების შე-  
 ნობებზე, თვით არქიტექტურულ შედეგებზეც კი (მაგალითად, კორბიუზე  
 და სხვ.), რომლებიც ცოცხალი ბუნების ხელოვნურ დანამატებივით გამოიყუ-  
 რებიანს.

\*\*\*

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ბრძენსა ჰკითხა: მშობლიური ენის გარდა,  
 უცხო ენაც ვიცი და რომელ ენაზე ვწერო? ბრძენმა უპასუხა: იმ ენაზე წერე;  
 რა ენაზეც ლოცულობო... ჩემი აზრით, თუ ენის არჩევანზე მიდგა საქმე (ნამდ-  
 ვილ მწერალს არასოდეს მოუფა ასეთი აზრი!) ადამიანმა იმ ენაზე უნდა წეროს,  
 რა ენაზეც „ვაი, დედაო!“ დაიძახებს, როცა ეტკინება რამე...

\*\*\*

გალაკტიონის საიუბილეო კრებულში ერთი დაუთარიდებელი ლექსია  
 (ოეტის არქივში აღმოჩენილი), რომელიც საქართველოზე დაწერილ ბევრ  
 კარგ ლექსს, — ერთად აღებულს, — გადაწონის:

ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი.  
 ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი — მრავალი.  
 წელთა დენაში, ჟამით-ჟამს იღლება, ძალა ელღევა,  
 ღვინოც კი სისხლიანია, მოშორდი, არ დაგელევა!...

\*\*\*

„შემოქმედებითი სიმწიფე“ მაშინ ეწყება მხატვარს, როცა მან კარგად  
 იცის თავისი შესაძლებლობების ფარგლები.



ვინმეს უნდა ეკვირდებოდეთ, — ჩვენი არსებობა მხოლოდ მშენებლობის  
გამართლებული...

\* \* \*

ორთაბრძოლაში ის არის გამარჯვებული, ვინც თავის „მეობას“ შეი-  
ნარჩუნებს...

\* \* \*

ადამიანს თუ პასუხს ვაგებინებთ მისი შეხედულებების გამო, მაშინ მას  
პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმ მოვლენების გამოც, რომლებმაც ეს შეხედულებე-  
ბები წარმოშვეს (ეს კი აშკარა უსამართლობაა!).

\* \* \*

პირველი შთაბეჭდილება თითქმის არასოდეს არ გვატყუებს: ახლად გაც-  
ნობილი ადამიანი ისე გამოიყურება, როგორც სინამდვილეში არის და არა  
ისე, როგორც მას უნდა რომ იყოს...

\* \* \*

ადამიანი, თუ მას თავისი თავი ყოველივე არსებულის ნაწილად არ  
წარმოუდგენია, არ შეიძლება ბედნიერი იყოს...

\* \* \*

ბედნიერი ხარ — სიცოცხლის მეტი არაფერი გაქვს დასაკარგავო, მე კი  
საკუთარი „მეობის“ დაკარგვის უფრო მეშინია!

\* \* \*

რაც დრო გადის, ჩემში თანდათან უფრო იკლებს საკუთარი თავისადმი  
სიბრალულის გრძობა და სხვებისადმი უფრო მეტი თანაგრძობობით ვიმსჯე-  
ლები... ალბათ ის პირვანდელი, დვთაებრივი საწყისი იღვიძებს ჩემში,  
რაკი დასასრულს ვუახლოვდები.

\* \* \*

დიდ განზოგადებულ სიმართლეს პოეტმა კერძო ფაქტის სიმართლე უნდა  
დაუპირისპიროს და ამით მიიღწევეს უდიდეს განზოგადებას.

ერთბაშად და მოკლედ ბევრს რომ იტყვი, ესაა ლექსი.

\* \* \*

მე პირადად ლექსის მოსმენა არ მიყვარს: პოეზია ფერწერას უფრო ჰგავს, ვიდრე მუსიკას და მისი აღქმა მხედველობის საშუალებით ხდება.

\* \* \*

რწმენა თუ არ გაგაჩნია, მახვილს ნუ ამოიღებ, რადგან ბრძოლას მართო მიზანი აკეთილშობილებს სწუმინოდ მებრძოლი — მოლაღატეზე უარესია, უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

\* \* \*

პოეზიაში მოყვარულებს არაფერი ესაქმებათ. მუზასთან არშეყოფა არ შეიძლება, იგი უნდა გიყვარდეს თავდავიწყებით!

\* \* \*

დადიხარ, ხედები ქალებს, მათ შორის შემთხვევით შეიძლება ისიც შეგხვდეს, ვისაც შეიყვარებდი, რომ იცნობდე, მაგრამ შენ მას შემთხვევით არ იცნობ და სხვა შეგიყვარდება — ის, ვინც ასე შემთხვევით შეგხვდა და გაიცანი... ასე ჩვეულებრივი შემთხვევაა შენი ცხოვრების ბედისწერად იქცევა... ნუთუ მართო შემთხვევაა ის, რასაც ჩვენ ბედისწერას ვეძახით?

\* \* \*

მე მფედრი იმას პქვია, როცა რაღაც გვახსოვს და რაღაცას ველოდებით.

\* \* \*

დაეჭვების საფუძველზე გაჩენილი ცოდნა — ისევ დაეჭვებას ბადებს.

\* \* \*

არასოდეს, არავის, არაფერი არ თხოვოთ! განსაკუთრებით იმათ, ვინც თქვენზე უფრო შეძლებული და ძლიერია!

\* \* \*

შიშით შეპყრობილი — ერთია, მშიშარა — სხვაა!  
შიშმა შეიძლება ადამიანი სიგიჟემდე მიიყვანოს, მაგრამ ლაჩრულ, უბა-

ტიოსნო საქციელს არ ჩაადენინებს; მშიშარა კაცი კი (ბუნებით პატიოსანიც რომ იყოს) არავითარ სისაძაგლეს არ მოერიდება, რომ თავისი სულიერი კიმი შეიდე და კეთილდღეობა შეინარჩუნოს!

მე ხშირად მეჩვენება, თითქოს რაღაც ისეთი ვიცი, რაც სხვებმა არ იციან, მაგრამ რა ვიცი — ვერ მივმხვდარვარ!

პოეტის არაბუნებრივ მცდელობას — რაც შეიძლება უფრო ობიექტური იყოს, ყოველთვის ეწინააღმდეგება გულწრფელი აღსარების ბუნებრივი სურვილი.

„ღრმა აზრი“ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი სიტყვიერი გამოხატულება აუცილებლად ბუნდოვანი და გაუგებარი უნდა იყოს... პირიქით — სწორედ რთული და ორიგინალური აზრი უნდა გამოითქვას უბრალოდ და გასაგებად, რათა მკითხველმა ვერ იგრძნოს მწერლის „უპირატესობა“, მიენდოს მას და ადვილად გაითავისოს მისი ნათქვამი.

პირადად შენ რომ გსურს, იმნაირი ლექსი თუ დაწერე — ცოტაა! იქამდე უნდა აწვალო და აჯახირო ლექსი, სანამ ისეთი არ გახდება, როგორც მას თვითონ უნდა!

„შთაგონება — იგივე მოგზაურობაა“, ამბობდა ლორკა. მაშასადამე, კარგი ლექსის შექმნა — შორეული და სახიფათო მოგზაურობიდან შინ მშვიდობით დაბრუნებას უდრის!

მოპასანის თქმით, მან მხოლოდ იმიტომ არ დაუქავშირა თავისი ლიტერატურული საქმიანობა რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომ მისი პროგრამის ტყვე არ გამხდარიყო და ცხოვრების მოვლენების ნებისმიერი შეფასების უფლება შეენარჩუნებინა.

რაზედაც არ უნდა წერდეს მწერალი, მან უნდა დაასახელოს საგანი, განსაზღვროს იგი და აღნიშნოს მისი მოქმედება. ამისთვის



არსებობს მართო ერთი არსებითი სახელი, ერთი ზედსართავი  
სახელი და ერთი ზმნა... მწერალმა აუცილებლად უნდა მოძებნოს ეს  
სიტყვები. მას უფლება არ აქვს დაკმაყოფილდეს მიახლოებული ვარიანტი **საქართველო**  
მიმსგავსებული ნაკეთობით. **საქართველო**

\* \* \*

„გონებრივი დალტონიზმი“ შეიძლება ეწოდოს პოეტების პროფესიულ და-  
ავადებას, როცა ისინი მართალსა და ტყუილს, სინამდვილესა და ფანტაზიას  
ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ...

\* \* \*

პარადოქსივით უღერს, მაგრამ სულიერ სიმშვიდეს ადამიანი მართო მა-  
შინ მოიპოვებს, როცა დარწმუნდება, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ცვალება-  
დია და წარმავალი...

\* \* \*

მწერლის ნაწარმოებში ასახული ცხოვრებისეული სიმართლე მკითხველმა  
ისე უნდა მიიღოს, როგორც თავისი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების  
ნაწილი. მაშინაა მწერალი კარგი!

\* \* \*

მსუქანი კაცი დიეტური რეჟიმის დაცვაზე განსაკუთრებული სიამოვნებით  
მაშინ ფიქრობს, როცა კარგად გამოძლება!

\* \* \*

სიბერე — ცხოვრებასთან გაკიანურებული გამოთხოვება.

\* \* \*

საკვირველია, მეღექსე კაცს — ლექსები არ მიყვარს! ასე ზოგიერთი თამ-  
ბაქოს მწვეფელი თამბაქოს კვამლს ვერ იტანს!

\* \* \*

ღვინო არ დაეღვევა იმათ, ვინც საზოგადოებრივი თუ ოჯახური მონობის  
პირობებში ცხოვრობს და თავის სურვილს იშვიათად იკმაყოფილებს. ასეთ  
კაცს სიმთვრალემ შეიძლება წარმოუდგენელი სიგიჟე ჩაადენინოს!

\* \* \*

კარგად თუ ვიცით, რაზე ვწერთ (მით უმეტეს, თუ სიმართლეს ვწერთ!),  
ზენე შეგვიძლია ბევრი რამ გამოვტოვოთ — მკითხველი მაინც მიგვიხვდება!

\* \* \*

ესეც პარადოქსივით ელერს, მაგრამ იშვიათი როდია შემთხვევა, როცა  
სიმართლე ტყუილზე უფრო დამაჯერებელია!



\* \* \*

ის კაცი სულ თავის თავს უსმენდა. მაშინაც კი, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა!

\* \* \*

„ცოცხალიაო“, — იმ კაცზე იტყობს, ვინც მიდის, რომ სიკვდილს შეეგებოს და არა იმაზე, ვინც დგას და სიკვდილის მოსვლას ელოდება!

\* \* \*

დიდი და პატარა პასუხისმგებლობა არ არსებობს. ასევე არ არსებობს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საქმე. ყველაფერს გულით უნდა ვაკეთებდეთ, მთელი ჩვენი არსებით. ამაშია სიცოცხლის აზრი.

\* \* \*

ღმერთო ჩემო, რამდენი უსიამოვნება ხდება ქვეყანაზე! თუნდაც ისეთი, პირადად ჩვენ რომ გვეხება, რატომ გვინდა მაინცდამაინც ყველაფერი ვიცოდეთ? განა უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა თავი მოგვეკატუნებინა, ვითომ არაფერი ვიცით?

\* \* \*

კარგ აზრს რა სჯობია! სამწუხაროდ, ყოველთვის მოიძებნება ერთი სულელი, ვინც მეთოდურად და თანამიმდევრულად აბსურდამდე მიიყვანს ამ აზრს!

\* \* \*


დიდი ეპოქალური ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა მწერალი არა მარტო შერწყმულია თავის ეპოქასთან, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც მას...

\* \* \*

რატომღაც მგონია, ფუჟად ვხარჯავ დროს... რასაც ვაკეთებ, არაფერი მომწონს... საკუთარი ნიჭის შეგრძნება — დანაშაულის გრძობას ჰგავს... როგორ გამოვისყიდო ეს დანაშაული?!

\* \* \*

მცდარი აზრიც რომ გაგებაროთ ლექსში, გულწრფელად თუ წერთ, ის ლექსი მაინც პოეზიის კუთვნილებად დარჩება. მაგრამ საკმარისია შეგნებულად მოიტყუილოთ და თქვენს ლექსს პოეზიასთან საერთო აღარაფერი ექნება!

  
საქართველოს მწერთა კავშირი

\* \* \*

ფიზიკური სიახლოვე ჩემთვის — მარტო ფიზიკური სიახლოვეა. სიყვარული ამასთან არაფერ შუაშია. მით უმეტეს — „ლალატი“. „ერთგულნი“ სხვა ამისთანები!

\* \* \*

დედამიწაზე იმდენი ადამიანი ცხოვრობს, — ამ წუთში აუცილებლად უნდა მოკვდეს ვინმე: იმიტომ კი არა, რომ ღირსია ამის, უბრალოდ, მით ელსნაწილი უნდა მოაკლდეს...

\* \* \*

ცირკის არენაზე გამოსული ჯამბაზი — ალყაში მომწყვედეულ მემომარს ჰგავს. სცენა სხვაა: ვაჟაკური, როგორც დუელი, მსახიობის და მაცურებლის პირისპირ შეყრა!

\* \* \*

კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვარდენ-გამზრდელი ფარსმან სპარსს ეუბნება: „არს კაცი ჭური თვითმობრავიო“. თუ ადამიანს თვითმობრავ ჭურს შევადარებთ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ (თანამედროვე უარგონი რომ ვიხმაროთ): ადამიანის სული „ჭურში ზის“ და არაფერი გაეგება!

\* \* \*

განა შეიძლება ლექსის სწორი შეფასება, როცა ვერავინ ჩაგვეზიარება იმ სიხარულში, ლექსის წერა რომ განგვაცდევინებს?!

\* \* \*

ზოგი პოეტისათვის რითმა იგივეა, რაც უსინათლოსთვის — ყავარჯენი!

\* \* \*

ეფემერულობა და ფანტიზმი — ჩვენი საუკუნის უმთავრესი ნიშნებია: ყველანი გოდოს ველოდებით!

#### თანვისუფლება რიკაშულად

„ყველაფრის უფლებას გაძლევთ, მხოლოდ ერთ ვალდებულებას გიტოვებთ, — ეუბნებოდა რომელი იმპერატორი ქვეშევრდომებს, — გააკეთეთ რაც გინდათ, მაგრამ გააკეთეთ ისე, როგორც მე მინდა!“





## პრანტ მათეგოსიანი

# ჩ ე მ ი მ გ ე ლ ი

თითქოს დამკარგოდეს ან სულაც არ მიმეღოს. ისე აორთქლდა ერთ კვირაში ჩემი სტუდენტური სტიპენდიის 140 მანეთი. ყოველ მიღებაზე ერთ კილო პურის ფასს, 3 მანეთს, ვამრავლებდი თვის 30 დღეზე და გამოდიოდა 90 მანეთი. დანარჩენი 50 მანეთი იყო ერთგვარი მაცდუნებელი დანამატი, რომელიც შეიძლება ხელგაშლილად მეხარჯნა კანფეტში, თეატრში, კინოში თუ სხვა რამეში. მაგრამ რომელიღაც უხილავი ურჩხულები წინაანგარიშებს მირევდნენ. იმ ფულსაც თვალდახელშეა მტაცებდნენ და თავიანთ გაუმაძლარ ხახაში იყრიდნენ. ყოველ ასეთ შემთხვევაში თავს ვიმშვიდებდი ამჯერად თუ შევცდი, მომდევნო სტიპენდიას მაინც ჰკვიანურად დავხარჯავ-მეთქი.

სასწავლებელს ჩვენთვის ოთახი ჰქონდა დაქირავებული, ოთახში ღუმელიც დაედგათ. ხანდახან სტიპენდიასავით ორ-სამ შეკეთება შეშასაც გვაძლევდნენ. შეშა ერთი კი აპრილდებოდა, ცოტა გავგავთობდა და უკვე აღარ იყო, ჭერ კიდევ აგვისტოში. როცა მე სასწავლებელში უნდა წავეყვანეთ, მამაჩემი და კიროვაკანში მცხოვრები ჩვენი თანასოფელი, ჩვენს სახლში, ნავთის ყვითელ სინათლეზე ანგარიშო-

ბდნენ. თუ როგორ და რანაირად უნდა მეცხოვრა 140 მანეთით. მამაჩემი საანგარიშოს აჩხაკუნებდა და სტიპენდიის მანეთებს რატომღაც პურის ფასზე ჰყოფდა. ჩვენსოფლელი ამბობდა: „იცხოვრებს!“ ის კი არ იცოდა, როგორ ვიცხოვრებდი; მერე უმატებდა: „იცხოვრება!“ ესე იგი, მე იმ ფულით შემეძლო მეცხოვრა. შემეძლო მეყოფინებინა. მამაჩემი თითქოს არ ეთანხმებოდა, მაგრამ არც ედავებოდა, ვინაიდან, რომ შედავებოდა კიდევ, ვითომ საქმეს რას უშველიდა! იმ უფროსებმა — მამაჩემმაც, იმ ჩვენსოფლელმაც და იმ სასწავლებლის ხელმძღვანელობამაც — კარგად იცოდნენ, რომ არც ის სტიპენდია და არც ის შეშა დიდი არაფერი მათა იყო, მაგრამ არანაირად არ შეეფიქროთ უფრო ხელგაშლილნი ყოფილყვნენ და იმედს სასწაულზე ამყარებდნენ. სასწაული კი ის იყო, რომ ჩვენ დაბადებულნი ვიყავით სიცოცხლისათვის, ბალები ვიყავით, უნდა დავზრდილიყავით, გვეცოცხლა და გვეცხოვრა.

ვიწრო მხრებში ამოღუნცული, იღლიაში წიგნებამოჩრილი სპიტაკელი ბიჭები და მე თითქმის სირბილით მივედი სახლში. სპიტაკელებმა საორშაბათო სახელმძღვანელოები ამოარ-

ჩიეს, ხალთა-პარკებში ჩაყარეს და სადგურზე გასაქცევად გაცივდნენ. გაირკვა, რომ მათთან ერთად ტყუილად გამოვრბოდი, ვინაიდან იმათ მატარებელზე ეჩქარებოდათ, მე კი არსად არ ვიყავი წასასვლელი. მათი სოფლები ახლოს იყო. მიდიოდნენ, რათა თუნდაც ერთი კვირადღე მაინც გაეტარებინათ მამეულ სახლში, გახურებულ თონესთან. ორშაბათს კი დაბრუნებულყვენ პურითა და მარავით. მათ სოფლებში პური იყო, მე კი კიროვაკანიდან იმსიშორეს წუესლეღადაც კარგად ვიცოდი ჩვენი სოფლის ცოცხლით გამოვცილი სიღარიბის ამბავი. რა უნდა მექნა. დავრჩი მარტოდმარტო ცივსა და ცარიელ ოთახში. სპიტაკელის კარადის წინ ერთი თავგის სამყოფი ლავაშის ნამცეცი ვეღო, ეს იყო და — ცივი ღუმელი. შიმშილი იყურებოდა ყველა მხრიდან: მკვდარივით გაყინული ღუმლიდან, ცივი ლოგინიდან, დანჯირეული რადიოდან თუ ჯეკ ლონდონის წიგნიდან — „თეთრი ლოჯი“. ისღა მრჩებოდა. სუნთქვა ჩამებრუნებინა და ნერწყვის ყლაპვით მესმინა, თუ როგორ ბურბურებდა ნახშირის ღუმელი სახლის პატრონის დიდ ოთახში, ტახტზე მჯდარი. შალით მუხლებზეფუთნული მისი ქალიშვილი როგორ შლიდა წიგნის ფურცლებს და როგორ სურნელოვნებდა პურის მათს მაგიდაზე.

მე ჩვენი თანასოფელის სახლში წავედი. კარგი ხალხი იყო, მათი გოგო და მე სოფელში ერთად ვსწავლობდით, მათი რძალი ქერა, ლამაზი და თბილი ქმნილება იყო. მაგრამ ისინი სადილობას უკვე მორჩენილიყვნენ, მამაჩემის ამხანაგი სადილის შემდეგ ცოტა წასათვლემად წამოწოლილიყო და სახლში ღუმელი იდგა. იმ მდუმარებამ მეც დამადუმა და ისინი კიდევ ვერ მიმიხედნენ, რომ ჩემს სტიპენდიას უკვე წირვა ჰქონდა გამოყვანილი. ჩემი ოჯახის სიღარიბე მათ კარგად იცოდნენ, ამიტომ არ შემეძლო მამაჩემის სახელით ფული შესესხნა მათგან. რაც არ უნდა ყოფილიყო, ჯერ მაინც ბავშვი ვიყავი

და ვერც ჩემი მომავლის სახელით ვუბედავდი. ფული მასესხეთ-მეთქი. ის კი გავიფიქრე, რომ მათი გოგო გულმეზარი ვინმე იყო, არა მგონია რომდისეულნივერსიტეტში მოხვედრილიყო და გარეთ გამოვედი.

ჩემი პედაგოგიური სასწავლებლის კარი დაკეტული იქნებოდა და ორშაბათმდე იქ არავინ მყავდა სახანავი. ჩვენი ძია სედრაქას დიდი სახლი, ფართო ეზო და ლამაზი მოაჯირები იმ ზამთარშიც კი გაუღენთილი იყო ცხელი კვრძის სურნელით, მათ ღუმელში შეშა ისე წყნარად იწვოდა, ბუხრიდან ბოლიც კი არ ამოდიოდა... მაგრამ იმ ახლო ხანებში ერთხელ უკვე ნამყოფი ვიყავი იმათსა და მაშინ ისიც კი ვერ დაადგინეს, მათი რა ვიყავი. სედრაქა ძია სოფლიდან ადრე გადმოსახლებულიყო. მამაჩემი დაახლოებით ახლანდელი ჩემი ასაკისა ახსოვდა და თითქოსდა მე მამაჩემი ვყოფილიყავი, სწორედ ისეც გაიკვირვა: „ავეტიქა ძიას ასეთი პატარა ბიჭი ჰყავს?“

მე მკვეთრად შემოვტრიალდი და ჩვენი სედრაქა ძიას კიშკარწინ ერთხელაც ჩავიარე, რათა დიასახლისს. მოაჯირზე გადაფენილ ხალიჩას რომ იღებდა და თან მე, როგორც ერთ ვინმე გამველეს, მიყურებდა. ვეცნე და შინ შევეპატიჟენე, მაგრამ აიენის მოაჯირთან უკვე აღარავინ იდგა კარიც დაკეტული იყო და მხოლოდ პატეფონის შორეული, ყრულ ხმა ისმოდა. მე ცრემლმა და ბოლმამ დამახარო.

ისევე მკვეთრად, მოწყვეტილი დავიძარი, მივადექი ჩვენს „საერთო საცხოვრებელს“ და კარს ხელი ვუბიძგე. კარი დაკეტული იყო. გასაღები თავის ადგილას ეკიდა ლურსმანზე. არავინაც არ მოსულიყო, ოთახში არავინ იყო. დამიხვდა მხოლოდ ისევე ის მდუმარე რადიო, გადაშლილი წიგნი და ლავაშის ნათქვენი.

მე ნაკერზე გავარღვიე სასწავლებ-

კრანტ გამევეოსიანი  
ჩაიმი მგალი

ლის მოცემული ლეიბი და ქუჭყიან-კვირწლიანი ბამბიდან გამოვიღე ის, რაც ჩემი ჩამოსვლის დღიდან იქ ინახებოდა და რაზეც მთელ იმ კიროვაკანში კაციშვილმა არაფერი იცოდა — ეს იყო ქალამნები. მამაჩემის ამოსხმული ქალამნები. ტილოს ფესხაცმელები, როცა მისველდებოდა, იკუმშებოდა და ფეხებზე მიჰქერდა. კარი შიგნიდან დავკეტე, ტილოს ფესხაცმელები ლეიბში შევჭყუნე, ერთი წამით წინდებში დავრჩი და იატაკის სიცივემ კინალამ ჩემი დამმართა. ჩავიცვი ქალამნები, გავსწორდი, კართან გამზადებულმა მოვიცადე, სანამ აივანზე დიასახლისის ნაბიჯები მიწყდებოდა და იმ ოთახიდან, იმ აივანიდან და ეზო-ყურედან უფრო მალე გამოვვარდი, ვიდრე სახლის პატრონები თავიანთ ფარდებშია თვალს შემასწრებდნენ.

მთვარეში და ყინულის ლოლუებში, ძაღლების ცივი ყეფის თანხლებით ვანაპორიდან პირდაპირ სადგურზე მივედი. სირბილით ავედევნე საბარგო მატარებელს. განძელებზე ხტომა-ხტომით წინ გავუშვი ყველა ვაგონი, შევახტი ბოლო ვაგონს და ჩავებლაუქე მუხლებითა თუ თითებით. ხელისგულები სველ სახელურებზე მიმყინვოდა და ვიფიქრე, ასე უფრო კარგია-მეთქი, რადგან სხვანაირად, თუკი უფრო კარგი ადგილის ძებნას დავიწყებდი. სახელურს უნდა მოვწყდომოდი. ქუდი მვარდებოდა. მუხლები დამქლერტოდა, მაგრამ სისხლი არ მდიოდა. რადგან ციოდა. „საქართველოში მივდივარ, შუღლავერში, მოვატყუე გამცილებელი. — ბებია მომიკვდა“ — მან ქურქში შემიფარა. მისმა სიკვდილმა ცოტა არ იყოს, ამაღელვა. მაგრამ მაინც არ მითვამს, რომ სამი გაჩერების შემდეგ ჩამოვდიოდი. ფულს, ალბათ, შუღლავერთან ახლოს მომთხოვდა. მატარებელი ჩემი სადგურიდან ახალი აძრული იყო და ჯერ სვლაც კი არ აეჩქარებინა, რომ ქურქიდან დავუძვარი, ვეცი კარს და ვისკუპე მატარებლიდან. ზურგს უკან მის მზერას რომ ვგრძნობდი, ცოტა კი სინ-

დისი შექენჩნდა. მაგრამ მატარებელი მალე გამშორდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა: არც სოფელ დსელის მატარებლის ბისა შემშინებია, არც თოვლის კარგობა ნტელისა, არც მეკდრებისა და სულეებისა — გათენებულზე ჩვენი თბილი, რიბირაბოჩამდგარი სახლის კარი შევადე და ღიმილით შევედი: — მოვედი! — არმოჯან? — ლოგინში წამოჯდა მამაჩემი. დედაჩემი ღუმელს უბერავდა. — უი, აგრემც დამაბრმავა! ჩემ ბიქს ფული გასთავებია, აგრემც დამაბრმავა!

სიღბოთი და მცხუნვარებით მიმირქვა დედის გულმა და ყელმა.

— ძმაო-ჯან? — ლოგინში წამოჯდა მამაჩემი.

— აგრემც დამაბრმავა, აგრემც დამაბრმავა და მზე აღარ მაჩვენა!

ლამპის სინათლემ აიწია. ფიცრის ტახტზე პრაირი გავარჩიე, ოთხად მოკუნტულს ეძინა, ის წვრილკისერა, ხვედა თავი თითქმის მუხლებშია შეეჩურთნა, წელი კი მოშიშვლებული ჰქონდა. სლუკუნითა და წმუკუნით გაიღვიძა ნანაროკმა. ლოგინში წამოჯდა და თვალები გაახილა: — ლამა ავინთიათ! — მერე ვარდისფერი პატარა ლოყები უკან წაუვიდა, თვალები ღიმილით აევსო. ხოლო ტუჩები დაეკიმა და დაუგრძელდა:

— აგრემც დამაბრმავა! ალბათ ფული გაგითავდა!..

ღუმელმა ტკაცატკუცი ატეხა, თითქმის ახტა-დახტა კიდეც და მერე ტბილად აღლულუნდა: „ოჯახური წითობო და სიყვარულის შემოგვაფრქვეს“.

— ევა, მოხვედი? — თავმოუხლებიდან გამოელო პრაირს. — ერთი გამოცანა გითხრა, თუ გამოიცნობ. შენს მაგივრად მე წავალ კიროვაკანში: ის რა არის, ცხვირი რომ თბილი აქვს და წელი — ცივი?

— კარგად კი ხედები შენს ძმას, აი!

— ქალამნების ცმით უთხრა მამაჩემმა.

— თვითონ ქალაქიდან რა ჩამომიტანა, რო!..

— მშვიერი, მწყურვალი, სხვათა შემყურე!.. აგრემც დამაბრმავა!



მამაჩემი ძროხებისთვის თივის დასაყრელად წავიდა. გომის კარის გაღებისთანავე ქათმები გარეთ გაცვივდნენ. ბაგაზე წინა ფეხებით შემომდგარი თხა თივას ელოდებოდა. ჩვენი ჭრელა ძროხა კისერმოდრეცილი მიყურებდა და ზმუოდა. ისე გავსებულოყო და გათამთამებულოყო ალბათ მალე მოიგებდა. სათიკა ძროხას კი მაისის ბოლოს უნდა მოეგო.

— ძნელი ეს წელია, — მითხრა მამამ, — ამ წელსაც რომ მოითმინო, ნოემბერში ჭრელას გავყიდი და ფულს შენ მოგცემ.

მე არ მინდოდა ამ სახლში რაიმე ცვლილება მომხდარიყო. არ მინდოდა სახლს რაიმე დაჰკლებოდა.

— ჭრელა არ გაყიდიო — ვთქვი მე.  
— მეტი გზა არ არის, — თქვა მამაჩემმა. — შენი გულისთვის უნდა გაიყიდოს.

— არ გამოგართმევ. არ გაყიდი, არ გამოგართმევ.

მან რბილად გაიღიმა და ჩემი თავი მკერდზე მიიხუტა. მე გომი სწრაფად გამოვხვეტე, თივა ბაგაში ჩავყარე და ხელის ცეცებით ძროხას მუცელზე ხბოს ადგილი ვუპოვე, დედის მუცელში ფურჩინა მზიარულად კუნტრუშებდა.

— პაპაშენმა ავეტიქამ — გომში შემოვიდა დედაჩემი, — ძროხისა ერთი ბეითლის ტოლამინც იცოდა, მაგრამ თავის დღეში ძღომისად პური არ უჭამია. საქონელი შენი საქმე არ არის!

ვისაუხუმეთ წიწიბურას ზეთში მღხრავი ყელი კარტოფილით და მსხლის ჩირიანი ჩაი დავაყოლეთ. სადილად მარილწყალში მოხარშული კარტოფილი და კომბოსტოს მწნილი ვჭამეთ. პრაირმა ნანარიკს კედელზე უცებ მგელი აჩვენა და ერთი კარტოფილი ასწაპნა. კედელზე არავითარი „მატყუარა მგელი“ არ ჩანდა, ერთი კარტოფილი კი ნამდვილად გამჭრალიყო.

— არმიკ, სამის შემდეგ ოთხია თუ ხუთი?

— ოთხი.

— მაშ. ჩემი კარტოფილი რატომ არ არის ხუთი?

— ათამდე დათვალე, ათი ნება, — უთხრა პრაირმა.

— ოთხი ცალი ათად როგორ დავთვალო?

— ერთი. ორი, სამი, ოთხი. ხუთი... ათი, — და პრაირმა ხაფანგი გამოიღო, აიკიდა და მელის დასაპერად წავიდა. ჩვენი ღარიბი უბნის სიახლოვეს, თოვლზე მელის კვალი ენახა. მამაჩემი ჭერ არ ჩანდა.

— აგრემც თვალი დამიდგეს, არმიკ. ხან ძალიანა გცივა?

— გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჰასმიკანთსა მიედვიარ, სანამ იმათები მოვლენ. ჰასმიკასთან ღუმელს ვუზივარ. მერე კიდევ ჩავწვები ჩემს ლოგინში და ვკითხულობ.

— დილ-დილაობითა?

— დილით სირბილით მიედვიართ. სირბილში კიდევ ისე აღარ გცივა.

— ქვეშაგებში მწოლიარე მარტო მხატვრულ ლიტერატურას თუ წაიკითხავ, გაკვეთილებს როდისღა სწავლობ?

— ერთხელაც კიდევ, თეატრში წავედი.

— ნუ გრცხვენია, ხანდახან სედრატა ძიანთსა შეიარე ხოლმე.

— არა მჭირდებიან.

— ცხელი საჭმელი ექნებათ.

მამაჩემი ისე დარცხვენილი შემოვიდა, თითქოს ეს სხვისი სახლი ყოფილიყო. მას ერთი ტოპრაკი ხორბალი, ანუ, რაც კი ოჯახში საფუქავი მოიპოვებოდა, დასაფუქავად წაეღო და წისქვილი გაყინული დახვედროდა. ქვევითა მხრიდან ზევით მომავალი ხალხიც ენახა, იმათ ეთქვათ, დიდ დებეღამდე ჩვენი მდინარის ყველა წისქვილი წყალგარდაა, ერთიც არა მუშაობს, ან თუ გინდაც იმუშაონ, რა დაფუქანო.

— აგრემც თვალი დამიდგეს! ჩვენი ხელსაფუქავით რომ დაგიღერდოთ, არ შეგიძლია; დიდი კაცივით შეჭამანდი

პრანტ მათევეონიანი  
ჩემი მშველი

მოიხარშო? ცხელი საკმელი ვეჭნება, არმიკ-ჯან, ერთი თვე მაინც გეყოფათანაც — პური ხომ არ არის, დავიობდეს. მოიტა. დავლერლოთ.

— მოვხარშავდი. მაგრამ შეშა არა მაქვს. სასწავლებლის მოცემული შეშა თრიოდღე დღეს თუ გეყოფნის.

— ჰასმიკა ვინ არის, ჰასმიკას მიეცი, თავიანთ ლუმელზე მოახარშინე.

— შეიძლება, — თქვა მამაჩემმა.

მაგრამ არ შეიძლებოდა. რადგან ჰასმიკა მიხვდებოდა, რომ მე მხოლოდ წყალზე და კორკოტზე ვიყავი.

— არ შეიძლება, — თქვა წიგნზე თავდახრილმა ჰრაირმა,

დედაჩემი და მამაჩემი მას მიუბრუნდნენ.

— ეგ ვითომ რათაო. შე ყურჩაჩავ შენა? რატომ არ შეიძლებაო?

— არმიკას უყვარს ჰასმიკა.

— ეგ შენს წიგნში სწერია?

თავს ძალა დავატანე, რომ არ გავწიოლებულიყავი.

— არმიკ, რომ უყვარდებათ, როგორ უყვარდებათ ხოლმე? — წამოიჭიკიკია ნანარიკმა. დედამ და მამამ გაიცინეს და ეს ჩემთვის ხსნა იყო.

— აი, როგორც შენ — შენი მამილო.

— უთხრა დედამ.

— მე მამილოც მიყვარდება, მაგრამ არმიკაც მიყვარდება.

— ეგ შენი ყურჩაჩა ძმა ჰრაირილია?

— ჰრაირმა კარტოფილი მომპარა.

დედაჩემი და მამაჩემი კუთხეში განაპირდნენ და ერთმანეთში ლაპარაკით დაადგინეს, რომ საჩემოდ იმ ხორბლის დალერღვ კარგი იქნებოდა. მაგრამ მე დიასახლისის გოგოსგან შემრცხვებოდა: ვინაიდან მხოლოდ წყალი და ღერძილი მეჭნებოდა. ხალისიანად შემოაგორეს წელსაფქვავე. წვრილ კისერზე დიდი თავის ქნევით ჰრაირმა ხელსაფქვავე დაატრიალა. ნანარიკი ხორბლის ნახევარს საკორკოტედ ხალავდა. ღერძილის გაცრის შემდგომ ქვემოთ დარჩა ხეშეში ფქვილი, საცერში მონარჩენი მსხვილი ღერძილი კი ხელახლა

დაფქვით. ამის მერე ნანარიკის მრალული ხორბალი დაფქვით, მაგრამ ჰრაირს რომ მოხალულ ხორბალს ხელი არ წასცდენოდა, ნანარიკმა იგივე მრალსაფქვეს მოაშორა და სახელურს თვითონ მოექიდა. გამოვიდა ქუმელი, ფქვილი და საკორკოტე ღერძილი. ფქვილი ცომად იქცა და ცომი თითქმის ნამდვილსა ჰგავდა. ქუმელი ცალკე ტობრაკში ჩაიყარა. ღერძილი კიდევ — ცალკეში. იმ ბაცაცა ჰრაირმა მაინც მოახერხა ერთი მუჟა ღერძილის მოპარვა და ეს დედაჩემის ბრალი იყო.

— სულ შენი ბრალია. — ატირდა ნანარიკი. — სულ შენი ბრალია!

დედამ ტუნოკუმულად გაიღიმა და იმ ღიმილით ნანარს უსურვა მწვანე, უღრუბლო დღეები და ერთი კარგი ბიჭი — ცხოვრების ნამდვილი მეგობარი; ჰრაირს უსურვა დირიფორობა თბილ და ნათელ დარბაზებში. ხოლო მე თეთრი პერანგით წარმომიდგინა გაკვეთილზე მოწაფეების წინაშე... და ქვეყანა ისეთი წმინდა იყო. ისე მშვენიერად ხმაბგეროვანი. ბენდიერება ისე საამოდ რეკდა, რომ დედაჩემმა თავისი თავი ამწვანებული სასაფლაოს მდუმარე ქვებს ამოფარა და გული სევდიანი სიხარულით აუძგერდა.

— ჰრაირი — გაკვეთილების სასწავლად, ნანარი — კუთხეში, არმენი — ტაშტთან! აბა! — ბრძანა დედამ.

— რა ტაშტი?

— არმიკამ უნდა იბანაოს.

— წყალს მე დავუსხამ.

— შენ გოგო ხარ. არმიკა — ბიჭი. შენ პირი კედლისკენ მიიბრუნე.

— არმიკა ბიჭი კი არაა, ჩემი ძამიკოა.


— მე გუშინ ვიბანავე.

— წელზე ვინ წავისვა საპონი, აგრემც თვალი დამიდგება, თავზე ვინ წავისვა. ფეხები ვინ დაგიბილა?

— ჰასმიკამ. — სახელმძღვანელოში წაიკითხა ჰრაირმა.

დედამ ტაშტისკენ მიბიძგა და უცებ ენახე — შიშველი ვარ, არ ვუშვებ, რომ მთლიანად გამაშიშვლოს, შარვალს ვეპ-





ლაუქები, ის ქვევით ეწევა. მე — ზევით. დედამ სიცილით დამისილაქა ხელები. ტირილი მომინდა, მაგრამ უცებ ცხელმა წყალმა დამწვა თავი და პირიც წყლით ამევსო. ამიტყდა ხველება-ფრუტუნნი. ქაფმა დამიჭირა თვალები და დამიმუწა პირი. საპნის ქაფშუა წამით თვალი მოვკარ, როგორ ქვეშ-ქვეშ იცინოდა პრაირი. ნანარი კი თავის კუთხეში რა-ღაცას გულდადებით საქმიანობდა (მერე, უკვე კიროვაკანში, მივხვდი თუ ასე ბეჯითად რას აკეთებდა ნანარი თავის კუთხეში). მე მეგონა, ხელებით პერანგის ამხანაგი მიჭირავს-მეთქი, არადა პერანგის ამხანაგი ზედ არ მეცევა. ეს უკვე ასაბლავლებელი ამბავი იყო. მაგრამ წყალმა დამფუფქა და ჩემი ხელები თავის მისაშველებლად გაფრინდნენ, — ცხელიააა! — პირში წყალი ჩამივიდა. საპონი თვალებზე შემომგვლისა და უცებ სიცივემ გამაქწრა მხარი, — ცივიააა! — გაისმა სველი სილაქის გატყაჩუნება და პრაირის სიცილი (მაშასადამე, ცივი წყალი პრაირს გადაესხა ჩემთვის), მერე თბილი წყალი გადამე-ვლო ზემოდან ქვემოთ. მომეფერა, მო-მეალურსა და მომეგურგურა. ღონიერმა, მშობლიურმა ხელებმა დაიჭირა ცხვი-რი: — იხვინე!.. ერთიც! -- წამიც და, რბილმა პირსახოცმა ჩაიკრა ჩემი თავი. ძილბურანში წასულს ნანარი მხარ-ზე მხურავდა. მერე შუბლზე ბალნიანმა ნიკაბმა მაკოცა, ქუსლში ვიგრძენი რა-ღაც ღიტინისა თუ ტკივილის მაგვარი, მატარებლიდან გადმოვხტი და პირდა-პირ რბილ ბამბაში დავეცი. ეს ჩვენს სახლსა. მე და პრაირი მარხილს წავი-დებთ. წავალთ ტყეში. ისეთ ხმელ შე-შას დავუდებთ, რომ სიხმოსაგან ამტვ-რეოდეს. მოლიპულ გზაზე მარხილი მოგვიცურდებდა. ჩვენ გაყინულ ქალა-მნებს ამოვუდგამთ, მაგრამ ეს ვერ შეა-კავენს. მარხილი ქვას გადააფრინდება. გათოშილები ძროხებს წყალს დავალე-ვინებთ, თივას დავუყრით და ღუმელ-თან გავიქცევით. ღუმელზე სიფრიფა-ნად დაჭრილ კარტოფილს გავფენთ. ზედ მარხილს მოვყრით. ღუმელთან წა-

ვიკითხავთ „უან კრისტოფს“. თუ ავად გავხდით, ერთი ვინმე უფროს-ლით და ლოცვის ბუტბუტით გვაკურს-შუბლზე. სოფლის შუა უბანში მცხოვ-რები მამიდაჩემიც გადმოვა ჩვენთან, ნისლში გამოჩნდება მისი დატანჯული ღიმილი. ერთი ცალი ვაშლი და, ვაშლის სურნელი ნისლად მომეჩვენება.

— აღარ მივდივარ კიროვაკანში!

— პატარა! პატარა! ალუ, ნეკზე არ მიკბინო!

— ცოვა. ყველას პალტო აქვს... მე თქვენ პურს არ წავიდებ!

— ახლა მოგდგები და ძალივითა გცემ!

— მცემე, რა!.. თქვენი პური თქვენა გქონდეთ, არ მინდა თქვენი პური.

— სააკას მამაშენის ვალი აქვს, მო-გვცემს და გიყიდით პალტოს.

— მაისში?

— იმ კაცს ხომ არ დავახრჩობთ?

— რა ჩემი საქმეა, დაახრჩეო!


— შენ ჩემი ჭკვიანი არმენი ხარ. შენ ჩემი იმედი ხარ, შენ შენი საწყალი მამის მშველელი ხარ, შენ კიროვაკან-ში პირველი კაცი უნდა გახდე!

— არ გავხდები!

— გახდები და იტყვი კიდეც, დედა-ჩემი მართალს მეუბნებოდარ.

ვახშმად მარილწყალში მოხარშული კარტოფილი ვჭამეთ და თაფლისკვერი-ით ჩაი დავლიეთ. ათი პური ფანჯრის რაფაზე ნიაგდებოდა, რათა მერე ერ-თად დაწყობილიყვნენ და ერთად ჩაწყ-ობილიყვნენ. ეს პური უნდა შემყოფ-ინებინა და ამასობაში ჩემს 140 მანეთ სტიპენდიასაც მივიღებდი. ნანარიკი იღიმებოდა. მაგრამ შთითქოს გაბუტუ-ლივითაც იყო. ის ლოგინშიც კვლავ იღიმებოდა პირმოკუმული, ლოყებ-აწითლებული და ტუჩგებამობურცუ-ლი. მამილო გომიდან მოვიდა. რა მო-იტანა, და რა მოიტანა, რა მოიტანა და— იმ გულგულ ზამთარში ნანარს ერთი

ჰადან მათეოზონიანი ჩამი მგელი



თეთრი კვერცხი მოუტანა. ვინ დადო, ვინ დადო, ვინ დადო და...

— ოქროს ბიბლიოვანმა!

— ვინ უნდა ჰამოს, ვინ უნდა ჰამოს, ვინ უნდა ჰამოს?..

— წავუსვათ... წავუსვათ. წავუსვათ, — კასკასებდა ნანარიკი. — წავუსვათ პურს და გამოვა ქადა.

დედამ ჩემად ორიოდ ცრემლი ჩამოაგდო:

— ეს ვერ იცხოვრებს, — ატირდა დედა. — ეს იმდენად კარგია, რომ ცხოვრების უფლება არა აქვს. ამ ქვეყანაზე ეს როგორ იცხოვრებს! — იხრჩობოდა დედაჩემი.

მერე ოჯახს ეძინა. ჰრაირს წელი ბალიშზე ედო, თავი კი ფეხებშუა. ნანარს მუხლი არმიკის მკერდზე გადაედო და ძილში იღიმებოდა. არმენს მკლავი დაიკოს თავქვეშ ჰქონდა ამოდებული, ის კი ფშვინავდა, სუნთქავდა ვარდისფერი სუფთა ფილტვების მთელი სისავსით და ათ წუთში ერთი მტკაველით მაინც იზრდებოდა. ჰრაირმა სიზმარში მოატყუა, ვითომ მისმა ხაფანგმა მელა დაიჭირა, მგლისტოლა მელა თითქმის მგელიათ. მისი ტყავი ხუთასი მანეთი ღირსო. მერე მამა მიაბიჯებდა მწვანე ყანათა სინდლეში. ბნელ ოთახში ღუმელი ცივდებოდა და იკრუნჩხებოდა. თვალგახელილი დედა კი ხედავდა მთვარეში გაყუჩებულ კიროვაცანს, დარიჩინისფერსა და თაფლის სუნით გაჯერებულ ზაფხულს, არმენის თეთრ პერანგს. თხის სავესე ჩიქანსა და სიწითლეში შემავალ ჰამიდორს.

— სააკამ თუ ვალი დაგვიბრუნა...

ეს უკვე გამგზავრების დროს იყო.

— სააკამ თუ ვალი მოგვცა. გამომიგზავნეთ, ჰრაირს ყურებიან ქუდს ვუყიდი. ნანარს კიდეც — პალტოს.

— ნანარი სულ შინა ზის, ჰრაირი კიდეც მეორე ცვლაა, სადილობისას მიდის სკოლაში. არც ერთს უნდა პალტო და არც მეორეს — ქუდი.

— არდადაგების სტიპენდია ოთხას ოცი მანეთია, სამჯერ ას ორმოცი.

— თან ილაპარაკე, თან — მოდი. ბიკის პალტო რა ღირს? — ერთხელ წავედი სასახლეში.

— ერთხელ წავედი სასახლეში. ზია დაკეტილი იყო, ციოდა, საერთო საცხოვრებელში სირბილით მივედი.

— ეგ რანაირად აბიჯებ?

— ფეხი, არ ვიცი. მეფხანება თუ მტკივა.

— არა უშავს, ფეხია, თავი ხომ არა. დიდი კაცი გამოხვალ და აქეთ-იქით მანქანითა და ცხენით ივლი, ტელეფონზე დაურეკავ: მე ვარ, ცხენი გამომიგზავნეთ. რომ წამოვიდეთ.

— მარტში წამოვიდე თუ არ წამოვიდე?

— როგორც მოგიხერხდება.

— სუყველანი თავ-თავიანთ სახლებში წაველენ და მე მარტომ რალა გავაკეთო იქა?

— შენ ყველა არა ხარ. შენ არმენი ხარ და ეს დღე უნდა დაიმახსოვრო.

— ზაფხულში რომ ჩამოვალ. ეოლოს დავკრეფ, წავიღოთ და დილიჯანში გავყიდოთ.

— სჯობია, კიროვაცანში ერთი სამსუბუქო საქმე იშოვნო რამე, ყარაულის ადგილი ან, რა ვიცი...

— ზაფხულშიც?

— ჩქარ-ჩქარა იარე. ვაითუ ფეხი გტკივა?


— არ ვიცი, მტკივა თუ მეფხანება ფულის საქმე არ არის? ეოლოთი უფრო მეტი ფული გამოვა, ვიდრე ყარაულობიდან.

— ამ გაღვერილ სიღარიბესა და მამ დაქტეულ სოფელზე არ იფიქრო. გეუბნები.

— ზაფხულშიც?

— ზაფხულშიც და საერთოდაც.

როცა „შვინდიანი გორაკიდან“ უკან მივიხედე, იგი სურფ სარქისის სამლოცველოს წინ იყო დაჩოქილი. ის მორწუნე არ იყო და ახლა ჩემი გულისთვის მორწუნე გამხდარიყო. ჯვარედინას რომ მივადწიე და მივიხედე, ის ისევე სამლოცველოსთან იყო დაჩოქილი. „ენქელიან გორაკზე“ შევჩერდი, ვითომ ტვირთს ვისწორებდი და მხა-



რუქულმა უკან გავაბარე თვალი — ის კვლავ სამლოცველოსთან იდგა თოვ-  
ლში და ხელით მანიშნებდა: წადი, წა-  
დი, წადიო. მე თითქოს მესმოდა კიდევ  
ჯარას ღუღუნევით ნაზი მისი ხმა:

— წადი, წადი, წადი...

„ბალის დაბალში“ დასასვენებლად ჩამოვჯექი, რადგან ქუსლმა ჩხვლეტა დამიწყო. ვიფიქრე, დამიბუფდა-მეთქი, წინდა-ქალამანი გავიხადე და ქუსლი ხელით მოვისინჯე. შეხებიხთანავე ჩხვლეტები შეერთდნენ. ნემსების ცოხნად გადაიქცნენ; მერე ტკივილს მოხარშული ვაშლივით დარბილდა და დამრგვალდა. ქუსლი მომყინვოდა: მატარებლიდან გადმოხტომისას ქუსლი გუბის ყინულის წიბოზე დამეკრა; გამ-  
ჭროდა, დამსველებოდა და გზაში მომყინვოდა. ტკივილი თითქოს გაიბერა, გასივდა, გასკდა და წვრილ წუწუბად შეესხურა ძვლის კედლებს — შიგნით, სულ შიგნით! თოვლი ავიღე: ქუსლზე დავიდე და მანამდე ვისრისე. სანამ ტკივილი არ „გაიყინა“. ტკივილი დამიხსრა. „აბა ახლა კი მოუსვია, შენი!..“ მტერს რომ შეუკურთხებენ, ისე შევეუკურთხე ტკივილს. ქუსლზე რომ თოვლი დავიდე და მოკუნტულმა ტკივილმა ნელ-ნელა თავის ბუნავში შექრომა დაიწყო ვიგრძენი, თითქოს ერთი ვილაც. ჩემად მომჩრებოდა და მზვერავდა. იმ ხნის განმავლობაში სულ ვგრძნობდი იმ ვილაცის გელიქეშ თვალს, ვგრძნობდი ჩემოდ მის ალტაცებას — ნეტავი მამაშენს, რომ შენნაირი შვილი ჰყავსო, — და თავს მისი ქების ღირსად ვთვლიდი. მე ნამდვილად ღირსი ვიყავი ასეთი ქებისა.

ჩავიცვი წინდა, ქალამანი, შევიკარ თასმა და, წამოდგომისთანავე, როგორც კი თავი ავწიე, თვალი ვკიდე: თოვლში ერთი ძალი წამოსკუბებულიყო და მიყურებდა. — ბასარ? — ავადმყოფის ახლობლურობით შევეკითხე მე, მაგრამ მან ჩემი ახლობლობა არ ინდომა, რადგან მგელი იყო. უკან დაიწია, მაგრამ ვსაქტევეად კი არა, არამედ იმდენზე


და იმნაირად, რომ ჩემთვის გაეგებინებინა მგელი ვარო. — რა გინდა, ეგელიწო! — დავუკვივლე მე, ის კი და და თავდაჯერებით შემომჩაჩერდა. — შენლა მაკლდი. მე შენი!.. — მერე და მერე, წლების შემდეგაც ბევრჯერ გამხსენებია ეს ამბავი და ისიც, რომ მთელი ჩემი ყმაწვილობის მანძილზე მხოლოდ იმ ერთხელ შევიგინე.

— შენლა მაკლდი. მე შენი!.. — მუხის მორჩივით ხერხემალშემართული და მუშტებშექვარკინებული ის ყმაწვილი მკვეთრი, ცალ-ცალი, ნაბიჯით, თან რომ ყოველ ნაბიჯზე იზრდებოდა და მავრდებოდა, ჩიქურ დაიძრა მგლისაკენ. მან კული ამოიძუა და ბალანი აიშალა. ნანარი ძილში ილიმებოდა; ტახტზე დაღლილი მამა წამოგვერდელავებულყო; იმ ძველ დროში იაპონელებს სიმონა პაპასთვის მუხლის ძვალი ამოეღოთ, თავიანთი გენერლისთვის ჩაედგათ, პაპასთვის კი ეთქვათ: შენ წადიო! ეს პატარაობისას მქონდა მოსმენილი. ჩვენ, გამხდარი ბავშვები, საკლასო ოთახში საშინელ ამბებსა ვყვებოდით, თან სხვისი ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდით და თან ცივ ღუმელს ვეკვროდით.

ბიჭმა ფერდაკარგული თვალები ნადირის უაზრო გამოხედვას დაუპირდაპირა და მის დასახრჩობად წაიდა. მღელვარებისაგან ყელგამშრალი ყმაწვილი თავის გასაყოჩაღებელ სიტყვებს ბუტბუტებდა და პირდაპირ მგლის თვალებზე მიიწვედა. მგელმა თვალი აარიდა მის ფერგამკრთალ თვალებს, თავი მიაბრუნა და ფეხებით თოვლი აყარა. ის აბრეყვებდა ბიჭს, რათა იგი სირბილით წასულიყო მისკენ. მაგრამ ბიჭმა იცოდა, რომ აბრეყვებდნენ და არა ბრეყვდებოდა, მგლისკენ მიიწვედა მძიმედ და კეტივით მტკიცედ. მგელს დაავიწყდა, რომ მგელი იყო და წკმუტუნით უკან ისკუბა.

ბიჭი ახლა მგლისგან გათელილ ად-

კრანახ გათავისნიანი ჩემი მგელი



გილზე იდგა. უკვე გამართულიყო, გაზრდილიყო, გაემარჯვნა. ახლა უკვე ოცი-ოცდახუთი წლის სოფელი ვაჟკაცი იყო. — მოდო მოდი! — დასცინა მგელს. მგელმა უკან-უკან დაიწია. გადახტა, ისევ მოტრიალდა, მერე კიდევ უკან-უკან წავიდა და ფეხებით თოვლი გაყარა. — ეგ ვიცით! — უთხრა ბიჭმა. მგელმა წკმუტუნით კვლავ უკან დაიწია, მერე წინისკენ გადმოხტა. უცებ შებრუნდა და ცოტაზე გაიქცა; უცებვე მოტრიალდა. წინ წამოვიდა. ხელადვე მიტრიალდა და დადევნებულობით გაიქცა. გაცნობიერებულ ზრახვასავით რალაც შეინიშნებოდა მის მოქმედებაში. თითქოს ჭკვიანი მტერი შემტვრალიყო მგლის ტყავში და მგლის შიგნიდან იყურებოდა. საზარელი რალაც უცნობი სანაპირო იშლებოდა ბიჭის თვალწინ. ყმაწვილს ძარღვები დაუდამბლავდა, იგი ცამტვერდებოდა მგლის თავდასხმამდის. — მაშიიი! — მაგრამ იგრძნო, რომ ხმა უკვე ჩაჰკედლოდა. ყველაფერი სიზმარსა ჰგავდა. მგელი მოახლოება-დაშორებით რალაც ახლო-შორობანას თამაშობდა: უკან-უკან წავიდოდა, შეხტომით შემოტრიალდებოდა, ცოტა წინ წამოდგებოდა და მერე დადევნებულობით გაიქცეოდა ორიოდ ნახტომის მანძილზე. ელდისავან ზაკრეფილმა ბიჭმა უცებ ნახა, რომ ამდგარა და უკვე ფეხზეა. თოვლში კი წკვპლით ხელში გამოჩნდა მისი დედა. თეთრ თოვლში გამოჩნდა კიდევ ერთი მისი ახლობელი — ძალიან ნაცნობი, ძალიან დიდი — მისივე ოჯახიდან. ბიჭი წავიდა მისკენ, მიუხალოვდა და მიხვდა, რომ თურმე ტობრაკთან მისულა. — ტობრაკ-ჯან! — თქვა მან და ატირდა. — მას ჩემი შექმა უნდოდა! — ხოლო მგელი ჯერ ისევ ახლო-შორობანას თამაშობდა. ბიჭმა ტობრაკს მოუთხრო, რომ მგელს მისი მოტყუება უნდოდა. ისევე მოტყუება. როგორც ვირის ჩოკინას ატყუებენ.

მგელს უნდოდა, რომ მე მისთვის, ვითომც როგორც მშიშარასათვის, მე-

დევნა. მედევნა, რომ გავეტყუებინე გზიდან მოშორებულ სადმე, მოფრენდი ულ ადგილამდე, მე კი შევტყუებინებდი და მოვიკიდე ქუმელ-ღერძილ-პურის ჩემი ტობრაკი. მგელი დამდგარიყო და აქამდე გავეთებულსა და ამის შემდეგ გასაკეთებელს ერთმანეთთან აკავშირებდა, მაგრამ ის უცნაური ორფეხა ნადირი მოფიქრების დროს არ აძლევდა და შორდებოდა. მგელი უნებურად აედევნა მას იმ იმედით, იქნებ გზადაგზა მოვიფიქრო, რა ვუყო და რა ვქნაო. ორფეხა ნადირი დგებოდა, მგელიც შედგებოდა და უცდიდა, ნადირი აჩქარდებოდა — მგელიც აჩქარდებოდა. ახლა მოკარნახე ნადირი იყო და მონადირე მის ქცევას ემორჩილებოდა. ნადირი შეტრიალდა და უთხრა: — რა გინდა, ტყურო? — მგელიც შედგა. მაგრამ ხეირიანად ვერა გაიგო-რა და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ნადირმა ტვირთი გაისწორა, გაიმართა და წავიდა. აღარაფრად ჩაუგდია მგელი და. მგელიც მას გაჰყვა. როგორც ჩვეულებრივი თანამგზავრი ამხანაგი. იქ, სადაც გორაკების მწკრივი იწყებოდა, მან ტვირთი გაისწორა და უთხრა: — მოდი, მოდი, რომ დსელის ძაღლებს პირში მიგცე შენა! — მაგრამ მგელმა ქეშად გახედა თოვლში გადამხტარ თავგს და შეიცადა.

ერთ მოსახვევთან ისინი ძალიან ახლო-ახლო აღმოჩნდნენ ერთმანეთთან. მგელი აიჭაგრა. თითქოს კამარის შესაკრავდაც დაიძვინა, მაგრამ ზედ იმ წამს ცაში დაიქუხა და ქუხილში მიიმსხვრ-მოიმსხვრა თვითმფრინავის ხმა, მერე ძაღლის ყეფასავით რალაც ხმაც მისწვდა მის სმენას და მალე გორის თავზეც დაჩნდა სოფელ დსელის აბღღვრიალგებული ფანჯრები. მგელი არ გაბრუნებულა, ერთ წამს იფიქრა და ბიჭს გასწვრივად აედევნა. სოფელი ძაღლების ყეფაში გახვეულიყო, სინათლეები ბრჭყვიალით ადი-ჩადიოდნენ, მგელს სახურავების უკნიდან უნისკარტებდნენ და თან იმ ბიჭმაც ფინთი ჩაცილებით შეიპატიჟა სოფელში.


— წამო. წამო! აქამდე წამომყევი და როცა ერთი ბეწვა გზალა დარჩა, ეხლა აღარ მოდიხარ?

და მათი ბილიკები ნელ-ნელა დაშორდა ერთმანეთს. ბიკის გზა სოფელში შევიდა. მგლის ბილიკმა კი, ვითომდაც ძაღლების ყეფისათვის განის დასაგდებად აიღო გეზი, მაგრამ როგორც კი ბილიკი ტყეში შევიდა, მგელმა ძუნძულით შემოუხვია და ძუნძულითვე მოკლედ გადაჭრა „ბალის დაბლისაკენ.“ სადაც, მისი სულელური ფიქრით, ჯერ კიდევ ვიჯექი და ფეხს ვიზელდი... მე.

დღემადის მგელმა და დსედნიდან საღვურამდე მგლის მოგონებამ მიიყუჩა ჩემი ფეხის ტკივილი. საღვურის დარბაზი თბილი იყო და განათებული. მეუღლის მკერდზე თავმიდებულს ტბილად ჩასძინებოდა რუსი კაპიტნის გოლიათ ცოლს. ჭარისკაცები, რომელთაც რცხვენოდათ თავიანთი კაპიტნისა და იმისაც, რასაც გულში მის ცოლზე ფიქრობდნენ. ჩუმად დასცინოდნენ სტეფანავანელ ტურფას. ერთმა კაცმა, ძალიან რომ ჩამოჰგავდა მამაჩემს, მოხარული ქათამი გახლიჩა და ქათმის ბარკალი ძალით ჩამჩარა მუკაში. მისმა ბიჭმა, თვითონ რომ ხორცის ნაჭერი ეჭირა, ჯერ იმას მოაყარა მარდლი, მერე თავის მამას მოუყარა, მერე მარილი მწიკვით აიღო, სკამიდან ჩამოტურებით ჩამოვიდა, წამოვიდა და ჩემთან მოვიდა... მე და იმ ბავშვს ცხელი მზერით გამოგვეჭეროდა დიდ ძუნძულს... და იმ ცხელ ალერსში უცებ დღეობით გასკდა ჩემი ფეხი. ტკივილმა თანამგრძობობიპოვა და ბავშვივით მასაც მოუხდა მოფერება. პირში ხორცგაჩრილი ვიკრუნჩხებოდი და ვიკლანებოდი, ჩემს გარშემო უკვე ხალხმაც დაიწყო შემოკრება... მაგრამ მატარებელიც ჩამოდგა.

— ახლა რომ ყურები დაგაჭრა. რას იტყვი? — მშვიდად შემეკითხა საფოსტო ვაგონის გამყოლი.

— თუ ზედმეტია, დამაჭერი, თუ ზედმეტი არ არის, რატომ მაჭრი?



— ენა გაქვს გრძელი. ენის მოჭრა უფრო მოგიხდება.

— ვა, ან ენას რად მაჭრი ვაგონში?

— იცი თუ არა, სად ამოხვედი? — საფოსტო ვაგონში.

— რათა მერე? — იმიტომ რომ ფული არ გადავიხადო.

— ეგ, როგორ თუ არ გადაიხადო? — როგორ და, ისე.

— იცი, რომ აკრძალულია? — ვიცი.

— მაშ, რად ამოხვედი? — განგებ ამოვედი, რომ შენი ფოსტა მოვიპარო, წავიღო და წერილები წავიკითხო.

— მეტი გზა არ არის, ენა უნდა მოგაჭრა.

— მერე გაკვეთილი როგორღა მოგვეყვ?

— მოსწავლე ხარ?

— პედაგოგიურ სასწავლებელში.

— აჰ! მასწავლებელი უნდა გამოხვიდე! სადაური ხარ?

— ჩვენსოფლელი.

— კი კვიმატიცა ჰყოფილხარ! ტოპრაკში რა გაქვს?

— კამეჩია. მოვიპარე. ნახევარი მოგცე?

— ახლა რომ მატარებელი გავაჩერებინო და ამ მინდორში ჩამოგსვა?

— გააჩერებინე.

— რა გაქვს მაგ ტოპრაკში?

— რაცა მაქვს, ჩემთვისა მაქვს, შენთვის არა მაქვს.

— ნამდვილ ვაგონში რომ ასულიყავი, რამდენი უნდა მიგეცა?


— არ მივეცემდი.

— ეგ, როგორ თუ არ მისცემდი მამაშენის ურემია?

— კი მამაჩემის ურემია, სწორედ რომ მამაჩემის ურემია.

— ახლა ამ მინდორში რომ ჩაგსვა? — პირიქით. მე რომ ჩაგსვა?

პრინციპალის ბიბლიოთეკა



— ჩაღი, ჩაღი, შენი ნებით ჩაღი-  
თორემ გადაგაფრენ!

— ეგ რა, მემტრედე ხარ?

ერთი სიტყვით, კიროვაციანამდე გუ-  
ლი ასე შემიკამა. ზიზლით შეპყრობილ-  
მა წამითაც ვეღარ მოვიცალე, ტკივი-  
ლზე მეფიქრა.

პური მლაშე გამოდგა. ქვიშასავით  
იყო. არ იღეკებოდა. ნანარიკს, როცა  
მე მბაზანებდნენ და თვითონ კუთხეში  
საქმიანობდა. ცომისთვის ხელმეორედ  
ქნა მარილი და, თუმცა მერე წყალიც  
დაესხა. მაგრამ ფქვილი აღარა ჰყოფ-  
ნოდა. მინდოდა გავბრაზებულიყავი  
მასზე, მაგრამ თან შორით შორად მე-  
ნატრებოდა პირმოკუშულად გაცინებ-  
ული მისი საყვარელი ლოყები. რამ-  
დენიც მომშივდა და ჭამა ვცადე, პური  
არ იკმებოდა. მე თავს ვიტყუებდი, ვი-  
თომ პურის ჭამა არ მინდა-მეთქი, რად-  
გან ჩემგანვე ფარულად ხანდახან ქუ-  
მელსა ვჭამდი. ქუმელი მერე დავუმა-  
ლე ჩემ თავს. მაგრამ პური მაინც არ  
იკმებოდა.

სპიტაკელებმა გაათავეს თავიანთი  
ლაგაში, მიხარჯ-მოხარჯეს თავიანთი  
მანეთები. კითხვაში გართულებმა ყუ-  
რი აადვენეს ჩემი ღეჭვის ხმას, მაგრამ  
პური მლაშე იყო და სირცხვილი იყო.  
ის პური მათთვისაც მეწილადებინა.

დიასახლისის გოგომ, ჰასმიკამ, კარ-  
ზე დააკაუნა. ლამაზი თავი შიგნით შე-  
მოყო, მერე შემოვიდა. რომ ეკითხნა  
ჩემთვის, სად იყო პირენეის ნახევარ-  
კენძული და თან ჩემი სახისათვის შეე-  
ხედლა მაგრამ მე არ ვიცოდი. ისეც ათა-  
სი საზრუნავი მქონდა და თანაც იმ  
დროს გატაცებით ვკითხულობდი წიგნს.  
„უყურე ერთი, არც კი...“, გაიბუ-  
ტა ჰასმიკა და გარეთ გავიდა, წყენი-  
საგან ყურები გაუფარდისფერდა, თე-  
თრი ბაფთით კობტად შეკრული მსხ-  
ვილი ნაწნავი გაუქან-გამოუქანდა და  
კარის გაჯახუნებასთან ერთად ყელზე  
შემოეხვია... მაგრამ პური მლაშე იყო,  
არავის არ უნდა გაეგო, რომ დედაჩემს  
თურმე მლაშე პური გამოეცხო.

ცივი წყლის ხშირ-ხშირად სმისაგან  
ყელი დამიჩირქდა და სპიტაკელებმა  
დამცინავი ღიმილით დამიყურეს. სპიტაკე-  
რადგან მე ისინი არ შემბრალებია და  
ერთი ნატეხი პურიც არ მიწილადებია  
მათთვის. ჰასმიკას დედამ ჩაი შემომო-  
ტანა. მაგრამ მე ავადმყოფი არ ვიყავი.  
მე არ მინდოდა მათი არც ჩაი და... ის  
ჩემი თანამგზავრი მგელი და საფოსტო  
ვაგონის გამყოლი ამჭერად უფრო მე-  
ტად მიყვარდა, ვიდრე ისინი, ვისაც ასე  
ვებრალებოდი; ეს შემბრალება, ეს თან-  
აგრძნობა პირდაპირ მკლავდა.

მითხრეს. ლიტერატურის მასწავლე-  
ბელმა მამიკონიანმა გიკითხა და უეჭ-  
ველად შენს სანახავად მოვალ... მე ტა-  
ნსაცემელი ჩავიცვი, კარადა დავკეტე  
და საერთო საცხოვრებლიდან გავეკარ-  
დი. ყვავის ცივი ჩხავილის ქვეშ თითო-  
დნენ სანატორიუმ „მზის“ კოშკუ-  
რები, თოვლში გამოჩნდა და ისევე დაი-  
კარგა ნარინჯის ქერქი თუ ვაშლი. ძა-  
ლის ყეფა მოგონებასავით შორს იყო,  
მაგრამ, სად იყო სად არა, ძალღი მო-  
მახტა და ხელადვე წკმულით უკან  
მიაწყდა. სედრაქა ძიას თითქმის სასა-  
ხლესავით სახლი სუფთა და ფართო  
იყო. თბილი სამზარეულოდან სუპის  
სურნელი მოდიოდა, მაგრამ მის რძალს  
სულმუდამ თავპირი ჰქონდა ჩამოღრუ-  
ბლული და არასდროს იღიმებოდა.  
ისლა დამრჩენოდა იმაზე მეფიქრა. სა-  
ერთო საცხოვრებელში მეაგურეთა ქუ-  
ჩით დავბრუნებულყავი თუ მოსწავ-  
ლეთა ქუჩით — დედიღი!... ნიკან —

ლამე მოვიდნენ და ჰასმიკანთუ სახ-  
ლში წამიყვანეს. ჰასმიკას მამამ მუ-  
ბლზე მტლე დამალა. დედა საკმელს  
აცხელედა. ჰასმიკას მამა, როცა ერე-  
ვანში სწავლობდა, თურმე სწორედ  
ჩემი ავადმყოფობით გამხდარიყო ავ-  
ად და მისთვის დიასახლისის გოგოს  
ემკურნალა, მე კი, აი, უხეშად მოვეპ-  
ყარი ჰასმიკას. ის არ დაუშვებდა, რომ  
მე ავად გამხდარიყავი. ის ხომ უკვე  
ექიმია თითქმის. „მლაშე თევზი გიჭა-  
მია და ცივი წყალი გისვამს. რატომ  
დალიე მლაშე თევზზე ცივი წყალი?



ეგ მლამე თევზი არაფერი, ორ დღეში განიკურნები!" მან ხელი მომიპირა. პირი გამაღებინა და საქმელი ძალით ჩამასხა პირში: „ჩემი ბავშვის ტოლი ხარ. ახლა არ მეცემინო!“ და მაყლაპინა ცრემლი, ცხელი სუბი და ჩემივე ჩირქი. „ახლა დავმობილდით“, თქვა მან. ის დილის ცვლაში წავიდა, მე კი გამოვედი. ჩემს ცივ ოთახში შევედი და ცივ ლოგინში ჩავწექი.

— ჩაი მოგიტანე, შიგ ლიმონი ჩაგიგდე.

— შენთვის ლიმონი არავის უთხოვნია.

— ულიმონოდ გინდა?

— შენთვის ჩაი არ მითხოვნია.

— ვაპ!

— გადი აქედან.

— არ გავალ.

— გეუბნები, გადი ამ ოთახიდან, მამამისი სამუშაოდან მოვიდა და დადლილი ჩამომიჭდა ლოგინზე. არ იცოდა, ელაპარაკნა თუ ჩაეთვლიმა. მისი ყველაფერი — კარის დაკაკუნებაც, წაქცევასავით დაჯდომაც, აღგომაც და ლაპარაკიც — ყველაფერი, და თვითონაც მთლიანად, იყო ზანტი, მოდუნებული და მოთენთილი.

— ახლა რას იტყვი, მე ვარ კაი, ბიჭო, რთუ შენა?

ესეც მითხრა:

— ბტკივა? არაფერია. ნუ ილაპარაკებ.

აქედმე:

— მაგრამ მე და შენ პური ერთად უნდა ვჭამოთ.

მე ჩემს კარადას გავხედე და გავკვავდი.

— შენი პურიც დავდოთ. — მითხრა.

— ჩემი პურიც და ვაჟკაცი კაცებივით პური ერთადა ვჭამოთ. შულავრიდან ჩამოტანილი ჭაჭა მაქვს. ვცხოვრობთ რადა! — და დაუმატა: — ეგრე რომ, კარგად არის ჩვენი საქმე.

მე თავის გაქნევით ვიუარე. მითხრა:

— შენთვის არა გთხოვ, ჩემთვის გეუბნები. მარტო პურის ჭამა მეზარება. ჯარმა მტკიცე მეგობრობას შემაჩვია.

ის მე მატყუებდა.

— მატყუებ. — ვუთხარი მე.

— გატყუებ, — მითხრა მან.

ყუებ, თუ არ გატყუებ, უფროსი მე ვარ. ის მიმიმედ დაიხარა, ჩემი კარადიდან მიმიმედვე, თითქოს მიმიმე ქეას იღებს. ერთი პური გამოიღო, მთელი ფოლტვებით მისი სუნი შეისუნთქა და ისე თქვა, რომ აქამდის მახსოვს:

— იმ ჩვენ ძნელთა დღეთა პურის სუნია. ადექი.

მათი აივნიდან სასადილო ოთახამდე ათჯერ დამასხა და შემაშრა ოფლი. ჩემს წინ მისი ფართო ბეჭები მიირწყოდა. ხელში კი ჩემი მლამე, ჩემი ხმელი პური ეპირა. ჰასმიკას სირცხვილით ველარ შევხედე. რადგან მის თვალში დამარცხებული ვიყავი. დედაჩემისა და ჩემი დაცოს გამომცხვარი პური. ის ხორბლის პური, რომელიც მამაჩემმა დაილიავებული ჩაიტანა ხეობის წისქვილამდე და სიჩქარისა და ტვირთისაგან გულამოვარდნილმა ისევე დაუფუჭველი ამოიტანა სოფელში... სწორედ ის პური მოუღო გვერდით თავიანთ ქალაქურ, მსუბუქ, თეთრ, სურნელოვან პურსა და იდაყვებდაყრდნობით თვითონაც დაჯდა. ის ოჯახის შემნახავი კაცი იყო. მათს მაგიდაზე არაყი იდგა. მათი სუფრა თეთრად ქათქათებდა. მათ სახლში სითბო ტრიალებდა. ერთი ავადმყოფი ბიჭი პურის საქმელად მოეყვანა და გუნება დამყუდროვებულ ჰქონდა... მაგრამ მას არ ესმოდა, რომ იმ ბიჭს ტირილი ყელში ჰქონდა მობჯენილი. მან ყლუპ-ყლუპად, წელა დალია არაყი. მიმიმე ხელი მიმიმედ გაიშვირა. იმ ცალი ხელითვე გატეხა ის პური. კიდევ ერთხელ გატეხა. უსუნა და ჩაიღო პირში.

ღეჭა, ღეჭა ის პური და თვალი ჩამიკრა.

— არა უშვას-რა, — თქვა. — შენ ხომ ბიჭი ხარ. მაგრამ ჩვენც ბიჭები

კრანდ მათეოვოსიანი  
ჩემი მამალი


ვართ. მღოგვი გიჭამია? მარტოდმარტო მღოგვი გარჩიყა?

დადექა ჩემი ის მლაშე, ძნელად საკმელი პური და მოჰყვა ამბავს. ცოლსა და ქალიშვილს არ დაანება, იმ პური-სთვის ხელი ეხლოთ; აიღო, თვითონ დაიღო წინ და მოჰყვა ნელ-ნელა: ლეკვით, თითქოს ქეასა ფქვივდაო:

— მღოგვი, მხოლოდ მღოგვი, მარტოდმარტო მღოგვი გარჩიყა. ისტორიაში ხუთიანებს იღებ, ლენინგრადის ალყაც გეცოდინება რა იყო, მაგრამ არაფერიც არ იცი. აი, ყნოსი რომ გიჭერენ, კიდევ გიჭერენ. განუწყვეტლივ გიჭერენ: გახრჩობენ და თან არც სიზმარია. რომ გაიღვიძო და მორჩე ღვთის მაღლით — არა! თვალეებში ჩაგყურებენ და ისე გიჭერენ ყელში, რომ სული გაგაგდებინონ! აი, ეს არის ლენინგრადის ალყა. ერთი დანგრეულ-ჩაქცეული სახლი იყო, თოვლქვეშ ჩაჩუმქრული. იი ის თოვლი კაცმა თხარა და ყარა, თხარა და ყარა, სანამ ძირს არ მიაღწია... ძალღვეითო? ძალღვი ვინ მიგდია, მაგდენს გაუძლოს!.. მაგრამ ჩვენ ხომ ადა-

მიანები ვართ, არა? ჰოდა, ის თოვლი, ანგრია. თხარა, ხვეტა: ყარა და ერთი პატარა ყუთი მღოგვი იბოვნა. გარჩიყა, რაღა, მღოგვის ფქვილი! თეთრ დარბაზში, მთელ იმ გადათეთრებულ ქვეყანაზე ერთი ყუთი მღოგვი! ის მღოგვი თოვლში. აურია, მღოგვის ცომი უფრო სწორად — ტლახი, რაღაც ტლაპო შეიმზადა, თანაც თოვლშიც ძლივს აურია, რადგან ხელეებში სითბოს ნატამალი აღარ ჰქონდა, თოვლი არა დნებოდა. დალია ის მღოგვის ტლაპო. ნაწლავებმა წვა დაუწყო. სანაძლეოსაც კი დასდებდა. რომ თავისი ნაწლავებიდან ავარდნილ ალს ხედავდა. ორივე ხელი მუცელზე მიიჭირა. ისე მოიკრუნჩხა, რომ თავი მუხლებშუა მოექცა და, დაეცა. ასე ეგდო თოვლში, აღარც ძალა ჰქონდა, აღარც ხსოვნა. მაგრამ იცოდა, რომ მღოგვი ახლა უკვე მის შიგნითაა. მისია და მღოგვემა თავისი სიკვდილით უნდა აცოცხლოს იგი. ჰამე ეგ შენი პური, — მითხრა მან, — მოსულხარ, ვისთან რას იკიმები აქა!

სომხურიდან თარგმნა ზეზა მელულაშვილმა.





## ს მ რ გ ო კ ლ დ ი ა უ ვ ი ლ ი - 90

სერგო კლდიაშვილი!

დიდ საუკუნეში დაბადებული დიდი მამის ღირსეული მემკვიდრე!

და ბრწყინავს დღეს ბატონი სერგო მთელი იმ მაღლითა და ხიზლით, რაც მემკვიდრეობით გამოჰყოლია:

სიღარბაისლე და სისადავე.

პატიოსნება და წესიერება.

სიბრძნე და სულიერი წონასწორობა.

ინტელექტი და გემოვნება.

სიცოცხლის საოცარი წყურვილი, მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალის ხალისი.

ბატონი სერგოს ასაკი თავისთავად იწვევს მოწიწებასა და პატივისცემას, მაგრამ ამ გრძნობას უფრო ამძაფრებს მისი, როგორც მწერლისა და მოქალაქის, ცხოვრების მთლიანი სურათის გასიგრძეგანება.

ეს ცხოვრება, ცხოვრება ბატონი სერგო კლდიაშვილისა, სასგეა ყოველად შესაშური და მისაბაძი მაგალითებით. მისი მაღალი მწერლური პროფესიონალიზმი, ნიჭიერება და დახვეწილი გემოვნება ყოველ მის მომღვწეო თაობას მაგალითად ჰქონია. მისი აუმღვრეველი სულიერი წონასწორობაც ასევე სამაგალითოდ დაგვისახავს, სამაგალითოდ, რადგან ეს სიმშვიდეა ყოველდღიური ცხოვრების ორბიტრიალში ჩართული კაცისა, ვინც ამალგებულობს ამ ყოველდღიურობის წვრილმანებზე და ცხოვრების ტალახში ისე ახერხებს გავლას, რომ მის ფაქიზ სულს მწიკელი არ ეკარება!

სამაგალითოა ბატონი სერგო კლდიაშვილის პროზა, რომელშიც ძვირფასადაა გამჟღავნებული მისი ავტორის ყველა დადებითი თვისება:

ლაკონიზმი და ხედვის სიზუსტე — მისი მშვენიერი ნოველების უმთავრესი ნიშანი.

სილამე და ხალასი იუმორი —

ლახუნდარელის დაუფიწყარ თავგადასავალში გამჟღავნებული.

ფაქიზი გული, მახვილი ხედვა, ზომიერების გრძნობა — მოგონებათა ძვირფასი წიგნში შენივთებული.

როგორ ავსებს და აღამაზებს თქვენი ნაღვაწი, ბატონო სერგო, მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას! რა თავისთავადი და გამორჩეულია თქვენი ხმა! როგორი ძვირფასი და საყვარელი ბრძანდებით ყველასთვის, ვისთვისაც თქვენი მაღლიანი ღიმილი გიძღვნიათ. ეს ღიმილი თქვენს ხალხს ეკუთვნის უმთავრესად და უპირველესად; ხალხს და ქვეყანას, რომელიც ასე მძაფრად და ფაქიზად გიყვართ.

ერთი თქვენი ნოველის. გპირივით დამგზავრებული ხართ საქართველოს გზებსა და სოფლებს და „ყველგან პატიოსანი კერა გეგულებათ“. პატიოსნება ქართველი ხალხის უმთავრესი თვისება რომაა, მშვენიერად უწყით, და ამ პატიოსნებით განსპეტაკებული მიუყვებით ცხოვრების გრძელ შარაგზას, ტკბილი, საყვარელი მოხუცი, აწ „გულის თვალებით მხედველი“. მაგრამ მაინც ღიმილიანი და იმედიანი.



## ტრისტან ლაბარტყავა

# ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პროკლამები თანამედროვე ეტაპზე


საზოგადოების განვითარების, თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელობა. 1988 წლის ივნისის პლენუმზე ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ „მთელს აღმზრდელითისა და პროპაგანდისტულ მუშაობაში ნიადაგ უნდა ვითვალისწინებდეთ კაცობრიობის ახლანდელი ისტორიული პერიოდის თავისებურებას, ეს პერიოდი კი აღინიშნა ორი პოლარულად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობის, ორი პოლიტიკური კურსის — სოციალიზმისა და იმპერიალიზმის — მთელ ომისშემდგომ ხანაში არნახული ინტენსიური და მწვავე დაპირისპირებით“. სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას დღეს იმპერიალიზმი უკვე მიმართავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს, ზოგჯერ საომარ კონფრონტაციებსაც, მაგრამ უველაფერ ამას წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის დამუშავება რასაც ბურჟუაზიული პროპაგანდის ფართო ქსელი ემსახურება. „მიმდინარეობს ბრძოლა პლანეტაზე მილიარდობით ადამიანის გონებასა და გულის გადასახიფებლად — აღნიშნა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა ივნისის პლენუმზე — და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე“.

ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და მასზე იდეური ზეგავლენის საშუალებათა ზრდა ქმნის ახალ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებებს, მის ახალ მიმართულებებსა და ფორმებს. ამიტომ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ამ საზოგადოებრივ ცვლილებებს სდა იდეოლოგიური ბრძოლის ახალ პირობებს, რადგან თანამედრო-

ვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის ძველი მეთოდები და ფორმები არ კმარა. ფორმებისა და მეთოდების განუვითარებლობა გამოიწვევს სოციალისტური მსოფლმხედველობის შესუსტებას, ხოლო ვ. ი. ლენინი ჭერ კიდევ რევოლუციამდე ამოხდა, რომ სოციალისტური იდეოლოგიის შესუსტება, მისგან უკველგარი გადახრა ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას.

ამერიკული იმპერიალიზმის გლობალური პოლიტიკის გატარებისათვის მიმდინარე წლიდან რეიგანის ადმინისტრაცია ფართო ფსიქოლოგიურ ომში ახალი ეტაპის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა. ეს ნათლად გამოჩნდა 1982 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და ნოემბერში დაბურული თათბირების სერიის ჩატარებათ, რომელთა ძირითადი მიზანია ძირგამომხრელი იდეოლოგიური საქმიანობის აქტივაცია კონკრეტული გზების, მეთოდებისა და ფორმების გამოძებნა. როგორც გამოქვეყნებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რეიგანის ადმინისტრაციას განზრახული აქვს შექმნას სპეციალური „ინსტიტუტი“, რომელიც ერთად მოუყრის თავს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ახალი პროპაგანდისტული დივერსიების შემუშავებასა და განხორციელებას. როგორც ვარაუდობენ, ამ საქმიანობაში ფართოდ ჩაებმება „საზოგადოებრივი“ და „კერძო“ ორგანიზაციები და ფონდები.

აშშ-ის პროპაგანდის გარდაქმნას ხელშეწყობს თვით პრეზიდენტი რეიგანი. ამასთან, იგი უშუალოდ მონაწილეობს მრავალ იდეოლოგიურ აქციაში და ამ აქციების რევისორად გვეკლინება. დაგეგმილია პრეზიდენტის უკველკირებული რადიოგამოსვლები საზღვარგა-



რთვის გადაცემებისათვის, რომელსაც ასისტენტობას გაუწევენ კაბინეტის წამყვანი წევრები, თანაშემწეები, პრესის წარმომადგენლები. ყოველივე ამის შედეგად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრაქტიკულად სისტემატურად მიიღებენ ოფიციალურ პროპაგანდისტულ ინექციებს თეთრი სახლის თვალსაზრისით უკუღაზრდის მითითებით მოვლენებისა და პრობლემების შესახებ.

პოლიტიკისა და იდეოლოგიის მთელ სექტორში წინააღმდეგობრივი ბრძოლა საბჭოთა კავშირთან წარმომადგენის მთავრობის უკელა პროპაგანდისტული დაწესებულებისა და მათთან თანამშრომლობაში მუდმივ ეჭრძოდ დაწესებულებების საქმიანობის მთავარ ქვეყნობედს. მათ კოორდინაციას ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური კომისია, რომელშიც სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლები შედიან. კომისიის მუშაობაში ანტიკომუნისტურ პროგრამას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომლის ძირითადი თეზისებია და მიმართულებანი პრეზიდენტმა რიგვანამ მიმდინარე წლის ზაფხულში ინგლისის პარლამენტში გამოსვლისას ჩამოაყალიბა. ეს სიტუაცია რომელიც უკელა ქვეყნის კომენტატორების მიერ ერთხმად აღიარებული იქნა, როგორც „ცივი ომისა“ და კონფრონტაციის სულისკვეთებით აღსავსე. გლობალური ანტიკომუნისტური „ქვაროსნული ლაშქრობებისაკენ“ მოუწოდებს. ოქტომბერსა და ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში ორ-სამდღიანი დახურული კონფერენციები გაიმართა, რომლის მიზანი „ქვაროსნული ლაშქრობის“ რეალიზაციის კონკრეტული გზების გამოქმენა იყო. ნოემბრის თვის დამლევს აშშ კონგრესის სენატის საგარეო ურთიერთობის საქმეთა კომისიამ მოიხივნა ინფორმაცია საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის საქმიანობის შესახებ, სადაც მოწვეული იყვნენ „აშშ საინფორმაციო სააგენტოს“, საერთაშორისო რადიო-დეფუტებლის საბჭოს (რომელშიც შედიან რადიოგადაცემები „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“) და ახლად შექმნილი რადიოგადაცემის „თავისუფალი ეზბა“ წარმომადგენლები.

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების იდეოლოგიური ბრძოლის არსენალში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს „ფსიქოლოგიურ ომს“. „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოების ე.წ. თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების აზრით, აქ დასაშვებია უკელა საშუალებები და მეთოდები: მდენად, ეს განსაზღვრავს „ომის“ ბერებესაც და მეთოდებსაც. „ფსიქოლოგიური ომის“ ბერბად პირველ რიგში უნდა ჩაითვალოს ანონ-


მური წყაროებიდან ცნობების მიღება, ანტი-სოციალისტური იდემენტების მიერ შექმნილი მოვლენების ვერსიების გავრცელება, წამყვანი ლური განცხადებების გადაცემა და სხვ.

ამჟამად მართა წამყვანი კაიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტურ საუბარო „მუშაობს“ 60-ზე მეტი დიდი რადიოსადგური, რომელთა გადაცემების საერთო მოცულობა დღე-ღამეში 450 რადიოსაათს აღემატება, აქედან 250 საათი სსრ კავშირის ხალხებისადმი განკუთვნილი. „რადიო — ფსიქოლოგიური ომის“ წარმოების პოლიტიკა შემუშავებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის მ. ჩუქასის მიერ: „რადიოპროპაგანდის მეშვეობით გათვითცნობიერებული ადამიანი გაუთვითცნობარებლად უნდა ვაქციოთ — წერს მ. ჩუქასი — ინფორმირებული — დეზინფორმირებულად დარწმუნებული — მერყევად. ადამიანებში კომუნისტური მიზნებისადმი მისწრაფება უნდა აღმოვფხვრაო. საქმის თავდათავი სწორედ ეს არის“.

პოლიტიკისა და იდეოლოგიის მთელ სექტორში წინააღმდეგობრივი ბრძოლა საბჭოთა კავშირთან წარმომადგენის მთავრობის უკელა პროპაგანდისტული დაწესებულებისა და მათთან თანამშრომლობაში მუდმივ ეჭრძოდ დაწესებულებების საქმიანობის მთავარ ქვეყნობედს. მათ კოორდინაციას ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური კომისია, რომელშიც სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლები შედიან. „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოებასა და იდეოლოგიურ დივერსიებზე ამერიკის შეერთებული შტატები წელიწადში სამ მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს.

საინფორმაციო სააგენტოსთან ერთად „ფსიქოლოგიური ომის“ სფეროში მუშაობენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვის სამმართველო, გამოძიების ფედერალური ბიურო, საერთაშორისო რადიოდეფუტებლობის საბჭო. ამერიკის ძირგამომთრებელ ორგანოებთან შეიძლოდ თანამშრომლობის აგრეთვე ნატოს იდეოლოგიური საბჭო. ამ ორგანოების განკარგულებაშია მრავალრიცხოვანი სახელმწიფო და „საზოგადოებრივი“ ორგანიზაცია, ამ ცენტრებიდან უკელაზე გავლენიანი: ამერიკის შეერთებულ შტატებში გუგერის „ომის რევოლუციის და მშვიდობის ინსტიტუტი“, კოლუმბიის უნივერსიტეტის „რუსული ცენტრი“, მაიამის უნივერსიტეტის „საერთაშორისო კვლევის ცენტრი“, გერმანიის

ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემატიკა თანამედროვე მთავარ



ოქტობრული რესპუბლიკაში — „ადამიანთა უფლებების ბიულეტენის“ სისტემა, ინგლისში — სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი.

საბჭოთა კავშირისათვის არის გამოხადებული, ევროპულ, ათობით ბურჟუაზიული რადიკალიზაციის გადაცემები სსრ კავშირის შრავალ ენაზე. ეხება: „ამერიკის ხმა“, ბი-ბი-სი, რომის, კანადის, ისრაელის „თავისუფლება“ და სხვა შრავალი. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ რადიოლოში აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე ამერიკის სამხედრო მანქანის პროპაგანდისტული საშუალებები.

ამავე დროს, ვაშინგტონი თავის პარტნიორებთან ერთად უკვე ამუშავებს იდეოლოგიური ბრძოლის წარმოების ახალ ფორმას, რომელიც ტელეგადაცემებზე იქნება დამყარებული. რეიგანის სიტყვით, ეს იქნება მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელების უველაზე მძლავრი და უტყუარი საშუალება. აშშ-ის კონგრესში უკანასკნელ ხანებში არაერთხელ წამოჭრილა საკითხი კავშირგაბმულობის თანამეგობრობის მეშვეობით საბჭოთა კავშირში პარდაპირი მათუ-უბლებლის ორგანიზაციის შესახებ. ინგლისი, საფრანგეთი და რიგი სხვა დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოები აწარმოებენ სამუშაოს იმისათვის, რომ 1986 წლისათვის გამოუყენებულ იქნას კავშირგაბმულობის მძლავრი თანამეგობრობის სოციალისტურ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებში პარდაპირი სატელევიზიო მათუყუბლობის სისტემის. ამრიგად, უკანასკნელი პროგნოზირების მიხედვით, 1986 წლისათვის ევროპაში მიიღება ტელევიზიის 30-40-მდე სხვადასხვა პროგრამა.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელახალი მობრუნება „ცივი ომის“ უველაზე საშიშელი შეთოლებისაკენ იმის ნათელი სურათითა, რომ მას არ შესწევს უნარი დამაგრებელი პასუხი გასცეს სოციალისტის მშვიდობიან გამოწვევას.

უკველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის გენიალური დასკვნა, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად მხოლოდ ერთ-ერთადერთ სახელმწიფოში, ამასთანავე, განუხატავად ჩვეს პლანეტაზე სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა არსებობის აუცილებლობასა და შესაძლებლობას. მშვიდობიანი თანარსებობის ლენინური პრინციპის რეალიზაციის ობიექტურ საფუძველს სინამდვილეში მსოფლიო ეკონომიური კავშირები წარმოადგენენ. „არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილება, ეს ძალა — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დადგენენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას“ (ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 33, გვ. 170).

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბურ-

ჟუაზიული იდეოლოგია გარკვეული მიმართულებით ცდილობს წარმართოს სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას.

განვიხილოთ ეს მიმართულება პირველი მიმართულებით ახალი თეორიული კონცეფციების წამოყენება.

ორ სისტემას შორის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად მტკიცედ მკვიდრდება სოციალიზმის პოზიციები და უმედოდ ხდება კაპიტალიზმის შესაძლებლობანი. დღეს თითო ბურჟუაზიული იდეოლოგიის თეორეტიკოსებიც დარწმუნდნენ, რომ მათ არ გაჩნიათ ისეთი მოდერნა. როგორც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან, კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ისეთი კონცეფციები შექმნან, რომლებიც დროებით დააკმაყოფილებს კაპიტალისტური საზოგადოების მანიერებით გამოწვეულ უკმაყოფილო მასებს.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიური დიქტანტებში ამაჟამად მარქსიზმის ხელაღებით „უარყოფაზე“, მის „მოძველებულობასა“ და „გამოსუსადეგრობაზე“ არ არის ლაპარაკი. დღეს ისინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სოციალიზმის „გაუმჯობესებაზე“, „ლიბერალიზაციაზე“, „დემოკრატიზაციაზე“. ამიტომ ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს „მეცნიერების“ საშოხელში გამოეყოს და კაპიტალისტური საზოგადოების მანიერება „მეცნიერულად“ შენიღბოს. პრაქტიკულად უნდადაგო გამოდგა „სიუხვის“ თეორია, არავითარა შანსი არ არსებობს „ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“ და მითითი სოციალური და პოლიტიური „ეკონომის“ სტაბილიზაციისა, „სამოქალაქო მშვიდობის“ მცდელობაც არ გამოართლდა. ამაჟამად ბურჟუაზიული თეორეტიკოსთა შორის პირველ ადგილზე სოციალური კონფლიქტების შენიღბების კონცეფციაში „კონფლიქტოლოგიამ“ გადმონაცვლა. მაგრამ როგორც ბურჟუაზიული ფილოსოფოსები და სოციოლოგები წინასწარმეტყველებენ, ამ ნებრბიდანაც არავინა გამოვა. გვიხსენოთ, თუ როგორ ჩაიფუტა 100-70-იანი წლების ბურჟუაზიული თეორეტიკოსების ისეთი კონცეფციები, როგორც იყო „მომხმარებელთა საზოგადოების“, „კონვერგენციის“, „მოდერნიზაციის“, „ინდუსტრიალის“, „ორგანიზებული კაპიტალიზმის“, „დემოკრატიული სოციალიზმის“ და სხვა თეორიები. ბურჟუაზიული პროპაგანდა განსაკუთრებული დაჟინებით ამხინჩებს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, ავრცელებს მთის „სამხედრო სიმძლავრის უველა საერთაშორისო სსრკ-ს აწარა უპირატესობის და აღდენად აშშ-სადმი მოსაღონდელი საშიშროების შესახებ“. ახდენს რა სინამდვილის ფალსიფიცირებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიზანია შენიღბოს იმპერიალიზმის ცდები მომძღვარებული განა-



თავისუფლებული მოძრაობისათვის ჭებირის აღმართვის მიზნით. რათა კვლავ განხორციელოს ლიკალიური ომები, როგორც კონტრრევოლუციის ექსპორტისა და პროგრესული მთავრობების ლიკვიდაციის ერთ-ერთი საშუალება. ხოლო მეორეს მხრივ, დაარღვიოს საბჭოთა კავშირსა და აშშ შორის არსებული პარიტეტი, თვით შეიარაღდეს უახლესი სამხედრო ტექნიკის საფუძველზე, რომ მოეველინოს მსოფლიოს ხალხებს დიქტატის სახით.

იმპერიალიზმის პროპაგანდისტულ კომპანიებს ერთიანი სტრატეგიული მიზანი ამოძრავებთ — შეასუსტოს კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა, შეზღავდოს ახალი წყობის ისტორიული უპირატესობა, შეარყიოს და მოახდინონ რეალური სოციალიზმის დესტაბილიზაცია. დაარღვიონ სოციალური და იდეურ-პოლიტიკური მთლიანობა ძმური სოციალისტური ქვეყნებისა. ხალხთა თანამეგობრობისა.

განვიცილოთ მთლიანად და მასხამ მიმართულია: ბურჟუაზიული და პირველ რიგში აშშ-ის უმარტობა უმარტობის ცხოვრებასთან პრაქტიკულად განვითარებული სოციალიზმის წინსვლის დროს ჩვენს მიმდრკომულ ნაქოვანებათა ფართო პროპაგანდა, რომ ახრთ სოციალისტური საზოგადოებას განვითარების კრიზისი დაახტავოს.

თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების გააზრებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცხოვრების დონის დროებით ამაღლებამ გარკვეული გავლენა მოახდინა აღმართა ფაქტულ ორიენტაციებზე, მათ ფსიქოლოგიაზე, განწყობაზე.


დღეს იდეოლოგიურ ბრძოლაში დიდი ადგილი ცხოვრების რეალური დონის ამაღლების საკითხმა, პოლიტიკურმა და ეროვნულმა პრობლემებმა დაიჭირეს. ამ პირობებში სრულიად არ არის საქმარის მხოლოდ ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ დოქტრინებთან ბრძოლა. ამავე დროს, აუცილებელია ეკონომიკური და პოლიტიკური დონისძიებების განხორციელება ბურჟუაზიული იდეოლოგიის იმ ცდის საწინააღმდეგოდ, რომ კაპიტალიზმი წარმოადგინოს ისეთ სისტემად რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ცხოვრების მაღალ დონეს, მაღალ ხარისხს და პიროვნების თავისუფლებებს. თანამედროვე პირობებში სულ უფრო აუცილებელი ხდება არა მარტო ეკონომიკურ-სოციალური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა, არამედ, აგრძელებით, იდეოლოგიური დონისძიების ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

ერთის მხრივ, ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკური განვითარების თანამედროვე

ეტაპზე მიშენდებულა შეცვლა მშრომელთა ბრძოლის ექსპლუატაციის ფორმები და მიმართულება. თუ ადრე, XIX ს-ის ბოლოს ნახევარ-სახალისო და მძიმე ბურჟუაზია, ექსპლუატაციის ინტენსიურ ფორმებთან ერთად ხშირად მიმართავდა ექსტენსიურ ფორმებს, — საშუალო დღის გაზრდა, ხელფასების შემცირება, ექსპლუატაციის ორბტაში საზოგადოების ახალი ფენებისა და ახალი ქვეყნების შეყვანა, დღეს კაპიტალიზმს არ შეუძლია თავისი ეკონომიკა განავითაროს ძველ მეთოდებზე დაყრდნობით. საქმე იმაშია, რომ ექსპლუატაციის წრის გამოკლდა კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნები. მართალია, იმპერიალიზმი ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკის გატარების მეშვეობით ჯერ კიდევ ახერხებს ყოველი კოლონიური ქვეყნების, რომლებმაც ამაჟამად დამოუკიდებლობა მიიღეს, ექსპლუატაციას, მაგრამ უახლოვს დროს ის იძულებული იქნება დასტოვოს ეს ქვეყნებიც; ამ ქვეყნებში წარმოშობილი ბურჟუაზიის ძალდატანებით; ასეთ პირობებში ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის ლიდერად გვევლინება, ცდილობს რამდენადაც გაახანგრძლივოს ექსპლუატაციის დრო. რის გამოც ქმნის სხვადასხვა სახეობის გაერთიანებებს. მაგრამ, ამავე დროს, იძულებულია არსებობის შენარჩუნებისათვის თავისი ქვეყნის შიგნით საშინაო ბაზრად განვითაროს. ამიტომ მისთვის აუცილებელია მშრომელთა მსხვილდობლით უნარის გარკვეული დონე და აგრეთვე, თავისუფალი დრო, რათა შეძლოს მასობრივი წარმოების საქონლის (ტელევიზორები, მსუუქი ავტომანქანები და ა. შ.) გამოყენება. ასე, რომ ცხოვრების გარკვეული დონის უზრუნველყოფა აუცილებელია კაპიტალისტური ეკონომიკის არსებობისათვის. ამიტომ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების მხოლოდ ერთი გზა დარჩენია — ექსპლუატაციის ინტენსიურ ფორმებზე დაყრდნობა, ზრუნვა შრომისნაყოფიერების ზრდაზე და ამ გზით ქვეყნის შემზავლისა და შემეშავლის უზრუნველყოფა.

მეორეს მხრივ, იდეოლოგიური ბრძოლის მიმართულების შეცვლა განპირობებულია, აგრეთვე, იმ ცვლილებებით, რომლებიც სოციალისტური სისტემის ქვეყნებში ხდება. საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მძლავრი ინდუსტრიული გავლის შემქმნამ შესაძლებელი გახდა მოხმარების საგნების წარმოების გაფართოება და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება. ცხოვრების მაღალი დონე არა მხოლოდ ქმნის მშრომელთა მოთხოვნალებებს დაკმაყოფილების პირობებს, არამედ წარმოშობს

ბრძოლის ლაბარტებას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებში თანამედროვე მტაპზე



ცხოვრების საპრესტიჟო დონეს და ბრძოლას ამ დონის მისაღწევად.

აღმართა ერთი კატეგორია, რომლებსთვის ცხოვრების განსაზღვრული დონის შიშობა იქცა მიზნად, განურჩევლად იმისა, თუ რა საშუალებებით იქნება იგი მიღწეული, გამსჭვალულია ეკრძომესაკუთრული სულისკაბუთებით. კეთილსინდისიერად არ არიან განწყობილნი სოციალისტური ცხოვრების წესის მიმართ. ამიტომ იხინი სოციალიზმს კაპიტალიზმს უპირისპირებენ არა საზოგადოებრივი წყობის, არამედ იმ თვალსაზრისით, თუ რა რაოდენობის და ხარისხის მომხარების საქონლით უზრუნველყოფს ბაზარი ამა თუ იმ საზოგადოებას.

ამრიგად, ცხოვრების დონის ამაღლებამ, თუ მოსახლეობის ფართო მასებში სათანადო პროპაგანდა არ იქნა გაშლილი გონივრული მოთხოვნილებების ჩამოსაყალიბებლად, შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების გარკვეული დონისა და კომფორტის თვითმიზნად გადაქცევა.

ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მოვლენები, ეკრძომესაკუთრული ტენდენციები და წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია წარმოადგენს ბურჟუაზიულ შეხედულებათა ძირითად საყვებ ნიშანს. ბურჟუაზიული პროპაგანდის გავლენის მთავარ ფაქტორს და სოციალისტური იდეოლოგიის წეგავლენის გაძლიერების ხელის შემშლელ ფაქტორს.

ბურჟუაზიული კლიტიკური პროპაგანდა თავისი მიზნის მისაღწევად სხვადასხვა მეთოდს მიმართავს. უპირველესად, აქვს არჩევნების სისტემას სოციალისტურ ქვეყნებში, წარმოაჩენს რა მრავალპარტიულ სისტემას და პარტიებს შორის ბრძოლას, როგორც ამომრჩევლების ნაღვლილი დემოკრატია და თავისუფლების აუცილებელ პირობას. მეორე, ის ცდილობს ჩაუნერგოს ადამიანებს, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეკრძომესაკუთრების ინსტიტუტი იძლევა ინდივიდების თავისუფალ მოქმედებისათვის ფართო სარბილს. მესამე, ის რეკლამას უკეთებს პროფეკციონის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობას წარმოების მართვაში (თუმცა, როდესაც ეკრძომესაკუთრები თავიანთ წარმოებას სურავენ, იზივითად ეთათობებიან პროფკავშირს), მთელ რიგ დაწესებულებათა ზღმძღვანელების არჩევნებში (მაგ. კოლეჯების და სხვ.). მეოთხე, ის მიუთითებს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტების სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობაზე, მეხუთე, ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ მასობრივი ინფორმაციის ბურჟუაზიული საშუალებები იძლევა სიტყვის სრულ თავისუფლებას, რადგანაც ამ ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობენ პარტიები, გამოდიან რა არსებული წყობის წინააღმდეგ და არმდენადაც მათში სჭირად აკრტიკებენ მთავრობის დაწესებულებების და სახელმწიფოს

მეთაურების საქმიანობას, რაც, თითქოს არ შეიძლება სოციალისტურ ქვეყნებში შესაძლებელი ინფორმაციის საშუალებების შესაბამისად.

ასეთი პროპაგანდის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის ჩვენს აზრით აუცილებელია: 1. უპირველესად დამაჭირებლად აიხსნას ხელისუფლების ნაღვლილი შექანის ბურჟუაზიულ ქვეყნებში; ვაჩვენოთ როგორ ხრიკებს მიმართავს ბურჟუაზია არჩევნების დროს.

2. ერთის მხრივ, საჭიროა ვუჩვენოთ, რომ თავისუფალი მეწარმეთა კაპიტალიზმის დროს ზიანს აყენებს მშრომელთა უმრავლესობის ინტერესებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, მეორე მხრივ, საჭიროა გონივრულად ავხსნათ, რომ ჩვენი სახელმწიფო ეკრძომესაწარმოების შექმნას არ უშეშებს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში, წარმოების ორგანიზატორები მოქმედებენ მხოლოდ უკანონო ოპერაციების დახმარებით; მიმართავენ რა ქურდობას, მოსყიდვას და სხვ. რაც შეეხება ეკრძომესაწარმოებას, გარკვეული სტადიებზე და პირობებში სოციალიზმი უშეშებს მას, რასაც მოწმობს მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება. იგივე შეიძლება ითქვას სპეკულაციაზე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა დამაჭირებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ვაჩვენებთ, რა ზიანის მოტანა შეუძლია მოსახლეობისათვის გადაყიდვებობას, რომ სპეკულიანტი მეწარმეებელსა და მომხმარებელს შორის დგას, ამავე დროს, ფრიად საყურადღებოა ისეთი ახალი მანიწი ფორმის სულ უფრო მეტად დამკვიდრება, როგორც არის პროდუქციის ხელოვნური დეფიციტის შექმნის პრობლემა. აქამდე არსებულ მანიწი ფორმებს შორის ეს ყველაზე საშიში ფორმა ვინაიდან სპეკულაცია წარმოიშობა, როგორც ცნობილია, პროდუქციის ნაკლებობის შედეგად.

ჩვენს აზრით, ასევე საჭიროა უფრო დამაჭირებელი გავხადოთ ჩვენი კლიტიკა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებული პროდუქტის გატანის შესახებ, მოვანდინოთ აკრძალვის ღონისძიებების შეტყუმა ეკონომიკურ ღონისძიებებთან (რესპუბლიკიდან გატანილ საქონელზე ბაჟის დაწესება, ბაზრებში ზღვრული ფასების დაწესება, ანდა საკომლმეურნეო ბაზრებში საქონლით ვაჭრობის პროცესი). არ შეიძლება, არ დავინახოთ, რომ ჩვენს საკომლმეურნეო ბაზრებში გაჩნდა საკომლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის ისეთი საშიში მოვლენა, როგორცაა შუამავლობა და ამ შუამავლობა გაერთიანება. რომელიც საკომლმეურნეო ბაზრებში ცალკეული სახის საქონლის ფასების რეგულირებას ახდენს. არ შეიძლება ითქვას, რომ არ ებრძვიან აღნიშნულ მოვლენას, მაგრამ სამწუხაროდ, არც თუ იხე დაეინტერეს, როგორც ეს საჭიროა. მასობრივი ინფორმაციის ჩვენმა საშუალებებმა თამამად უნდა გაუწიონ პროპაგანდა ცხოვ-



რების სოციალისტურ წესს და გააკრიტიკონ უოველივე ის, რაც უცხოა მისთვის.

სოციალიზმთან ბრძოლაში ბურჟუაზიული პროპაგანდა ხშირად ეხება ეროვნულ საკითხსა და ეროვნულ უფიერებებებს. ეს აიხსნება იმით, რომ მარქსიზმი და მეცნიერული კომუნისმი ძირითად მნიშვნელობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპს ანიჭებს და ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს ეროვნული ინტერესები, ეროვნებათა და ეროვნულ-კულტურათა განვითარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპთან შეუთავსებლად წარმოადგინოს. ბურჟუაზიული იდეოლოგია შემოქმედებს მოსახლეობას გარკვეულ ფენებზე სხვადასხვა საშუალებებითა ფილმების მეშვეობით იგი უნერგავს მათ უზრუნველყოფილი ბურჟუაზიული ცხოვრების იდეალებს. ამგვარ შემოქმედებას განიცდიან დახვედრის ქვეყნებში მოხვედრილი ჩვენი ტურისტებიც. ზოგჯერ ჩვენს მაყურებლებს ცულ სამსახურს უწევს ტელევიზიაც, როცა იგი აკმაყოფილებს დახალი გემოვნების მაყურებელთა მოთხოვნებს და უზრუნველს ფილმებს, რომლებსაც კომენტატორებიც ადიარებთ, მხოლოდ კომერციული ღირებულება გააჩნია. ასეთივე მდგომარეობა იქმნება, როდესაც მსმენელებს აცნობენ ჯაზურ მუსიკას. „ეს ესტრადა“ — ამ ტიპის გადაცემები არაა მიზანმიმართული. მათში უარობს „შოუ“, გახართბო ეანჩი, სათანადო სურათებმა არ ეთმობა თანამედროვე ჯაზური მუსიკის იმ მიმართულებებს, რომლებშიც გამოხატულია ბურჟუაზიული ცხოვრების წესითა და ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს ვაგრეთვე გამოიყენოს რელიგიური გრძნობა და რელიგიით მრღერი გატაცება: ამასთანავე ამგვარ პროპაგანდას ხელს უწყობს მოუქნელი ანტირელიგიური პროპაგანდა.

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული იდეოლოგია დღეს ცდილობს პირდაპირი შემოქმედება მოახდინოს ადამიანის შეგნებაზე ამდენად. შემოქმედით ვითარება მოითხოვს თითოეული ადამიანისაგან ზუსტად განსაზღვროს საკუთარი პოზიცია თანამედროვე საზოგადოების განვითარების კონკრეტულ საკითხებში. დღევანდელი კლასობრივი ბრძოლის ეს განსაკუთრებულობა გვეკვლინება მის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციად. იდეოლოგიურ ბრძოლაში დღეს კონკრეტულად უყვამ მონაწილეობს. ეს არ არის მხოლოდ დარგი, რომელიც განიცდის პროპაგანდისტების, ურნალიტების, მეცნიერების, ხელოვნების მუშაების გავლენას. ეს არის სფერო, რომე-

ლიც თითოეული საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვს გამოავლინოს კოლტიკური საქმიანობები. საქონიო თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ჩამოუყალიბდეს იმის მტკიცე შეგნება, რომ რამდენადაც უფრო აქტიურად ვლპირისსპირდებით მტრული იდეების ნებისმიერ გავლენას მით უფრო საქონიო განვამტკიცოთ ჩვენი მსოფლმხედველობრივი, წენობრივი პოზიციები საქონიო პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ თითოეული კომუნისტის, ცალკეული მშრომლის შეგნებაში მარქსისტულ-ლენინური იდეების საფუძველზე მებრძოლი პარტიული თვისებების აღზრდას, აღზრდა, საერთო ფედერაციის ხარისხით, ადამიანზე საზოგადოებრივი შემოქმედების მრავალმხრივი, მრწანდასაბული, სისტემაში მოუვანილი პროცესია იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბოს გარკვეული ტიპის პიროვნება. აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებაში კომუნისტური ხასიათის მატარებელია, რომლის პროცესშიც უალიბდება მეცნიერული მსოფლმხედველობა და მეცნიერული მრწანსი.

კომუნისტური აღზრდის მატერიალურ საფუძველს ადამიანთა საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობა წარმოადგენს. ხოლო კომუნისტური აღზრდის სულიერი, იდეური საფუძველი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაა, რომელიც მეცნიერულად აპირობებს ახალი ადამიანის ჩამოყალიბების აუცილებლობას და შესაძლებლობას. შეიმუშავებს აღზრდის კონკრეტულ პროგრამას მასის კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბება მძიმე და ხანგრძლივი პროცესია. ეს აიხსნება პირველ ყოვლისა ადამიანის სულიერი ბუნების სირთულით, იმით, რომ ასეთი ამოცანა ისტორიაში პირველად უნდა გადაიჭრას, გარდა ამისა, კაპიტალისტური სამყაროს სასტიკი წინააღმდეგობებით. რომელიც მიხსრავის „და კონსერვოს“ ადამიანთა შეგნებაში ძველი წყე ჩვეულებები, გამოაცხადოს მსოფლმხედველური ცურწმენა და არამეცნიერული შეხედულებები. კაპიტალისტური სისტემის გარდუვალი დალუვა არ ნიშნავს, რომ გულდასმუხიდებულნი ვიყოთ იმპერიალიზმის სულიერი ძალა იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც მისი შეუღასებლობა. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ცველაზე საშიში ის იქნება, რომ სათანადოდ არ შევავასოთ მოწინააღმდეგე და დავშვიდდეთ იმით, რომ ჩვენ უფრო ძლიერი ვართ“ (ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 31, გვ. 201).

მაშასადამე, ბურჟუაზიული იდეოლოგიასთან ბრძოლა სტიქიური პროცესი არ არის. ის უნდა იყოს წინააღინ გამოიწვლი იდეოლოგიურ ძალთა ორგანიზაცია.



## რეგაზ თვარაძე

# „გვამს უთვალავი ფარიტა“

„ცისკრის“ რედაქციამ დამავალა სტატიის დაწერა ახალგაზრდული პროზის საკითხებზე.

რედაქცია სათანადო ლიტერატურით შეუღლა ჩემს მომარაგებას — შესაძლოა ყველა ახალგაზრდა პროზაიკოსს ან ამა თუ იმ მათგანის ყოველ ნაწარმოებს არ იცნობდეთ და წიგნებს ჩვენ მოგაწვდითო. ნაწილს მართლაც არ ვიცნობდი. შევუღდე კითხვას. გარდა ამისა, რაკი რედაქციამ თადარიგი დროულად დაიჭირა და წერილი აღრევე დამიკვთა, უამისოდაც საგანგებოდ ვკითხულობდი ახალგაზრდულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს ახალგაზრდა პროზაიკოსებისა. „მნათობისა“ და „ცისკრის“ წინა წლების ნომრებსაც მივებრუნდი, ზოგიერთ კმნილებას პირველად გავცანი, ზოგაც გავიხსენე, ამ ყოფაში გაილია ზამთარი, გაზაფხული, ლამის ზაფხულიც ზედ მიპყვა.

და, აი, აქ წამოიჭრა ერთ-ერთი პირველი „მაგრამ“.

კი მაგრამ-მეთქი, ვფიქრე, უკვე ამდები რამ წავიკითხე და ვკონებ ნახევრამდეც ვერ მიმიყვანია საქმე. როდისღა გავასრულებ ყოველსავე? არადა, რა სინდისმა უნდა მოგცეა, განმაზოგადებელი სტატია ისე დაწერო, ყოველ მათგანს საგულდაგულყოფ არ გავცნო?

იმიტომ, რომ, ჩემის დრმა რწმენით, ამა თუ იმ ლიტერატურული თაობის, ამა თუ იმ მიმართულების, მიმდინარეობის, სამწერლო სკოლის ასავალ-დასავალი უადრესად საინტერესო ჩამ არის, მაგრამ ასეცად უფრო საინტერესოა და საგულდისხმო ყოველი ცალკეული მწერლის (კუმშარტი მწერლის) რაობა და მეობა, მისი მწერლური ინდივიდუალობა, მისი შინაჯანი

სამყარო და ამ სამყაროს მიმართება გარესინამდვილესთან, გამოსახვის მიხეული ხერხები და საშუალებები და ასე შემდეგ.

სწორედ ამას დაუკავშირდა მეორე „მაგრამ“.

კი მაგრამ, აუცილებელია თუ არა უძველესად ერთ ტაფაში მოვაქციოთ ეს ჩინებული პროზაიკოსები, „განზოგადების პროკრუსტის სარეცელზე“ მივაკოვოთ ძალიძალიად?

იმიტომ, რომ მათი უმრავლესობის ნაწარმოებთა კითხვა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა და მათი უმრავლესობის კმნილებები ისეთ მკვეთრ ინდივიდუალობას ამჟღავნებდნენ, საცოდაობა იქნებოდა ამ ინდივიდუალობათა განუყოფად გათქვეფა. სულ რამდენიმე პროზაიკოსი შემხვდა იმაგვარი, რომელთა ნაწერების კითხვისას იმასაც ვახერხებდი, ავტორის სათქმელისთვის გულსისუფრო მიმედევნებინა, და იმასაც, რომ პარალელურად მეფიქრა განმაზოგადებელი სტატიისთვის. მეტწილად მთელი არსებით ვინთქებოდი ნაწარმოებში. მის შემქმნელთან ერთად კელავდი, განვიციდიდი, ვფიქრობდი, ვქუდეობდი, ვიტანჯებოდი, ვხარებდი და, მერეღა, კითხვას რომ დავასრულებდი, გამკრავდა საკმაოდ უსიამოაზრი, რომ ჩემი მოვალეობა, როგორც ითქმის ხოლმე, ეთოტეური ტუბობა კი არ იყო, არამედ (ვაგლახს) ამ მშვენიერ კმნილებებს „დაბალანსება“.

ისე რომ, არ ვიცო, გამოადგება თუ არ გამოადგება „ცისკრის“ რედაქციას ეს ჩემი სტატია, ოღონდ, ჩემი მხრივ, ორსავე შემთხვევაში მაღლიერი ვიქნები რედაქციისა: მისი დაკვეთა რომ არა, მრავალი რომ დამირჩებოდა წაუკითხავი, მრავალი მშვენიერი მოთხრობა, რომელთაც სულიერად გამამდიდრეს უძველესად.





ეს ჩინებული მწერლები, რომელთა „ახალ-გაზრდა პროზაიკოსებად“ სახელდება სახსენიო პირობითი რამ არის, თავისთავადნი არიან, საუთარი სატიკარი და საკუთარი სათქმელი მოქტვ, რითაც თითქმის ყოველი მათგანი გამოირჩევა სხვათაგან. ეს იმთავითვე ცხადი გაიქნა ჩემთვის. სხვათა თვალსაჩინო გახლათ.

საერთო რაღა აქვთ ამ პროზაიკოსებს? სად არის ის უჩინარი ძაფი, რომელზეც ერთად აიხსნებოდა ამდენი განსხვავებული სახელი და ბოლოს „სამოცდაათიანელთა“ თუ „ოთხმოციანელთა“ ცნებას მივიღებდით?

მართალი მოგახსენოთ, არ მწამს მე ამ აწულეულების მიხედვით შემოქმედთა დაჭაფუება. თუკი მწერალი მართლა მწერალია, თუკი დღევრის მისთვის ნიჭი მიუზღვდებია, სხვათა ამქარში ჩაურთცხავადაც შეეგამეცნებს თავის არსებობას, თუ არადა კრიტიკოსთა მიერ შედგენილ ნუსხაში მოხვედრა მაინც ვერაფერს წაადგება — რომელ თაობასაც უნდა მოაქუთვნოს, ამაო იქნება ყოველი. რამდენი სახელი შემოგვრჩა ათიანი და ოციანი წლების აურაცხელი ლიტერატურული დაჭაფუებისგან, სკოლისგან, ზიმიანთაგან? თუნდაც შრავაღანსმენილი „სამოცდაათიანელთა“?

სრულიადეც არ გამოვიცხავ შესაძლებლობას, რომ ვინმე ჩემზე უფრო ალღიანი და საქმეში უფრო ღრმად ჩაბედული მოახერსებდებოდნენ ის საერთო ტენდენცია, შინაგანი მიდრეკილება, რომელთა მიხედვითაც აქ ნაყვლი-სწმევი პროზაიკოსები რაღაცით გამოეყოფილნენ წინამორბედ ლიტერატურულ თაობებს და განსხვავებულ ჭაფუხს შექმნიდნენ. შეუძლიათ გავითხრან, მაგალითად, რომ ერთ-ერთი ამგვარი განმასხვავებელი ნიშნი არისა ადამიანის სულიის სიღრმეთა წვდომის ხარისხი, ან კიდევ — არსებობის ტრავიზმის უფრო გამძაფრებელი შეგრძნება და მისთანაი.

სხვნი რა მოგახსენოთ, მაგრამ მე ამგვარი ნიშნები — წინა თაობებისგან მკვეთრად განსხვავებული — ვერ აღმოვაჩინე. ის, რითაც ცალ-ცალკე ძლიერნი არიან ახალგაზრდა პროზაიკოსები, ჩემის აზრით, გამაერთიანებელ ტენდენციას კი არ მიუთითებს, პირუკუ — განმასხვავებელს, ყოველი მათგანის საუკეთესო მწერლური ოვისებები და ნიშნები მათ მკვეთრად მიჯნავენ ერთმეორისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ: საერთო დადებითი მახასიათებელია არ გააჩნიათ ამ პროზაიკოსებს.

საერთო სხვა რამ აქვთ მათ, ამასთან, უუქველად აქვთ ეს საერთო. ეს გახლავთ ის სისუსტე, ის უარსაყოფი, დასაძლევია ზადი, რაც ვლინდება თითქმის ყოველი მათგანის შემოქმედებაში. შეტ-ნაუღესად, მაგრამ მაინც ვლინდება თუკი ნაჯღლისმევე პროზაიკოსთა „თაობად“ გაერთიანება მოხერხდებოდა, — უფრო ამ ნიშნის მიხედვით.

თავს აღარ შეგაწყენთ იმის ხახახახით, რომ რაც ამ წუთის ვთქვი და რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, შესაძლოა იმდენად სუბიექტური მოჩინდეს, მკითხველებმა არ გაიზიარონ თვალსაზრისი. მაგრამ ისიც შესაძლოა, აქ ქვეშეში ოდენ ჩემთვის კი არა, სხვისთვისაც საგულისხმო აზრებები აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არის შესაძლო, საუბრის წამოსაწყებად გამოდგეს აქ გამოთქმული შეხედულებები.

ასე რომ, ვახსენოთ ღმერთი და შევუღვეოთ საქმეს.

რაცი პირველითგან იყო სიტყვა და მწერლობაც, უჩინარეს ყოვლითაც, სიტყვას უკავშირდება, ჩვენს საუბარზეც ამით დადიოდა.

ქოქურ დავესვთ კითხვა: რომელი ახალგაზრდა მწერლის სტილმა დაგვაშახსოვრა თავი, რომელმა მათგანმა მოახერხა იმგვარად დანთქმულიყო ენის სტიქიონში ჩვენც ჩვეულებიანი? ორს ან სამს თუ დავასახელებთ, იხივდილი გაჭირვებით.

სხვა საკითხია, რომ ზოგიერთნი განზრახ არ ცდილობენ ამის მოხერხებას და მათი ენობრივი პოზიცია წინასწარ არის განსაზღვრული მათივე მწერლური კრებვის მიერ, რაც, თავის მხრივ, კიდევ სხვა საწყისებს ეფუძნება. ამის თაობაზე — ქვემოთ. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის ჩემთვის და შრავაღი ჩემნაირი მკითხველისთვის, ვინც ტრადიციული პროზის ნიშნებზე ადვილადღობ, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსები, ჩვეულებრივ, უგულვებელყოფენ სიტყვის მაგიურ ძალას, ფერადღვნებს, ხატოვანებას, მტავფორულობას, იდიომაურ გამოთქმებს, სინონიმთა ნაირფერობას, ნაერთოდ, ლექსიქობებებს, სიტყვათწარმოების ნიუანსებს, სიტყვათქმადობის შესაძლებლობებს, ქართული ზმნის მღელვარე გამას, ფრაზის განსხვავებულ კონსტრუქციებს, სტილურ ექსპერიმენტებს...

(ამ მხრივ უცნაური, ღამის დაუჩერებელი კონტრასტი იჩენს თავს; რამდენადაც ბოლო აწულეულების თარგმნილი ლიტერატურა — პროზა იქნება თუ პოეზია — ერთიანად დიკუურსა ქართული ენის აურაცხელი შესაძლებლობებით, იმდენად მკვეთრად აღიღეს გვირახალგაზრდა პროზაიკოსებმა უნის გამრტივებისა და ნიველირებისკენ. ეს ცალკე საუბრის თემა.)

სხვათა შორის, აქაც იღებს სათავეს ზოგიერთი ახალგაზრდა პროზაიკოსის მხრივ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისაღმად მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება. დასაბრის-პირებელი და უარსაყოფი სხვაც ბევრი მყავთ. მაგრამ გამსახურდიასეული სტილი ყველაზე მკაფიოდ გამოვლენილი „ამაღიზიანებელი ფაქ-

რეზანე თმარამბი  
„გვაძმს უთმალავი ფირიდა“

ტორია“ თავისი განუმეორებლობითა და ენის სფეროში ძიებებით. ამიტომაც სხვებზე მეტად და სხვებზე ხშირად გამსახურდის პროზის თაობაზე ითქმის ხოლმე — მოძველებულაა (ამის თქმისას მხოლოდ ენას და სტილს არ გულისხმობენ, მაგრამ ესეც ცალკე საუბრის ოქმია.)

აქ იხივ უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ენის გამარტივებისა და ნიველირების ტენდენცია გლობალური მოვლენა უნდა იყოს და ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები განცალკევებით კი არ დგანან, პირუთუ — ეპოქის მაქსიმუმს ეხმიანებიან თითქოს. — ამ საკითხს ძირისძირამდე რომ ჩაკვეთ, შესაძლოა წლობით მოგვიხდეს კამათი. თანადროული მსოფლიო მწერლობის სფეროში ჩემი მოკრძალებული ცოდნის მარაგით ამგვარ კამათში ჩაბმას ვერ ხელუწივებოდი. იმას მოგახსენებთ მხოლოდ, როგორი შეხედულება ჩემოიყალიბდა — მართებული თუ უმართლებული.

ენის, სტილის გაუმრავლებლობა და ნიველირების ტენდენცია ურბანიზმის ეპოქის მოჭყვა. უკეთ რომ ითქვას, ეს ტენდენცია იმ მწერლებშია დაამკვიდრეს, ვინც თავიდანვე მოექცნენ ურბანიზმის ტყვეობაში (ნაცვლად იმისა, რომ ამაღლებულიყვნენ მასზე), ემპირიულ უოვაში დაიბრუნენ და ცხოვრების აჩქარებული რიტმებისთვის ფეხის შეწუბობის მოწადინებებსა სიტყვაკაშმული მწერლობა უურნალისტიკამდე დააქვეითეს (ღმერთო, შეგცოდენ და ერთ-ერთ ამგვარ მწერლად თავად ჰემინგუეიც მისახება. ნურავინ შემაჩვენებს ამის გამო — კაცია და გუნება). ხოლო ამ ტენდენციის საუკეთესოდ გავრცელებას ხელი იმანაც შეუწუო ეტყობა, რომ იგი ჩინებული საფარია ნაკლებ ნიჭიერთა თუ სულაც უნიჭოთათვის: როცა ურბანულეობა თითქმის ერთხარად წერს, როცა სტილი სტილისაგან ვეღარ გამოირჩევა, საქმის არსება. ში გაურკვეველ მკითხველთა ათასები და მილიონები თანაბრად ნთქავენ უოველსავე (ამ შემთხვევაში ზედმიწევნით ანალოგია შინიშინება თავისუფალი ლექსის გავრცელებასთან: დღესდღეობით სპეციალისტის თვალი თუდა გამოირჩევს ამგვარ ლექსებში კერძობრივ ნიჭით მომადლებულ ქმნილებას გრაფომანის ნახელავისაგან).

ამ საკითხებს გულდასმით უნდა ჩაკვირება. სხვას უოველსავე რომც დაეხსნათ, ამას ჭოიხისა და ფოლკნერის გახსენება დავიდასტურებს, იმ მწერლებისა, რომელთა გავლენა სხვებისას დიდად სპარბობს მეოცე საუკუნეში (კერძოდ, ჭოიხი მოდერნიზმის ერთ-ერთი მამამთავარია): ორივეს მკვეთრად ინდივიდუალური დამოკიდებულება მქონდა ენისადმი — სულიერი, მისაღები თუ უარსაყოფი, ორივე მათგანის სტაფი განუმეორებელია, უღარებად თავისთავად.

ოღონდ აქ სხვა რამეც უნდა დავაზუსტო. ცოტათი ზემოთ რომ ითქვა — ენის, სტილის გაუმრავლებობისა და ნიველირების ტენდენცია იმ მწერლებისგან მომდინარეობს, ვინც ურბანიზმის ტყვეობაში მოექცა და სიტყვაკაშმული მწერლობა უურნალისტიკამდე დააქვეითა, ეს საკითხის სწორბაზოვანი, უკეთ — ცალმხრივი გააზრებაა მხოლოდ. აღნიშნულ ტენდენციას სხვა, გაცილებით უფრო ღრმა მიზეზიც ასულდგმულებს, სახელდობრ, ზემოთ გაკვირთ ნახსენები მწერლური კრედო. იმ თვალსაზრისს, იმ მსოფლმხედველობრივ პოზიციას დამყარებული, რომლის თანახმადაც სამყარო, საერთოდ არსებობა, და მასთან კაცის სიცოცხლედ აბსურდია, არარაობა.

ამ სატანური თვალსაზრისის თუნდაც ნაწილობრივი, თუნდაც შორეული გავლენა ქართულ მწერლობაშიც, კერძოდ, ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაშიც რომ არ იგრძნობოდეს, ჩვენი საუბარი ღია კარის შეღწევას დემსგავსებოდა. მაგრამ გავლენა (ვიმეორებ): თუნდაც ნაწილობრივი, თუნდაც შორეული) აშკარად იგრძნობა და ამ საშუაარვევით თვალის დახუჭვა გულდღეობა იქნებოდა, ანდა უარესი — სულმდებლობა.

ვიდრე საკითხის არსებაში ჩაწვდომას შეეცდებოდე, ორიოდ სიტყვა იმის თაობაზე მინდა ვთქვა, რომ ამგვარი გავლენა არც იმდენად საშიშია, თუკი მსოფლმხედველობრივ მრწამსად არ ექცა ბოლოს კაცს. იმიტომ, რომ გარკვეულ ასაკში, აღრეულ სიბაბუქესა ან მომწიფების ხანაშიც კი, ვიდრე აქვს მიადწევდეს პაროკუნება, ამაოების, არარაობის, არსებობის აბსურდულობის განცდა სულის ევოლუციის მიღმივი თანმდევი. აქ იმდენი ფაქტორი მოქმედებს ადამიანზე, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთს დავასახელებ მხოლოდ, იქნებ ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანს — გამოვლენილსა თუ შეფარულ თავმოთნიებას (ნუ ვითაკილებთ — ამ სენით მეტ-ნაკლებად უოველი ჩვენგანია შეტყობილი). რომლის მაცდუნებელი, მრავლისმადმძემლო ზეგავლენა შეუღწევად რამედ გვსახავს ზემოხსენებულ განცდას, ეს განცდა ხანდაზმულობის თუ მიხრწინების ფაშსაც უღვივდებათ ხოლმე ხელახლა, ოღონდ, ჩემი დაკვირვებით, ეს აშბავი უმსოფლმხედველობო, ნაკლებ მონოლითურ პირებს ემართებათ.

ამ განცდის მსოფლმხედველობრივ მრწამსად ჩამოყალიბებას რაც შეეხება, ეს უკვე ერთობ რთული რამ არის და წამოკრილი საკითხის არსებაც აქ იმალება სწორედ.

ვისაც ეს საკითხი სერიოზულად აინტერესებს, მას მართებს უშორეს წარსულს მიბაჟროს მწერა და გამოწვლივით გამოიძიოს, როგორ განიყოფოდა მათოფ-

რი ეპოქის მარშინული და შთლიანი სამყარო ორ ფრთხილდაპირისხარებულ სფერო — მიწიერ და ზეციურ სფეროებად, ანუ მოხერხებული და მარჯვე კართული ტერმინოლოგიით — სოფლად და ზესთასოფლად, როგორც იქნა მიწიულად სოფელი (სამყარო) ამოიხილ და არარაობად ზესთასოფელთან (ღვთაებრივთან) მიმართებით. ასე დაიწყო საკითხის ისტორია.

შემდგომ, ფილოსოფიის აღმავლობის ეპოქაში, საღმრთო პლატონმა ვითარება ამგვარად დააფორმულა: ჰემშარიტ არის, ნამდვილად მყოფი და არსებული თავისი სრული სახით ამ სამყაროში (ხილულ სინამდვილეში, სოფელში) არ იპოვება, ეს სამყარო არსისა და არაარსის ნაწილია, მასში იმდენადევა არის, რამდენადაც — არაარსი (ანუ არარა, არარაობა). ჰემშარიტ, უზღოვარსს რაც შეეხება, მხოლოდ ღვთაებრივია ამგვარი.

ოლონდ პლატონმა ისიც ბრძანა, რომ ეს სამყარო, სოფელი ქაოტური, აბსურდული რამე არა არის, არამედ ჩინებულად მოწყობილია ბუნება და გაწყობილი სინამდვილეა — კოსმოსი, მშვენიერი რამ. ეს ერთი. მეორეც: მართალია, სოფელი ზესთასოფელს იმეცე შეიძლება შეედაროს, როგორც ჩრდილი შეედრება მზის ელვარებას, მაგრამ კაცს მიმადლებული აქვს იმის უნარი, რომ ჩრდილის აღმქმელ შერამნებებს კი არ დასჭერდეს, გონებას მისდიოს და მისი მშვეუბით სწვდეს მზეებარ ელვარე ჰემშარიტ არსს, დაბოლოს, კაცის ნამდვილი სამშობლო სოფელი კი არ არის, სწორედ ზესთასოფელია და სწორედ იქ ბრუნდება გარდაცვალების შემდეგ მისი უკვდავი სული, სოფლიურ არსებობაში გაწვრთნილი და ზესთასოფლისად განმარტებული.

ამგვარად ჩამოუალიბდა, ერთობ უხეშად და გამართებულად რომ ვთქვათ, ჩვენივე საგულისხმო საკითხის არსება პლატონის ნაწარვეში. ეს იყო ფუძემდებლური დებულებები, რომლებსაც მომდევნო ხანაში პრინციპულად ახალი ბერი არაფერი შემატებია.

ერთი სიახლე ის იყო, რომ ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიაში ბოროტება, სატანა გაუივივდა არაარსს, არარაობას, უკეთ — ბრბარსისპან, ბრბარბრბარსპან მისწარმებებს, ხოლო ქრისტიანობის უკელაზე გონებარლუნგ გამოვლინებებში სწორედ სოფელი, სამყარო დაიხსნა არაარსად, ბოროტების სადგურად და სატანურად.

ახლა გულდასმით ჩავუკვირდეთ საქმის ვითარებას. ქრისტიანობის ვრცელი ეპოქის უკეთესი მოაზროვნენი მიიჩნევენ, რომ მართალია, ზესთასოფელთან შედარებით სოფელი ოდენ არჩდილია, მაგრამ ღვთაებრივი სფერო თავისი ზეადმატებული მშვენიერებით იმ ზომამდე გონების წამლები რამ არის, რომ მისი არჩდილიც კი — სოფელი, ეს სამყარო — აგ-

რთვე მშვენიერებით არის მოხილი, იგვიკვირთვალავი ფერითა“. ქრისტიანობის ვრცელი ეპოქის ნაკლები სიღრმით მოაზროვნე მწიფე სოფლის ამ მშვენიერებასა და გონებარლუნგ წყობაზე თვალს იბრმავებდნენ, ამოიხილა და არარაობის ასარაგად სახავდნენ სოფელს, მაგრამ ზესთასოფლის, ღვთაებრივის სახით წარვალვი ნუგეში ევლელბოდათ. ეს ასეა, ხომ? აი, რას უნდა ჩავუკვირდეთ კარგად: ამ მეორე თვალსაზრისს ვინც გაუკვებოდა, მისთვის და მისთა მოდახათვის თუ შთამომავალთათვის საქმარისი იქნებოდა ერთი „მცირე ოპარცია“ — ზესთასოფლის, ღვთაებრივი საუფლოს უარყოფა. „მოხსნა“ (როგორც დღეს ამბობს ხოლმე ზოგიერთი სწავლული) და ხელთ უკელად უნუგეში სურათიდა შერჩებოდათ — მოსაძაგებელი, არარაობად მისჩანევი, აწ უკვე აბსურდული, სამყარო, სიცარიელეა და ამოიხილა დაქანებული სოფელი.

სწორედ ეს მოიპოქმედეს ნიცუმე და მისმა ცოტათი მოგვიანო თანამზარხველებმა. ღმერთი მოკვდაო — გამოაცხადა ამ „ხერხემალგამოფატულმა“ ევროპულმა ფილოსოფოსმა (ვჟა-ფშაველას სიტყვები გახლავთ, ნიცუმეს შესახებ თქმული). ამას რაც მოჰყვა, ვკონებ ვრცელი განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს. ამას მოჰყვა დასავლური ფილოსოფიური აზრის და შემდეგ მთელი კულტურის კრიზისი, რომელიც დღემდე გრძელდება. თუკი განუგებელი და განუკითხავი სამყარო არარაობა და აბსურდი, რაღა ფასი უნდა ჰქონდეს ამ სამყაროში მღოღავი სახლავდე არსების, კაცად სახელდებულის, მოღვაწეობასა და ქმედებას, მის ცხოვრებას, მის აზრებსა და იდეალებს? ასე გაუფასურეს ოდინდელი მაღალი ღირებულება, კულტურის ყველა სფერო (ლიტერატურა, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, ცინო...) უნუგეშო ცინიზმმა მოიცვა და უკვე იგივე „აბსურდის თეორიის“ დაექვემდებარა.

ეს „უკველივი“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, ცხადია. მთელი დასავლური კულტურა ამ ზნით რომ წარმართულიყო განუყოფლად, დღემდე მისგან აღარაფერი დარჩებოდა ეგრეთ წოდებული მანქანური ცივილიზაციის მეტი. მაგრამ დასავლური კულტურის ყველაზე გამოკვეთილი, თვალში საცემი ტენდენცია მარშალავ ამგვარია აგერ უკვე სასურვე შესრულდეს ლამის.

ამ მსოფლმხედველობრივ წანამძღვრებს მოჰყვა წარუვალ ღირებულებათა და იდეალთა (ფილოსოფიურ, ეთიკურ, ზნეობრივ, ცხოვრებისეულ იდეალთა) დასამარტების ცდა, კაცის გაუცხოებული არსებობის, „სღვრულ“ და „აბსურდულ“ სიტუაციათა კულტი, სრული გამო-

რეპეა თმარამე

„გვამკნ უთმავლავი ფერიდა“

უვალობის სულისკვეთება, „ყოველივე ნებადართულია“ უაღრესი ღოღუნებები და მრავალი მსგავსი უკულმართობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ქეშმარიტად უკულმართობა, ეშმაკვალის ბედით სუნთქვა, რამეთუ ამგვარად გავებული მოდერნიზმი ბოროტებაა უძველეს კვლავ ვიტყვი: ეს ჩემი მოსაზრება გახლავთ და არავის ვაბეჭდებ თავს). აქეთვე მიმართული მოდერნიზმი ცინიკურად იქირაილებს ყოველივე იმის გამო, რაც კაცთა მოდგმას წმიდათა წმიდად მაჩინდა და მაჩინა უხსოვარი დროიდან, კაცისკვლის, ძალმომრეობის, ავაჯაკობის, აღვირახსნილობის, გარყვნილების, მრუშობის, სიცრუის, დაღატაკის, უგულვლობის სატიფად შეთხზულ, ჰერეტად სახეულ სურათებს დაგვიხატავს, მამათმავალთა ბინძური უოთის საგულდაგულად გამოშვებულობასაც არ ითაკილებს და შეეცდება საპირფარეოშიც შეიწვიოს მკითხველი თუ მასურბელი...

და ეს ყოველივე მწერლობის, ხელოვნების უკანასკნელ მიღწევებად საღდება ხოლმე.

არ ვიცი, საჭიროა თუ არა იმის განმარტება ვაკადრო მკითხველებს, რომ კაცისკვლაც, ძალმომრეობაც, აღვირახსნილობაც; გარყვნილებაც და სხვანი მისთანანი ოდითგანვე აისახებოდნენ და კვლავც უძველესად აისახებიან მწერალთა თუ ხელოვანთა ქმნილებებში, რომ ზემოთქმული იმას სულაც არ ნიშნავდა, თითქმის მწერლობამ და ხელოვნებამ მჭერა უნდა აარიდონ ცხოვრებაში არსებულ საშინელებათ და „ნეტართა კუნძულების“ მკვიდრნი დაგვიხატონ მხოლოდ.

აქ მთავარია ორი რამ.

ჰერ ერთი, ეს გახლავთ ძველთაგანვე ცნობილი სიბრძნე — ზომიერება ყოველივეში.

მეორე, ყოველ მსგავს შემთხვევაში უძველესად გულდასმით გასარკვევია, რა მიზანს ისახავდა მწერალი თუ ხელოვანი — მოძემთათვის გზის სინდლის გადავილებას (რაც იყო, არის და მარად იქნება ჰეშმარიტი ხელოვნების ერთი უპირველესი მისია), თუ აუღიბორის წინაშე გაბრწყინებას და თავის მოწონებას, რითაც საკუთარი არარობა ინიღბება ხოლმე, აგრეთვე — არსებობის ტრაგიკული ზარდაცემულ სულთა სიმთბობაზე.

პირველი შემთხვევის მაგალითად განზრახ ვახსენებ ბოკაჩოს, აგრეთვე — ბოსხის ქმნილებებს.

მეორე შემთხვევის მაგალითი აურაცხელია დღესდღეობით, მაგრამ ჩემს მხსიერებას ყველაზე ცხოვლად შემორჩა ერთი უცხოელი რეჟისორის ფილმი — „მექანიკური ფორთოხა-ლი“, ჩვენივე დიდად გახმაურებული ამ ჯამდენივე წლის წინ. იმ რეჟისორის გვარი აჯარ მახსოვს და არც მაინტერესებს ფილმის ნახვის შემდეგ. ოღონდ დიდად, დიდად სიმბატომატურ


ამბად მიმაჩნია, რომ ეს საკვებნად განთქმული ხელოვანი ბუნეკრში ცხოვრობს თურმე თავისი ცხრამეტი კატის ძვირფასი საზოგადოებით რემორტემული...

შეტყუბა ხოლმე ამა თუ იმ ქმნილებას, ვისი ნახელავიც არის — სიყვარულით გულანთებულნი ხელოვანისა (როგორადაც იცნობდნენ შემოქმედთ ოდითგანვე), თუ არსებობაზე, სამყაროზე, კაცთა მოდგმაზე ხელჩაქნული გულამოჭმული ეგოისტის ან მიზანთრობის, არმლის სწრაფვა სინტრიველიზს ან არაბარბონისპინ ბრის მიმბრძოლში. ამგვარი მსოფლმხედველობის მქონე (უკეთ — უმსოფლმხედველები) ხალხი ჰეშმარიტად ღირებულს ვერაფერს შექმნის ვერასოდეს. რაგინდ თვალისმომჭრელი და მომხბველელი გვიჩვენებოდეს მათი ნახელავი, უკანასკნელი მოდის მიხედვით გაწყობილი, ვამბოდება ხანი და ვიგრძნობთ მსგავსი ნახელავის მთელ სისაძაგვს და უზადრეკობას, სატანის გამოცარიელებული მჭერა შემოგვეფეთება ერთხანს დაიდებულად შერაცხილი ქმნილებიდან...

ზემოთა მოგახსენეთ: მთელი დასავლური კულტურა ამ გზით არ მიემართება-მეთქი. ამავე მეოცე საუკუნემ წარმოშვა არაერთი ჰეშმარიტად მაღალი და მაღლად მხედი მწერალი თუ ხელოვანი. ზემოხსენებული ტენდენცია, რაგინდ გამოკეთილი და დომინანტურიც უნდა ჩანდეს დღესდღეობით, ოდენ ქაფია მარადიულ გზაზე წარმდინარე კულტურისა, ფერადი და ბრჭყვიალა ქაფი, ზღლის მიპყრობისთანავე ბუშტებად რომ სვდება და სიკარბილის ტოვებს თავის ადგილას. ოღონდ კრიზისული ეპოქებისთვის ნიშნული ის არის სწორედ, რომ უხვად იცის ქაფის მოდება. და ის ადამიანები, რომელთაც მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ საკუთარი, ვისი გონებაც ვაწაფული არ არის არსებობის ზარდამცემ სიმადლესთან მიწვივ შესარწყმელად, ვისაც ნებელობა არ გამოუწვრთნია უხანაო წუთისოფლის, მაის სახიობათა გულშეუძრავად საშერად, დაბოლოს, ვისი სულიც სიყვარულის ცეცხლით კი არ ენთება, არამედ ბუტყავს მხოლოდ, ის ადამიანები იოლად მოქადოვდებიან ხოლმე იმ თვალისმომჭრელად ბრჭყვიალა ქაფის მაცდუნებელი მშვენებით (თუკი შეიძლება მშვენება ეწოდოს იმას, რაც აქ იგულისხმება).

ჰეშმარიტ შემოქმედთ რაც შეეხება, მათი მრწამსი, მათი მსოფლმხედველობის არსება ჩინებულად არის გამოთქმული იმ სიტყვაში, უილიამ ფოლენერმა რომ წარმოთქვა ნობელის პრიზის მიღებისას:

„მწერლობა ყოველივე უნდა განაძოს თავისი სახელოსნოდან, გარდა გულის სიმართლისა, გარდა იმ ძველთაძველი მარადიული ჰეშმარიტებებისა, რომელთა სახელია ღირსება და სიყვარული, სიამაყე და ლმობიერება, თანაგრძნობა და მსხვერპლად მისცლა, და ურბომლობისოლაც ყოველი ნაწარმოები მალევე გასაქრობად განწი-



რული წილადობილია. ამის ქმნამდე მწერლის შრომა მუდამ წუკვლის დალით არის აღბეჭდილი... მე მწამს, რომ ადამიანი, არამცთუ გადარჩება, გაიმარჯვებს კიდევ. კაცი იმიტომ კი არ არის უკვდავი, რომ უოველივე ცოცხალი არსიდან მხოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არა, მედ იმიტომ, რომ სული აქვს მიმადლებული, თანამგრძობი, მსხვერპლად მიმსვლელი და მოთმინე სული. პოეტის, მწერლის ვალია ნიადაგ ამცნობდეს ამ ამბავს მსმენელებს. პოეტს ბოძებული აქვს უდიდესი უფლება — შეეწიოს უკვდავების ძნელ გზაზე მავალ ადამიანს იმით, რომ სული აუმაღლოს, გულოვნება და ღირსება შეახსენოს ხოლმე, იმედი და სიამაყე, თანაგრძობა, ღმობიერება და მსხვერპლად მისვლა; — ის უოველივე, რაც ადამიანის ოდინდელი დიდება იყო. პოეტის ხმა მარტოოდენ ექოდ არ უნდა გაისმოდეს. მას შეუძლია ერთ იმ ბურჯად, იმ ბალავარად იქცეს, ადამიანს გადაარჩინას და გამარჯვებაში რომ შეეწიოს“.

ოღონდ დასავლეთში მცირედნი ფიქრობენ ასე, მაღალნი და რჩეულნი. კულტურის სფეროში ჩაბუდებულ არაკაცთა მეტი ნაწილისთვის მსგავს იდეალებს იგივე ფასი აქვს, რაც სანაგვეზე მოსასროლად გამზადებულ ძველმანებს, რადგან, მათი დაბრძობილი თვალთახედვით, საერთოდაც აღარ არსებობს არავითარი წარუვალი იდეალები, აკი ბრძანა ფოლკნერის რომელიღაც თანამემამულემ — ოცდამეერთე საუკუნის დამდეგისთვის კაცობრიული აზრების, იდეალების, შეხედულებების ოსხმოცი პროცენტის სავსებით შეიცვლება და განახლებდარი გინდაც საფეიქრო ნაწარმი უოფილიუოს საუკუნეთა წიად მოპოვებული აზრები და იდეალები.

აქ აღძრულ საკითხს აურაცხელი ასპექტი აქვს კიდევ. უფრო გამოწვლილვით მისი გამოძიება ამჯერად აღარ მოხერხდება — ამ წერილის ფარგლები ვერ დაიტევს და, ესეც არ იყოს,

ამმინელთა ურნიცა დავალდებიან“. ჩემის ზრით, უმთავრესი სათქმელი ასე თუ იქნება, კვეთა უკვე: ვისაც სურს უმსოფლმსმენლობად, უკომპასოდ არ დარჩეს ცხოვრების ზღვაში, რომელიც „აღძრულ არს ღელითა საშინელითა“, არჩევანიც უნდა მოახდინოს — იმ „ბერბემალგამოფიტული ევროპელი ფილოსოფოსის“ და მისი თანამზრახველების მიერ მონიშნულ გეზს (ანუ უგზოო გზას) მიჰყვება, თუ რუსთაველისას („ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიითა“).

ამგვარი არჩევანის გაკეთება უოველ გონიერ კაცს მართებს, ოღონდ სხვების უწინარეს ეს უნდა მოიმოქმედონ იმათ, ვინც დამოძღვრელნი არიან ათასთა და ათასთა (სულერთია, ითვალისწინებენ თუ არა თავად ამ უმძიმეს მისიას) — მწერლებმა, ხელოვანმა ადამიანებმა. უამისოდ — „ბრძანა ბრძანა თუ წინა უძღვის, რინივე მთხრებლსა შთაცვივიან“.

ამით არ ამოიწურება სათქმელი. უოველი ქვეყნისა და უოველი დროის მწერალი, ხელოვანი, თუნდაც მხოლოდ ხსენებული მისიის გამო, გმირია თავისთავად. მგრაჰ ორკეცი გმირობა მართებთ მცირე ერის შვილად დაბადებულ მწერალთა და ხელოვანთ, რამეთუ, გარდა ხსენებული მისიისა, არსებობის სიღრმეთა და სიმაღლეთა მწვდომელი სულის განუშორებლად თანმხლები დიდი სატიკვიარის გარდა, მათ ნატვრითი აქვთ აგრეთვე ის ვალიც, რომ იერის წულული ანდერე წულულად“, ანუ როგორც გალაკტიონი იტყოდა:

არის ევროპის ზღუდეთა თანა ერთი მცირეზე მცირე ქვეყანა, ქვეყანაც მცირე, ცხოვრებაც მცირე, დაჯეჲ, იტირე, იტირე, ნანა!

ვისაც ფხიველი გონება აქვს, უჭირველად მიხვდება, რამდენ რამეს ტვოვებ აქ უთქმელს. იმიტომ, რომ ესეც ამოიწურავა თემა.





მწერალ ბურბან ბაგუშიძეს ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი ნინო დეპანოიძე.

### „მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“

— ჩვენს მკითხველს უპირველესად ალბათ, ის ინტერესებს თუ რაზე მუშაობთ ამჟამად.

— სიმართლე გითხრათ, იშვიათად შემიმჩნევია ქართული მკითხველის დაინტერესება რომელიმე მწერლის მომავალი გეგმებით. ესეც რომ არ იყოს, გეგმებზე ლაპარაკი არ მიყვარს, რადგან წინასწარ არ ვიცი, შეეძლება თუ არა იმის განხორციელებას, რაც ჩაფიქრებული მაქვს.

— თვლით თუ არა, რომ „ხმა მღალაღებლისა“ ყველაზე მაღლა დგას თქვენს შემოქმედებაში, თუ ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მიგაჩნიათ, რადგან დარწმუნებული ხართ, რომ საუკეთესო წიგნი დასაწერია?

— თითოეული მწერლის შემოქმედება წარმოადგენს ერთ მთლიანობას, სადაც ყოველი ნაწარმოები თავის დანიშნულებას ასრულებს და სხვა ნაწარმოებებთან კავშირში ქმნის ერთ სურათს, მწერლის შინაგან სამყაროს. მე მიმაჩნია, რომ „ხმა მღალაღებლისა“ ჩემი აღრინდელი ნამუშევრების ლოგიკური გაგრძელებაა. ეს არა მგონია ძნელი შესამჩნევი იყოს. შეიძლება ვინმეს ეჩვენება, რომ იგი არა მგავს ჩემს წინა ნაწერებს, მაგრამ ერთი შეხედვით არც ჩემი აღრინდელი რომანები და მოთხრობები მგავს ერთმანეთს. მაგალითად, „ცოდელი“ და „სტუმარი“ ისევე განსხვავებულია ერთმანეთისაგან, როგორც ჩემი ბოლო წიგნისაგან. როგორ გამომდის, არ ვიცი, მაგრამ ყველა ახალ ნაწარმოებში მე ახალ ფორმას ვძებ და ვცდილობ, არ გავიმეორო ის, რაც ერთხელ უკვე გამოიკეთებია. „ხმა მღალაღებლისა“ მინდოდა მატანესათვის დამეხსავებინა რადგან თვითონ ამჟამო მოითხოვდა ამას. ეს არის და ეს.

— რომანი რევოლუციამდელი საქართველოს ცხოვრების ნახევარსაუკუნოვან გზას ასახავს, რამ განაპირობა მისი დაწერა?

— ძნელია იმის თქმა, თუ რამ განაპირობა რომანის დაწერა. ალბათ, შინაგანმა მოთხოვნამ.


ნიღბამ, ბავშვობის შთაბეჭდილებებმა, ჩემი ოჯახის ისტორიამ, ჩემმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, ჩემმა წარმოდგენამ ჩემს სამშობლოზე, მის ბედზე, ისტორიაზე და თავისებურებაზე.

— თქვენი შემოქმედება მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე, მასში იგრძნობა ქართული პროზის უძველესი ტრადიციები: მისი თუნდაც სტილური, ენობრივი მხარე (მხედველობაში მაქვს ქართული ფრაზის უბრალოება და სისადავე). ვინ მიგაჩნიათ ქართულ პროზაში თქვენს წინამორბედად?

— ცურტაველი, მერჩული, საბანისძე, „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, სულხან-საბა, იოანე ბატონიშვილი თავისი „კალმასობით“, XIX საუკუნის მწერლები: ლავრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე, ილია, აკაკი, ვაჟა, აღექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაკვისპირელი, ქოლა ლომთათიძე, ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჭავჭავიძე, კონსტანტინე გამსახურდია. ჩემის აზრით, ესენი არიან ის მწერლები, რომლებიც ჩემი თაობის პროზაიკოსთა წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

— ცნობილია, რომ ლიტერატურა, რამდენაღმე მინც, ვერ აერთიანებს არსებული მოდერლების განმეორებას. რამელი მწერალი თქვენთან უფრო ახლოს, ვისთანაც გრძნობთ, რომ საერთო გაქვთ.

— ძალიან ბევრ მწერალთან მაქვს საერთო, ძალიან ბევრი მწერალი მიყვარს, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ზოგის ერთი რაღაც მომწონს, მეორის სხვა რაღაც და ასე შემდეგ. ასეა ყველა მკითხველი. არსებული მოდერლების განმეორება და რომელიმე მწერალთან სიახლოვის განცდა სხვადასხვა რამ უნდა იყოს, ჩემის აზრით. მოდერლების განმეორება, ალბათ, ფორმას შეეხება. ე. ი. გამოხატვის საშუალებებს, ხოლო რომელიმე მწერალთან სიახლოვის გან-



ცდა, ალბათ, სულიერ კონტაქტს გაუღისხმობს, შეიძლება მწერალი მიინდობდნენ არ მოგწონდეს. მაგრამ მისგან რაღაც ხერხი შეითვისო და პირიქით, შეიძლება ძალიანაც გიყვარდეს მწერალი, მაგრამ მისი წყნის ხერხები და საშუალებები შენთვის სრულიად უცხო და რჩეს. საერთოდ შეუძლებელია მწერალმა არ გაითვალისწინოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ლიტერატურას დაუფარავებია. წერის სტილი და მანერა განუწყვეტელი იცვლება. დღეს ისე აღარ წერენ, როგორც ასი წლის წინათ წერდნენ. იქმნება გამოხატვის ახალი საშუალებები და ფორმები, ლიტერატურის ენა უფრო ლაბილარული გახდა. მრავალსიტყვაობის დღევანდელი მკითხველი ვეღარ ეგუება. ამის გათვალისწინება აუცილებელია. ყოველი ადამიანის და, მათ შორის, მწერლის შინაგანი სამყარო თვითმყოფ და ნახესხებ იდგათა მთლიანობას წარმოადგენს. უანაკ რამეს ვითვისებთ ჩვენ ისე, რომ ზოგჯერ ვერც ვგრძნობთ. რამდენადაც უფრო ძლიერია მწერალი, უფრო მეტად აითვისებს იგი უცხო ელემენტს და გადაამუშავებს, საკუთარი არსების მიხედვით გაითავისებს და გაკეთილშობილებს, თავის თარგზე მოირგებს. ამაშია ნების ძალა.

ჩემთვის ძვირფასი მწერლების და წიგნების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ჩამოვთვალო შეუძლებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მინდა რომელიმე მათგანს, თუნდაც ჩემთვის უკეთესად სამაგალითოს, დავემსგავსო. პირიქით, მე ჩენს საკუთარ შენობას ვაგებ და არავითარი სურვილი არა მაქვს, ეს შენობა რომელიმე სხვა შენობას მავადეს.

— მწერლობის უწმინდესი დანიშნულებაა ხალხის, ერის სამსახური. იგი ჩამოუღია მარადიულ ბრძოლაში, რომელიც ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას ემსახურება. შეუძლია თუ არა ბრძოლა ლიტერატურულ ნაწარმოებს?

— არის ეპოქები, როდესაც ლიტერატურულ ნაწარმოებს შეუძლია ბრძოლა. მაგალითად, ილიას და აკაკის ეპოქა საქართველოში. მაგრამ არის ისეთი ეპოქებიც, როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს თანამედროვეებზე. მაგალითისათვის მოვიყვან გურამიშვილისა და ბაჩათაშვილის შემოქმედებას.

— უახლეს მწერლობაში ნეტად აქტუალური გახდა მითოსური მოვლენების დამკვირვებელი მწერლების მიზრუნება. როგორ უფლებდებიან მათ ესეისა? და სწრაფვა მითოსის გამოყენებისაკენ. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— ამ საკითხში მე კარგად ვერ ვერკვევი და არც მესმის, რაში მდგომარეობს ხსენებული

სწრაფვის უპირატესობა. ალბათ, არის ცდები, მაგრამ მე მგონი, ამ ცდებს კრიტიკა გადაქაჩნებით აფასებს. ზოგჯერ სრულიად ნატივად სადა ნაწარმოებს ისე გააბუნდოვანებენ, რომ რამეებს დასწამებენ ამ ნაწარმოებთა განმხილველნი, რომ პირდაპირ გიყვარს. ჩემი აზრი ამ საკითხზე ეთმობოდა მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრს, გამოქვეყნულს — გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამასწინათ გამოქვეყნებულ წერილში „ღვინა გადაიჩნება“. ზოგიერთი ჩვენს ლიტერატურის თეორეტიკოსის მსჯელობა ამგვარ თემაზე, თავისი პროვინციული პრეტენზიულობით და მენტორული ტონით მართლაც ძალიან ემსგავსება ბატონ ოთარის მიერ მშვენიერი ქართული ენით, მეტად გონებაშხვილურად, მძაფრად და ირონიულად, თან ერთგვარი გულსიტყვილი დახატულ სურათს.

საერთოდ, ჩვენ გვაქვს დიდი მიღრეკილება ყოველივეს გაზვიადებისა და გადაჭარბებისაკენ. თავდაბლობა და ნორმალუბა არ არის ჩვენი ნიშანი; მით უმეტეს, თვითკრიტიკა და თვითორიონა. ამის გამო, ზოგიერთ ჩვენგანს ხშირად ეჩვენება, თითქოს მსოფლიო მოვლენების ცენტრში ვტრიალებთ. მე მგონი, ეს ასე არ არის და ამის ცოდნა აუცილებელია დღევანდელ ვითარებაში. კარგი იქნებოდა, იოლ გამარჯვებებზე უნაყოფო ოცნებას თავს დავანებებდეთ და უფრო სერიოზულად დავეუფოვრდებოდეთ ჩვენს რეალურ მდგომარეობას.

— თანამედროვე მწერლობაში ზედმეტად ხომ არ მომჩრადდა ე. წ. ინტელექტუალური, მოდური, დასავლური მწერლობის გავლენით შექმნილი ნაწარმოებები?

— ინტელექტუალური მწერლობის შექმნას დიდი ინტელექტი და უზარმაზარი ერთდროიანი სპირიტუალობა.

— რაც შეეხება, დასავლური მოდური მწერლობის გავლენას, ამ გავლენაზე რომ ილაპარაკო, ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდე დასავლური ლიტერატურას და ლიტერატურულ ცხოვრებას; ამისათვის აუცილებელია, ფლობდე რამდენიმე უცხო ენას და საკმაო ხანი დაჰყო უცხოეთში. ის თარგმანები, ძირითადად რომლის საშუალებითაც ჩვენი ლიტერატორები იცნობიან დასავლური ლიტერატურას, მხოლოდ ზედაპირულ წარმოდგენას გვიქმნიან მოცემულ საგანზე და ამიტომ ჩვენი მსჯელობაც ამ თემაზე საკმაოდ ზეარღვეა. ზოგიერთ ლიტერატურულ მოვლენას, რომელიც იქ არ მოვლდა ილიას წინათ იყო მოდაში, ჩვენ მხოლოდ ახლავდით, თვით ჩვენში კი მსგავსი მოვლენა მხოლოდ ჩანახახის მდგომარეობაშია. ყოველი-

ნიწო დეკანოვიძე  
„მე ჩემს საკუთარ შენობას ვაგებ“

ვე ეს არ მომღვეს საშუალებას ჩემი თავი და-  
სავლური ნოღური მიმდინარეობების მცოდნედ  
გავსალო და ჩვენს ლიტერატურაზე ამ მოდის  
გავლენაზე ვილაპარაკო.

— რა აზრისა ხართ მცირე ფორმის, ე. წ.  
პოეტური პროზის შესახებ.

— მცირე ფორმის ნაწარმოები და პოეტუ-  
რი პროზა ერთი და იგივე არ არის. ტოლსტოის  
რომანებში მე შემხვედრია ისეთი პოეტური  
მგზნებარებით დაწერილი გვერდები, რომ აღ-  
ტაცებაში მოვუყვანივარ და დღემდე მახსოვს.  
ასეთი ადგილები ბევრია კონსტანტინე გამსა-  
ხურდიას რომანებშიც. შემიძლია ჩამოვთვალო  
ბევრი მცირე ფორმის ნაწარმოები, სადაც პო-  
ეტურობის და პოეზიის ნახაზი არ არის. გარ-  
კვეულ, შესაფერ ადგილზე, გარკვეული გან-  
წყობის გადმოსაცემად პოეტური ხერხების გა-  
მოყენება შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს,  
მაგრამ როცა მთელი ნაწარმოები ამგვარი ხერ-  
ხით არის დაწერილი, ეს უკვე, უზარალოდ, სუს-  
ტი პროზაა.

— თვლიან, რომ უახლეს წლებში, ჩვენთან  
პროზამ საგრძობლად გაუსწრო პოეზიას. ეს  
დროის საზარკვნო სტილის კანონზომიერებაა  
თუ დროებითი მოვლენა. მომავლისთვის რა  
პროგნოზს ივარაუდებთ?

— პროგნოზებისაგან თავს შევიკავებ, მაგ-  
რამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა. კემშარიტად,  
დღევანდელ მკითხველს დღევანდელი სინამ-  
დილის ამსახველი პროზაული ნაწარმოები უფ-  
რო აინტერესებს, ვიდრე პოეტური. ჩემის აზ-  
რით, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ პროზამ  
გაუსწრო პოეზიას, არამედ იმიტომ, რომ ცხოვ-  
რებამ დაჰარგა ის პეივი და მკითხველმა მია-  
ძიტობა (საუკეთესო გაგებით), რაც აუცილებე-  
ლია სამყაროს პოეტური გააზრებისათვის.  
აღარც პოეტები არიან მეოცნებენი, ეგზალტირე-  
ბულნი. ისინი მყარად დგანან მიწაზე. შეიძლე-  
ბა პოეტები ახალ უფრო სრულყოფილ ლექსებს  
წერენ, ვიდრე ასი და თუნდაც ორმოცდაათი  
წლის წინათ წერდნენ, მაგრამ იმ ნაკლებად  
სრულყოფილ ლექსებს გაცილებით მეტი დამ-  
ფახებელი და თაყვანისმცემელი ჰყავდა. ამი-  
ტომაც გაუსწრო პროზამ პოეზიას. მკითხველი  
შეიცვალა. ვამჩნევ ერთ ტენდენციასაც: დღე-  
ვანდელ მკითხველს უფრო აინტერესებს დო-  
კუმენტური და მემორიული ლიტერატურა, ვი-  
დრე მხატვრული პროზა. მაგრამ ეს ვითარებაც  
შეიძლება შეიცვალოს, თუ ამ ვითარებას წარ-  
მომშობი მიზეზები შეიცვლება.

— თქვენი ნაწარმოებებიდან რამდენი  
თქვენთვის ყველაზე ახლობელი?

— ყველა ჩემი ნაწარმოები ჩემთვის  
ჩემთვის, თუმცა ზოგი მეტად მომწონს და  
ზოგი ნაკლებად. სხვანაირად არც შეიძლება.  
მართალია, ტოლსტოი ამბობდა „ანა კარენინა“  
თავი მომამეზარო, მაგრამ ეს მხოლოდ წერის  
პროცესში იყო. არა მგონია, შემდეგში თავისი  
შედეგის მიმართ მას სიახლოვის გრძობა არ  
ჰქონოდა. მწერლის ქმნილებები აუალიბებენ მის-  
ს სულის ბიოგრაფიას და შეუძლებელია მის-  
თვის ახლობლები არ იყვნენ. ისინი არიან მოწ-  
მენი მისი ვნებების, განცდების, შთაბეჭდილე-  
ბების, მისი წარსულის, ყოველივე იმის, რითაც  
მწერალი ოდესღაც ცხოვრობდა. შეიძლება ახლა  
ზოგი რამ უმნიშვნელოდ და გულუბრტყილოდ  
მეჩვენებოდეს, მაგრამ, რას იზამ, საკუთარ  
თავს ვერსად გაექცევი.

— ხშირად ხდება, წაიკითხვ ნაწარმოებს, ხე-  
დავ, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მაინც  
გრჩება უკმარისობის განცდა. ხომ არ გემარ-  
თებათ რაიმე ამის მსგავსი თქვენი აღზრდი-  
ლი ნაწარმოებების გადაკითხვისას?

— თუ ნაწარმოებში ყველაფერი რიგზეა, იქ  
არ უნდა განდევს უკმარისობის გრძობა, მაგ-  
რამ თუ მკითხველს ნაწარმოების მიმართ უკ-  
მარისობის გრძობა უჩნდება, ესე იგი ყველა-  
ფერი რიგზე ვერ არის ამ ნაწარმოებში ამ  
მკითხველისათვის, რადგან არიან მკითხველები,  
რომლებიც კემშარიტ შედეგებს ვერ გაბულო-  
ბენ და მეტად საეჭვო ღირებულების ქმნილე-  
ბებით აღფრთოვანებულნი მოდიან. სულ სხვა  
მწერლის დამოკიდებულება საკუთარი ნაწარმო-  
ების მიმართ. მე მგონი ყველა კემშარიტ  
მწერალს ნაწარმოების დასრულებისას უჩნდება  
ერთგვარი უკმარისობის გრძობა, ეჩვენება,  
რომ შეიძლება უფრო მეტის თქმა, სათქმე-  
ლის უფრო უკეთ გამოხატვა. საერთოდ, მწერ-  
ლის დამოკიდებულება საკუთარი თხზულებე-  
ბის მიმართ ხშირად იცვლება. ასევე ვარ მეც.  
ხან უფრო მეტად მომწონს ჩემი ნაწარმოები, ხან  
უფრო ნაკლებად. ისე კი, დასრულებულ და  
უკვე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე იშვიათად  
ვფიქრობ. ის რაც დამიწერია, მაინცდამაინც  
აღარ მაინტერესებს, თუმცა მათი წარმატება,  
ცხადია, მახარებს.

— თქვენს გამორებს გამძაფრებული აქვთ სა-  
კუთარი თავის კრიტიკულად განსჯის უნარი.  
ისინი თითქოს იტანებოდნენ, რომ აღამაინებოდ  
დაიხადნენ. თითქოს სურთ გაექცნენ იმ უაღბლს,  
რამაც მოქცეულია მათი „ადამიანური მე“. სხვა-  
თა თვალში კი ისინი მისახანნი და სამაგალი-  
თონიც არიან, თუმცა ყველა ამ გამორის ცხოვ-  
რება ტრაგიკულად მთავრდება. ყველანი ეთხო-



ვებთან სიცოცხლეს დიდი დანაწიბითა და ტპი-  
ვილით, არადა, შეიძლება იცოცხლა.

— მე ვყვები ჩემი გმირების ისტორიას, ის-  
ტორია კი თავისთავად არის თვითშემეცნება.  
როცა ჩემი გმირის ისტორიას ვყვები, ამ თვალ-  
საზრისითაც მინატრებს იგი. ადამიანის ტეშ-  
მარტივი თვისებები მაშინ უფრო შეღავნდება,  
როცა იგი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია  
ჩაყენებული. ამაში თავდაპირველად მთავარე-  
ლობაში დამარწმუნა, რომლითაც ოდენივე გა-  
ტაცებული ვიყავი. რაც უფრო მეტად არაბან  
გარემოებანი ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ-  
ნი, მით უფრო მეტადღა შეღავნდება მისი ში-  
ნაგანი ძალა. ამიტომ ადამიანი ჩვეულებრივ  
მდგომარეობაში არც მინატრებს, ამ თვისე-  
შინ მიმართა საინტერესოდ, როცა მის სულში  
ხდება რაღაც განსაკუთრებული ან თვითონ  
არის რაღაც განსაკუთრებულის მოქმედი, აქედან  
გამომდინარე, ჩემს გმირებს ისეთ სიტუაციებში  
ვაყენებ, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო გამ-  
ძაფრებული აქვთ შეგრძნებები, თვითგანსჯის  
უნარი. მე მგონი, ნებისმიერი ისტორია წარმო-  
აჩენს ბედისწერის შემოქმედებას მოვლენებზე.  
შწერლის ვალია შეამჩნიოს ეს შემოქმედება,  
გამოიძიოს და გამოხატოს იგი. მეც ვცდილობ  
გამოვყვეთ ის მიზეზები, რომელზედაც დამო-  
კიდებულია ადამიანის უოფნა-არყოფნა. რაც  
შეიხება იმას, რომ ჩემი გმირები საბოლოოდ  
ეთხოვებიან სიცოცხლეს, ეს იმას ნიშნავს,  
რომ ისტორია მთავრდება, რომელი ადამიანი არ  
ეთხოვება სიცოცხლეს და რომელი ისტორია არ  
არის წარმავალი?

— პერსონაჟთა შერჩევისას უმთავრესად პრო-  
ტოტიპებს ეყრდნობით თუ წარმოსახვას?

— ერთსაც და მეორესაც. მაგრამ როცა რო-  
მელიმე პერსონაჟის შერჩევისას ვიღებ გარკვე-  
ულ პროტოტიპს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზუს-  
ტად, ნატურალისტურად მივყვები რეალურად  
არსებულს. ჩემთვის ეს არის მხოლოდ ამოსა-  
ვლი წერტილი, უკლავფერს მანვც წარმოსახვა  
წყევტს. სინამდვილეში, ამას დიდი მნიშვნელო-  
ბა არა აქვს, ოღონდ ხასიათი გამოვიდეს და-  
მაქრებელი.

— გქონიათ თუ არა შემთხვევა, თქვენს მი-  
ერ წინასწარგანზრახული სიუჟეტით თქვენს პერ-  
სონაჟებს შეეცვალათ?

— რა თქმა უნდა. ასეთი შემთხვევა ყველა  
პერსონაჟს აქვს. ჩანაფიქრს უოველთვის ზუსტად  
ვერ განაზრცივდებ.

— თქვენთვის მკითხველი თანამოსახურბა  
თუ მსმენელი? წერის დროს ხომ არ წარმოგი-  
დგენიათ, რომ იგი გვერდით გიღვათ, დრო და

დრო თავის აზრს გამოთქვამს და ზოგჯერ შეს-  
წორებასაც გაიძულებთ. თუ იგი მოშორებითაა  
და მხოლოდ მშა ნაწარმოებს კითხულებ?

— რა თქმა უნდა, მკითხველი კითხულობს  
მშა ნაწარმოებს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ  
გორ შეიძლება მკითხველი თანამოსახურბი იყოს  
და შესწორებაც კი გაიძულოს. მკითხველმა კი  
არ უნდა მოახვიოს მწერალს თავისი აზრები,  
არამედ — პირიქით. ცხადია, მკითხველი მსმე-  
ნელია და მკითხველია. წერის დროს მე არც  
არასოდეს წარმომიდგენია კონკრეტული მკი-  
თხველი.

— წერისათვის უპირველესია განწყობა. რა  
შემთხვევაში თვლით, რომ მშად ხართ წერის-  
ათვის. უძღვის თუ არა ნაწარმოების დაწერას  
„შავი სამუშაო“. თუ ყველაფერი გზადაგზა,  
თანდათანობით გამოიკვეთება?

— მწერალი წერისთვის მშად არის მაშინ,  
როცა მოვუქრებული აქვს რა უნდა დაწეროს.  
მერე, რა თქმა უნდა, გზადაგზა ზოგი რამ უკ-  
ეთ გამოიკვეთება, ზოგჯერ ეგრეთ წოდებული  
„შავი სამუშაოს“ ჩატარებაც სასურველია, თუ  
ამაში საჭირო მასალების გადათვლიერება  
ივლისსმება.

— ხელოვნების დარგებიდან რომელია თქვე-  
ნისი ყველაზე დიდი სიამოვნების მომნიჭე-  
ბელი?

— განსაკუთრებით მიყვარს ფერწერა. მიყ-  
ვარს მუსიკაც...

— ფოლკნერს ეკუთვნის გამოთქმა, ადამი-  
ანი უკეთესი გახდაო. თქვენი აზრით, რას უნ-  
და ემყარებოდეს დიდი მწერლის ოტიმიზმი?

— წარმოდგენა არა მაქვს, რას ემყარება  
დიდი მწერლის ეს ოტიმიზმი. თუ თვითონ  
ფოლკნერის ნაწერების მიხედვით ვიმსჯელებთ,  
ძალზე საეჭვოა, რომ ადამიანი უკეთესი გახ-  
და. ამ საუკუნეში უკვე მოხდა ორი მსოფლიო  
ომი, საშინლად გამანადგურებელი და მილიონ-  
ობით ადამიანის სიცოცხლის მოშპობი. პატარ-  
პატარა ომები, მსოფლიო თვალსაზრისით და  
არა ამ ომებში მონაწილე ხალხებისათვის, გა-  
ნუწყვეტილედ გრძელდება. ადამიანის საწყმე-  
ლად მოგონილია სხვადასხვა საკონცენტრა-  
ციო ბანაკები და სხვა საშუალებანი. გრძელ-  
დება გამაღებელი შეიარაღება მომავალი მსო-  
ფლიო ომისათვის, რომელსაც შეუძლია დედა-  
მიწის მოშპობა. დღეს კაცობრიობა დაღას მსო-  
ფლიო კატასტროფის წინაშე. ამას არავინ მა-

ნილო დებანოიძე  
„მე ჩემს საპუტარ შენობას ვაბეზ“



ლავს, იმდენად რეალურია ეს ამბავი. ადამიანი არღვევს ეკოლოგიურ თანაფარდობას, ანადგურებს ბიოსფეროს. უოველივე ამის შემდეგ გაუგებარია, როგორ და საიდან გახდა იგი უკეთესი? დიდ პატივს ვცემ ფოლკნერს, როგორც ჩვენს საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, მაგრამ მისი ეს ოპტიმისტური გამონათქვამი სრულიად არ მესმის. ადამიანი არ იცვლება. იგი ისეთივე დარჩა, როგორც იყო ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ დროში. მან ზოგი რამ შეიძინა, მაგრამ ზოგი რამ დაჰკარგა. თუ ვვარაუდებთ, რომ უოველგვარი შეძენა ამავე დროს დაკარგავს არის და უოველგვარი დანაკარგი ამავე დროს შენაძენია, უნდა ვივულოხებოთ, რომ არის უცვლელი დარჩენილა.

— ამას წინათ შურნალ „ციცქარში“ გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის პიესა „იულონი“, რომელსაც თქვენნი ბოლოთქმა ერთვოდა. წერდით, რომ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება მთლიანად არაა გამოქვეყნებული. იქნებ უფრო ვრცელად გვიამბოთ ამ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე?

— გურამ რჩეულიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და ამიტომ მის შემოქმედებას კარგად ვიცნობ. ბევრი რამ დარჩა. მას გამოუქვეყნებელი. ამის დასადასტურებლად თუნდაც პიესა „იულონი“ ივარგებს, რომელიც დაახლოებით ოცდამეათი წლის წინათ არის დაწერილი და მხოლოდ შრლა დაიბეჭდა. მე ეს პიესა უაღრესად დიდმნიშვნელოვან ნაწარმოებად მიმაჩნია და ვფიქრობდი, რომ მისი დაბეჭდვა ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა ლიტერატურულ წრეებში, რომ ლიტერატურის მოღვაწენი დაუყოვნებლივ მიაქცევდნენ მას უურადლებას და გამოეხმაურებოდნენ, გაანალიზებდნენ, სათანადო ადგილს მიუჩენდნენ. ჭრჭერობით იმედები არ გამიმართლდა. ეტყობა, ჩვენს კრიტიკას სულ სხვა რაღაცები აწუხებს... თუმცა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება ისედაც იოლად პოულობს გზას მკითხველთა გულებისაკენ. ეს ნათლად დადასტურა მისი სიკვდილის შემდეგ გასულმა დრომ. იგი დღეს უსაუვარესი მწერალია ჩვენი ახალგაზრდობისა.

გახსად გურამ რჩეულიშვილს ოზნოცდაათი

წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღისათვის განზრახულია მისი წიგნის გამოცემა დაახლოებით ორმოცი თაბახის რაოდენობის წიგნებში, გარდა უკვე ცნობილ ნაწარმოებებისა. თავმოყრილი იქნება მწერლის ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი, უცნობი მოთხრობები. მაგრამ ამ წიგნში ვერ შევა მისი თერთი ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე, დამოუკიდებელი რომანი და დაუმთავრებელი პიესა სურამის ციხის თემაზე, სხვადასხვა ჩანაწერები... უოველივე ეს ძალზე საინტერესო იქნება ლიტერატურის მკვლევართათვის მომავალში. ალბათ, კიდევ ბევრი რამ გამოიცემა, ამჯერად კი ჩვენ უნდა დაველოდოთ გურამ რჩეულიშვილის ახალ წიგნს, რომელიც იქნება უველაზე უფრო სრული აქამდე გამოცემულ მის წიგნთა შორის და რომელსაც გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამზადებს. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დავძინო, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რევისორი ნოდარ მანაგაძე იღებს მხატვრულ ფილმს გურამ რჩეულიშვილის ნაწერების მოტივებზე.

— თვალს თუ ადევნებთ ახალგაზრდების პროზას და ვინ მიგაჩნიათ მათ შორის პერსპექტიულ, საინტერესო მწერლად?

— ხშირად ვკითხულობთ საქმალ საინტერესოდ დაწერილ ნაწარმოებებს, რომელთა ავტორები ჩვენი ახალგაზრდა მწერლები არიან. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანში რომელიმე მათგანი შექმნის ფართო, ეპიურ ტილოს, ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი დროის ამსახველს, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართულ ლიტერატურაში.

— ბოლოს ტრადიციული ფრაზაც — რას უსურვებდით „ციცქარის“ ახალგაზრდა ავტორებს და საერთოდ ჩვენს ახალგაზრდობას?

— ჩვენს ახალგაზრდობას ვუსურვებ უოველგვარ სიკეთეს. მე ძალიან მიყვარს ახალგაზრდები, მინდა ისინი იყვნენ ბედნიერნი, თავისუფალნი, გაბედულნი, სულგრძელნი, მომთმენნი, გამბრენი, გულწრფელნი, პატიოსანნი, ერთი სიტყვით, უველა იმ ღირსებით შემკულნი, რომელიც ამჟენებს ადამიანს.



## რომანტიკული ილუზიებიდან

### რომანტიკულ რეალობაში

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლები განსაკვირვებულად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებით გამოირჩევა. ამ პერიოდის არაჩვეულებრივად მდიდარი, მრავალფეროვანი და ამასთანავე მკვეთრად კონტრასტული ლიტერატურა მწვევე პოლიტიკური, იდეოლოგიური და ესთეტიკური ბრძოლის არენად იქცა.

ახლმა სინამდვილემ სხვადასხვა თაობის შემოქმედთაგან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ესთეტიკური ორიენტაციისა, ერთი დიდი, საერთო ამოცანის გადაჭრა მოითხოვა. ისინი უნდა გარკვეულიყვნენ, გაენალიზებინათ და სწორად აღეჭვათ უდიდესი ისტორიული მოვლენის არსი. რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა არა მარტო სოციალური ყოფა (ეს მასი გარეგნული პიპოსტასი იყო), არამედ თვით ადამიანთა ცნობიერება და მსოფლშეგრძნებაც. რევოლუციით შობილი სიახლე საქართველოში თანდათანობით და შტკიცედ ამკვიდრებოდა. ქართულ მწერლობას უნდა აღემტედა მანამდე არნახული, განუმეორებელი მოვლენები და კოლიზები, ისტორიისა და ცალკეული ადამიანური ბედის საკვირველი დაახლოება. მაგრამ ერთია ეპოქის სინამდვილის დანახვა, მეორეა მისი სწორი მხატვრული ასახვა. ახალი კონცეფციის ადამიანის დამკვიდრება, სწორი პოზიციის არჩევანი იმ მწვევე იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელსაც სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფების წევრები ეწეოდნენ. უჩვეულო აწმყო მწერლებს ეპოქის მართალი სურათების შექმნისაკენ უბიძგებდა. ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა პოლიტიკურ ლიტერატურას, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც კონსტანტინე ლორთქიფანიძე იყო.

მისი შემოქმედებითი გზა პოეზიით დაიწყო. ამ პერიოდის ლექსებში კარგად გამოჩნდა პოეტის იდეური მრწამსი და ახალი სინამდვილისადმი დამოკიდებულება, რომელიც უდავანდებოდა არა მარტო თემატიკით, არამედ იმ პოზიციითაც, რომელზეც ახალგაზრდა მწერალი იდგა.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან კ. ლორთქიფანიძე უმეტესად პროზაულ ნაწარმოებებზე მუშაობს. იმ წლებში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მისწრაფება ანალიზისაკენ, ცხოვრების ყოველმხრივი, მასშტაბური ასახვისაკენ. ახალი ადამიანის ღრმა, ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვა უანრების შეფარდების შეცვლას მოითხოვდა. თუ რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში პოეტური ნაწარმოებები ჭარბობდა, შემდეგ უკვე თანდათანობით დიდ ადგილს იჭერს მხატვრული პროზა. იმ პერიოდის გრანდიოზული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები ვერ „ეტიოდა“ მცირე ფორმის ნაწარმოებებში. იგი უფრო ვრცელ, ეპიკურ ფორმას ითხოვდა. ოცოცდაათიანი წლების რევოლუციური ლიტერატურის (საბჭოთა, ბულგარული, პოლონური, ჩეხური და სხვა ქვეყნების ლიტერატურა — მ. შ.) განვითარებისათვის, განსაკუთრებით რევოლუციური ბრძოლების გმირული თემის ათვისების პროცესში, დამახასიათებელია სწორედ ეს მოძრაობა პოეზიიდან პროზისაკენ (დ. მაჩკოვი). ასეთი იყო საერთო ტენდენცია და, ალბათ, ისეც გახდა ერთი მიწვევაგანი კ. ლორთქიფანიძის „პროზაში მოსვლისა“.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის კარდინალური ცვლილებები მოჰყვა როგორც სოციალ-პოლიტიკურ, ისე მორალურ-ეტიკურ სფეროში. რა თქმა უნდა, ეპოქის მაჭისცემა ნათლად აისახა ნულოვანბანშიც. 20-30-იანი წლები ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც ახალი ადამიანის კონცეფციის დამკვიდრებისათვის გამართული უმძაფრესი ვიდელის ხანა. ამ ბრძოლებში გამარჯვება ერთბაშად არ მოხუდა, მას დრო სჭირდებოდა და შექმნილი ვითარების ღრმა გააზრება.

საქართველოს მწერალთა I ყრილობაზე ვ. ბარნოვმა თქვა: „ჩვენ, მწერლები — სავსებით ვიდებთ რევოლუციას, მაგრამ არის ერთი სიძნელე ის, რომ ჩვენში, მწერლებში, ქერტვრობით დღედილი ხდება, რომ თვითონ მწერლებს რა არა აქვთ გადაამუშავებული თავის გნობაში, თავის არსებობაში. რაც



მოსდა“. ასეთი იყო ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის აზრი, მეორენი ჩრდილში ყოფნას არჩევდნენ და ჩუმად აღვივებდნენ თვალს მოვლენათა განვითარებას, მესამე ნაწილს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, დიდი სურვილი ჰქონდა, აესახა ახალი ყოფა, მაგრამ ოსტატობა და გამოცდილება არ ყოფნიდა, დაცხატა ახალი ადამიანი, ეჩვენებინა მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. „პროლეტარულ მწერლობასაც უძნელდება ახალი ადამიანის ათვისება, ამიტომაც მიიზარება ისიც ზედმეტი ადამიანის ჩვენების გზით“ — წერდა იმ წლებში ბენიტო ბუაჩიძე. ამ ტენდენციამ კ. ლორთქიფანიძის ადრეულ ნაწერებშიც იჩინა თავი (მოთხრობა „ფოტოგრაფი“, რომანი „ხავსი“ და სხვ.). ეს მოვლენა არა მარტო პროლეტარული მწერლობისთვის იყო დამახასიათებელი, იგი ინშენულია იმ პერიოდის ქართული ლიტერატურისთვისაც, მავალიისთვის საქმარისა და ვასახელოთ კ. გამახსურდას შემოქმედება.

ეპოქის სიდიადე და მოვლენათა გრანდიოზულობა ბადებდა არაჩვეულებრივისაკენ სწრაფვას. ყოველი ფაქტი თუ მოვლენა მსოფლიო მასშტაბებით ირომებოდა. იმ პერიოდის სწრაფდაცვალებად ვითარებათა ფიქსაცია დროის მთხოვნა იყო, რომელსაც დაიქვემდებარა მოვლენის შინაგანი ბუნება, ხასიათი და სტრუქტურა. ამან კი ემპირიკა გააბატონა, რაც თავის მხრივ იმდროინდელი მწერლობის (რა თქმა უნდა, არა ყველასთან) „დეპეშურ“ სტილს განაპირობებდა.

ცნობილია, რომ ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედებაში არც თუ იშვიათია სათქმელის დიდ თემებზედ ჩამოყალიბება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მწერლობისთვის ფაქტი, მოვლენა, უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ინტერესის საგანი ხდება. ესა თუ ის თემა წლების მანძილზე არ ასვენებს, აიძულებს კვლავ მიმართოს სხვადასხვა სიბრტყეობა და სხვადასხვა ასპექტით შეხედოს მას, რადგანაც დროს მდინარება ამა თუ იმ მოვლენას, ფაქტს სხვა კუთხითა და სიღრმით წარმოაჩენს და სხვაგვარ შეფასებას აძლევს.


კ. ლორთქიფანიძისათვის ერთი ასეთი დიდი თემა 20-იანი წლების რევოლუციური საქართველოა. წლების შემდეგ, უამოდან უამ, კვლავ უბრუნდება იგი ამ თემას და ქმნის ნაწარმოებებს, სადაც იმდროინდელი ვითარება სულ სხვა მხრიდან არის გაშუქებული. მწერლის შემოქმედების ეს თავისებურება კარგად ჩანს, როცა შევადარებთ 20-იან წლებში დაწერილ „ფოტოგრაფს“, „ხავსს“, „პირველ დღეს“ და ოთხი ათეული წლის შემდეგ შექმნილ მოთხრობებს: „ორთაქლიდ მითევლებს“, „ჩემ პირველ კომკავშირელს“, „სიტყვა იყო ღმერთი“ და სხვ.

კ. ლორთქიფანიძისთან ოციანი წლების თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით არა მარტო ეპოქალურ შექმნილ ნაწარმოებში, იმდროინდელი სურათების მართალი ასახვა, არამედ ახალი, სოციალისტური რეალიზმის მუშანისტური კონცეფციის დამკვიდრებაც და ამ კონცეფციის მტარებელი ადამიანის ჩვენებაც. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა სხვადასხვა დროს შექმნილი ნაწარმოებები: რომანი „ხავსი“ (1927 წ.), მოთხრობები „ჩემი პირველი კომკავშირელი“ (1969 წ.) და „სიტყვა იყო ღმერთი“ (1980 წ.).

ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე წინა პლანზე სხვადასხვა პრობლემებმა და საკითხებმა წამოიჭრა, შესაბამისად სხვადასხვაგვარი იყო ლიტერატურის ამოცანებიც, თუმცა ერთი რამ ყოველთვის ცხადი იყო, ახლის დამკვიდრების საქმეში მწერლობას მუდამ განსაკუთრებული როლი ეცისრებოდა.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საქმეთა ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას მოასწავებდა, რომელიც ვ. ი. ლენინის შეფასებით, არანაკლებ რთული მოვლენა იყო. ვიდრე რევოლუცია და სამოქალაქო ომი. ნების პერიოდი ის დროა, როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა რეოლუციური სინამდვილისა და წევრიბლუტუზიული სტიქიის კონფლიქტი, რომელიც მაშინდელი საზოგადოებრივი და ისტორიკური აზრის ურთაღებების ცენტრში აღმოჩნდა. ნუმა თავისებური გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე, ეკრძოდა, ისეთი მწერლების შემოქმედებაზეც, რომლებიც რევოლუციის მხარეზე იდგნენ. ზოგ მათგანს მოეჩვენა, თითქოს კლასობრივი ბრძოლის ცეცხლი მიხენდა, ყოფითმა, ყოველდღიურმა წერტილმანმა ჩაახშო რევოლუციური იდეალები, ჩათვალეს, რომ დაღვრილმა სისხლმა ტყუილუბრალოდ ჩაიარა. ყოველივე ამან იმდენს გაცურება და გაორება გამოიწვია, რაც აისახა კიდევ მათ შემოქმედებაში. ბენიტო ბუაჩიძის აზრით, ამ რთულ დროს იმ იყო, რომ ზოგერთს „ახა“ აეხს უდებოდა რევოლუციური რომანტიკა, რომელც მათ აღფრთოვანებს და სულბრწყილო წარმოდგენს რევოლუციის განვითარებას რევოლუციის საქმიან ტემპი და მით უმეტეს „ეპური“ სახეცვლილება, უარყოფილ სოქმედებას მათ ენტუზიაზმზე და კვლავ აღფრთოვანებას, ვარდებთან სასარკვევობაში...

ამრიგად, რევოლუციონურათ განწყობილი ფენის ნაწილი ვეღარ ახერხებს ფეხდაფეხ მისდობს რევოლუციის მსვლელობის ვეელა ხვეულებს. ვერ ეგუება ახალი პერიოდის ყოველდღიურ აღმშენებლობას. მას ემსხვრევა რომანტიკული წარმოდგენები და ირკალება უიმედო, სასოწარკვეთილი განწყობილებით.



ნების პერიოდს ეხება კ. ლორთქიფანიძის რო-  
მანი „ხავის“, სადაც აისახა იმდროინდელი ახა-  
ლგაზრდობის ერთ ნაწილში ახალი ეკონომიკუ-  
რი პოლიტიკით გამოწვეული განწყობილებანი.  
იმ პერიოდის ლექსები და პროზა „მძაფრად გა-  
მონატავდა კონკრეტულ-ისტორიული დროის  
ახალგაზრდა მებრძოლი თაობის საერთო რე-  
ვოლუციურ სულისკვეთებას, მის დაუდგრო-  
მელ შემტევ განწყობილებას, მის საერთო  
შრომით პათოსს და ენთუზიაზმს, სწორად გვი-  
ჩვენებდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფე-  
როში მომხდარი რადიკალური ცვლილებების,  
მკვეთრ ზეგავლენას მათი ფსიქიკის განვითა-  
რებაზე, იდეოლოგიური მრწამსისა და მსოფლ-  
მხედველობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ, ამი-  
ვე დროს, ეს გამოხატვა და ჩვენება ყოველთ-  
ვის როდი იყო დაზღვეული შეცდომებისაგან,  
რელიგიონის პრინციპების დარღვევებისაგან, ნა-  
წარმოების იდეურ შინაარსთან მხატვრული  
ფორმის არასრულყოფილად შერწყმის ნიშნე-  
ბისაგან“ (ა. თოფურია).

კ. ლორთქიფანიძის რომანის, „ხავის“ მთა-  
ვარი პერსონაჟი, საგანგებო კომისიის წევრი  
გუგა როგავა ნაკლებად ჰგავს ახალი ცხოვრე-  
ბისათვის მებრძოლ, სიცოცხლით სავსე, მტკი-  
ცე ნებისყოფის ჩეიქსს. იგი უფრო წვრილ-  
ბურჟუაზიული ახალგაზრდობის განწყობილე-  
ბას გამოხატავს. გუგა იმ ახალგაზრდობის წა-  
რმომადგენელია, რომანტიკული მაქსიმალიზმის  
მოთხოვნით რევოლუციის მხარეზე რომ იბრ-  
ძოდნენ. მათ ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით  
უნდოდან ირგვლივ ყველაფრის გარდაქმნა, მა-  
გრამ თანდათანობით თავი იჩინა რეალურ სი-  
ნამდვილესა და მათ მაქსიმალისტურ მოთხო-  
ვნებს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ, რომ-  
ელიც უფრო გაამწვავა ახალმა ეკონომიურმა  
პოლიტიკამ. იგი პარტიის მიერ გატარებული  
აუცილებლობით გამოწვეული დროებითი ღო-  
ნისძიება იყო, რომელიც პროლეტარიატს სა-  
შუალებას აძლევდა ახალი შეტვისათვის ძალა  
შოერობა. მაგრამ იგი გარკვეულ უკანდახე-  
ვასაც მოასწავებდა, რადგანაც ამ პერიოდში  
შესაძრწვედა გააქტიურდნენ ბურჟუაზიული ელემ-  
ენტები. ნების ძნელი გამოცდა გამოდგა რო-  
გავრცე ქვეყნისათვის, ისე იმ ადამიანებისთვის-  
საც, რევოლუციის დროშის ქვეშ რომ იბრძო-  
დნენ. რევოლუციის მდინარებამ ათასობით ადა-  
მიანი ჩაითრია; პროლეტარიატის შეგნებულ სი-  
წილთან ერთად იყვნენ ისინიც, ვისთვისაც  
მთლად ნათელი არ იყო რევოლუციის საბო-  
ლო მიზანი, ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ  
მის მეთოდებსა და ამოცანებზე. რევოლუცია  
უფრო რთული მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე ეს  
მათ ეგონათ. როდესაც ქარიშხალმა გადაიარა  
და იმის საჭიროება დადგა, რომ რევოლუციის  
მონაპოვარი დამკვიდრებულყოფიერ არა ხიშტებითა

და ბომბებით, არამედ წერაქვითა და სახსნიით,  
ახალგაზრდა ჩეიქსი დაიბნა. აქამდე მებრძოლი  
ნათელი იყო მიზანი — ბრძოლა მატრეის წე-  
ნაღმდეგ; ნების დროს კი გუგას შეგნებაში  
ერთმანეთის დაუპირისპირდა რევოლუციური  
საქმისათვის ბრძოლის დიდი ენთუზიაზმი და,  
მისი აზრით, კომპრომისი იმართან, ვისაც ასე  
თავგანებებით ებრძოდა. ცხოვრებაც თით-  
ქოს ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდა. მან  
ვერ გაიგო, რომ ეს კომპრომისი კი არ იყო,  
არამედ ტაქტიკური სვლა. სხვა ფორმა მიიღო  
კლასობრივმა ბრძოლამ, იგი ახლა მეტ ქუეხს,  
მოქნილობასა და სიმტკიცეს ითხოვდა.

„ხავისში“ მთავარი პერსონაჟის სულიერი  
მდგომარეობის დამახულობას განსაზღვრავს  
მისი ხასიათის რომანტიკულობა და რეალურ  
სამყაროსთან შეუსაბამობა. სწორედ ანეთი  
ხალხი დაიბნა ნების პერიოდში, მათ სამუდა-  
მოდ დაკარგულად ჩათვალეს რევოლუციის  
მონაპოვარი, ყოველივე ის, რისთვისაც სისხ-  
ლი დაღვრეს. ეს კი მათი რწმენის შერყევის  
მიზეზი შეიქნა. გუგა ვერ გაერკვა მოვლენებ-  
ში, პარტიის პოლიტიკაში. თანდათანობით ჩა-  
მომორდა ამხანაგებს, თავის საქმეს, მარტო-  
ობისა და დაღლილობის გრძობამ შეიპყრო,  
რომელმაც იგი დანაშაულამდე მიიყვანა.

ნაწარმოებში გუგას სახით დახატულია მერ-  
ყევი ხასიათის გმირი. გაშოშვლებულია მისი  
ნატურის სუსტი ადგილები, რომელიც ქვე-  
ყნის ისტორიის ამ ეტაპზე შექმნილმა ვითარე-  
ბამ გამოავლინა. გუგა როგავას დარბის მიზე-  
ზია მისი პირველი წარმოდგენებისა და სუ-  
რვილების რეალურ სინამდვილესთან შეუსაბა-  
მობა; აგრეთვე ის, რომ მას არ ძალუძს ყო-  
ველგვარ ვითარებაში დაიცვას თავისი იდეალე-  
ბის სიმტკიცე. იგი უფრო დათმობისთვის,  
უკან დახევისთვის არის მზად, ვიდრე ბრძო-  
ლისათვის. გუგას პიროვნების რღვევა და-  
წყო მაშინ, როდესაც მან მერი ქელდაურს  
უთანაგზრო. სულიერად დაცლილი, ამათაში  
ჩაგარდნილი გუგა ყოფილი თავადის გურგენ  
ქელდაურის ქალიშვილის, მერის, სიყვარულში  
ექებს ხსნას. იგი მალულად ათავისუფლებს  
კონტრრევოლუციონერ ქელდაურს და მის ქა-  
ლიშვილთან ერთად შიამი გარბის.

ამ ნაწარმოებში აისახა სოციალური ფსიქო-  
ლოგიის კლასობრივი დიფერენციაცია, რომე-  
ლიც ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას უკავში-  
რდება. ამ დროს განსაკუთრებით მკვეთრად  
გამოჩნდა ის არსებითი განსხვავება, რომელიც  
პროლეტარიატისა და წვრილბურჟუაზიული  
ფენებისა და გამოსულთა შორის არსებობდა. მა-

**მამუკა შალვაძე**

რომანტიკული ილუზიებიდან  
რომანტიკულ რეალუზამდე



შინ როდესაც საკირო იყრ მოთმინება და სიმტკიცე, მეტი პოლიტიკური სიმწიფე და რევოლუციის საქმისადმი ერთგულება გამოამჟღავნეს იმათ, ვინც პროლეტარიატის წრიდან იყო გამოხული. მუშა-ბოლშევიკის შვილი, კომუნისტი ხილვა გუგას უხსნის: „ყოველსაგან აედევნება ჩრდილი, მოვა შუადღე და ჩრდილები გაქრება. უმიზეზოა სევდაც, გაღმობი ჩვენთან მაღაროში, შრომა გაგიტაცებს...“ მაგრამ გუგას მეგობრისა არ ესმის, მას მელანქოლიამ დარია ხელი, გარებულა, ცხოვრება მოსაწყენი და ძალზე წვრილმანი ჩრველი. მას ეგონა, მერის სიყვარული მეორედ შობდა, მაგრამ მოტყუვდა. გატაცებამ გაიარა. გუგა ჩაუკვირდა მეგობრის სიტყვებს, განვლილ გზას და მიხვდა თავისი ცხოვრების უაზრობას. მან მკაცრი განაჩენი გამოუტანა თავის თავს და ქელდაურების მსგავსებას: „ჩვენი შვილი (გუგასა და მერის მიხინჯი შვილი გაუჩნდათ — მ. შ.) ზედმეტი მუწყუა, რომელიც უნდა მოიქვას. ჩვენც ზედმეტნი ვართ, მერი, ჩვენც, რომლებსაც სწულთ თელღი გვაქვს...“ შვილიც ვერ ვმოძებ ჩანსადი, ისე გადაეშენდით!“. სიმბოლურია, რომ კვდება გურგენ ქელდაური, მერი და მისი ნაშვირი. ეს მხოლოდ ფიზიოლოგიური კვლამ არ როდია, ამით მინიშნებულია, რომ ქელდაურებისა და შათი მსგავსების დაღუპვა გარდაუვალია.

გუგა როგავას მსგავსი ტიპები იმდროინდელ საბჭოთა ლიტერატურაში საქმოდ ვაგრელებული იყო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნების პერსონაში ზოგიერთები სოციალური მარტობის გრძნობამ და იმ ამოცანათა გადაწყვეტის შეუძლებლობის წარმოდგენამ შეიპყრო, რომელიც პროლეტარიატს ხვდა წილად. ამან რამდენადმე ისტორიული შეფერხილობა მისცა რომანტიკულ აღმავლობას გმირ-ბოლშევიკთა გარემოში (ე. სკოროსპელოვა). გარებულნი, თავის შესაძლებლობებში დაეკეპული ახალგაზრდა ჩეკისტ სურეიკოვს (ე. ლიბედინსკის „Неделя“) თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი, ა. არსიევის ნაწარმოების („Среда“) ერთ-ერთი პერსონაჟი დერევიცოვი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამოთერებს, ხოლო ა. იაკოვლიცის გმირი ვარასკა ბოკოვი („Повольники“) ყოფილი მემამულის ქალიშვილის სიყვარულს დაღუპვამდე მიჰყავს. გუგა როგავამ კავშირი გაწყვიტა ქელდაურებთან. მართალია ისიც კვდება, მაგრამ ა. იაკოვლიცისა და ა. არსიევის პერსონაჟებისაგან განსხვავებით, გუგა კონტრრევოლუციონერებთან შეტაკებაში საქვეყნო საქმისათვის ბრძოლაში იღუპება.

როგორც ზემოთ ითქვა, გუგა არ არის საბჭოთა ახალგაზრდის ტიპური სახე. გუ-

გას გვერდით მწერალმა შენიშნა ეპოქის მოწინავე აღამიანები. ძველი მუშა-ბოლშევიკის შვილი, კომუნისტი ქელდაური მისი განია, ვისაც არც ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი რევოლუციის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში. იგი ყოველგვარ ვითარებაში მოტივდებდას პარტიის მხარეზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახე ნაწარმოებში მკრთალია, ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ახალგაზრდა მწერალს ჭერ კიდევ არ ყოფიდა გამოცდილება და ოსტატობა, რომ შეეძქნა ახალი აღამიანის ისეთი სახე, როგორც შექვი ვაშაქიძე ან ტარასი ზაზარაძე, ან კიდევ კომკავშირელი ბიჭოია ფურცხვაინიძე.

„ხავისი“ დაღვეული არ არის როგორც სტილისტური, ისე იდეურ-ესთეტიკური ხასიათის ნაკლოვანებისაგან. ეს ნაწილობრივ დროითაც იყო განსაზღვრული. ნაწარმოებში, ეტყობა, თავი იჩინა სამირისპირო რეაქციამ, რომლის მიზეზიც იყო ნების პერიოდში ბურჟუაზიული იდეოლოგიების დროებითი გამოცოცხლება. ახალგაზრდა მწერალი ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი შეეხო კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში იმ პაროვნების დაშლის საკითხს, რომელიც რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო და, ბუნებრივია, ვერ შესძლო პასუხი გაეცა მისთვის (არსებობდა ამის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები). შემდგომში ქვეყნის ისტორიული და პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება დაეხმარა მწერალს გადაეჭრა ადრინდელ მოთხრობებში დასმული პრობლემა. როდესაც ათეული წლების შემდეგ კ. ლორთქიფანიძე კვლავ უბრუნდება თავის ნაწარმოებებს, ან თუნდაც იმავე თემას, იმავე კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას, ამას იგი შეგნებულად აკეთებს, რადგანაც სურს ის დრო და მოვლენები დედანდელი სიმაღლეებიდან დაინახოს და შეაფასოს, წარმოაჩინოს ის კავშირი, რომელიც თანამედროვეობასა და რევოლუციურ წარსულს შორის არსებობს. ძველ ნაწარმოებთან, ან ძველ თემათთან კვლავ მიზარუნება უმეტეს შემთხვევაში არ არის ჩვეულებრივი სტილისტური შესწორება-გადაკეთება, არამედ ამით ხშირად გადმოცემულია ავტორის ახალი კონცეფცია (კონკრეტულად ეს ეხება „ხავისისა“ და „პირადი დედა“ თემაზე მოგვიანებით) შექმნილ ნაწარმოებებს), რომელიც მნიშვნელოვანად აფართოებს თვალსაზრისს მუშაინიშეზე, ცვლის წარმოდგენას აღამიანის დანიშნულებისა და მიზნის შესახებ.

იმისათვის, რომ აღდგენილ იქნას ეპოქის მართალი სურათი, სხვა საშუალებებთან ერთად მწერალი მიმართავს მხატვრულ-დოკუმენტურ თხრობას, მაგალითად, ზოგჯერ ნაწარმოებში ავტობიოგრაფიული ფორმითაა დაწერილი, მითითებულია მოქმედების დრო და ადგილი,



ზოგან მოქმედი პირი თვითონ ავტორია, ხანაც მოხრობების სახით ამბის უშუალო მონაწილეა გამოყვანილი და ა. შ. დოკუმენტალიზმის გაძლიერება თანამედროვე ლიტერატურაში პირდაპირ და მოკიდებულებაშია ხელშეწყობაში ისტორიკოსების პრინციპების გაძლიერებაზე, სურვილზე, ყოველმხრივ და ღრმად იქნას შეცნობილი ისტორიული სიმართლე.

ბიოგრაფიული ელემენტები მოხრობაში „ჩემი პირველი კომკავშირელი“ აღიქმება, როგორც ავტორისა და მისი თაობის, იმ დროის მხატვრული მატარებელი. კ. ლორთქიფანიძისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო მოვლენათა რომანტიკულ-მეროკიული ხედვა, რომელმაც ამ მოხრობაშიც ირინა თავი, სადაც საოცარი სითბოთი და ლირიზმით არის მოხრობილი ბიჭოია ფურცხვანიძესა და მის უმცროს მეგობარ კოწოზე, დიდი შინაგანი სიმართლითა და უშუალოდითა დახატული რევოლუციის მძლავრ მდინარებას აუოლილი ახალგაზრდა კაცის გაცნობები, მისი თავდადება და ენთუზიაზმი მეშურ-გლეხური ინტერესების დასაცავად და მსოფლიო რევოლუციის იდეით გატაცება. მწერალი ცდილობს მიაკვლიოს ყოველივე ამის სათავეს, ცდილობს დაადგინოს, სად და როგორ დაიწყო ბიჭოიასა და მისი მსგავსების პაროვნებად ჩამოყალიბება.

გიმნაზიის გულცივი, კედანტი ზედაშედეგების სახით უმწიფილები ბოროტებაჲ პირისპირ პირველად შეხედნენ, პირველად იწყნეს მისი სიმწარე; სულიერად რომ არ გატყდნენ, სიკეთე უნდა იგრძნონ, რომელიც ბოროტებას დასჯანის. ეს სიკეთეც გამოჩნდა გიმნაზიის საქმისმწარმოებლის, კოტე ჭიჭინაძის სახით. სწორედ ამ სიკეთის შუქი გაუძღვევით შემდეგში წინ ბიჭოიასა და კოწოზს. ამ ნაწარმოებში მთავარი ის რევოლუციური ნათლობაა, რომელსაც ბიჭოია ფურცხვანიძემ თავისი უმცროსი მეგობარი აზიარა.

მოხრობაში ნაჩვენებია 1921 წლის, ძველისა და ახლის გზაგასაყართან მდგარი საქართველოს სურათები. ფსიქოლოგიურად ზუსტად, მართლად არის გადმოცემული ახლისათვის დამახასიათებელი არეულობა და გაურკვეველობა, იმედი და უსასოობა და ამ მტკივნეულ, გაცდართა აღქმა. დაბნეულ და შიშით გულგახსნილ ადამიანთა ფონზე განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ბიჭოიას სახე. მის მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკში ჩანს ქვეყნის ბატონ-პატრონის სიმტკიცე და სილაღე, გადაშვები ენთუზიაზმი და ერთგულება არჩეული იდეალებისადმი. ბიჭოიას სახით ჩვენს ლიტერატურაში შემოიჭრა ახალი, რევოლუციური ეპოქის გმირი, რომელსაც თან უსწავდრო ღოჭანტია და მომავლის საოცარი რწმენა ახ. ახს.


„ჩემი პირველი კომკავშირელი“ ელემენტია,

სადაც ხედვანარევი სიყვარულით არის მოხრობილი იმ, ახლა უკვე საოცრად მარეულ წარსულზე, იმ დროის შესახებ, როდესაც ახალი ცხოვრება იწყებოდა და რომელსაც ტონს აძლევდნენ „ქრაქუნა ტყავისპალტოიანი“ ფურცხვანიძეები; ამ მოხრობაში ბიჭოიას უმეტესად სხვა პირის მეშვეობით ვეცნობით, ამდენად, შტრიხები პორტრეტისათვის გაშუადებულია და გარეგნული, რაც სიღრმისეული წვდომის საშუალებას არ იძლევა. მისი ხასიათის მთელი სიღრმე, მისი პიროვნება გახსნილია მეორე მოხრობაში — „სიტყვა იყო ღმერთი“.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლები ღირებულებათა გადაფასების ეპოქაა. მსოფლმხედველობისა და მისწრაფებების აშკარა კრიზისის ვითარება მეტად ზელსაყრელი გარემოა ადამიანურის ძიებისა და წარმოჩენის თვალსაზრისით. სწორედ ამ ადამიანურის, მისი კრიტიკიკის დადგენის ძიებაა კ. ლორთქიფანიძის მოხრობაში „სიტყვა იყო ღმერთი“, რომლის მთავარი პერსონაჟია მსოფლიო რევოლუციანზე მეოცნებე უმწიფი, ბიჭოია ფურცხვანიძე. ცხოვრებისეული სინამდვილე უფრო მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა. გამოცდილი კომკავშირელი რესპუბლიკის ძველ უბანზე — მილიციაში გააგზავნეს სამუშაოდ. ჩინეთსა და ინდოეთში მეშურ-გლეხური ინტერესების დაცვაზე მეოცნებე ბიჭოიას წითელწუაროს რაიონის მილიციის უფროსად ვხედავთ, რომელიც სიღნაღის მაზრის ტყეებში უჩაღებს დასდევს.

დიდი იყო უფოთი და არეულობა მაშინდელ საქართველოში. გახშირდა ყაჩაღობა. „ტყეში დაძრწოდნენ არა მარტო ძველი, გამოჯანდრული კაცის მკვლელები და მძარცველები, — ამ გადაჯვარებულ ხალხს ახლა მხარში ამოუდგნენ ტახტიდან გადმოყრილი ნაკაცარები“. ტყეში მრავლად იყვნენ აგრეთვე პროვოკაციულ ხმებს აუოლილი გლეხები. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა რევოლუციაზე. ახალი ზელისუფლების მიხვება და ამოცანებზე. გარბოდა ყველა, ვისაც რაიმე, სულ მცირეოდენი საშინაოგებაც კი ელოდა ახალი მთავრობისაგან. ამიტომაც ამ ხალხის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებისა და ნდობის გამოჩნდა იყო საჭირო, რადგან მათ საკმაოდ მყავდათ საეჭვო მრჩევლები და გზა-კვლის ამრევი. ეს ის დრო იყო, როდესაც აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალებს შორის. ეს იყო მკაცრი ლოგის წლები, როდესაც ყოველი

მამუკა უფლებია  
რომანტიკული ილუზიებიდან  
რომანტიკულ რეალობამდე



მოქმედება მკაცრი და კატეგორიულია. ასეთ ვითარებაში, როდესაც ტყეში უჩაღლებს დასდევ, როდესაც პოლიტიკური ბანდიტები თუ სისხლს სამართლის დამნაშავენი ყოველნაირად ცდილობენ ახალგაზრდა ქვეყნის ავტორიტეტი და საფუძველი შეარყიონ, ადვილი შესაძლებელია კაცთმოყვარეობის გრძნობა შესუსტდეს, ნაკლებად ენდო ადამიანს. იმისათვის, რომ მოტყუებული ადამიანი გაარჩიო მტრებისაგან, შეინარჩუნო შენი ზნეობრივი სიმაღლე და ქვეყნის წინაშეც პირნათელი იყო, გარკვეული უნდა იყოს მიზანი, ღრმად უნდა გწამდეს იმ საქმისა, რომელსაც ემსახურები. პუცილებელია მოთმინება და კაცთმოყვარეობა, მთავარია ენდო ადამიანს. დანეუღლ, გაორებულ კაცს საშუალება უნდა მიეცეს, რომ გაერკვეს ქვეშაობრივებაში და გარდაიქმნას. ეს ნდობა რევოლუციის ნდობაა. იმ საქმის ნდობაა, რომლისთვისაც იბრძვი.

ავტორმა ბიჭოია ფურცხვანიძის სახით ისეთი გმირი დაგვიჩაჩა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კომკავშირთან, ახალ სინამდვილესთან. მკითხველი მას კარგად იცნობს მოთხრობიდან „ჩემი პირველი კომკავშირელი“, მაგრამ ეს სახე აქ სულ სხვა კუთხით არის გახსნილი. იგი განსხვავდება შერლის არს მარტო ამ თქმულ შექმნილი ნაწარმოებების გმირებისაგან, არამედ ახალი სიტყვა ადამიანის კონცეფციის განვითარების მიხედვლაც.

20-30-იანი წლების რთული პერიოდიდან დროის მდინარეებზე შემდგმ ზოგი ისეთი რამ წარმოიჩინა, რომელიც მანინ არ ჩანდა. იმ ქარცეცხლიან დღეებში ზოგიერთს კაცთმოყვარეობის გრძნობამ უმტკუნა. ამის ერთი მიზეზი მათი კულტურულ-ზნეობრივი ზრდის შეფერხება იყო, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. რევოლუციისათვის თვდადებულ ადამიანთაგან ზოგიერთი ქვეყნის განვითარების შემდგომ ეტაპზე „რევოლუციის შინაგან მტრად“ იქცა, რადგანაც მათი რიგორიბული, უკვე დოგმატული შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე მათ ბიუროკრატებად, კანონისა და ინსტრუქციების მექანიკურ შემსრულებლებად აქცევდა. ეს გარემოება კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა. კ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში „სიტყვა იყო ღმერთი“ კონფლიქტს ქმნის ბიჭოიასა და ხილნალის მაზრის მილიციის უფროსის ვანო მურადაშვილის ურთიერთობა, ყველაფერი კი ასე დაიწყო: ბანდიტების შესაპყრობად მოხსულმა მილიციელებმა საოცარი სურათი იხილეს: პურის უანახ მკიდა ხუთი შრომასმოყურებელი გლეხი, სწორედ გლეხი და ახა უჩაღდე, რადგან ბიჭოიამ ირწმუნა: „ხელოდან წასულ კაცს ცალი და ნამგალი არ მოეხატება“. ეს აზრი გახდა

მისი მოქმედების განმსაზღვრელი, კაცთმოყვარეობა კარნახობს მილიციის უფროსს, რომ მტრებისაგან გაარჩიოს მოტყუებული კაცები, შეაჩინოს მათში ადამიანური და გადაარჩინოს, თორემ გაცილებით ადვილია ყველა თოფიანს განუჩრეველად შუბლში ტყვია ჰკრა. ბიჭოიამ ალუ მოხსნა და იქაურობას ჩუმად გაეცალა. მას ალღომ არ უმტყუნა და მალე იმას მიაღწია, რომ ის უჩაღები საკუთარი სურვილით მთავრობას ჩაბარდნენ, ვანო მურადაშვილმა კი, ეს გუთანსა და ცეკლს მონატრებული ხალხი სასიკვდილოდ გაიმეტა.

მაზრის მილიციის უფროსსა და ბიჭოიას შორის კონფლიქტის მიზეზია არა მათი იდეალებისა და რწმენის სხვადასხვაობა (იხინი ერთ საქმეს ემსახურებიან), არამედ ამოცანათა გააზრებისა და გადაწყვეტის განსხვავებული გზები. სიძნელეები, შეცდომები ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, იყო, რადგანაც თვითონ ვითარება იყო დრამატული. ქვეყანას ათასი ჭურის მოწინააღმდეგე და ძირის გამოთხრელი ჰყავდა. ახეთ დროს რევოლუციის ერთგული ადამიანის აზრი და გრძნობა, უწინარეს ყოველისა, ორიენტირებული იყო გარეგან მოვლენებზე, რომლებიც, თავის მხრივ, პიროვნების განცდის თუ მოქმედების მოტივად იქცეოდა. რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად სიმტკიცე და თანმიმდევრული ბრძოლა აუცილებელი იყო, მაგრამ არა ყველასა და ყველაფრის მიმართ და არა ყოველნაირი ხერხითა და საშუალებით, შავისაგან თეთრის გასარჩევად საქირო იყო ადამიანურ გრძნობას, კაცთმოყვარეობას და ერტყუნა იმითვის, ვინც ხალხის სახელით მოქმედებდა.

ხილნალის მაზრის მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი თავისი საქმის ერთგული, პრინციპული კაცია. მას გულწრფელად სჯერა რევოლუციისა და მზად არის მსხვერპლად შეეწიროს მის იდეებს. მაგრამ ახალ პირობებში, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნისას, თავი იჩინა ინტელექტუალურმა მოუშნადებლობამ; აღმოჩნდა, რომ მისი სულიერი სამყარო საქმარდ შეზღუდულია. იგი მოკლებულია შემოქმედებითის საწყისს, შემარცხნულმა დანატივმა, „შტამებით“ აზროვნებამ, გაუშართლებელმა კატეგორიულობამ მასში ჩაახშო რეალობის გრძნობა, ხშირად მისი გადაწყვეტილებანი ვიწრო, სწორზაზობრივია. მურადაშვილისათვის ძალიანაა წარმოადგენს სამყაროს გარდაქმნის ერთადერთ გზას. მისთვის სამყარო ორად არის გაყოფილი, სადაც მხოლოდ ორი ფერია — წითელი და თეთრი: „წითლების მხარეზე არა ხარ? მაშ თეთრებისა ყოფილხარ და ტყვია შუბლში! სხვა ვერაფერი გავგასწორებს!“ — ასე ფიქრობს ვანო მურადაშვილი. რანაკვირველია, ეს არ





იყო სწორი პოზიცია, ვერაფრით დაეხმარებოდა ახალი და ძველი გზების გასაყართან დარჩენილ, დამწულ ხალხს; ეს არც სოციალისტური გარდაქმნების დროს წამოჭრილი დაბრკოლებების გადალახვის საუკეთესო საშუალება იყო. ახალი ქვეყნისათვის ბრძოლა ახალი ადამიანური ყოფიერების დაშვიდრებისათვის ბრძოლა იყო და, ამდენად, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რანაირად, რა გზით დამშვიდრდებოდა იგი. ურთულეს სოციალურ კოლიზიათა წიაღში ადამიანების ნდობა იქცა უმთავრეს იარაღად თვისებრივად ახალი სინამდვილის დასამყარებლად. ამიტომ ამ ახლისათვის სულერთი არ იყო მოპოვებული შენარჩუნებისათვის რა საშუალებებით იბრძოდება.

მოთხრობაში ბიჭოია ფურცვანიძის სახით დახატულია მურადაშვილისაგან განსხვავებული პიროვნება. იგი სოციალისტური ჰუმანიზმის მატარებელი, რევოლუციის ერთგული ადამიანია, რომელსაც გულწრფელად სჯერა იმ საქმის სიმართლისა, რომლისთვისაც იბრძვის. მართალია, ბიჭოიას ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, ვიდრე მურადაშვილს, მაგრამ იგი შემოქმედებითად უღებდა მის წინაშე დასმულ ამოცანებს. ბიჭოიას არც ერთ ვითარებაში არ ტოვებს კაცთმოყვარეობის გრძნობა და ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია ახალგაზრდა რესპუბლიკისა და ხალხის წინაშე. მის მოქმედებას თანაბრად კვებავს გრძნობაც და გონებაც. ბიჭოიასა და მურადაშვილს შორის ფარული ბრძოლა ჭეშმარიტად სოციალისტურ და დოგმატურ მსოფლმხედველობათა ბრძოლაა, ბრძოლა ნამდვილ და ცრუ ჰუმანიზმს შორის. ფურცვანიძის ამ ბრძოლაში თავისი მეთოდი აქვს, სამყაროს მართვად დაყოფის, კატეგორიული „კი“ და „არა“, „ძველის“ და „ახლის“, „თერების“ და „წილების“ ნაცვლად ბიჭოია ცდილობს სინამდვილეს სხვადასხვა კუთხიდან შეხედოს, ღრმად გაეკუთვნოს ცხოვრებისეული მოვლენების არსში, ადამიანურ ხასიათებში. მისი აზრით, მსაჭულმა ბეჭი მოაზივნება და გაგება უნდა გამოიჩინოს, მაგჯამ ეს არ ნიშნავს კომპრომის მტრების მიმართ. ეს არის ნდობა ადამიანისადმი, ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული.

„სიტყვა იყო ღმერთი“ — ასე დაასათურა ავტორმა მოთხრობა, რაც შემთხვევითი როლია; ამ სათაურს უადრესად დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ბიჭოიასთვის მიცემული პირობა, სიტყვა არის ღმერთი, სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან მის მიერ მიცემული პირობა, რომელიც შემორჩეულია უჩრდებმა — ზიოლა ნაზლაძემ და მისმა ამაზაგებმა ირწმუნეს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიცე-

მული პირობა იყო. ვანო მურადაშვილს შეეძლო მედებიდან კი გამოდიოდა (დაპატარავებული ბიჭები ვითომ გაქცევის ცდისას უნდა დაეხმოს), რომ შემორჩეულიები მთავრობის სახელით მოატყუეს. ეს უდიდესი მორალურ-პოლიტიკური შედეგმა იყო, რომელსაც ორგანიზარი შედეგი მოჰყვებოდა: საბჭოთა ხელისუფლების კომპრომეტირება ხალხის წინაშე და უაზრო სისხლის ღვრა.

ეს მოთხრობა არ არის იმ პერიოდის ყოველისმომცველი, ფართო ტილო. აქ გაშუქებულია ახალი ქვეყნისათვის უკომპრომისო ბრძოლის ერთი ეპიზოდი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი სიმწიფეები ახლდა სოციალისტურ კანონიერებისა და რევოლუციური მუნიციპლის დამკვიდრებას.

ბიჭოია ფურცვანიძისათვის რევოლუციის საქმისათვის ერთგულება, სიტყვის გაუტყნობა. ჰუმანიზმი არის ადამიანის ქცევის უმაღლესი კრიტერიუმი. ამაშია მისი უპირატესობა მურადაშვილთან შედარებით. სწორედ ეს ადამიანური თვისებები და იდეურ-პოლიტიკური სიმტკიცე განასხვავებს ჭეშმარიტ რევოლუციონერებს გუგა რაგავასა და ვანო მურადაშვილის მგავასთან. ბიჭოიას პოზიცია და ინტერესები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამის მტკიცე რწმენით გაათავისუფლა ის ბიჭები და „რა უფრო მძიმე დანაშაული იყო, ვანო მურადაშვილის ვერაგობა“ თუ ბიჭოიას მოქმედება, ამაზე პასუხი დრომ გასცა, — უველაზე მიუყვარდებლად და სამართლიანმა მსაჭულმა.

კ. ლორთქიფანიძის ადრეული წლების შემოქმედებისათვის დამახასიათებელი რომანტიკული პათოსი, მისი პოეზიისა და პროზაული ნაწარმოებების ტენდენციური მიმართულება იმ პერიოდის თავისებურებებსა და ლიტერატურის ამოცანებს პასუხობდა. ჰუმანიტური პათოსი, ყოფიერული მოვლენების რომანტიკული ხედვა შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდა და მწერლის შემოქმედების ერთ თავისებურებად იქცა.

ისტორიულ მოვლენებში დროის მიერ შეტანილი კორექტივების გათვალისწინებამ, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და მხატვრულმა ოსტატობამ კ. ლორთქიფანიძეს საშუალება მისცა შეექმნა რევოლუციური ეპოქის ნამდვილი სურათი, დაეხატა რევოლუციის თანამედროვე ახალგაზრდის ჭეშმარიტი სახე. სწორედ დიდი სიმართლე, 20-30-იანი წლების მოვლენების მთელი სირთულით და დრამატისმით, შეცდომებითა და ტკივილებით წარმოსახვა განასხვავებს 70-იანი წლების მოთხრობებს 20-იან წლებში შექმნილი ნაწარმოებებისაგან.



## გურამ ყორანაშვილი

# ქართული ეროვნული ხასიათის საკითხისათვის

„თუ კერძო ადამიანის უდიდესი იდეალია სოკრატესებური თვითშეცნობა, მით უმეტეს მთელ ერს, ამ გაცილებით უფრო ღრმასა და რთულ ფსიქოლოგიურ ერთეულს — მართებს თავისი ძალის სიგრძე-სივრცის შეგნება, თავის შემოქმედების ფარგლების ცნობა“.


აკონსტანტინე გამსახურდია.

ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიის წარმოჩენა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მაგრამ დღევანდლამდე კი ამას მაინც ეპიზოდური, არასისტემატური ხასიათი აქვს. უკანასკნელ ხანებში, რამდენიმე ათეული წლის (კ. კაპანელი, გ. ქიქოძე, ს. დანელია) ინტერვალის შემდეგ, ჩვენი აზროვნება კვლავ დაუბრუნდა აღნიშნული საკითხის გაცნობიერებას. მაგრამ ამ პრობლემის კვლევა-ძიება წარმოებს ძირითადად ქართული ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის, მასალაზე და, უფრო ნაკლებად, უცხოელთა მიერ ჩვენი ხალხის დახასიათებაზე დაყრდნობით.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი გეოგრაფიული გარემოს როლი ქართველთა ხასიათის, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების ჩამოყალიბება-შექმნაში. უნდა გავიგოთ თუ რა შთავარი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა ქართულ კულტურას, რომელიც (ეს უკანასკნელი) თავის მხრივ აისახა ჩვენი ხალხის ხასიათშიც. შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სახელმწიფოს, რელიგიის და ა. შ. როლი. ეროვნული ფსიქოლოგიის განვითარებაში, ყოველივე ამას დავუმატებდით, რომ აღნიშნული პრობლემის გაღრმავებული კვლევა-ძიება უნდა მოხდეს მკაცრად მეცნიერულად, მიყრდნობის გარეშე.

ქართველთა ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, არქეტიპი რამდენიმე ათასწლეულის წინათ ჩამოყალიბდა. განსაკუთრებულ ფორმას იგი უქვეყნოდ მიიღებდა წ.წ. ათასი წლის წინათ,

როდესაც მეურნეობის საქმოდ მაღალ საფეხურზე, მესაქონლეობის, თოხური მიწათმოქმედებისა და მელითონეობის საწყისი ფაზის (ენეოლითის) დონეზე საქმოდ ფართო არეალზე გავრცელდა პრაქტოვლთა ერთობა საერთო წარმოშობით, ერთი, ხასიათით, სულიერი შემოქმედებითა და ა. შ. იხვევ რაგორც ბავშვის ხასიათი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზრდილი, მოწიფული, ქარმაგი და ა. შ. ადამიანის ხასიათის შექმნა-ჩამოყალიბებაში, ასეთივე როლი მიეკუთვნება ალბათ ამა თუ იმ ხალხის პირველყოფილების ფაზას მის მომავალ განვითარებაში, რასაკვირველია, ნ. ი. დანილევსკი და ო. შენგლერი ამ მხრივ უთუოდ აკარბებდნენ, მაგრამ რაციონალური მარცვალი ამ მოსაზრებაში უთუოდ არსებობს, რაზედაც მათე უფრო ადრე ყურადღება იქნა გამახვილებული კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ. დაპარაკობდა რა პირველყოფილი, ბუნებრივი ერთობის დაშლაზე, მავის, გეოგრაფიული, ფიზიკური (ანთროპოლოგიური) პირობების შემდეგ კ. მარქსი მიუთითებდა ადამიანთა ბუნებრივ მონაცემებს, ტომის ხასიათს, როგორც ერთ-ერთ მიზეზს ამ ერთობის შენარჩუნებასა თუ დაშლაში. ფრიდრიხ ენგელსი წერდა, რომ არ უნდა გავვივიროდეს, თუ იულიუს კეისრის მიერ მოცემულ გაღების დახასიათებაში გვხვდება რიგი ნიშნებისა, რომელსაც გიარალდი (XII საუკუნის ირლანდიელი ისტორიკოსი) კვლავ აღმოაჩინს ირლანდიელებში და რომლებსაც ჩვენ ახლაც კი ვნახულობთ ირლანდიელების ეროვნულ ხასიათში, მიუხედავად გერმანული სისხლის შერევისა.



უკვე ჩვენი პირველყოფილობის ისტორიის მანძილზე, ქართველთა წინარების ხასიათის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც ყველა ხალხის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს თამაშობდა გარემოცველი გეოგრაფიული გარემო. უკანასკნელის მრავალფეროვნება-დიფერენცირებული პირობები, მოსაშინაურებლად ვარგისი ცხოველთა სახეებითა და მოსაშენებლად გამოყენებელი პურეულის, მოსტველულის, ხეხილისა და ვაჭის სახეებით, მრავალფეროვანი წიაღისეულით (ქვის სახეობანი, სხვადასხვა ლითონის მადნეული, საშენი მასალები) და სხვ. ობიექტურად სათანადო საფუძველს ქმნიდა ხალხის ნაწარმოო ჩვევებისა და გამოცდილებების, მოთხოვნილებების გამოვლენისათვის. ამ ბაზაზე ჩვენი წინარების ხასიათი დინამიკური, მოძრავი და გერგოლიანი გახდა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა კლიმატური პირობებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სულაც არ გამომდინარეობს ის, თითქმის ჩვენი ბუნება ადამიანს თითქმის შრომის გარეშე ამღვდეს ყველაფერს, როგორც ეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოუდგენია, ანდა როგორც ეს მნიშვნელოვანწილად ხდება ტროპიკულ ზონაში. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ვითარება ამ მხრივ ბევრად უფრო სხვაანაირი იყო. (იგი, როგორც ეს უწინაშეა, აისახა სიტყვა („ქირახალში“)).

ირიგაციის ზედმეტობამ (დასავლეთ საქართველოში) ანდა შედარებით მცირე ზომებით არსებობამ (აღმოსავლეთ საქართველოში), ინტენსიურმა კულტურებმა განაპირობეს წარმოების ინდივიდუალიზაცია, მიწაზე კერძო საკუთრების თვალსაჩინოდ განვითარება. ამის შედეგად ჩვენში შრომითი კოოპერაციის როლიც ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთის მშრალი ჰავის მქონე ქვეყნებში. იგი (კოოპერაცია) მცირე მასშტაბს თუ ღებულობდა (ნადი, მამითადი, გუთნეულით ხვნისას). ერთი სიტყვით, ბუნებრივი საფუძველი საქართველოში ისეთი იყო, რომ მას გვიანდელ ფაზაზე შეეძლო კაპიტალიზმის განვითარება ადგილობრივ ნიადაგზე. მაგრამ ამას ხელი შეუშალა სხვა, გარე ისტორიულმა გარემოებებმა.


კერძო საკუთრების ფართოდ გავრცელებამ ხელი შეუწყო ინდივიდუალიზმის შედარებით მაღალ განვითარებასაც საქართველოში. მართალია, ამ უკანასკნელ მოვლენას ჩვენში ისეთი მაღალი დონისათვის არ მიუღწევია, როგორც ამას ჰქონდა ადგილი დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ საქართველოში ბურჟუაზიული ცივილიზაცია დამოუკიდებლად ვერ ჩაისახა და მნიშვნელოვნად ვერ განვითარდა. ჩვენი ინდივიდუალიზმი

პროდუქტი იყო ძირითადად ფეოდალური ფორმაციისა. მაგრამ თუ მეორეს მხრეა აღმოსავლეთის (აზიის) მივიღებთ მხედრობაში, ამ შემთხვევაში ქართულ საზოგადოებაში უპირატესობა აქვს. ამაში კი, როგორც ვამბობდით, ჩვენს ბუნებრივ პირობებსაც მიუძღვის თავისი როლი. სწორი იყო ნიკოლოზი თქვიანიძე, როცა ამბობდა: „იმერეთში რამდენი კორტოხა, იმდენი ბატონია“. (მწერალი კი „ბატონში“ გლეხებსაც გულისხმობდა). მეტაკულად იგივე ითქმის მთელი საქართველოს მიმართ.

ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა ახალი ტიპის ადამიანის განვითარებაში კაპიტალიზმის განვითარებამ ამ ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში. ეს კი დაკავშირებული იყო მრეწველობისა და ვაჭრობის პროგრესთან, ე. ი. იმ ეკონომიკური დარგების განვითარებასთან, რომელთაღმე დამოკიდებულება ქართულ ტრადიციულ ფეოდალურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მის პირველ ფაზაში, ნეგატიური იყო. ის, რაც ამ მხრივ „ფეხისტყალასანი“ აისახა, საქართველოში უცვლელი დარჩა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე. მეურნეობის აღნიშნულ დარგებს ჩვენში ძირითადად ავითარებდნენ სხვა ხალხების წარმომადგენლები, რომელთა შორისაც ქართველები მცირერიცობაა ფენას შეადგენდნენ. რამდენადაც ჩვენში მესამე წილად, „მოქალაქეთა“ ფენა ვერ გაფორმდა საზოგადოების მნიშვნელოვან დამოუკიდებელ სტრატად, ამდენად მისი სოციალური ფსიქოლოგიაც ვერ ჩამოყალიბდა გამოკვეთილად. შესაბამისად, პოტენციური მესამე წილების ფსიქოლოგია, როგორც ასეთი, ვერ იქნა გაცნობიერებული საზოგადოების მიერ. კიდევ მეტი. ხელოვნათა ქართული ნაწ. — უარჩხებლები თავიანთი ფსიქოლოგიით ფეოდალური რჩეობა, მისი სოციალური იდეალები გაბატონებული ფეოდალური იდეოლოგიადან გამომდინარეობდა. ყოველივე ამის შედეგად მოხდა, რომ სიტყვა „ბიურგერის“, „მეშჩინის“ ეკვივალენტი ქართულ ენაზე არ არსებობს და იგი ჩვენს ენაზე უცხო ენებიდან შემოვიდა. „მოქალაქე“ აღნიშნულის გამოსახატავად ჩვენს ლექსიკაში ვერ დამკვიდრდა. იგივე ითქმის „ბიურგერატის“, „ჩინოვების“ მიმართ. ქართულ ეკვივალენტს „მოხელეს“ სულაც არ გააჩნია უარყოფითი ნიუანსები. ეს აიხსნება ჩვენს უწინდელ ისტორიაში ბიურგერატის, როგორც სოციალური ფენის განუვითარებლობით.

აქვე გავიმეორებთ შემდეგს. ცნობილია, რომ

გურამ ურბანაშვილი  
 მართლმადიდებელი ეკლესიის  
 საკითხისათვის



გაბატონებული კლასების იდეები, იდეოლოგია საერთოდ, გაბატონებულ იდეებად, იდეოლოგიად რჩება მთელს საზოგადოებაში. იგივე იქმნის გაბატონებული კლასის ფსიქოლოგიის შესახებაც. თუ იგი საყოველთაოდ ვერ ვრცელდება მთელს საზოგადოებაში, უკველ შემთხვევაში თვალსაჩინო ზეგავლენას ახდენს საზოგადოების დანარჩენ საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილზე. (უახლესი დროის ინგლისელი მწერალი ე. ფორსტერი სწორად შენიშნავს, რომ თანამედროვე ინგლისელების ხასიათი თავის საფუძველში ბურჟუაზიულია და ამას იგი ხსნის იმით, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ინგლისის საზოგადოების გაბატონებულ კლასს წარმოადგენს ბურჟუაზია. ფსიქული კეუპა-გონება, წინდახედულება, გერგილიანობა, წესიერება, წარმოსახვის უქონლობა, ფარისევლობა, რა თვისებებიც უკვლავან დამახასიათებელია ბურჟუაზიისათვის, ინგლისში მთელი 150 წლის განმავლობაში, ბურჟუაზიის ბატონობის გამო, ეროვნულ ნიშან-თვისებებად იქცა. (იხ. Э. М. Форстер, Избранное Л., 1977, გვ. 288). ასევე მოხდა ფეოდალურ საქართველოშიც. გაბატონებული ფეოდალთა კლასის იდეები, განწყობილებანი, სოციალური გრძნობები და ა.შ. გავრცელდა ქართული საზოგადოების დანარჩენ ნაწილზეც. ვაჟკაცობის, სიმამაცის, ქალის კულტი და სხვა, რაც თვდაპირველად გაბატონებულ ფენებში წარმოიშვა და დამკვიდრა, შემდგომში ფართოდ გავრცელდა მთელს ქართველობაში. იგივე იქმნის ქართული სუფრის ტრადიციაზეც. საერთოდ, ვაჟკაცობის იდეალი ისევე ღრმად გაჯდა ქართველების შეგნებაში, როგორც ჭინტლემენობისა ინგლისელებში.

ფეოდალური ფსიქოლოგია, ისევე როგორც იდეოლოგია შესანიშნავად აისახა რუსთაველის შემოქმედებაში. ავტორის გენიალური ქმნილება კი მხოლოდ გაბატონებულ შედაფენის სულიერი ინტერესებს როდი აკმაყოფილებდა, არამედ გლუბობისასაც. ამით „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული იდეოლოგიის გამოხატველ ნაწარმოებად იქცა.

როდესაც ქართველებს დასავლეთ ევროპის ხალხებს ადარებენ, ჩვეულებრივად მიუთითებენ ხოლმე ჩვენს მსგავსებას ესპანელებთან. მიგვაჩინა, რომ ეს ანალოგია საკმაო საფუძველს ემყარება. ესპანელებიც, ისევე როგორც ქართველებიც, თავიანთ ეროვნული ფსიქოლოგიით გვიანობამდე ძირითადად ფეოდალიზმის პროდუქტს წარმოადგენდნენ. ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ მათშიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება. ამის გამო ესპანელებს, ისევე როგორც ქართველებს, ძველი ფეოდალური ტრადიციები დიდ ხანს შემორჩათ. ამით კი ისინი ბევრის მხრივ (დადებითი აზრით) განსხვავდებოდნენ და გან-

სხვადებიან დანარჩენი ბურჟუაზიულად ცივილიზებული ერებისაგან. მაგრამ ასეც უნდა ვთქვათ, ცხოვრების შემდგომმა წინსვლამ ესპანელთა ფსიქიკაშიც, შეიტანა თავისი კორექტივები.

აღნიშნული მიმართებით ქართველთა ხასიათის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ ქართველი მთიელები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო თავისუფლებისმოყვარეობა, მეომრულობა და ბევრი სხვა დადებითი თვისებები, ბარში ჩამოსახლებისას, ამით დადებითად ზემოქმედებდნენ ბარის ქართველთა, განსაკუთრებით დაუმეცებელი გლეხკაცობის ხასიათზე.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ ჩვენი ქვეყნის ბუნების როლს ქართველი მთიელების სოციალურ განვითარებაში, აქედან გამომდინარე, მათი ხასიათის ფორმირებაში. რთულმარტივება და ჰავამ, ცხადია, თავისი დადი დასავა ჩვენი მთიელების ცხოვრებას საერთოდ და კერძოდ ფსიქოლოგიას. სოციალური წყობილების, ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების, შესაბამისად მათ დიდხანს შემორჩათ არქაული კომუნისტური საზოგადოების ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი ბევრი დადებითი ნიშან-თვისება. ეს კი, მოგეხსენებათ, კარგად აისახა ქართულ მწერლობაში (ვაჟა-ფშაველას, ალ. ჯაშვიტის შემოქმედება).

ჩვენი ეროვნული ხასიათის გაღმაცემისას შეეჩერებდით რამდენიმე თვისებაზე. ჭერ ქართველთა შორის სოლიდარობა — არასოლიდარობის გრძნობის საკითხის შესახებ. ამ შემთხვევაში საკმაოდ ხშირად გვესმის ხოლმე მტკიცება ქართველთა შორის ნამეტანი ინდივიდუალიზმის არსებობაზე, რაც თითქმის ძალზე ასუსტებდა სოლიდარობის გრძნობას მათ შორის. ამ აზრისა და შესაბამისად ამ მოვლენის ხანგრძლიობის დასადასტურებლად კი მიუთითებენ ხოლმე „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით აღვალს: „ვითარ წარქლეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კულადა მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩვეულება ქართლისა აზნაურთა“. ეს აზრი, როგორც ვიცით, გამეორებულ იქნა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერაც. მაგრამ დავითის ისტორიკოსს აქ უბრალო შეცდომა მოუვიდა, როცა ეს თვისება მთელს ქართველობაზე გავრცელდა. „მატიანე ქართლისაჲ“-ში ლაპარაკია არა ქართველებზე საერთოდ, ანდა მთელი საქართველოს გაბატონებულ ფენებზე, არამედ ქართლის (ისიც შიდა ქართლისა) დიდებულებზე. თუმცა ასეთ თვისებას იგი თანადროული ქართველების ხასიათშიც ამჩნევდა, მაგრამ ეს შეეხებოდა კვლავ და კვლავ დიდებულთა ფენას. საერთოდ ამ ხანაშიც, ისევე როგორც მანამდე და ამის შემდეგაც, სოლიდარობა ერთი ძლიერი თვისება იყო ქართველებისა.

სწორედ ეს თვისება გახლდათ ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთა წყალობითაც ქართული ეთნოსი ისტორიულ ქართველებს გადაურჩა. საწინააღმდეგო თვისება, რასაკვირველია, ქართველთა შორის შემიმჩნევოდა, მაგრამ მხოლოდ დაკვირვის, უცხო ხალხთა მიერ დაპყრობის შემთხვევაში და ისიც ძირითადად მაღალი ფენების ნაწილში. ამ პირობებში საგარეო ფაქტორის მიზეზით ხდებოდა ჩვენი ეროვნული ხასიათის გარკვეული დეფორმაცია, ისიც, ვიმეორებთ, ძირითადად მაღალი ფენების ნაწილში. აქაც არ უყოფია შემთხვევა, რომ მთელი ჩვენი მაღალი ფენა ერთბაშად, ერთსულოვნად გამოხულიყო ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ. ხალხის ამ ნაწილში ყოველთვის რჩებოდა ჯანსაღი, პატრონულად განწყობილი ფენა.

უცხო, გარეშე შტურთაგან შემოსევის წინ, ანდა დაპყრობის პირობებში, სხვა ქვეყნების ისტორიაშიც უამრავი შემთხვევაა ეროვნული ღალატისა ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების მხრივ. ძლიერი ეროვნული ორგანიზმის მქონე ხაზრანგეთის ისტორიაში ჩვენ არაერთგზის ვხვდებით ეროვნული ღალატის შემთხვევებს. (მათგან დეკავსებლები მხოლოდ ხაზრანგეთ-პარუსიისა და მეორე მსოფლიო ომების დროინდელ მაგალითებს). ნორვეგიამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ განიცდიდა უცხოელთა გამანადგურებელ შესევებს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეროვნულ ღალატის თვალსაჩინო ნიმუში წარმოუშვა (მისი პოლიტიკური მოღვაწის ვ. კვისლინგის გვარი ხომ ზოგად უარყოფითი მნიშვნელობის ტერმინად იქცა).

სწორედ აღნიშნული გარემოებით აიხსნება „ქართველთა მოღალატეობის“ საკითხი. თუ ამ მხრივ ჩვენი ისტორია ეროვნული ღალატის საკმაო მაგალიტებს იძლევა, ეს აიხსნება უბრალოდ საგარეო ფაქტორით და არა ჩვენი ეროვნული ხასიათის შინაგანი, გენეტიკური მანკირებით. თანაც, ვიმეორებთ, ქართველთა უმეტესი ნაწილი საშობლოს ღალატის საქმიდან ყოველთვის შორს იდგა. საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ორად-ორი მაგალიტი შემოინახა იმისა, თუ როგორ უღალატა საერთო საქმეს მოსახლეობის დაბალი ფენების გარკვეულმა ნაწილმა. პირველი ეს მოხდა მეხუთე საუკუნეში, როცა სპარსელებმა თავიანთი იდეოლოგიით — მახლენაობით მიიმხრეს ქართლის დაბალი მოსახლეობის ნაწილი და მეორე — მეთერთმეტე საუკუნეში, როცა ბიზანტიელებმა თავიანთ მხარეზე გადაიბირეს შავშეთის „წურილი ერის“ ნაწილი. აქ, როგორც ჩანს, ერთმანეთს გადაეხლართა სოციალური ანტიგონიზმი და საგარეო ფაქტორი. ეს არის და ეს. სწორედ აღნიშნული გარემოება, ე. ი. ქართველთა საკმაო მონოეთროპობა გამოვლინდა

წარსულში ჩვენი ქრისტიანული რელიგიის მონოეთროპობაში, იმაში, რომ ჩვენი რელიგიური, საეკლესიო ცხოვრება არ იყო „დაყოფილი სექტებად, მიმდინარეობებად.“

ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო აგრეთვე მეორეული სული. ამის დამამტკიცებელი მაგალითი უამრავია, როგორც ჩვენი ისტორიული პროცესის მიერ მოცემული, ისე გარეშე ობიექტურ დამკვირვებელთაგან ინფორმაციის სახით დაცემული. ასე რომ მ. ი. ლერმონტოვის „რობნიე გრუზინი“ მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფად შეიძლება ჩაითვალოს. მ. ი. ლერმონტოვისაგან განსხვავებით ა. ს. პუშკინს სიმაჟაცე ქართველთა ერთ-ერთ უმთავრეს თვისებად მიაჩნდა. რაკი ამ თემაზე ჩანოვარდა საუბარი, აღდენინავთ, რომ ცარიზმის დიდმოხელე ს. ი. ვიტე, რომელიც მაინცდამაინც არ იყო სიმათიურად განწყობილი ქართველებისადმი, მიუთითებდა ქართველთა „განსაკუთრებულ რინდულ ღირსებას“ და „უზარმაზარ (гражданная) სიმაჟაცე“ (სხვათა შორის ვიტე დაიბადა და იზრდებოდა თბილისში). ასეთი ხასიათის წყალობით მოხდა, რომ საქართველომ როგორც ეროვნულმა ორგანიზმმა თავისი ძლიერი სიცოცხლისუნარიანობით ისტორიის უმკაცრეს გამოცდებს გაუძლო.

ქართველთა ეროვნული გრძნობის ერთ-ერთი დიდი დამახასიათებელი ნიშანია მისწრაფება სამშობლოსაგან განუყოფლობისაკენ, ნოსტალგიის ძლიერი გრძნობა მისგან მოშორების შემთხვევაში. შესაძლებელია ეს ჩვენი ეთნიკური ხასიათის სიღრმისეულ შრეებში მიღის. მაგრამ რამდენადაც გარეშე ფაქტორებისაგან სავსებით შეუვალი არც ჩვენი სული და კერძოდ აღნიშნული თვისება დარჩებოდა, ამდენად ეს გრძნობა შეიძლება ახსნილ იქნეს ჩვენი ცხოვრების უაღრესი და სტილის ტრადიციულობითაც, მათი ფეოდალურობით. იმდენად, რამდენადაც ქართველი კაცის ფასეულობათა სისტემაში ფულმა და ეკონომიკური აქტივობის სხვა არასამიწათმოქმედო დარგებმა ვერ პოვა მნიშვნელოვანი ადგილი, რამდენადაც მის წინაშე, საწინააღმდეგოდ ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების და სხვათა, ფართო ეკონომიკური ასპარეზი არ გადაშლილა კოლონიებში, რამდენადაც ჩვენში უმუშევართა ფართო მასა არ წარმოქმნიდა, ამდენად სხვა ქვეყნებში ცხოვრების სურვილი ქართველებში ნაკლებად გაჩნდა, ნოსტალგიის გრძნობა სამშობლოსაგან განშორებისას ჩვენში კვლავინდებურად ძლიერი რჩება.

გურამ უორანაშვილი

მხარეთული ეროვნული ხასიათის  
საპიტიზმისათვის

ჩვენი წინაპრების ფეოდალურმავე ხასიათმა, მათს ფასულობით სისტემაში ფულის, საცვლათო ღირებულების უმნიშვნელო აღდგომა განაპირობა აგრეთვე სტუმართმოყვარეობის, ქართული სუფრის ძლიერი ტრადიციების წარმოქმნა და დიდი ხნით შენარჩუნება. ქართველ მითებულში ეს თვისება განაპირობებს განსხვავებულმა სოციალურმა პირობებში.

ადვილი ასახსნელია ქართველთა შორის ინტერნაციონალისტური გრძნობა, რაც ჩვენში ასე ძლიერია. უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ჩვენი ტრადიციული საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო, რომ ეკონომიკური აქტივობის სხვა სფეროებში დასაქმებული იყვნენ ძირითადად სხვა ხალხების წარმომადგენლები. ისინი ამდენად ქართველების მიერ, რომელთა უფროსადღეს ნაწილს გლეხობა შეადგენდა, არ აღიქმებოდნენ კონკურენტებად. მდგომარეობა შეიცვალა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების, ვაჭრობის და სხვა დარგებში ქართველობა მომრავლდებოდა და თანაც ვაჭრობა და მეცხოველეობა უფრო ფართო მასშტაბს მიიღებდა. ასეთ პირობებში სხვა ეთნოსების წარმომადგენლები ქართველთა ცნობიერებაში აღიქმებოდნენ კონკურენტებად როგორც ხელისუფლის, ვაჭრობის და ა. შ. სფეროებში, ისე ვაჭრობისა და მეცხოველეობის მეშვეობით ქართველი მოსახლეობის ფართო ფენების დანაწევრების აზრით. როცა ობიექტური ვითარება ამ მხრივ გარკვეულად შეიცვალა მეცხოველეობის საუფუნო და მეოცე საუფუნის დასაწყისში, ამავე გარკვეული გამოხატულება ჰპოვა ჩვენს ფსიქოლოგიაში.

ხალხთა შორის ურთიერთობებში ქართველთა ზემოაღნიშნულ გრძნობას, ე. ი. ინტერნაციონალისტურს, ერთი მხრივ აფერხებდა გარეშე მტერთაგან თავდაცვლები, მეორე მხრივ დროს იგივე საგარეო ისტორიული სიტუაცია აღნიშნულ სოციალურ გრძნობას აღვივებდა. კონკრეტულად, შემოსევებისა და დაპყრობების ობიექტი ჩვენ მარტონი როდი ვიყავით, არამედ მთელ რიგ ხალხებთან ერთად, რომელთაზე ჩვენ საერთო მიზნები და ამოცანები გვაკავშირებდა.


ერთი სიტყვით, ქართული ხასიათის ინტერნაციონალისტური ბუნება აიხსნება ჩვენი ისტორიით. ქართველთა ინტერნაციონალისტური გრძნობა კლასიკურად არის გამოხატული („ეფთხისტუასანს“ რომ თავი დავანებოთ) ხალხურ ლექსში „წუთისოფელი“:

ყველა ადამის შვილი ვართ,  
თათარიც ჩვენი ძეა არი,  
ჩვენსა და სომეხებ შუა  
განყოფილება რა არი?

ამ სტროფის პირველ ორ ტაქტში ჩვენი ხალხის მიმტკეველი, მოწყალე ხასიათიც ძალზე ნათლად ჩანს. სწორედ ამ ტრადიციის ნაყოფია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა დიდი ხანია არ არის ერთგვაროვანი და ჩვენს ტერიტორიაზე ეროვნულ-სტრუქტურის წარმომადგენელი ცხოვრობს, ქართველთაგან მათს დარბევას არც ერთხელ არ ჰქონია ადგილი. ამ ფაქტის კომენტარის ხასიათი კი ცხადზე ცხადია. იგი მრავალჯერ აღნიშნულა როგორც ქართველთაგან, ისე არა-ქართველთაგან და მასზე აქ შეჩერება ზედმეტად გვიჩვენება. ის ფაქტი, რომ ჩვენს ფსიქოლოგიაში რასიზმის იდეოლოგია არასოდეს არ გაქდა, რასაკვირველია, დადებითად აისახა ჩვენს ინტერნაციონალისტურ გრძნობებსა და ტრადიციებში (თუმცა შეიძლება ვინმეც კლასიკურად პირიქითაც: ჩვენი ხალხის ინტერნაციონალისტურ ბუნებას გარკვეულ ფარგლებში შეეძლო გამოეყოფა და გამორიცხა კიდევაც რასისტული იდეოლოგიის გავრცელება).

ინტერნაციონალისტურმა გრძნობამვე განაპირობა ქართველთა ერთ-ერთი საუცუბესო თვისება — სხვა ხალხების კარგი თვისებების დანახვის უნარი. ჩვენი ხალხი არასოდეს არ ჩაკეტილა თავის თავში და არ წარმოუდგენია თავისი თავი კაცობრიობის ცენტრად. იგი სიამოვნებით თვისებდა სხვა ხალხების მიღწევებს. თუ იგი გრძნობდა სხვა ხალხების მოწინავეობას თავისთან შედარებით, ამის აღიარებას იგი არ გაუბრუნებდა. (ვრთადალმწერელი ჭალაღლიღინე წერს: „მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოვანი კელმწიფე“... „დასრულდა სრულიად კელმწიფობა მაღალი“. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 195წ, გვ. 185) მოიგონოთ აგრეთვე ვრთადალმწერლისავე მიერ მოწოდება დადებითი დახასიათება. როგორც ვხედავთ, ჩვენმა ისტორიკოსმა მძინებელი მტრების მიმართაც კი არ დაიშურა დადებითი ეპითეტები. მიგვაჩნია, რომ მსგავსი თვისება (მტრის თვისებების ობიექტურად დანახვის უნარი გარკვეულად ახასიათებს ქართველ ხალხსაც). ძველ ხანაში, მაგალითად, ქართველებს ასეთ მოწინავე ხალხად, — და, რასაკვირველია, სავსებით სამართლიანადაც, — მიაჩნდათ ბერძენები. „ელინი“ ჩვენ წინაპართათვის მაღალკულტურული ადამიანის ეტალონი იყო. კონსტანტინე გამახაურდიას „ლიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი პირველის მსჯელობა ბერძენზე მხოლოდ და მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, იგი სულაც არ გამომდინარეობს ჩვენი ისტორიული ტრადიციებიდან. ახალ ხანაში ჩვენმა ხალხმა ასეთივე დამოკიდებულება გამოამჟღავნა ევროპელებისადმი.

ქართული ხასიათის მნიშვნელოვანი კონსტანტაა მხიარული, უფრო ზუსტად ხალისიანი ხასიათი, ოპტიმისტური განწყობილება, რაც კარგად იქნა შენიშნული ჭერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ („უკეთუ ორნი თუ სამნი



არაიწ, არაა რა შეიქცევიან“). ამ მხრივ აშკარად არის შეუსაბამო ჩვენ ტრადიციულ ისტორიას და ეროვნულ ხასიათს ასეთ ნიშან-თვისებას შორის. ყოველ შემთხვევაში ხასიათის ეს ნიშან-თვისება ხელს უწყობდა ქართველობას გადაეტანა დიდი ისტორიული განსაცდლები.

ქართულ აზროვნებაში სწორადია შენიშნული, რომ ჩვენს ისტორიაში არ შეინიშნება ფანატოზმის, შეუწყნარებლობის ისეთი სასტიკი გამოვლინებანი, როგორც ახასიათებს მაგ. დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. ამის მიზეზად ჩვეულებრივ თვლიან ხოლმე ქართულ ხასიათს. ჩვენი აზრით, ამაში ქართული ხასიათი ძალზე ცოტა რამეს გვიხსნის. მთავარი მიზეზი მოვლენისა იყო ჩვენი ფეოდალური საზოგადოების დაჩიხულობა (XIII საუკუნეიდან მოყოლებული). ამ უქანასკნელის წყალობით ბრძოლა საზოგადოების პროგრესულ (შესამე წოდება, ბურჟუაზია) და რეაქციულ ძალებს შორის გამოირიცხა. ამიტომაც ჩვენი ისტორია არ იძლევა ფანატოზმის სასტიკ მაგალითებს ასევე ჩვენი ფეოდალური საზოგადოების კონსოლიდირებულობა (პერმანენტული საგარეო საფრთხის წინაშე) განაპირობებდა ერების, მწველებლობების არარსებობას, ამდენად მათთან ბრძოლას არარსებობასაც.

ახლა შევხედოთ იმას, თუ როგორ აისახა ჩვენი ეროვნული ხასიათი, „ხერხოლქვ“ ფსიქოლოგია, შესაბამისად როგორი ტრადიციები დამკვიდრდა საზოგადოების ზედნაშენურ სისტემებში.

სავსებით უეჭველია სახელმწიფოს (პოლიტიკური წყობილების) მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ეროვნული ხასიათის, ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში. წარმოიშვა რა განსაზღვრულ ეკონომიკურ ბაზისზე, კერძოდ მიწაზე კერძო საკუთრების მაღალი განვითარების საფუძველზე, ქართულმა ფეოდალურმა სახელმწიფოებრიობამ თავისი დიდი დასვა ჩვენს ეროვნულ ხასიათს, გრძობებს, განწყობილებებს და ა. შ. ამ მხრივაც ჩვენი წინაპრების ფსიქოლოგია ძალზე განსხვავდებოდა ბევრი უცხოელი ხალხის ფსიქოლოგიისაგან და ეს განსხვავებოდა დასავლეთევროპელებისას. ეს მით უფრო ადვილად მოხდა, რომ ჩვენში არც წინაფეოდალური სახელმწიფო არ ყოფილა დესპოტური ხასიათისა. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ შეინიშნება ის სიტუაცია, რომელსაც კარლ მარქსი „საყოველთაო მონობას“ უწოდებდა და რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მრავალი აღმოსავლელი ხალხისათვის. იაკობ გოგებაშვილი სავსებით სწორად შენიშნავდა: „საოცარია და მტკაღ მანუგეშებელი მამულისშვილისათვის ის ისტორიული მოვლენა, რომ ჩვენმა ერმა, აზიის კუთხეში მცხოვრებმა, გარეშემო აზიურ ხალხებით და დაწყობილობით (იგულისხმება პოლიტიკური წყობილება, გ. ყ.) შე-

მოზღუდულმა, მიფის უფლებას მისცა ნაწილი ევროპული თვისება ხასიათის ჩამოყალიბებაში სრულიად არა მკვანდა საპირისპიროდ და წინეთის დესპოტებსა, განმარტოებულს მიუყარებლებს. რომელია პირის ხილვაც კი თითქმის მიუტყეველ ცოდვას შეადგენდა“ ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტული განცხადებით, საქართველოს მეფეების დიდი მძლავრობისა და მიუხედავად მათ თვითმპყრობელობა ვერ დააშურებს მიფის ზღვისუფლების ძლიერების პირობებზეც კი — მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში. მით უფრო თქმის ეს შემდგომი ხანის ვითარების მიმართ.

ზემოაღნიშნული ბევრ რამეს გვიხსნის აგრეთვე ქართული სამართლის როლზე. ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით, ხალაც თითქმის სწოველთაო უფლებობა და აღმაიზთა ნიველირება სუფევდა, ჩვენს ფეოდალურ სამართალში ჩამოყალიბებული იყო პიროვნების უფლებები. მათი შესრულების გარანტია იყო ჩვენი ფეოდალური საზოგადოების მაღალი პოლიტიკური აქტივობა, რაც გამოირიცხავდა აქციფსა და ჩვენში არსებული მცირერიცხოვანი ბიუროკრატის თვითნებობას, ცხადია, ეს უფლებები ფეოდალთა კლასის კუთვნილება ვახლავდა მათ მონაბლეობის უღირსებაში — გლეხიცომა მას მოკლებული იყო. მაინც სოციალური პროგრესის, თავისუფლების გზაზე ჩვენი ფეოდალური სამართალი წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. გარკვეული აზრით, როგორც ზემოთ მიეთითებდით, ჩვენი ფეოდალური ზედნაშენების პოლიტიკური და სამართლებრივი პროგრესი უფროდ აისახა (დადებითი აზრად) ქვედაფენების ფსიქოლოგიაზეც.

საერთოდ, სპეციალისტების აზრით, ქართული სამართალი გამოირჩევა თავისი ლმობიერი ხასიათით. ცნობილი ქართველი სამართლისმცოდნე ა. ვაჩიშვილი ვახანგ მეექვსის კანონებზე წერდა: „ვახანგის კანონები, შედარებით ფეოდალური პერიოდის სხვა ძეგლებთან თავისი ლმობიერებით განირჩევიან. ამ აზრის დასამტკიცებლად საქმარისია გადავხედოთ იმ სახელთა სისტემას, რომლებიც დაწესებულია ფეოდალური პერიოდის სხვადასხვა კოდექსებით და რომლებიც უწომო არაქველებრივი სიმკაცრით არიან გამსჭვალული“ (ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, 1948, გვ. 125-126). კანონმდებლობის ასეთი ხასიათი, ცხადია, გამოიწვევებოდა ხალხის შესაბამისი თვისებებიდან, კერძოდ ლმობიერი ხასიათიდან. რ. არსენიძე

ბურბუ შობანაშვილი  
ქართული ეროვნული ხასიათის  
სამართლისმცოდნე

წერდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლმობიერება არის ერთი იმ ძირითად თვისებათაგანი, რომელიც ქართველ ერს ძველადვე შეუისხლნობრცეობა და რომელიც, მამასადამე, ერის საერთო კულტურულ განმად უნდა ჩაითვალოს“. (განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა, პარიზი, 1963, გვ. 78).

მეორეს მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის შემდგომმა განუვითარებლობამ, ჩვენმა ისტორიულმა ძმებუბელობამ თავისი დალი დამჩნია ჩვენს სოციალურ, სამოქალაქო ცხოვრებას. ეს კი თავის მხრივ აისახა ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაში. ანარქიულიობა, პირადი „მეს“ აულაგვეულობა, უდისციპლინობა საქმალ დიდხანს შემორჩა ჩვენს ხალხს. ამდენად, მისთვის მოწესრიგებული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის მქონე ხალხები ამ მიმართებით მისაბაჲ ნიმუშებად იქცნენ.

ზემოაღნიშნული ვითარება, აისახა რა ჩვენს ეროვნულ ხასიათში, ამით თავის გამოხატულებას პპოვებდა ჩვენს სულიერ კულტურაში, კერძოდ ხელოვენებაში. აჲ უეჲქველად ჩანს სულის ის ხილადე, რომელიც ქართველებში მრავალ უცხოელს შეუმჩნევია (ამას აღნიშნავდა მაგალითად ცნობილი გერმანელი მოაზროვნე ი. პერდროუჲ საკითხის ეს ასპექტი კარგადაა გახსნილი გ. ასათიანის ნაშრომში „სათავეებთან“, ამიტომაც მასზე შეიერება ჩვენ ზედმეტად მიგვანია. შევებებით სხვა მხარეს.

თუ ჩვენს პოეზიას შევადარებთ აღმოსავლეთისას — მაგალითად სპარსულს ან ინდურს — აჲც კონტრასტი აშკარაა, რაც თავის მხრივ კარგად წარმოაჩენს ეროვნულ ესთეტიკურ ბუნებას (ამ საკითხს, როგორც ცნობილია, სპეციალურად შეგოს კ. კანაველი რიგ ნაშრომებში). ძნელად თუ ვინმე შეეპარება ეჲვი სპარსელი პოეტების მაღალნიჲიერებაში, როგორც დექლასოჲობის ხელოვენებაში, ისე წარმოსახვისა და ფანტაზიის აზრით. მაგრამ მეორეს მხრივ, ფირდუსის, ნიჲამისა და სხვათა ჲმნილებების ანდა ინდური ეპიკური ჲმნილებების თბრობა ძალზე გაჲიანურებუღია, მთელი რიგი უზარმაზარი პასუებისა სულაც არაა მჲყაცრი სპირიტობით ნაჲარნახები. მათი მოცილებით აღნიშნული ნაჲარმოებნი ბევრს არ კარგავენ. მაგრამ ავიღოთ „ვეფხისტყაოსანი“. მასში ყოველი ეპიჲოდი, ყოველი სტროფი და ტაჲი თავის ადგილზეა. რომელიმე მათგანის მოშორებით ირღვევა ნაჲარმოები, როგორც მჲიდროდ შეერული მთლიანობა. ასევე ითჲმის ჩვენი არჲიტექტურის შესახებ ინდურთან და ა. შ. მიმართებაში, თავისი სიმართლებით, პარმონიულობით ჩვენი არჲიტექტურა ჲგავს ბერძნულს და მჲვეთრად განსხვავდება ინდური და ა. შ. ბუროთმოდერებისაგან. ერთი სიტყვით, ყოველივე ჲემოაღნიშნული მიგვანიშნებს

ჩვენი ეროვნული ხასიათის გარკვეულ მხარეზე, რომელიც აისახა ხელოვენების ამ ღარგებზე.

ჩვენი ეროვნული ხასიათის, ესთეტიკური გუნების აღმოსავლურისაგან განსხვავებულობისა და მათგან განსხვავებულობის იხილ, რომ მიუხედავად ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების სხვაობისა, რაც არსებობდა მეცხრამეტე საუკუნის დასავლეთ ევროპასა და საქართველოს შორის, ჩვენში რომანტიზმი თითჲმის დასავლეთ ევროპის თანადროულად განვითარდა. ასევე უცხედავებ მიჲყვებოდა ჩვენი ლიტერატურა ევროპის ლიტერატურის განვითარების მთავარ საფებურებს შემდგმუც. ამის თჲმა კი გაგვიჲირდება აღმოსავლეთის მრავალი ხალხის ლიტერატურული პროცესის შესახებ.


ქართული ეროვნული ხასიათი აისახა აგრეთვე ჩვენს ენაში და ეს სავსებით კანონზომიერია. მოვიგონოთ რუსი პოეტის პ. ა. ვიაზემსკის ცნობილი ტაჲებთ:

Язык есть исповедь народа,  
В нем слышится его природа.  
Его душа и быт родной.

ჩვენი საუკველთაოდ არის ცნობილი თუ როგორი ფასეულობანი აისახება ქართულ მისალმებასა და გამოშვიდობებაში (გამარჲება, მშვიდობა), ასევე დედის მნიშვნელობის წარმოჩენა მთელ რიგ სიტყვებში: „დედა-ენა“, „დედა-ბოძი“, „დედა-სამშობლო“, „გუთნის დედა“, „დედამიწა“ და სხვ. მაგრამ ამ მიმართულებით ჲერ კიდევ ძალზე ცოკარამ არის გაკეთებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრთ ბევრი რამ „საიდუმლო ამას ენასა შინა და მარბულ არს“.

როცა ქართულ ხასიათზე და საერთოდ ფსიქოლოგიაზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია გვერდი აუვაროთ განსხვავებულობას ჩვენი ისტორიული კუთხეების მცხოვრებთა შორის. ერთის მხრივ დავხსენოთ, რომ ქართული ხასიათი, მისი გამოვლინება ჩვენს სულიერ კულტურაში საერთო იყო. ბევრი რამ საერთო შეინიშნება როგორც ეთნიკური ხასიათის, ისე სულიერი შემოჲქმედების მხრივ უჲვე პირველყოფილობის დონეზე. მით უფრო ითჲმის ეს კულტურის შემდგომი საფებურების მიმართ დაჲყებული რელიგიით და დამთარგებული სულიერი შემოჲქმედების სხვადასხვა მხარეებით ეს კულტურა; რომელიც ქართლსა და ტაო-კლარჲეთში განვითარდა და მაღალ საფებურზე ავიდა ერთიანობის „ჲოქროს“ ხანაში, საერთო გახდა მთელ საქართველოს მოსახლეობისათვის. ფეოდალური კულტურის შეჲმნით საფუჲველი ნაეჲარა ჩვენი ხალხის სულიერი ერთობის განმტკიცებას. შემდგომშიც, ისტორიული ძნელბედობის მიუხედავად, ეს კულტურა კვლავ საერთო რჩებოდა. ამ კულტურისა და ეროვნული ხასიათის ერთობას აძლიერებდა განუჲყვებელი მიგრაციები ჲვეუნის შიგნით, ერთი კუთხიდან მეორეში. ეს, მოგხსენებათ, ჲვე-





ნის მცირე ზომის გამო ადვილად ხდებოდა. ამიტომ იყო და ამიტომ არის, რომ ქართველი კაცის გადასახლებით საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ის სპეციფიკური, რაც მას თავდაპირველად გააჩნდა და გააჩნია, ახალ კუთხეში სწრაფად შქრებოდა და ქრებდა; უკვე მეორე თაობაში ახალმოსული არაფრით არ განსხვავდება ადგილობრივთაგან. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართველები დიდი ხანია კულტურისა და ფსიქოლოგიის ერთიანობით ხასიათდებიან.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარის შესახებ. მეორე მხრივ შეუძლებელია ყურადღების არქედნე გავუშვათ ჩვენი ისტორიული კუთხეების მცხოვრებთა შედარებითი განსხვავებულობანი. მასზე, როგორც ცნობილია, საკმაოდ დაწერილებით წერდნენ ვახუშტი ბაგრატიონი და იაკობ გოგებაშვილი. ამ დიდ პატრიოტებს კი ამ მხრივ ტაქტი სულაც არ შეუშლიათ. აღნიშნულ საკითხზე წერა ახლაც საჭიროა როგორც ეთნოგრაფის, ისე ისტორიკოსის, ლიტერატურისმცოდნის და სხვათა მიერ.

განსხვავებულობებს ჩვენს ისტორიულ კუთხეებს (ანდა თემებს, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილთან ვხვდებით) შორის თავისი მიზეზები აქონდა. ჭერ ჩვენი ბუნების მრავალფეროვნების შესახებ. მაგალითად, ზემო იმერეთის ბუნება განსხვავებულია ქვემო ქართლის ან შიდა კახეთის ბუნებისაგან და ა. შ. ამას კი არ შეძლო გარკვეული გავლენა არ მოეხდინა შესაბამისი კუთხის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე. ასევე ითქმის ცალკეული ისტორიული კუთხეების ისტორიულ ბედზეც; ბევრ მხრივ საერთაობის მიუხედავად თითოეული კუთხის პოლიტიკური ისტორია (ძირითადად შემოსევების თვალსაზრისით) ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ის, რაც ამ მხრივ ქართლმა და კახეთმა განიცადა, უფრო ნაღებდალ შეეხო დასავლეთ საქართველოს. სხვა სახის გარეშე ზეგავლენებიც აგრეთვე მთლად ერთნაირი არ ყოფილა საქართველოს ორი დიდი რეგიონისათვის; როგორც ბევრ სხვა ეთნოსს, ქართველებსაც, — ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მენტალებად, — შეერია სხვა ეთნოსის გარკვეული ნაკადებიც. აღნიშნულმა ფაქტორებმაც, ცხადია, თავისებური გავლენა იქონია ჩვენი ისტორიული პროვინციების მცხოვრებთა ცალკეულ მხარეებზე.

ზედმეტად მიგვაჩნია შევჩერდეთ საქართველოს თითოეული კუთხის მცხოვრებთა ხასიათის ცალკეულ თვისებებსა და ზნე-ჩვეულებებზე. ვახუშტი ბაგრატიონისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ, როგორც ვიცით, მათს შესახებ საკმაოდ არის მოთხრობილი. აზროვნების სისხარტე, ქვეყნის სიმარდე, ქარბი ემოციურობა, მეტყველების სწრაფი ტემპი და ა. შ. ახასიათებთ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ. მაგრამ ამ და სხვა თვისებების ჩამოთვ-

ლას ჩვეულებრივ ერიდებიან ხოლმე ალბათ იმ მოტივით, რომ ეს თითქმის ხელს შეშლის ქართველი ხალხის ერთიანობის შექმნას. მიუღებლად მიგვაჩნია. ჭერ ერთი, ეს ერთიანობა საკმაოდ მუარია და დროის დიდ მონაკვეთს მოითვლის, ისე რომ ამის აღნიშვნა არავითარი ზიანის მომტანი არაა. და მეორეც, ამ ერთიანობის შიგნით შედარებითი მრავალგვარობა და არა ეთნიკობა უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს, ეროვნულ ცხოვრებას. რუსი ისტორიკოსოვოსი ნ. ი. დანილევსკი მრავალგვარობას მიწანშეწონილად და სასურველად თვლიდა ერთი „კულტურულ-ისტორიული ტიპის“ ფარგლებში. მაგრამ იგი მიწანშეწონილია თვით ერთი ხალხის, ერის შიგნითაც. შედარებით დიფერენცირებულობა ერთიანობის შიგნით სულაც არაა ერის სისუსტის ნიშანი. მით უფრო, რომ იგი გამართლებულია, მიზეზების არსებობის აზრით, განვლილი ბუნებრივი, სოციალური და პოლიტიკური ევოლუციით. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სწორედ ასეთივე ერთობებს წარმოადგენენ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები, ესპანელები და ა. შ.

ჩვენი ისტორიული კუთხეების, თემების განსხვავებულობანი, მათი მცხოვრებთა ხასიათების შედარებითი მრავალფეროვნება აისახა ერთიანი კულტურის მრავალფეროვნებაში. გურული სიმღერების სამშობლო შეიძლება გამხდარიყო და გახდა კიდევ გურია და არა ქართლი, ანდა კახეთი. და ეს მხოლოდ შესაბამისი ტემპერამენტის მიზეზით არ ხდება. ყველაფერს ამას კი წარმოჩენა და გაგება სჭირდება და არა მიჩქმალვა-მირჩმალვა.

როგორც ყოველივე სხვა მოვლენა, არც ქართველთა ხასიათი, ფსიქიკა იყო ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული და უცვლელი. ისტორიული სიტუაციების რადიკალურ ცვლილებებს ჩვენს ფსიქოლოგიაში საგრძნობი კორექტივები შეჰქონდა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა აგრეთვე ისტორიული გარემოცვა. ჩვენი ისტორიის უდიდესი ლაქა ტყვის სყიდვა, რომელიც ასე გავრცელდა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში. იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში, რომ ქრისტიან ხალხს შორის გავრცელებულიყო თანამემამულეების მონებად გაყიდვა უცხოელებზე. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი თურქთაგან მოდი-

და, მაგრამ ქართველთა მხრივ ამ ცდუნების ეკონომიკური საფუძველი იყო ის, რომ თურქ ვაჭართაგან შემოტანილი ფუფუნების საგნების ყიდვა მათ ნორმალური გზით არ შეეძლებოდა. ამიტომაც მათ ხელი მიჰყვეს თავისებურ

**ბურამ ურობანაშვილი**

ქართული ეროვნული ხასიათის  
საპრობლემის



„ბიუნესს“. მართალია ჩვენს სირცხვილის გრძობას ანელებს ის გარემოება, რომ ამ „ბიუნესსში“ მონაწილეობდა ძირითადად გაბატონებული ფენა, ისიც უკანასკნელის ნაწილი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება! ამასთანავე იგი (ეს ფაქტი) ცნობილი შეიქმნა უკვე იმ ხანის ევროპელთათვისაც.

ბევრად უფრო ღრმა ცვლილებები განიცადა ჩვენმა ეროვნულმა ფსიქიკამ მეცხრამეტე საუკუნეში. სწორედ ეს ვითარება იყო საფუძველი ახალგაზრდა ილიას განწყობილებებისათვის, კერძოდ მის მიერ შესანიშნავი ლექსების — „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით“, აგრეთვე „კაცია — ადამიანი?“-ს დაწერისათვის (ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლუარსაბ თათქარიძის მხატვრულ სახეში ისეთი თვისებები, როგორიცაა ინერტულობა, უღარდელეობა, გულარზებინობა და ა. შ. დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ამ პერიოდის თავადაზნაურობისათვის, არამედ ქართველთა ფართო მასისათვისაც). შექმნილმა პოლიტიკურმა მწიგნობრობამ, ეროვნული იდელების დევლაცია და გაქრობამ გამოიწვია უარყოფითი ძვრები ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაში. ამ მხრივ გარდატეხა დაიწყო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოწინავე პატრიოტული, ენერგიული ინტელიგენციის გამოჩენით.

ტრადიციული ფეოდალური ფსიქოლოგია, ქვევის შესაბამისი ნორმები, თავისი მიმზიდველობის მიუხედავად, დრომოკმული აღმოჩნდა. ახალ ეპოქას, ბურჟუაზიულ ცივილიზაციას სხვაგვარი ფსიქოლოგია ესაჭიროებოდა. ეს კი ქართველებს გვიძინდებოდა. მრავალი საუკუნის მანძილზე შემუშავებული ფსიქოლოგია ერთბაშად, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ვერ შეიცვლებოდა. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველთა ფსიქიკაში საგრძნობი ძვრები მოხდა, რაც თავის მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენდა ბურჟუაზიული საზოგადოების

განივარებისათვის. ამ მხრივაც კონტრასტი ჩვენსა და აღმოსავლეთის ბევრ ხალხს შორის აშკარაა.

ჩვენს ეროვნულ ფსიქიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა 1921 წლიდან მოყოლებული, რაც განპირობებულ იქნა სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური ცვლილებებით. ამასთანავე ეს ცვლილებები ყოველთვის როდი იყო დადებითი ხასიათისა, განსაკუთრებით 50-იან-60-იან წლებში, რაც ახლა ჩვენში საყოველთაოდ აღიარებულია. ასე რომ, მომავალში ჩვენს ხალხს ბევრი რამ დასჭირდება მათს გამოსასწორებლად.

აი ასე წარმოგვიდგება ჩვენ მოკლედ, მთავარ ხაზებში ქართველთა ეროვნული ხასიათის, ფსიქიკის ზოგიერთი მხარე, მათი გამოწვევის მიზეზები. წარმოადგენდა და წარმოადგენს რასისტორიული, ეკონომიკური, სოციალური (ციწრო აზრით), პოლიტიკური და კულტურული ევოლუციის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ბუნების პრობლემის, თავის მხრივ ეს ხასიათი, ფსიქიკა ჩვენი ისტორიული პროცესის ერთ-ერთი აქტიური, — ცხადია, არა გადაწყვეტი, — ფაქტორი შეიქმნა. იგი გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ჩვენს ისტორიაში ისტორიული აუცილებლობის გამოვლენაზე. მეორეს მხრივ, ჩვენი ეროვნული ხასიათი, საერთოდ ფსიქოლოგია აისახა ჩვენს სხვადასხვა სახის ტრადიციებში, რომელთაგან ბევრმა ისტორიულ გამოცდას გაუძლო. (სხვათა შორის მოსკოვში გამოცემულ კრებულში ქართველთა განათლების მაღალი დონე სხვა მოკავშირე ხალხებთან შედარებით ახსნილია „ძველი კულტურის ტრადიციებით“. იხ. კრებული «Трудовые ресурсы. Социально-экономический анализ», М., 1976, გვ. 61). ეს ხასიათი და ტრადიციები, — ცხადია, ბევრი მათგანი მოდელირებული ახალ ვითარებაში, — არის და იქნება ის ძალა, რომელიც ქმნის და კვლავაც დიდხანს წარმოქმნის ჩვენს ინდივიდუალურ, განუმეორებელ ეროვნულ სახეს.





ეროვნული  
ხელმოწერა

რეგაზ მიშველაძე

## მზიან გულთა სიკეთე

პროზის მთელი საიდუმლო საინტერესო ამბის საინტერესოდ გადმოცემაშია. ამაოდ ირჩება, ვინც ამ „საიდუმლოს“ სხვაგან ეძებს: ხელოვნურად გაზუნდოვანებულ სიუჟეტში, უსაგნო ფილოსოფიურ ჩხირკედლაობაში, განუენებულ, აბსტრაქტულ წიაღსვლებში, თვითმიზნურ სიტყვათქმნადაობაში. თავს ძალა არ უნდა დაატანო, თავისუფლად, ლაღად, დინჯად უნდა უთხრა მკითხველს შენი სათქმელი. თანაც, არც ერთი წამით არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ მკითხველის მოთმინებასაც სასლვარი აქვს: თუ ციდან დიხანს არ დაეშვები ან გლანა პრიაშვილივით ერთი და იგივეს ღეკავ, აღგება შენი სულგრძელი მსმენელი და გაგეცევა.

ნათლად და მართლად თქმის ტრადიციების გაგრძელებაა დღესაც ქართული პროზის უკეთეს წარმომადგენელთა შემოქმედება. ხოლო წიგნი, რომელზეც ორიოდ სიტყვა მინდა ვუთხრა მკითხველს, ჩვენი ლიტერატურის ერთ ჩუმ და უჩინარ მუშაკს ეკუთვნის და უპირველეს ყოვლისა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ავტორის სწორი პოზიციით იქცევა ყურადღებას.

ბენო კონჯარიას მოთხრობების ახალმა წიგნმა („მზიანი გულები“, „მერნი“, 1982, რედაქტორი ლ. არაბიძე) თავი ძალდაუტანებლად წამაყთხა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მთელი წიგნის მანძილზე არ მიგრძნია ის, რაც ხშირად ცუდ გუნებაზე მაყენებს ხოლმე ზოგი პროზაიკოსის წიგნის კითხვისას: ეს გახლავთ ავტორის ყალბი თეატრალიზის, თავს ზევით ატომის ცდის, ხელოვნურად თვალების სრესვის, სიტყვით კოპწაობის შეგრძნება. მართკონაქრეგობა და სიტყვისადმი უღარადელი დამოკიდებულება კი არა ვნებს მხატვრულ ქმნილებას, თვითმიზნური სიახლისა და უცნაურობისკენ ჯიუტი სწრაფვა ბუნებრიობას უკარგავს და „გაქეთებულის“ იერს აძლევს.

ბენო კონჯარია ბეუება, ბეუება უბრალოდ და შეულოამაზებლად იმაზე, რასაც ღრმა კვალი გაუვლია მწერლის მტხსიერებაზე, რაც სიყრპის შორეულ დღეებს ღამაზ რომანტიკად შერ-

ჩენია. ომისდროინდელი ქართული სოფელი, აღრე დაკაცების მტკივნეული პროცესი, აღამიანთა შორის გაჩენილი ახლებური ურთიერთობანი, სიყვარულისა და მეგობრობის მარადიული პრობლემები საყველთაო განსაცდელის ფონზე, — ამ თემატიკას მოუცავს „მზიანი გულები“ და მწერალი იუველირის სიფაქიზით იძლევა პასუხს ომისდროინდელი მოზარდის სულში გაჩენილ, ზოგჯერ გულუბრყვილო, მაგრამ ყოველთვის უშუალო და ჭეშმარიტ კითხვებზე.

ლტოლივლისა და მხასინძლის ურთიერთობის პრობლემა, — ჭეშმანიზმისა და სიბრაღულის სეკლიანი გრძნობა, უცხო ტომის შვილებს ახლოზლად და მშობლიურად რომ გიქცევეს, ლიტერატურაში არაერთგზის დამუშავებული პრობლემა, მაგრამ იგი ყოველთვის ინარჩუნებს იმ სინედლეხა და აქტუალობას, რომლის გარეშეც ჭეშმარიტ მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს. ბენო კონჯარია ახერხებს ლიტერატურის ამ უბერებელი ქვაუთხზლის ფონზე ქართველი კაცის ეროვნული ხასიათი გვიჩვენოს. „ეროვნული ხასიათი“ აქ შემთხვევით არ მიხსენდება. სანთლით საძებნი გახდა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში ნაციონალური პერსონაჟები. ნუთუ სერიოზულად ფიქრობს ვინმე, რომ ლიტერატურაში ეროვნული ატრიბუტების ხატვის დრო წავიდა და გეოგრაფიული მასშტაბებით შემოვლულდა ავტორს პროვინციალიზმად ჩაეთვლება? არამც და არამც, მოგწყინდა უსამზობლო, უმისამართო, ეროვნული ნიშნებისგან გაცლილი „ინტელექტუალების“ ცქერა. კოსმოპოლიტიზმი მწერლობის უპირველესი მტერია. პარტიკულარიზმისა და ეთნოგრაფიული თვითმიზნურობისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუ მწერლის ნაწარმეს ეროვნული სპეციფიკის ბეჭედი არ აზის, იგი დახავიწყებლადაა განწერილი.

მოხუცი ხარტიონი ტრუფსედან მომავალ სანიტარულ მატარებელს ხვდება, იქნებ ფრონტზე წასული შვილის მზავი შეიტყოს. დღესაც ამაოდ გაისარგა. კუთხეში მიუყუფულ, ქე-



## კონსტანტინე გამსახურდია და ქართული სლიტერატურა 196

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებამ უმწმუნელოვანესი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენის გამომდრებისა და წინსვლა-განვითარების საქმეში; ოციანი წლებიდან მოყოლებული სამოცდაათიანი წლების შუახანებამდე, მთელი 50 წლის მანძილზე, მისმა მრავალრიცხოვანმა ნოველებმა და რომანებმა, ესეებმა და ქართული ენისადმი მიძღვნილმა უაღრესად საგულისხმო თეორიულმა წერილებმა ბევრი რამ შემატა მრავალსაუკუნოვან ქართულ ენას.

მწერლის მხატვრული ქმნილებების ფრად სერიოზული პრობლემატია, სხვაგვარად შეჩინული დახლართული სიუჟეტების დიდოსტატურად დამუშავება, მეტად ტყვადი აზრებისა და იდეების ვიტუოზულად გამოცემა, უიქის, აღმინათა განსაზღვრული წრეების თუ თვითონ მოქმედი პირების პორტრეტები და მათი შინაგანი ხულიერი სამყარო პერმანენტულად აქცევდა კ. გამსახურდიას შემოქმედებას კანსაკუთრებული ყურადღების ცენტრში; დაამსახურებოდა თხრობის, დიალოგებისა თუ სონეტთა განწყობილების დახატვა ბელეტრისტმა შეძლო ორიგინალური სტილის მომარჯვებით; წინადადება მისთვის ნიშნდობლივი, ნაირგვარი კონსტრუქციების ურთიერთმიმაცვლიობის საშუალებით.

მისი სხვადასხვა ენარისა თუ თემატიკის ნაწარმოებები, — „დიდოსტატის მარჯვენა“, და „დავით აღმაშენებელი“, „მთვარის მოტაცვა“ — „ვაზის ყვავილობა“, „ხოგაის მინდია“ თუ „ერცხლის ბეჭედი“, არაერთი ნოველი თუ ესეი, — აღმინანის უანგარო სიყვარულით არის გაღვნილი; ქართული ენისადმი სიყვარული, მოკრძალება, თყვანისცემადღე მიაღწილი გატაცება ქართული ასოების, ქართული მეტყველების, ქართული ტრადიციებისა იმდენად ძალუმად ეფუძლება მწერალს, რომ თითქმის ყოველ ნაწარმოებშია ეს გრძობა გაცხადებული;

კ. გამსახურდიას თეორიული წერილები თუ მხატვრული ქმნილებანი სხვადასხვა ფორმით ერთსა და იმავე აზრს ავითარებს ქართული ენის, როგორც ერის უპირველესი და უარსებ-

თისი ნიშნის, შესახებ; ქართული ენის მეტორენობისათვის მიძღვნილ მასალებში მწერალი ლოგიკური კატეგორიების მოშველიებით, — სილოგისტურად აშუქებს ზოგად და კონკრეტულ საკითხებს, ასახულებს ამა თუ იმ დებულებას; რაც შეეხება მხატვრულ ნაწარმოებებს, მასში, სათანადო იდეურ-ესთეტიკურ მხარეებთან ერთად, ღირსეულ ასახვას პოულობს მწერლის ფაქიზი დამოკიდებულება ქართული ენის ფენომენისადმი. თითქმის ყოველი წინადადება, ყოველი სტრიქონი, თითქმის ყოველი სიტყვა ისეა აწონილ-დაწონილი, რომ ჩნდება თუ შეიძლება მას რიგზე სხვა ვარიანტი შეუნაცვლიოს კაცმა ისე, რომ არ დაირღვეს ის შთიანთა და მონოლითურობა, რომელიც მწერლის ენის თავისთავადობას და ორიგინალურობას ანიჭებს.

ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა გატარებული კამათი და მსჯელობა კ. გამსახურდიას ენობრივი პოზიციის თაობაზე. ბევრგზის კრიტიკის კონცეფციებში ატარებდნენ მწერლის ენობრივ ექსტრემიზმს; აკლემულ შენიშვნებს მწერალი გულსისუფრით ესმენდა და ითვალისწინებდა, მაგრამ არსებითად მისი ენა, დახვეწილი და განახლებული, — ძველი ქართულია და ქართველური დიალექტების მონაცემთა სინთეზით განოუყვრებული, ახალ ძალებსა და შესაძლებლობებს ეძიებდა და მკითხველთა ფართო წრეების და, ბოლოს, კრიტიკის აღიარებასაც იმსახურებდა.

ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების შუახანებიდან საქმოდ მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება მწერლის ენის მიმართ, ბოლო სამოცდაათიანი წლების დამდეგს „დიდოსტატის მარჯვენა“ ხელობის პროგრამაში შეიტანეს.

ლიტერატურათმცოდნეი, კრიტიკოსები და ენათმეცნიერები სხვადასხვა ასპექტში არსებითად ერთნაირი მოწიებით, პატივისცემით და გულისხმიერებით სწავლობენ მწერლის უანგარო მწერალურ შემოქმედებას, მის ქმნილებებს — რომანებს, ნოველებს, ესეებს, წერილებს, რეცენზიებს.

ამ დიდებითმა პირობებმა და ოპტიმალურმა გარემოებებმა არა მხოლოდ, ხელი შეუწყო, უდავოდ განაპირობა უკანაქნელი ათწლეულის



## თბილისის ისტორიული ბიკრონის რეკონსტრუქციის აპოსანაჟი

ქალაქების ისტორიული ცენტრების განახლების ამოცანებმა არქიტექტორებისა და ქალაქის მშენებლების წინაშე რთული პრობლემები წამოკრძინა. ქალაქის საერთო სტრუქტურისა და კომპოზიციის გაუმჯობესება, ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაწილების განვითარების ფუნქციური გამოყენება და ურთიერთდა მოკიდებულება — ისტორიულად ჩამოყალიბებული დიდი ქალაქების განვითარების აუცილებელ პირობად იქცა.

საქიროა აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, თუ როგორ უდგებიან ამ საკითხებს სხვადასხვა ქვეყანაში მაშინ, როცა სოციალისტურ ქვეყნებში ქალაქის ისტორიული და ძვირფასი ნაწილები დაცვისა და კომპლექსური რეკონსტრუქციის გზა არჩევის და აქცენტს მათ კულტურულ-შემცენებლის მნიშვნელობაზე აკეთებენ. დასავლეთის ქვეყნებში, ძველთა დაცვის საქმეში არსებული მიღწევების მიუხედავად, — ქალაქის ცენტრალური ნაწილის, წმინდა კომერციული ცენტრის, კაპიტალიზმის „სიტის“ რეკონსტრუქციის შედეგად უკუაღდგენა ექცევა. ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევაში კი (საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში) ისტორიული გარემოსადმი და მოკიდებულება ცალკეული ღონისძიებებით იფარგლება, რომლებიც მხოლოდ იმ ძირითადი კულტურულ-ისტორიული ფასეულობის დაცვისკენა მიმართული, რომლებსაც მდლიანად ან თუნდაც ნაწილობრივ იცავს სახელმწიფო. ბევრ „სუპერ-ბიკრონში, როცა ძველები და მიწა კერძო პირებს ეუფლებინ, კომპლექსური რეკონსტრუქცია შეუძლებელი, ხშირად კი არქიტექტურული ძველების ახალი მიწებისათვის გამოყენების საქმე ელიტური ხდება. იგი „სიძველის ნედლსთან“ დაკავშირებით, მოსახლეობის მხოლოდ ყველაზე მდიდარი ნაწილის ინტერესებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, დასავლეთის ქვეყნებში, როგორც ცნობილია, ისევე, როგორც ცალკეული ძველი შენობის ძველების რესტავრაციის, ისევე ქალაქის ძველი უბნებისა და ქალაქის დიდი ისტორიული მახვილების რეკონსტრუქციის საქმეში არსებობს დიდი მიღწევები და (კვარტალი ღორიოვი, ტურის ისტორიული ბიკრონი, იტალიური ბარი, ამერიკული

ჩარლსტონი) ამ ამბის გადაწყვეტის საქმეში უფრო აღდგენა იქცევა სწორედ საქმისადმი მიდგომის კომერციული ხასიათი. ძველი ქალაქის განახლებულ ნაწილს მაქსიმალური შემოსავალი უნდა მქონდეს. ასეთი ანგარიხიანი მოსაზრების მიღმა იყარგება ან უკიდურეს შემთხვევაში უკან პლანზე გადადის რეკონსტრუქციის სოციალური და კულტურულ-შემცენებლის მნიშვნელობა.

ამისგან განსხვავებით, საბჭოთა ქალაქმშენებლობის პრაქტიკაში, ქალაქის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქციისა უპირატესობა ენიჭება იმ არქიტექტურულ-ქალაქმშენებლურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა უძველესი ქალაქის ისტორიულ ნაწილში საცხოვრებლად დარჩენილი მოსახლეობის ყველა თანამედროვე ყოფით მოთხოვნილებებს, საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფენ. ამასთანავე არქიტექტურული და ისტორიული მემკვიდრეობა ფართოდ გამოიყენება ხალხის წინეობრივი, პატრიოტული აღზრდისათვის, ერის კულტურის ცოდნის გასაღრმავებლად, ესთეტიკური და ემოციური სამყაროს შესაქმნელად.

სოციალისტურ ქვეყნებში ისტორიული გარემოს თავისებურებების ამგვარი გამოყენება, მტკილად, სოციალური და იდეოლოგიური საკითხების გადაწყვეტასთანა დაკავშირებული, რადგანაც აქ ჭარბობს ისტორიული განძის აღნუსხვის არა ეკონომიური ხასიათი (ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტურ ქვეყნებში უფრო აღდგება არ უნდა მიექცეს რეკონსტრუქციის ეკონომიურ ასპექტს. მ. ორლოვი, ი. რანინი და სხვა საბჭოთა მკვლევარები სამართლიანად უსვამენ ხაზს იმას, რომ თუ პირველ ადგილზე სოციალურ-იდეოლოგიურ საკითხებს დაუყენებთ, მაშინ არქიტექტორებსა ხასხრების ეკონომიით უნდა გადაწყვიტონ საქმე და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა მიიღონ რეკონსტრუქციის ეკონომიური საშუალებანი, განვითარდეს ტურისმი და სხვა). ეს ფაქტი არა თუ არა ახსუტებს, არამედ აძლიერებს ისტორიული ქალაქების კულტურულ-სოციალური ფუნქციის მნიშვნელობას.

არსებულ ისტორიულ გარემოში ქალაქის რეკონსტრუქციის სოციალისტურ კონცეფციას,

თანამედროვე მოთხოვნილებებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი ძირითადი ელემენტები, ქალაქის დასახლების შეუწყვეტელი მოთხოვნილების, მისი მუდმივი სრულყოფისა და განვითარების მარჯვენადაა რჩება.

მაგალითად ჩვენ არქიტექტორებს მიჩინათ: მოუხდავად იმისა, რომ რეკონსტრუქციების ფუნქციის მნიშვნელობა არსებითად შემცირდა მათ შეინარჩუნეს რიგი დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც განაპირობებენ, აძლიერებენ და ამკვიდრებენ მათ სპეციფიკურ არსებობას, იმ ელემენტების უცვლელყოფით, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების გარემოს ფორმირების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, იგი დაკარგავდა თავის განუმეორებელ სილამაზეს. (ნახ. ისტორიული ფონდის განახლება. კრებულში „მშენებლობის ისტორიული ფონდის დაცვა და გამოყენება“, პრაღა ნაწ. II გვ. 4).

საჭიროა ხაზი გავსვას იმას, რომ თანამედროვე პროგრესული არქიტექტურული აზრი არქიტექტურული ძეგლების პრობლემას, პირველ რიგში, უყურებს როგორც კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების საშუალებას, რომლის მნიშვნელობაც არ ამოიწურება ეკონომიური ტენჯიბელობით. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ორივე მიმართულებას, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ არქიტექტურულ და ქალაქმშენებლობის ხელოვნების ძეგლების გამოყენების შესაძლებლობის ორ ძირითად: ა) იდეურ-პოლიტიკურ სფეროში და ბ) უტილიტარულ-ფუნქციურ სფეროში.

თანამედროვე ტექნიკის ისტორიული ძეგლების ახალი ფუნქციონისათვის გამოყენება მხოლოდ იმ პირობით შემოიფარგლება, რომ შემოთავაზებული ფუნქცია წარაღოს არ აყენებდეს ნაგებობათა ისტორიულ და ესთეტიკურ ღირსებას. სსკ-ში და სახლდარგარეთ ამ სფეროში ჩატარებული ყველაზე საუკეთესო ცდები გვიჩვენებენ, რომ არქიტექტურული ძეგლების სწორად, მეცნიერულად და ქალაქმშენებლურად შემუშავებული გამოყენებისას, ახალ მშენებლობასთან შედარებით არსებითად ნაკლები ხარჯების გაწევისას, ჩნდება თანამედროვე ქალაქის გარემოს გამდიდრების ახალი რეზერვები. ქალაქის ძველი, ძვირფასი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობით მდიდარი რაიონების რეკონსტრუქციის ხარჯები, პრაქტიკულად, ასმაგად გამოიხყილიან თავს.

ინდივიდუალობა ჩვეულებრივ აწინებს თანამედროვე არქიტექტორებს. ისინი ქარხნის მიერ დამზადებული დეტალების საშუალებით ჩქარი ტემპით მშენებლობას არაან მიჩვეულნი და ამიტომ მათ ავიწყდებათ საამშენებლო სტადიების ღირებულება, როგორც მაგალითად ხახ. მშენის ქარხნების მოწყობილობები, სამშე-

ნებლო ელემენტების დიდ მანძილზე ტრანსპორტირება, თავად დეტალების არასრულყოფილება და სხვა. შეიძლება რაღაც წესები იფიქრავს ეს ნაკლი. რეკონსტრუქციის ცილიზირებულ სამშენებლო ორგანიზაციებში, რათა გავაუმჯობესოთ და გავაიაფოთ სარესტავრაციო სამუშაოები.

ჩვენს დროში რეკონსტრუქციისა და ქალაქმშენებლობის მემკვიდრეობისადმი შეზღუდული, გათიშული დამოკიდებულება იცვლება ახალი მეთოდით, რომელიც მოღვაწეუბის ამ სფეროს იხილავს, როგორც ურთიერთდაკავშირებელი ღონისძიებების რთულ სისტემას. ხირობამოდგრების ნაწუშეგარათ მთავარი არსი ახალი გადაწყვეტილებების მიღება — გადაწყვეტილებებისა, რომლებიც სოციალურ და კულტ-საგანმანათლებლო ხასიათს ატარებენ.

ამ ასპექტიდან გამომდინარე ვეცდებით ჩამოვყალიბოთ ძირითადი პრინციპები, გამოვამუდავოთ რეკონსტრუქციის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ქ. თბილისის ისტორიული ბირთვის სოციალ-ეკონომიური ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით ტარდება.

1. თბილისის ისტორიული ბირთვი, რომელიც დღეს ქალაქის ცენტრში შედის, ახალ რაიონებთან ერთად ქმნის ურბანისტულ მთლიანობას, რაც მთელი ქალაქის მასშტაბით, მისი ცალკეული ნაწილების პარამონული, სივრცობრივი და ფუნქციური შერწყმის ორგანიზაციით უნდა გამოხატოს. ამიტომ ისტორიულ ბირთვს, როგორც ქალაქის დამოუკიდებელ ძვირფას ფორმაციას, აუცილებლად, გარემოს განსაკუთრებულ ხასიათთან და პირობებთან კავშირში უნდა მიეცეს ფორმულირება — რაც შეიძლება მნიშვნელოვანია. ქალაქის როგორც მხატვრული. ისე ფუნქციური ერთიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

2. შემონახული კულტურული განძი, ისტორიული ბირთვის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლები, აგრეთვე მთის ფერდობზე განლაგებული ისტორიული საცხოვრებელი სახლების გაწინება, ამ ლანდშაფტთან ერთად, ძველი ქალაქის განსაკუთრებულ, განუმეორებელ გარემოს ქმნიან. ძველი ქალაქის ეს თვისებები არა მარტო შენარჩუნებული, არამედ საგანგებოდ უნდა იყოს ხაზგასმული.

ისტორიული ბირთვის რეკონსტრუქციისას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცენტრს კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციები ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურიზმის პირობების შექმნას, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის დასვენებას. ამასთან დაკავშირებით, ძირითადი ამოცანა, ძველი თბილისის კულტურული მემკვიდრეობის პრაქტიკული ათვისება, მისი რეკონსტრუქციის ისტორიულ-მხატვრული საფუძვლის თანამედროვე სინამდვილეში ჩართვაში მდგომარეობს.



მ. ძველ თბილისში განსაკუთრებით მწვევედ დაგას მშენებლობისა და კეთილმოწყობის პრობლემა, რომელიც ხშირად თანამედროვე ქალაქის მოთხოვნებს არ ემთხვევა. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში განსაკუთრებული საშუალება რიგით საცხოვრებელ ნაგებობებს ეძებება, რომლებსაც მუდამ გადააკეთებენ ხოლმე ან ანგრევენ. ცუდი საცხოვრებელი ფონდი ქალაქის ძველ და ახალ რაიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ, რაც სოციალური თვალსაზრისით დაუსვებელია. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძველებული საცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქციას. ისეთი საკითხების რეგულირება, როგორცაა კეთილმოწყობა, გამწვანება და სხვა, ცივილიზაციის და ტექნიკური სტანდარტის ძველი და ახალი საცხოვრებელი კომპლექსების დონის გათანაბრება, ძველ ქალაქში ცხოვრების განსაღი, ნორმალური პირობების შექმნა, რეკონსტრუქციის ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესი საკითხებია.

საცხოვრებელი ბინის პრობლემა მჭიდროდ დაკავშირებულია მოსახლეობის მრავალმხრივი კულტურული და უფიზიო მოთხოვნილებების მასობრივ დაკმაყოფილებასთან. სამოსახლო ზონების განახლება, განვითარებული კულტურული უფიზიო ქსელის დასასვენებელი პირობებით, სპორტული ბაზებით აუცილებელ უზრუნველყოფას ნიშნავს.

ამათანავე არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ქალაქის მშენებარე ობიექტების ერთფეროვნება საბჭო მის თვითმოყოფადობასა და ინდივიდუალურ ხასიათს, საქმარისად არ გამოყოფს სივრცობრივ კომპოზიციას, სილუეტსა და სხვა ესთეტიკურ თვისებებს. თუ შეიძლება ითქვას, უპირისპირდება ძველი ქალაქის ესთეტიკური სულის განქრის. ამ ნაკლის დასაწვევად, როგორ პარადოქსადაც არ უნდა მოგვიჩვენოთ, დიდ სამსახურს გასწევს ძველი ქალაქმშენებლობის კულტურის ხერხებისა და პრინციპების, მხატვრული ღირსებების მაქსიმალური ჩვენება და გამომდგამება.

4. უკანასკნელ წლებში ავტომაქანების რიცხვის ჩქარა ზრდამ, არქიტექტორების წინაშე მთელი რიგი სატრანსპორტო პრობლემები წამოჭრა, რომლებიც ძველი თბილისის დატულ ზონაში თბილუმბენ/საჩქარო და გადაუღებელ გადაწყვეტას. როგორც ცნობილია, თანამედროვე დიდ ქალაქში, ტრანსპორტი ქალაქის ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რადგან იგი ქალაქის რთულ გეგმურ და სტრუქტურის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. მზარდი ქალაქი და მისი მოსახლეობის აქტიური მოღვაწეობა, სამოქალაქო და საზარგო ტრანსპორტის სულ უფრო დიდ მოთხოვნილებას ქმნის, რაც ძლივს ერწყმის ისტორიული ქუჩების ქსელს.

ფუნქციური და ესთეტიკური ამოცანების შესაბამისად ორგანიზებული. სატრანსპორტო ქსელი, საშუალებას იძლევა განსაზღვროს, ხანით გამოამდგანოს ქალაქის ცალკეული ნაწილებისა და ნაწილების, ცალკეული ანსამბლებისა და შენობების მხატვრული შემოქმედება. მაგრამ არ არის საჭირო ძალის დატანება, რათა ქალაქის ისტორიული ნაწილი ტრანსპორტის მოძრაობას შეეწყოს, არამედ პირიქით, ტრანსპორტი უნდა შეეწყოს ძველი ქალაქის სპეციფიკურ პირობებსა და საჭიროებებს.

5. ქალაქის ცხოვრებაში დიდი როლი ენიჭება მდინარეს. როგორც ცნობილია მტკვრის კალაპოტი ოდითგანვე თბილისის მთავარი კომპოზიციური დერძი, მისი დაგეგმარებისა და სივრცობრივი ორგანიზაციის საფუძველს წარადგენდა. სულ ცოტა ხნის წინათ მტკვრის სანაპიროები ფხვით მოსიარულეთა სასივრცოდ და დასასვენებლად მიხსწდომი იყო. მიუხედავად იმ დიდი სამშუაოებისა, რომლებიც სანაპიროს კეთილმოწყობისა და გაშენებისათვის ჩატარდა, ტრანსპორტის განვითარება იქამდე მივიდა, რომ თბილისში სანაპიროები ავტომაქანების განუწყვეტელი მოძრაობის ადგილად იქცა.

სწორი იყო თუ არა სანაპიროზე ავტომაქსირალების მშენებლობა? ან იქნებ ჯობდა მტკვრის ნაპირებზე გაწოლილი სატრანსპორტო ტრასები პატარა მონაკვეთზე მიიწვ გადაგვტანა სანაპიროს მოშორებით?

ამ კითხვაზე გაცემული პასუხი დღეს უკვე აღარაფერს შეცვლის. სანაპიროებზე მავსიტარლები აშენებულია და მათ ლიკვიდაციაზე ლაპარაკი ჩერჩერობით ზედმეტია. მაგრამ ეს საკითხი შეიძლება დაისვას. ნუთუ მართლაც ასე აუცილებელია, რომ ავტომაქანსართლი მთელი ქალაქის გაყოლებით მტკვრის გასწვრივ მოძრაობდეს? იქნებ აქ, ძველ ქალაქში, ან თუნდაც მის მცირე მონაკვეთზე ფხვით მოსიარულეთათვისაც გამოგვეყო პატარა ზონები? ეს საკითხები უშუალოდ იმ საკითხთა სფეროში შედის, რომლებიც ქუჩების ქსელის რეკონსტრუქციას ეხება. ეს საკითხები ისტორიული ქუჩების შენარჩუნებასა და მათი არქიტექტურის გამოვლენის, დღევანდელი გადაადგილების საშუალებების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნებს ემსახურება.

ძველი ცენტრის რეკონსტრუქცია დღეს სალაქმშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. ქალაქის ისტორიულა შუასაულებრივი ბირთვი იხვევ როგორც აღრე, ეხლაც მისი არქიტექტურულ-მხატვრულ დომინანტს წარმოადგენს, თუმცა დღეისათვის ჩამოყალიბებული ცენტრი უკვე მთლიანად კმდარ პასუხობს მზარდი ქალაქის მოთხოვნებს. გენერალური გეგმა ცენტრის მომავალ განვითარებას, მისი ახალი ელემენტების წარმოშობას

იოჯალისწინებს. ცენტრის ახალი ნაწილების ფორმირების საქმეში, ერთ-ერთი გადაწყვეტილი საქითი, ისტორიულ ბირთვთან მათი ორგანული კავშირის უზრუნველყოფა უნდა ვახდებ.

მ. ვახტანგ გორგასლის ქუჩა, რომელიც მტკვრის გასწვრივ გადის, ქალაქის უძველეს რაიონში სივრცულად მდებარეობს, აქ არის ბალნეოლოგიური კურორტი, რომელსაც ოდიტოგანვე მთელი კვარტალი ეკავა და თბილისის ისტორიულ ბირთვში დამოუკიდებელ „მიკრორაიონს“ წარმოადგენდა.

ბალნეოლოგიური კომპლექსის დაგეგმვის სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, ბუნებრივი-კლიმატურ პირობებზე, საერთოების რაოდენობაზე, დაწესებულებათა ტიპებზე, სხვადასხვა ნაგებობათა ჭკუფების კოორდინაციის ხარისხზე და ა. შ. საშუალო და პატარა საკურორტო ქალაქების ქალაქმშენებლობის განვითარების საფუძველს სამკურნალო-გამომჯანსაღებელი დაწესებულებები ქმნიან.

კულტურული მშენებლობის განლაგება მკარავ კავშირშია მომსახურე პერსონალის და აგრეთვე სხვა სახის მომსახურების სამუშაოებს, კულტურულ-ყოფითი დასახლების საკითხებთან.

თბილისის მრავალფუნქციურ სტრუქტურაში ბალნეოლოგიურ კურორტს, რომელიც ტერიტორიულად ისტორიული ბირთვის ცენტრში იმყოფება, ქალაქმშენებლობისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით არ შეუძლია დაიკვემდებაროს უახლოესი ტერიტორიების განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ ბალნეოლოგიური კომპლექსისათვის, ჩვეულებრივ, არ არის დამახასიათებელი სხვადასხვა დანიშნულებებისა და ხასიათის დაწესებულებასთან შერწყმა. მაგალითად კლიმატოლოგიურ კომპლექსებში სანატორიუმის ტიპის დაწესებულებების გვერდზე დასასვენებელი, ტურისტული დაწესებულებებიცაა. თუმცა ისეთ ძლიერ ფაქტორებს, როგორც სამკურნალო წყლები, ტურიზმისა და დასვენების პირობებია, შეუძლიათ ხელი შეუწყონ კომპლექსების შექმნას, რომლებიც შეიცა-

ვენ ერთსაც და მეორესაც. კოორდირების ასეთი სისტემის დროს, დასასვენებელი და საკურორტო ზონები, საინჟინრო კომუნიკაციები შეიძლება საერთო იყოს (ნახეთ ტ. 1, გვ. 33-34). კომპლექსური ზონებზე დაყოფის პრინციპები — ქალაქების დაგეგმვისა და მშენებლობის პრობლემები — კიშინიოვი, 1969, გვ. 180) მოთხოვნები თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გაფართოებისა და განვითარების შესახებ, რთული რეგიონის, ადგილის სპეციფიკის ისტორიული კვარტლების მეზობლად მისი მდებარეობის გამო, რა თქმა უნდა, რთული განსახორციელებელია.

ამგვარად, თბილისის ისტორიული ბირთვის რეკონსტრუქციის ძირითადი მიზანი, რომლის მნიშვნელობაც მისი სოციალურ-კულტურული ფუნქციონირების გაუმჯობესება, მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ არქიტექტურულ-სამშენებლო და სარეკონსტრუქციო ღონისძიებებში არ მდგომარეობს, არამედ დიდი ქალაქის — რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალმხრივ ვუწყებებთან, სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებების მუდმივ ზრდასთან კავშირში, ძველი თბილისის საფუძვლიანი განახლების ამოცანას წარმოადგენს.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობა ეფექტურად უნდა შევრწყათ თანამედროვეობასთან, უზრუნველვეყოთ ისტორიული ბირთვის შემდგომი მარმონიული განვითარება, ავამაღლოთ მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, შევქმნათ ძველი ქალაქის მთელ მოსახლეობას ცხოვრების ნორმალური, ჯანსაღი პირობები, ხელი შევუწყათ ტურიზმის განვითარებას, შევქმნათ უკვე აღიარებული დასვენების პირობები და ა. შ. ქალაქის ისტორიული ბირთვის გარემოს გაუმჯობესებისათვის ჩატარებული ღონისძიებები თვით უწყველად შედგება ცალკე მხატვრული ნემოქმედებისა და „დროის ეროზიის წინააღმდეგ გამძლეობის ახალ ძალას“.

ჩვენის მისამართი: თბილისი, 880007, დალიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 89-55-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი — 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრესის — 72-26-30, „ცესკის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-17-62.

გადაეცა ასაწყობად 3.11.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.XII.83 წ., ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ-საც თაბები 15.85. შეკვ. № 2.540 უე 12803 ტირაჟი 57.800

საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6<sup>3</sup>/<sub>13</sub>

ფანტონი 60 553.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ